

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული არქივი

**სერ ოლივერ უორდროპი**

**150**

თბილისი 2015

UDC (შპკ) 001 (410)(092)  
008.1 (479.22.410)

წიგნი შეადგინა, შენიშვნები და  
კომენტარები დაურთო, რედაქტირება  
გაუკეთა, ინგლისური ტექსტი ქართულ  
თარგმანს შეუღარა ისტორიის დოქტორმა: **ბექა კობახიძე**

ტექსტი ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნა: **სალომე ბანიძე**  
ქართული თარგმანის სტილისტური რედაქტირება დინა ანფიმიადისა

წინა ყდაზე გამოსახულია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი - ევგენი გეგეჭკორი და დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი - სერ ოლივერ უორდროპი ტფილისში 1919 წლის 30 აგვისტოს მონყობილ დახვედრაზე.

ფოტო დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში.

**On the front cover there are illustrated Minister of Foreign Affairs of Georgia – Evgeni Gegechkori and British High Commissioner in Transcaucasia – Sir Oliver Wardrop at the arrival meeting of Wardrop in Tiflis on 30th of August 1919.**

**The photograph is preserved in the National Archives of Georgia.**

უკანა ყდაზე გამოსახულია სერ ოლივერ უორდროპი - მისი უდიდებულესობის გენერალური კონსული სტრასბურგში. 1925 წელი.

ფოტო ჰილარი გრანდის უორდროპების ოჯახის ალბომიდან.

**On the back cover there is illustrated Sir Oliver Wardrop – His Majesty’s Consul-General in Strasbourg. 1925.**

**Photograph from Wardrops family album of Hilary Grundy.**

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



© საქართველოს ეროვნული არქივი

შპს “ირილა”  
რუსთავი, ფიროსმანის ქ.№7

ISBN 978-9941-0-8216-0

## სარჩევი:

რედაქტორის წინასიტყვაობა .....	4
“სერ ოლივარ უორდროპი: სამხრეთ კავკასიაში მისი უდიდებულესობის უმაღლესი კომისარი”.	
ბეძა კობახიძე .....	9
წერილები ცოლისადმი. ტფილისი-სევენოუქსი. 05.09.1919-19.04.1920 .....	22
საბარეო საქმეთა სამინისტროსადმი გაგზავნილი რჩეული რეპორტები.....	152
ფოტოალბომი/ PHOTO GALLERY.....	164
Preface.....	199
Sir Oliver Wardrop: His Majesty’s High Commissioner to Transcaucasia. Beka Kobakhidze .....	202
Letters to the Wife, from Tiflis to Sevenoaks. 05.09.1919-19.04.1920 .....	213
High Commissioner’s selected Reports to the Foreign Office.....	319

## რედაქტორის წინასიტყვაობა

2009 წელს დავინწყე მუშაობა ჩემს სადისერტაციო თემაზე: „საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე (1919-1920)“. ამ დროისათვის საქართველოში ძალიან ცოტა ვიცოდით სერ ოლივერ უორდროპის დიპლომატიური ღვაწლის შესახებ. ისტორიკოსები 1887 წელს მის მიერ ყმანვილკაცობაში დაწერილ წიგნს „საქართველოს სამეფოს“ ვიცნობდით; ჩვენ, ასევე, ზოგადად ვიცოდით, რომ ის სამხრეთ კავკასიაში დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისრად მუშაობდა 1919-1920 წლებში, ისიც ნაგვევითაა, რომ 1920 წლის 12 იანვარს სწორედ მან ახარა საქართველოს მთავრობას მოკავშირეთა მხრიდან ქვეყნის დე ფაქტო აღიარება. თუმცა, არავის შეუსწავლია, რას ნიშნავდა მისი უმაღლესი კომისრობა, რა აკეთა მან საქართველოში ყოფნის პერიოდში, რა წვლილი შეიტანა ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. ცნობილი ფაქტი იყო, რომ უორდროპები საქართველოს დიდი მოყვარულები იყვნენ და ყოველთვის მან უხებდა კითხვა: „ნუთუ არაფერი გააკეთა ოლივერ უორდროპმა, როგორც დიპლომატმა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის? და თუ გააკეთა, რატომ არაფერი ვიცით?“

საბჭოთა ცენზურა ვერ დაუშვებდა ოლივერ უორდროპის, როგორც ანტიბოლშევიკი და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი მოღვაწის წარმოჩენას. ამიტომ უორდროპები ნაჩვენები იყვნენ, როგორც კულტურული აქტორები, მთარგმნელები, მოგზაურები და ა.შ. ჩვენ ზედმინევით ვიცოდით მარჯორის მიერ „ვეფხისტყაოსანის“ (და არამარტო) თარგმნა, მისი კავშირები ილია ჭავჭავაძის ოჯახთან, სხვა მოწინავე ქართულ წრეებთან. ამ მხრივ მშვენიერი მონოგრაფია ჯერ კიდევ „პერესტროიკამდე“ საქართველოში, დაწერა აკადემიკოსმა გურამ შარაძემ. თუმცა, 1984 წელს ჯერ კიდევ არ იყო საშუალება პირველ რესპუბლიკასა და ოლივერ უორდროპის დიპლომატიურ მოღვაწეობაზე წერისა. შესაბამისად, ჩემთვისაც პასუხგაუცემელი დარჩა კითხვა: „მარჯორი გასაგებია, მაგრამ ოლივერი? მას რა წვლილი მიუძღვის?...“

ასეთი ბუნდოვანი ცოდნით შეიარაღებულს, უფრო სწორად კი შეუიარაღებულს, 2011 წელს მითხრეს, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი თავმჯდომარის, ნოე რამიშვილის ვაჟის, აკაკი რამიშვილის ფონდში ინახებოდა მის მიერ ბრიტანეთის ეროვნულ არქივში მოძიებული უმდიდრესი მასალა, რომელზეც ქართველ ისტორიკოსთაგან არავის ემუშავა. საარქივო ფონდი ჯერ კიდევ არ ყოფილა კატალოგიზებული, როცა ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჩემი თხოვნა და დამართო მასალებზე მუშაობის უფლება. აქ წავაწყდი ოლივერ უორდროპის მიერ საქართველოსაგან და კავკასიასთან დაკავშირებით შექმნილ ასეულობით დოკუმენტს, ტფილისიდან საგარეო მინისტრ ჯორჯ კერზონისათვის გაგზავნილ ოფიციალურ მოხსენებებს. ფურცელი ფურცელს მიყვებოდა და ვხედავდი, რომ საქართველოს ბრიტანელ მეგობარს თავისი ცხოვრებისა თუ ბედნიერების ამოცანად საქართველოს დამოუკიდებლობა დაესახა; ამ დოკუმენტებში იყო მისი რისკიანი ბრძოლა, სიყვარული და მისწრაფება.

თუმცა, ეს მასალა არ იყო სრულყოფილი. შესაბამისად, 2013 წელს, სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის ფარგლებში, გავემგზავრე ბრიტანეთის ეროვნულ არქივსა და ოქსფორდის ბოდლეანის ბიბლიოთეკაში სამუშაოდ. თავდაპირველად დავინყე ბრიტანეთის ეროვნულ არქივში დაცული საგარეო და სამხედრო სამინისტროთა დოკუმენტების სრული დამუშავება. შემდეგ ოქსფორდში გადავინაცვლე. იქ, ბოდლეანის რადკლიფის სამეცნიერო ბიბლიოთეკის განსაკუთრებულ კოლექციათა განყოფილებაში, ოლივერ უორდროპის მიერ შექმნილ ქართულ ბიბლიოთეკასთან ერთად, დაცული იყო 1991 წელს, მისი ქალიშვილის, ნინო უორდროპის მიერ ნიგნთსაცავისთვის გადაცემული, შემდეგ მანქანაზე გადაბეჭდილი ოლივერ უორდროპის მიერ მისი მეუღლის, მარგრეტ კოლექტისადმი ტფილისიდან ბრიტანეთში 1919-1920 წლებში გაგზავნილი წერილების 170 ფურცელი. აღნიშნულ კორესპონდენციაში უფრო პრივატულად, გულწრფელად იყო გამოხატული საქართველოს ძველი მეგობრის პირადი გრძნობები, მისი კავშირები ქართულ საზოგადოებასთან და ა.შ.

სამსახურებრივ, ოფიციალურ მიმოწერას პირადი კორესპონდენცია ავსებდა და საბოლოო ჯამში ისახებოდა საქართველოში მყოფი გავლენიანი დიპლომატის პორტრეტი, რომლის მსგავსი სიყვარული, ღვაწლი და თავდადება არც ერთ უცხოტომელს არ გამოუმჟღავნებია ამ ქვეყნისადმი.

პატივი მერგო ეს ყველაფერი მცოდნოდა მხოლოდ მე, ერთ ქართველ ისტორიკოსს. პირველი გრძნობა, რაც დამეუფლა, იყო გრძნობა ვალდებულებისა, რომ ეს ცოდნა მთელი ქვეყნისათვის გამეზიარებინა, მიმეღწია ოლივერ უორდროპის ღვაწლის სათანადო აღიარებისათვის და ყველას ერთად გვეთქვა დაგვიანებული მადლობა მისი სიყვარულისა თუ განუული სამსახურისათვის.

2014 წლის 10 ოქტომბერს ოლივერ უორდროპის დაბადებიდან 150 წელი შესრულდა. აღნიშნული თარიღი კარგ შესაძლებლობას იძლეოდა ზემოხსენებულ ამოცანათა შესასრულებლად. მეგობრებისა და უორდროპების მემკვიდრეობის გულშემატკივართა დახმარებით არაერთი ღონისძიება განხორციელდა. მათ შორის, პარლამენტის უკან მდებარე სკვერს მიენიჭა ოლივერ უორდროპის სახელი, სადაც უკვე 2015 წელს და-ძმა უორდროპების ძეგლი აღიმართება; ეროვნულ ბიბლიოთეკაში, უცხოენოვან ნიგნთს სამკითხველო დარბაზს უორდროპების სახელი მიენიჭა; გაიმართა ღონისძიებები, გამოფენები; ჩატარდა კონფერენციები და ლექციები.

ეს ნიგნიც აღნიშნულ ღონისძიებათა ნაწილად, ოლივერ უორდროპის შესახებ ცოდნის ამალგებაში გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

საერთო საქმეში შეტანილი წვლილისა და დახმარებისათვის მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონებს: პარლამენტის წევრ ფრიდონ საყვარელიძეს, პროფესორ სტივენ ჯონსს, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილს, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის დირექტორ ანტონ ვაჭარაძეს, ხელოვნების სასახლის დირექტორ გიორგი კალანდიას, საქართველოს ელჩს გაერთიანებულ სამეფოში რევაზ გაჩეჩილაძეს; ასევე ქალბატონებს, ოლივერ უორდროპის შთამომავლებს: ჰილარი გრანდისა და ლუსი ჩოის; არისკის კოორდინატორ

დიანა ლეჟავას; განათლებისა და ტრენინგის საერთაშორისო ჯგუფის ხელმძღვანელ პამელა ქიმსლის; ორგანიზაციებს: საქართველოს პარლამენტს, თბილისის მერიას, გაერთიანებული სამეფოს საელჩოს საქართველოში, ღვინის კომპანია „პეტრიაშვილის მარანს“. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო მარჯორი უორდროპის ქართველოლოგიური ფონდის თავმჯდომარეს, პროფესორ დონალდ რაიფილდს, რომელმაც ბოდლეინის ბიბლიოთეკის უორდროპების კოლექციით სარგებლობისა და მასალების გამოქვეყნების საავტორო უფლება მომანიჭა.

უშუალოდ აღნიშნული გამოცემის მატერიალური და მარკეტინგული მხარდაჭერა უზრუნველყვეს, მკითხველის განსაკუთრებული მადლიერება დაიმსახურეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და საქართველოს ეროვნულმა არქივმა.

ტექსტის ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნისათვის მადლობას ვუხდით ქალბატონ სალომე ბენიძეს.

**ბექა კობახიძე**  
**თბილისი 23.06.2015**

ოლივერ უორდროპის 150 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებათა ფარგლებში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა სიამონებით წარმოგიდგენთ წიგნს “სერ ოლივერ უორდროპი 150”. ავტორის მიერ მასში გამოყენებული მასალის ნაწილი ჩვენი ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში ინახება.

ნოე რამიშვილის ვაჟის, აკაკი რამიშვილის არქივი ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად 2001 წელს გადაეცა. იგი მოიცავს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო და პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტების კორესპონდენციის, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის, 1919 წლიდან ამიერკავკასიაში ბრიტანეთის მთავარი რწმუნებულის, სერ ოლივერ უორდროპის წერილებისა და მოხსენებების ასლებს. ისინი ნათელს ჰფენენ დიპლომატიის საქმიანობასა და დამოუკიდებელი საქართველოს აღიარებისთვის მის მიერ გაწეულ ღვაწლს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მოხარულია წვლილი შეიტანოს სერ ოლივერ უორდროპის საქართველოში მოღვაწეობის უცნობი ფაქტების გამომზეურებასა და ქართული საზოგადოებისთვის მისი პიროვნების ახალი კუთხით წარდგენაში.

**მირიან ხოსიტაშვილი**  
**ეროვნული ბიბლიოთეკის**  
**გენერალური დირექტორის მოადგილე**

საქართველოს ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი საზოგადო მოღვაწის და დიპლომატის, სერ ოლივერ უორდროპის მიმონერა მეუღლის, მარგარეტ კოლეტისადმი პირველად ქვეყნდება. წერილები ასახავს 1919-1920 წლების პერიოდს, როდესაც უორდროპი ტფილისში ცხოვრობდა და დიდი ბრიტანეთისთვის დიპლომატიურ სამსახურის გარდა, მხარში ედგა ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებით აღსავსე, რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში მყოფ და დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების დახმარების იმედად დარჩენილ ახლადშექმნილ საქართველოს რესპუბლიკას.

აღნიშნული წერილები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შესწავლისთვის. ვინაიდან ამ მიმართულებით ძირითადი საარქივო მასალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში ინახება, გადავწყვიტეთ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა წერილების გამოცემის საქმეში და ჩავერთეთ ისტორიკოს ბექა კობახიძის პროექტში, რომელმაც მასალის ასლები ბრიტანული არქივებიდან ჩამოიტანა.

დიდ მადლობას ვუხდით პროექტში ჩართულ ეროვნული არქივის თანამშრომლებს: საისტორიო ცენტრალური არქივის დირექტორს, ანტონ ვაჭარაძეს და ამავე არქივის სპეციალისტს, სოფიკო გუგოშვილს. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას და განსაკუთრებით ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილეს, ბატონ მირიან ხოსიტაშვილს რომელმაც აღნიშნული საქმე ითავა და ბოლომდე მიიყვანა. ოლივერ უორდროპის წერილების ინგლისურიდან ქართულად მთარგმნელს, სალომე ბენიძეს.

**ანტონ ვაჭარაძე**  
**საქართველოს ეროვნული არქივის**  
**საისტორიო არქივის დირექტორი**



## სერ ოლივერ უორდროვი: სამხრეთ კავკასიაში მისი უდიდებულესობის უმაღლესი კომისარი

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის იმპერიის დამარცხებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო მისი ახალწარმოქმნილი მოკავშირე - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საფრანგეთ-ბრიტანეთის 1917 წლის 23 დეკემბრის ხელშეკრულების თანახმად, 1918 წლის დეკემბრიდან სამხრეთ კავკასია ბრიტანულმა ჯარებმა დაიკავეს. ანტანტის სამხედრო წარმომადგენლები ქართველებს უყურებდნენ, როგორც მტრის მოკავშირეებს. ისინი ასევე ძნელად ანსხვავებდნენ ერთმანეთისგან ბოლშევიკურ და მენშევიკურ სოციალიზმს. ასე მაგალითად, ბრიტანეთის შავი ზღვის ჯარების სარდალი და 1926 წლიდან საიმპერიო ძალების გენერალური შტაბის უფროსი - გენერალი ჯორჯ მილნი გენერალური შტაბის იმჟამინდელ უფროსს - სერ ჰენრი უილსონს კავკასიის ხალხთა შესახებ სწერდა: „...არ ვფიქრობ, რომ მსოფლიო რამეს დაკარგავს იმით, თუ ამ რეგიონში მცხოვრები ხალხი ერთმანეთს ყელებს დაჭრიან. ისინი ერთი ბრიტანელი ჯარისკაცის სიცოცხლედაც კი არ ღირან... ვფიქრობ, სახლში (იგულისხმება ბრიტანეთში - ბ.კ.) კარგად უნდა ესმოდეთ, რომ თუ ჩვენ პასუხისმგებლობას ავიღებთ ამ ქვეყნების დახმარებაზე, ჯარების დატოვება მოგვიწევს არა 1-2, არამედ 10 წლით მაინც. ამ ხალხისათვის სათანადო განათლების მიცემას, რათა მათ თავიანთ თავს თვითონვე მოუარონ, რამდენიმე თაობა დასჭირდება.“<sup>1</sup>

უფრო მეტიც, მილნმა, როგორც კავკასიაზე პასუხისმგებელმა უმაღლესმა პირმა, 1919 წლის 6 თებერვალს პირველი ვრცელი რეპორტი გააგზავნა ლონდონში, რომელშიც საქართველოს მთავრობას ბოლშევიკებზე უფრო რადიკალ სოციალისტებად, შოვინისტებად და კორუმპირებულებად მოიხსენიებდა. ის ასევე ხაზს უსვამდა მტრობას ქართველებსა და აჭარლებს შორის; რომ ამ უკანასკნელთ არანაირი სურვილი არ აქვთ ქართველებთან თანაცხოვრებისა. 1919 წლის აპრილის ბოლოს თბილისში ჩამოსულმა გენერალმა უარი განაცხადა საპატიო ყარაულით დახვედრაზე და ისე დატოვა საქართველოს დედაქალაქი, რომ მთავრობის არც ერთი წევრი არ მიიღო აუდიენციაზე.<sup>2</sup>

საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაური, პოლკოვნიკი შარდინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა კავკასიურ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას. უფრო მეტიც, მისსავე ქვემდებარემ - ლეიტენანტმა ბროსარ დ'უამპუიმ 1919 წლის 20 ნოემბერს წერილი მისწერა საფრანგეთის პრემიერსა და თავდაცვის მინისტრს, რომელშიც შარდინის საფრანგეთისათვის რეპუტაციის შელახვაში, ქართველებისადმი არასათანადო მოპყრობასა და ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ სამოქმედოდ სომხებისგან ქრთამის აღებაში ადანაშაულებდა. შარდინი საქართველოდან გაიწვიეს.<sup>3</sup>

<sup>1</sup>J. Fisher – “On The Glacis of India”: Lord Curzon and British Policy in The Caucasus, 1919, pg. 54, Diplomacy and Statecraft, 1997, 8:2

<sup>2</sup>WO 106/1396 Gen. Milne to the Chief of The Imperial General Staff, 6 February 1919; სცსა ფ. 1864, აღნ. 2, საქმე 82, ფურც. 23-24

<sup>3</sup>FO 371/6269/4378/8378/58 “Outline of Events in Transcaucasia from the Beginning of the Russian Revolution in the Summer of 1917 to April 1921” by W. J. Childs and A. E. R. McDonnell; Ministère des Affaires Etrangères de la France. Paris. Europe 1918-1929. Archives Diplomatique; Russie; Cotes Z 653, Vol. 645, ff. 13-15; Archives de Ministère des Affaires Etrangères de la France (AMAE). Paris. Europe 1918-1929. Russie; Cotes Z 653, Vol. 645, Dossier 10 f. 18

ამას ემატებოდა გენერალ დენიკინის გაუგონარი ბრალდებები საქართველოს მიმართ, რომელსაც ყველანაირად ადასტურებდა დენიკინის შტაბში მოქმედი ბრიტანული მისია. მისმა ხელმძღვანელმა, გენერალმა ბრიგსმა ისიც კი განუცხადა ნოე ჟორდანიას, რომ ის არა ბრიტანეთის, არამედ დენიკინის სახელით საუბრობდა.<sup>4</sup>

ბუნებრივია, ამ ფონზე ძალიან გამწვავდა ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლებასა და ბრიტანელ სამხედროებს შორის. სწორედ ეს უკანასკნელნი იყვნენ დასავლეთში საქართველოს შესახებ ინფორმაციის გამტანნი, რომლებიც ძირს უთხრიდნენ ქვეყნის რეპუტაციას, მის სწრაფვას დამოუკიდებელი არსებობისაკენ. დასავლეთში საქართველოს ყველაზე მხურვალე მხარდამჭერის, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, ხოლო 1919 წლის ოქტომბრიდან საგარეო მინისტრის - ლორდ კერზონის მოთხოვნით 1918 წლის 30 დეკემბერს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლებს გაეგზავნათ ნოტა, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთი მიესალმებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ჰპირდებოდა მის დაცვას პარიზის საზავო კონფერენციაზე.<sup>5</sup> ჯორჯ მილნი არაერთგზის სთხოვდა მთავრობას გამოხატული სიმპატიის გამოწვევას, რათა ბოლომდე გახსნოდა ხელ-ფეხი საქართველოს წინააღმდეგ სამოქმედოდ, რაც, ფაქტობრივად, გამოიწვევდა კავკასიაში დენიკინის შემოჭრის სანქცირებას.<sup>6</sup>

ამ გამოუვალ ვითარებაში 1919 წლის მაისის ბოლოს ქართველმა პატრიოტმა და ცნობილმა ანარქისტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა წერილი მისწერა მის ძველ მეგობარს ოლივერ უორდროპს, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ბრიტანელი სამხედროები ვერ გაერკვნენ არსებულ ვითარებაში და საჭირო იყო პოლიტიკური ვითარების სამართავად რეგიონში ისეთი გათვიცნობიერებული სამოქალაქო პირის მონვევა, როგორც თავად ოლივერ უორდროპი გახლდათ: "...თუ ინგლისი წარმომადგენლად გამოგზავნის თქვენნაირ კაცს, რომელიც იცნობს საქართველოს, მის კარგ და ცუდ მხარეებს, ყველა გაუგებრობა გაქრება და ჩვენი გულკეთილი, მაგრამ ფიცხი ხალხი საკუთარ თავს მიუძღვნის ინგლისს ან შეერთებულ შტატებს", დასძენდა ჩერქეზიშვილი.<sup>7</sup>

უორდროპმა, როგორც პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელმა, საჩივარნარევი წერილი როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტს გადაუგზავნა. ლორდ კერზონისთვის შესანიშნავი შესაძლებლობა იყო მისი თანამოაზრე, რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ძლიერი მხარდამჭერი გაეგზავნა სამხრეთ კავკასიაში, რომელიც მილნისა თუ სხვა გენერლების რეპორტების ტონს შეცვლიდა და მას ლონდონში ბევრად გაუადვილებდა თავისი პოზიციების დაცვას. კერზონმა 20 ივნისს შეს-

<sup>4</sup>სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 82, ფურც. 1-10

<sup>5</sup>FO 608/88 no. 12272; სცსა ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 46, ფურც. 25; ზ. ავალიშვილი – საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, გვ. 195, თბილისი 2011

<sup>6</sup>FO 608/88 no. 11390 Situation in Georgia

<sup>7</sup>FO 371/3662/1015/81465/58; FO 608/88 no. 12302

თავაზა ბრიტანეთის სამხედრო საბჭოს უორდროპის დანიშვნა. “ბატონ უორდროპს აქვს საქართველოსა და ქართველების საკითხში პირადი დიდი გამოცდილება; ამასთანავე, რუსეთში მისი ხანგრძლივი საკონსულო ნამსახურეობა ამ მისიის განსახორციელებლად საჭირო განსაკუთრებულ უნარზე მეტყველებს”, ასკვნიდა კერზონი.<sup>8</sup> ლორდი კერზონი 1918 წლიდან ლობიერებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ის სამჯერ იყო ნამყოფი თბილისში და ჯერ კიდევ 1889 წელს წერდა კავკასიის, როგორც ახლო აღმოსავლეთში რუსეთის გასასვლელის მნიშვნელობაზე. მას მიზნად ჰქონდა სპარსეთთან პროტექტორატის ხელშეკრულების დადება და კავკასიას განიხილავდა რუსეთისგან დამცავ ზღუდედ.<sup>9</sup> რეგიონში მყოფი ბრიტანელი სამხედროებისგან წამოსული უარყოფითი რეპორტები მას ხელ-ფეხს უკრავდა. სწორედ ამიტომ კერზონმა აიტაცა ჩერქეზიშვილის იდეა, იცოდა რა უორდროპის 25 წლიანი კარიერის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროში და მისი დამოკიდებულება კავკასიისადმი. ამიტომ მან მყისვე მიიღო სამხრეთ კავკასიაში უორდროპის უმაღლეს პოლიტიკურ კომისრად დანიშვნის გადაწყვეტილება. ამ მოქმედებით კერზონმა სამხედროები პოლიტიკას ჩამოაშორა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უორდროპმა ქართველ დიპლომატთა დახმარება ჯერ კიდევ 1918 წლიდან დაიწყო, როდესაც ზურაბ ავალიშვილს დიდ ბრიტანეთში შესასვლელად და საგარეო სამინისტროში კონტაქტების დასახმარებლად ხელი შეუწყო;<sup>10</sup> თუმცა ახლა უკვე ოფიციალურ რანგში მიეცა მას თავისი მეორე სამშობლოსათვის სამსახურის განევის შესაძლებლობა.

ჯონ ოლივერ უორდროპი დაიბადა 1864 წლის 10 ოქტომბერს აღმოსავლეთ ლონდონში, წარმოშობით შოტლანდიელი თომას უორდროპისა და მარჯორი სკოტის ოჯახში. ხუთი წლიდან ცხრა წლამდე ის ოთხი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და სწავლობდა ბებია-ბაბუასთან მიდლოთიანსში (Midlothians, სამხრეთ შოტლანდია). 1880-1881 წლებში ჯერ პარიზში, შემდეგ დისენში (გერმანია) დადიოდა სკოლაში. შემდეგ ის ბალიოლის კოლეჯში (ოქსფორდი) სწავლობდა, სადაც ცნობილმა დიპლომატმა და ისტორიკოსმა, ლორდმა ბრაისმა გაუჩინა კავკასიისადმი ინტერესი. 1885-1886 წლებში ოლივერი სორბონაში იღებდა განათლებას. 1887 წლიდან დაიწყო მოგზაურობა. ჯერ რომში ჩავიდა და სამი თვის განმავლობა-

---

<sup>8</sup>ibid; ibid, no. 13302

<sup>9</sup>G. N. Curzon – Russia in Central Asia, pg. 28-29, Oxford 1889; G. N. Curzon – Persia and The Persian Question, Vol. 1, pp. 61-69; London 1966;

უფრო დანვრილებით იხილეთ: J. D. Rose – Batum as Domino, 1919-1920: The Defence of India in Transcaucasia. The International History Review, vol. 2, No. 2 (Apr. 1980) pg. 266-287; D. Ewalt – The Fight for Oil: Britain in Persia, 1919. History Today, vol. 31, issue 9, 1981; J. Fisher – “On The Glacis of India”: Lord Curzon and British Policy in The Caucasus, 1919. Diplomacy and Statecraft, 1997, 8:2, 50-82; J. Fisher – Curzon and British Imperialism in the Middle East, 1916-1919, London 1999; H. Sabahi – British Policy in Persia 1918-1925. London 1990

<sup>10</sup>ზ. ავალიშვილი – საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, გვ. 189-191, თბილისი 2011; ავალიშვილისადმი დახმარების თხოვნით, ბერლინიდან ბერგენში 18 ნოემბერს მიმართა ოლივერ უორდროპს აკაკი ჩხენკელმა იხ. სცსა ფ. 1831, აღწ. 2, საქმე 84, ფურც. 3; ასევე Oxford, Bodleian Library, Special Collections' Room, Ms. Ward. C. 30.

ში უნივერსიტეტში ესწრებოდა ლექციებს, ხოლო შემდეგ პალესტინა, ეგვიპტე, სირია და თურქეთი მოიარა. იმავე წლის აპრილში ის პირველად ესტუმრა საქართველოს. 1888 წელს მან ბრიტანეთში გამოაქვეყნა წიგნი “საქართველოს სამეფო”; ისწავლა ქართული ენა და მის დასთან, მარჯორისთან ერთად თარგმნიდა ქართული პოეზიის, პროზის, შუა საუკუნეების საკანონმდებლო აქტების კრებულებს; ის ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ ელიტასთან, მათ შორის პირადად, XIX-XX საუკუნეების ქართული ეროვნული იდეოლოგიის ჩამოსაყალიბებელ, ილია ჭავჭავაძესთან. 1892 წელს ის გახდა რუსეთში მისი უდიდებულესობის ელჩის პირადი მდივანი; იმისათვის, რომ საქართველოსთან ტერიტორიულად ახლოს ყოფილიყო და მოგზაურობის საშუალება ხშირად ჰქონოდა, ის მუშაობდა ვიცე-კონსულად ჯერ ქერჩში, შემდეგ სევასტოპოლში; ჰაიტიზე, რუმინეთში, ნორვეგიასა და მსოფლიოს სხვა ადგილებში მსახურების შემდეგ, 1918 წელს მისი უდიდებულესობის გენერალური კონსულის სახიფათო პოზიცია ეკავა ბოლშევიკურ მოსკოვში. 1919 წლის დასაწყისიდან მცირე ხნით მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტში. მან ჯერ კიდევ 1907 წელს გამოიყენა საგარეო საქმეთა სამინისტროში თავისი პოზიცია, როდესაც ვარლამ ჩერქეზიშვილს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციისათვის „ქართველი ხალხის პეტიციის“ შედგენასა და წარდგენაში დაეხმარა. ის ახალგაზრდული ასაკიდან ოცნებობდა საქართველოში დიპლომატიური სამსახურის შოვნასა და ცხოვრებაზე. ცარისტული რუსეთის დროს ბრიტანეთს, საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ბათუმში ჰქონდა საკონსულო, სადაც ჯერ კიდევ 1890-იანი წლებიდან მუშაობდა პატრიკ სტივენსი. 1894 წელს უორდროპი კონსტანტინეპოლში ჩავიდა ბრიტანეთის ელჩთან გასასაუბრებლად, რათა ამ უკანასკნელს ის საქართველოში გაემწესებინა. გასაუბრების შესახებ ოლივერი თავის დას წერდა: “მთელი ჩემი იმედები კვირა საღამოზეა დამყარებული. რაიმე [საკონსულო] პოზიციას რომ მივიღებდე, თუნდაც ყველაზე დაბალს, უსაზღვროდ გახარებული ვიქნები, მაგრამ წინ სირთულეებს ვხედავ.” გასაუბრებამ უშედეგოდ ჩაიარა, მაგრამ ოლივერი კვლავინდებურად სურვილით იყო აღსავსე: “იმედის დაკარგვას არ ვაპირებ, რომ ერთ დღეს მივიღებ ბათუმში თანამდებობას”. დამწუხრებული მარჯორი ძმას პასუხობდა: “გულწრფელად იმედი მაქვს, რომ ბატონ სტივენსს (ვფიქრობ, ეს არის ბათუმში კონსულის სახელი) დაანინაურებენ, ეჭვი არაა, იმსახურებს და ვაკანტურად დატოვებს იმ პოსტს, რომელიც ჩვენ გვინდა.”<sup>11</sup>

25 წლის შემდეგ, 1919 წელს სტივენსი კვლავინდებურად ბათუმში კონსულის პოზიციას იკავებდა. 22 ივლისს კერზონმა მას აცნობა, რომ ის უორდროპის დაქვემდებარებაში გადადიოდა.<sup>12</sup> მიღწეული შედეგით ყველაზე ბედნიერი ალბათ ოლივერ უორდროპი იყო. მან არათუ მისთვის საოცნებო კონსულის, არამედ დამოუკიდებელ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში

<sup>11</sup> Oxford Bodleian Library, Special Collections' Room, Ms. Ward. C. 31, ff. 1-25, Marjory and Oliver; The Times, Obituary, Sir Oliver Wardrop, October 21, 1948; გ. შარაძე – საქართველოს მზე და გული ალბიონის კუნძულებზე: უორდროპები და საქართველო, თბილისი 1984

<sup>12</sup>FO 371/3662 File 1015, no. 102622

მისი უდიდებულესობის უმაღლესი კომისრის თანამდებობა მოიპოვა. 1919 წლის ბოლოს ის მეუღლეს წერდა, რომ მას ცხოვრებაში მოსავლის აღების დრო დაუდგა და მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა.<sup>13</sup>

27 ივნისს პარიზში ბრიტანეთის სამშვიდობო დელეგაციამ კერზონს გაუგზავნა პროფესორ სიმპსონის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მისია არ უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ საქართველოთი და უმაღლეს კომისარს თავისი უფლებამოსილება უნდა გაეფართოებინა აზერბაიჯანზე, სომხეთზე, დაღესტანზე. 9 ივლისის საპასუხო წერილში სამინისტრომ სრული თანხმობა განაცხადა.<sup>14</sup> მოგვიანებით იმის გამო, რომ გენერალმა დენიკინმა ივნისის დასაწყისში დაღესტნის ოკუპაცია მოახდინა, ჩრდილო კავკასია ამოღებულ იქნა უორდროპის საპასუხისმგებლო არეალიდან.

საქართველოში გამგზავრებამდე, 1919 წლის 5 აგვისტოს, მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის დავალებით უორდროპმა სამინისტროს წარუდგინა მოქმედების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს: 1) კავკასიაში ბრიტანული ჯარების დატოვება; 2) დენიკინთან პოლიტიკური მისიის მიმაგრება, რომელიც სამხედროებს პოლიტიკურ საკითხებს ჩამოაშორებდა და რუსი გენერლისათვის დახმარების პირობად კავკასიის რესპუბლიკების შიდა საქმეებში ჩაურევლობის დადება; 3) კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის აღიარება; 4) ბათუმის იმ რესპუბლიკისათვის გადაცემა, რომლის მოსახლეობაც უმრავლესობას წარმოადგენდა ბათუმის ოლქში; 5) მისი უდიდებულესობის მთავრობის გავლენის გამოყენება, რათა სხვა დიდ სახელმწიფოებსაც ელიარებინათ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა და მიეღოთ ისინი ერთა ლიგაში; 6) სავაჭრო ურთიერთობების დამყარება; 7) აღნიშნულ რესპუბლიკათა ეკონომიკური, ტექნოლოგიური ექსპერტებით მომარაგება, რათა დახმარებოდნენ მათ ეკონომიკის განვითარებაში; 8) ჰუმანიტარული დახმარება; 9) ბრიტანული სკოლის გახსნა, საუკეთესო მოსწავლეთა ბრიტანეთში სასწავლებლად გაგზავნა; 10) ბრიტანული პრესის გავრცელება, რათა ადგილობრივებს გაეგოთ, თუ როგორ ხდებოდა ბრიტანეთში ამა თუ იმ პრობლემის განხილვა და გადაჭრა.<sup>15</sup>

საქართველოში ჩამოსულ უორდროპს 1919 წლის 30 აგვისტოს, ქართველი ხალხი შეხვდა, როგორც მხსნელს. აი რას წერს ამის თაობაზე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავად ოლივერ უორდროპი: „... ყველა ჩემი მოძრაობა გადაღებულ იქნა კინემატოგრაფთა მიერ. მე ვიყავი ფოტოგრაფთა სამიზნე. რკინიგზის სადგურში ორკესტრმა დაუკრა ბრიტანეთის და საქართველოს ეროვნული ჰიმნები. ჩემს გზაზე, დაახლოებით 2 მილის მანძილზე დაკიდებული იყო დროშები, მოფენილი იყო აღმოსავლური ხალიჩები, გარშემო ჩამწკრივებული იყო ხალხი.

შენობები ღამით გაანათეს. დღემ ჩაიარა, როგორც სახალხო დღესასწაულმა.

ეს არაჩვეულებრივი დახვედრა ქართველებმა მომინყვეს იმის გამო, რომ იციან, თუ რას ვგრძნობ მათ მიმართ უკვე ბოლო 32 წელიწადია. ჩემი დანიშვნა მათ მიიღეს ნიშნად იმისა, რომ მისი უდიდებულესობის მთავ-

<sup>13</sup> Oxford Bodleian Library, Special Collections' Room, Ms.Eng.C 6824, f. 79

<sup>14</sup> FO 608/88 no. 13302; FO 371/3662/1015/95097/58

<sup>15</sup> FO 608/88 no. 18006

რობა ყველაზე უფრო მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული მათი ქვეყნის მიმართ და რომ საქართველოსათვის დაინყო ახალი ერა.“

ამ შეტყობინებას ლორდმა კერზონმა წააწერა: “ძალიან კარგი დასაწყისია”.<sup>16</sup>

უორდროპი საქართველოდან კვირაში 2-3 რეპორტს აგზავნიდა, რომელშიც დაჟინებით ითხოვდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებას, მისთვის ეკონომიკური დახმარების განწევას.

მან ჩამოსვლისთანავე შეუტია ბრიტანელ სამხედროებს, მოითხოვდა ბათუმის ოლქში მათი მოქმედების შესასწავლად ინსპექციის ჩატარებას, რადგან ადგილზე სუფევდა უნესრიგობა, სამხედრო მმართველობა კი იგნორირებას უკეთებდა მოსახლეობის უმრავლესობის ნებას და სამოქალაქო მმართველობა ფაქტობრივად რუს ჩინოვნიკებს ჩააბარა. ის ასევე მკვეთრად პასუხობდა დენიკინის შტაბთან არსებული ბრიტანული მისიის ბრალდებებს საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებებისადმი. სწორედ ამ დროიდან დენიკინის საქართველოზე თავდასხმის სერიოზულმა საფრთხემ გადაიარა, რადგან ბრიტანეთის ხელისუფლებამ მას დახმარების პირობად კავკასიაზე თავდაუსხმელობა დაუწესა.

ის ფაქტობრივად იქცა გამტარ მავთულად საქართველოსა და ბრიტანეთის ხელისუფლებებს შორის. ქართული მხარის ნებისმიერ წუხილს, თხოვნასა თუ საჩივარს მაშინვე უგზავნიდა საკუთარ მთავრობას სტატუსით „სასწრაფო“ ან „ძალიან სასწრაფო“. მისი წყალობით პირველად გაიგო ბრიტანეთის მთავრობამ საქართველოს ხელისუფლებისა და ხალხის ხმა.

უორდროპი ზრუნავდა საქართველოს ხელისუფლებისათვის ექსტრემისტ-სოციალისტთა იარლიყის მოშორებაზე, რაც ესოდენ საზიანოდ მოქმედებდა ქვეყნისათვის. მან პოლიტიკურ ლიდერთა პორტრეტები დაუხატა სამინისტროს. მან ლონდონში გადააგზავნა აგრარული რეფორმის თაობაზე ნოე ჟორდანიას გამოსვლის თარგმანი, კომენტარში კი ახსნა საქართველოს სოციალისტური მთავრობის განონასწორებულობა და ზომიერება. ასევე ვრცელი მოხსენება გააგზავნა აკაკი ჩხენკელის თაობაზე, რომელსაც პრო-გერმანულობის იარლიყი მოაშორა და გერმანელებთან მისი თანამშრომლობა მხოლოდ გამოუვალი პატრიოტული მოტივებით ახსნა.<sup>17</sup> სინამდვილეში კი უორდროპს, რომელიც თავისი რწმენით კონსერვატორი იყო, სულაც არ მოსწონდა მაშინდელი მსოფლიოსათვის ახალი, საქართველოს მთავრობის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია. მთავრობის დაცვით უმაღლესი კომისარი მთელ ქვეყანას იცავდა, ხოლო ცოლისათვის მიწერილ პირად წერილში გულახდილად წერდა: “...ისინი ანცი ბავშვებივით იქცევიან, მაგრამ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ისინი ჯერ კიდევ ბავშვები არიან და რადგან მე ნათლიმამას მეძახიან, ვფიქრობ, მათდამი თუ რელიგიური არა, გარკვეული მორალური ვალდებულებები გამაჩნია. უნდა ვთქვა,

<sup>16</sup> FO 371/3663 File 1015 no. 125051; Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. III, pp. 535-536, London 1949

<sup>17</sup> FO 371/3660 no. 159646; FO 371/3664 File 1015 no. 144756; FO 371/4931 no. E410; FO 371/3663 File 1015 no. 126879; ibid no. no. 133615; ibid no. 127479; ibid no. 137986; ibid no. 144581; Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. III, pp. 537-538, 575-576, 625-626, 661-663 London 1949

რომ არ მიყვარს სოციალ-დემოკრატები, რადგან სოციალ-დემოკრატიული თეორია ამ ხალხს უფრო ნაკლებად “ჯენტლმენურს” ხდის, ვიდრე ისინი სხვა შემთხვევაში იქნებოდნენ. თუმცა, მთლიანობაში ხალხი, განსაკუთრებით გაჭირვებული ხალხი, არ არიან სოციალ-დემოკრატები და ვფიქრობ, ისინი ჩემზე შეყვარებულნი არიან, ყოველ შემთხვევაში, ყველა ასე მეუბნება და სანამ არ მეცოდინება, რომ ისინი უსაფრთხოდ არიან, მინდა მათთან დავრჩე და საკუთარ თავზე ავიღო რისკები...”<sup>18</sup>

უორდროპი შეებრძოლა გენერალ მილნისა და ბათუმში ბრიტანეთის კონსულის პატრიკ სტივენსის იმ მოსაზრებას, რომ აჭარლები ქართველთა წინააღმდეგ არიან განწყობილნი და არ უნდათ მათთან ერთად ცხოვრება. მემედ ბეგ აბაშიძის მეთაურობით შექმნილმა ბათუმის პროვინციის მეჯლისმა, რომელსაც სხვადასხვა დროს პატრიკ სტივენსი, გენერალი მილნი, პოლკოვნიკი შარდინი და რუსთა ეროვნული საბჭო თურქების აგენტობას ან მოსახლეობაზე გავლენის არქონას მიაწერდნენ, 31 აგვისტოს მიიღო მუსლიმ ქართველების პეტიცია და სამშობლოსთან შეერთება მოითხოვა. მათი დელეგაცია სექტემბერში იმყოფებოდა თბილისში და ინახულა ოლივერ უორდროპი. უმაღლესმა კომისარმა 12 სექტემბერს კერზონს გადაუგზავნა მეჯლისის მიერ მიღებული დოკუმენტი. თვითონ კი აღნიშნავდა, რომ დელეგაცია წარმოადგენდა ბათუმის ოლქის მოსახლეობის უმრავლესობის აზრს; ბრიტანელი დიპლომატი და ქართველოლოგი იქვე აკეთებდა ლირიკულ გადახვევას, რომ რუსთაველმა, საქართველოს დიდმა ეროვნულმა პოეტმა, რომელიც თანაბრად უყვარდათ ორივე რელიგიის მიმდევარ ქართველებს, ქრისტიანებისა და მუსლიმებისთვის ძმური ცხოვრების იდეალები დანერგა. ის დარწმუნებული იყო, რომ ბათუმის საქართველოსთან გაერთიანების შემდეგ ხალხის ერთობა ეჭვქვეშ არ დადგებოდა. მეორე მხრივ, ის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობებდა მუსლიმ ქართველთა მეჯლისის პოზიციას, რომ ბათუმის ადმინისტრაცია მთლიანად დენიკინის მხარდამჭერთა ხელში იყო, ხოლო ეს უკანასკნელნი ადგილობრივი მოსახლეობის სანინააღმდეგო პოლიტიკას ატარებდნენ.<sup>19</sup>

უორდროპი ამის შემდეგაც განაგრძობდა “გამტარი მავთულის” როლის თამაშს და ბათუმის საკითხზე ქართველთა პოზიციებს აცნობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს. მუსლიმი ქართველები აპროტესტებდნენ საქალაქო საბჭოს დენიკინელთა ხელში ყოფნას და ძალაუფლების გადაცემას ქართული მეჯლისისათვის მოითხოვდნენ. იმავე საკითხზე უმაღლესი კომისარი კერზონს უგზავნიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტას და ასკვნიდა, რომ საჭირო იყო ბათუმისა და ლაზისტანის ეტაპობრივად ქართველთა ხელში გადასვლა. უორდროპის ქართველოფილური აქტივობა მილნთან დაპირისპირების გარეშე ვერ ჩაივლიდა – 1920 წლის 22 იანვარს, საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის მიწერილ წერილში მან ეჭვქვეშ დააყენა ბათუმში ბრიტანული სარდლობის ეფექტურობა; ხაზი გაუსვა ადგილობრივ ადმინისტრაციაზე თურქეთის, ბოლშევიკთა და დენიკინის აგენტთა არაკეთილსამყოფელ გავლენას. უმაღლესი კომისარი სამხედრო სამინისტროსგან ითხოვდა, რომ უწყების ადგილობრივ წარმომადგენლებს

<sup>18</sup> Oxford Bodleian Library, Special Collections' Room, Ms.Eng.C 6824, ff. 148

<sup>19</sup> FO 371/3663 File 1015 nos. 139963 and 129488

აღნიშნულ საკითხებზე ყურადღება გაემახვილებინათ და გამოეძიებინათ ისინი. თავის მხრივ მიღწემა უორდროპი ქართული პროპაგანდის გავლენის ქვეშ მოქცეულად შერაცხა. მან უკმაყოფილება გამოთქვა, რომ ბრიტანელი დიპლომატი, გამოძიებისა და ინფორმაციის დაზუსტების გარეშე სერიოზულ ბრალდებას უყენებდა ბათუმის სამხედრო ადმინისტრაციას.<sup>20</sup>

მას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დიპლომატიური ბრძოლა მხოლოდ ბათუმის ოლქის მიმართულებით არ უწარმოებია. ეკატერინოდარში (დღევანდელი კრასნოდარი) დენიკინის შტაბში მუშაობდა წარმოშობით აფხაზი კაპიტანი ხასაია, რომელიც „აფხაზი ხალხის სახელით“ მემორანდუმებს უგზავნიდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციას და აფხაზთა „საქართველოსგან გათავისუფლებას“ მოითხოვდა. ამ მოთხოვნას გარკვეულწილად ბათუმში ბრიტანეთის კონსული პატრიკ სტივენსიც უჭერდა მხარს. უორდროპმა ცალსახად დაუსაბუთა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ტერიტორია იყო, ხოლო აფხაზი ეთნოსი ქართველთა წიაღში ვითარდებოდა და მაღალ კულტურასაც მათგან ღებულობდა. ყველაფერი კარგად და მშვიდობიანად იქნებოდა, თუ დენიკინი თავს დაანებებდა საქართველოს – ასკვნიდა უმაღლესი კომისარი.<sup>21</sup>

ბრიტანელმა დიპლომატმა ენერგიული ზომები მიიღო კავკასიის ხალხთა შესარიგებლად, მათი საერთო მიზნებისაკენ დასარაზმად, რასაც ესოდენ ითხოვდა მათგან საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება. შედარებით დათბა ურთიერთობა საქართველოსა და სომხეთს შორის, აქტიური საომარი მოქმედებები აღარ დაწყებულა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. მისი შუამავლობით 1919 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა კავკასიის ქვეყნებს შორის საბაჟო, სატრანზიტო და სარკინიგზო ხელშეკრულებას, რამაც ტერიტორიული გარდა ყველა სხვა საკითხები მოხსნა ქვეყნებს შორის ურთიერთობაში.<sup>22</sup>

1919 წლის ოქტომბერში უორდროპმა პირადად მისწერა საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ კერზონს და სთხოვა ელიარებინა კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. კერზონმა ეს ნაბიჯი ნაჩქარევად ჩათვალა, რაც უკავშირდებოდა იმ მომენტისათვის რუსეთის მომავლის გადაუწყვეტელობას და აღიარების შემთხვევაში რესპუბლიკათა დაცვის აუცილებლობას, რასაც ბრიტანეთი მოკავშირეებთან შეუთანხმებლად ვერ გააკეთებდა.<sup>23</sup>

ქართველი ხალხის მეგობარი არც მინისტრის უარს შეუჩერებია და ამის შემდეგაც განაგრძობდა იმავე მიმართულებით მუშაობას, რამაც მის უშუალო ზემდგომს, საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის უფროსს - ჯორჯ კიდსტონს ათქმევინა შემდეგი: „უორდრო-

<sup>20</sup> FO 371/4931/E238/1/58; FO 371/3673/166767-177987/172978/58

<sup>21</sup> FO 608/84 (unnumbered) ff. 114-124; FO 608/88 no. 6915; FO 371/3663/1015/139965/58; FO 371/3662/1015/106853/58

<sup>22</sup> Oxford Bodleian Library, Special Collections' Room, Ms.Eng.C 6824, ff. 68-72

<sup>23</sup> Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. III, pp. 560-562, London 1949; FO 608/85 unnumbered, ff. 236-240; ibid, pp. 577-578; FO 371/3663 File 1015, no. 131980; FO 371/3663/1015/144528/58.



პი გვბომბავს თავისი გრძელი რეპორტებით კავკასიის რესპუბლიკათა აღიარების მოთხოვნის თაობაზე.“ 1919 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩამოსული ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ძალების სარდალი, ადმირალი დე რობეკი იხსენებდა, თუ რა სიამაყით უყვებოდა უორდროპი „მის ქართველებზე“, რამაც ადმირალს ამ ხალხზე კარგი შთაბეჭდილება შეუქმნა. იგივე ისტორია განმეორდა უორდროპისა და სამხრეთ რუსეთში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის - სერ ჰალფორდ მაკინდერის შეხვედრისას.<sup>24</sup>

მისმა დაულალავმა მუშაობამ თავისი შედეგი მაინც გამოიღო. 1919 წლის 24 დეკემბერს ლორდმა კერზონმა მემორანდუმი წარუდგინა მინისტრთა კაბინეტს სამხრეთ კავკასიის თაობაზე. ეს გახლდათ უმაღლესი კომისრის მოღვაწეობის ერთი უდიდესი გამარჯვებათაგანი. 13 გვერდიან მემორანდუმში, იმ ადგილებში, სადაც საქართველოზე საუბარი, დაკვირვებული მკითხველი უორდროპის რეპორტებიდან ამონარიდებს ამოიცნობს. ბათუმის ოლქზე ნათქვამია, რომ ის ისტორიული საქართველოს ნაწილი იყო ყოველთვის, თურქეთის მიერ მის დაპყრობამდე. საერთაშორისო დოკუმენტში პირველად გაჩნდა 1801 წელს რუსეთის მოქმედების ანექსიად შეფასების ფაქტი. აქვე აღინიშნა ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობა პრე-ქრისტიანული ხანიდან მოყოლებული, ქართველთა როლი ჯვაროსნულ მოძრაობაში. 1907 წელს ჰააგის კონფერენციისადმი ქართველთა პეტიციის წარდგენა (რომელშიც უორდროპმა ლომის წვლილი შეიტანა - ბ.კ.) და ა.შ. მიმდინარე ვითარებაზე საუბრისას კერზონი აღნიშნავს, რომ როგორც უკანასკნელმა რეპორტებმა აჩვენეს, საქართველოს ჰყავდა რეგიონში ყველაზე გამოცდილი მთავრობა. ისინი იყვნენ თავიანთ მეზობლებზე უფრო ცივილიზებულნი და ევროპული ფესვების მატარებელნი. მათ ჩააქრეს ბოლშევიკთა ყველანაირი აჯანყება და გაუმკლავდნენ ბათუმის ბრიტანული ადმინისტრაციის საფარქვეშ მოქმედ დენიკინელთა პროპაგანდას.<sup>25</sup>

როგორც ვხედავთ, უორდროპმა 4 თვიანი მუშაობის შედეგად ვითარება, საქართველოს იმიჯი კარდინალურად შეცვალა. 1919 წლის დეკემბრისათვის საქართველოს ხელისუფლება იწოდებოდა გამოცდილად, ბათუმი – საქართველოს ისტორიულ ნაწილად, ქართველი ხალხი – ცივილიზებულად. საგარეო საქმეთა მინისტრი თავად აღიარებდა, რომ ბრიტანელი სამხედროების საფარქვეშ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ დენიკინელები და ა.შ. თავად ბრიტანეთის ხელისუფლება ქართველ წარმომადგენლებთან შეხვედრისას თავს იწონებდა, რომ ოლივერ უორდროპის დანიშვნით მათ საქართველოსადმი არსებული სიმპატიის შესახებ ხმამაღლა განაცხადეს.

პროცესი აქ არ შეჩერებულა. დენიკინელთა უკანდახვევისა და ბოლშევიკთა მოახლოების გამო უორდროპმა ყოველდღიურად, ზოგჯერ დღეში ორჯერ, დაიწყო რეპორტების გაგზავნა ლონდონში - კავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღიარებისა და მათთვის იარაღით, სურსათით, კრედიტით დახმარების მოთხოვნით. შედეგმაც არ დააყოვნა. 1920 წლის 10

<sup>24</sup> FO 371/3664/1015/153849/58; Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. III, pp. 783; FO 418/54 File 1089 no. 176979

<sup>25</sup> CAB 24/95 CP 336

იანვარს ლორდმა კერზონმა პარიზში, ანტანტის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს სხდომაზე დააყენა და გაიტანა საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოთა დე ფაქტოდ აღიარების საკითხი.<sup>26</sup>

უორდროპი გამარჯვებას ზეიმობდა. სწორედ მან ახარა პირველმა საქართველოს მთავრობას აღიარების ამბავი. 13 იანვარს ის ლონდონს აცნობებდა: “აღიარებამ თბილისში დიდი პატრიოტული დემონსტრაციები გამოიწვია. ინფორმაციის გამოცხადებიდან ერთ საათში ქალაქი დროშებით იყო მოფენილი, მანქანების მოძრაობა შეჩერდა, მალაზიები და ქარხნები დაიხურა. მთელმა გარნიზონმა, კავალერიითა და არტილერიით, ჩემი სახლის წინ მოსასალმებლად ჩაიარა. შემდეგ მე და პრემიერ-მინისტრი მთავრობის სასახლესთან დავესწარით ალღუმს, რომელსაც ტრეიდ-უნიონები და ყველა წოდების ჩვეულებრივი მოქალაქეებიც შეურთდნენ. პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ხალხის უზარმაზარი რაოდენობის წინაშე წარმოსთქვეს ძლიერ პატრიოტული, ანტი-ბოლშევიკური და პრო-ბრიტანული სიტყვები. ხალხთა მასის მხრიდან მთელი დღის განმავლობაში ვიღებდი უსასრულო ემოციებს და მათ ჩემს მანქანამდე მხრებზე აყვანილებმა მიმიყვანეს. ქალაქი გაანათეს და ოპერაში გაიმართა დიდი პრო-ბრიტანული დემონსტრაცია, რომელსაც ლამის 11 საათიდან დილის 4 საათამდე ბანკეტი მოჰყვა, სადაც წარმოითქვა უამრავი პრო-ბრიტანული სიტყვა...”<sup>27</sup>

დამოუკიდებლობის აღიარების დღისადმი მონყობილი ზეიმის თვითმხილველმა – მარო მაყაშვილმა თავის პირად დღიურში ჩაიწერა, რომ ხალხის მასა უორდროპის სახლს მიადგა, ხოლო “ბ. ოლივერმა მიულოცა და უსურვა დღეგრძელობა, ქართულათ სთქვა: “გაუმარჯოს ტურფა საქართველოს!”<sup>28</sup>

15 იანვარს ბაქოდან მიწერილ პირად წერილში ბრიტანეთის კონსული და 1920 წლის სექტემბრიდან უმაღლესი კომისრის თანამდებობაზე უორდროპის შემცვლელი, პოლკოვნიკი სტოქსი მას ეუბნებოდა: “არა მგონია, შესაძლებელი იყოს წერილის დაწყება იმაზე უკეთ, ვიდრე მთელი გულით მოგილოცოთ საქართველოსადმი თქვენი იმედების ასრულება და თქვენი ყოფნა თბილისში იმ დროს, როდესაც ეს დიდებული ამბავი მოვიდა.”<sup>29</sup>

თავად უორდროპი ცოლს პირადი ემოციების შესახებ ატყობინებდა: “ეს არის ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უბედნიერესი დღე... რისი იმედიც 30 წლის მანძილზე მქონდა, ახდა...” და ამ ემოციებში საკუთარ წვლილსაც არ ივინყებდა – “ვერც კი ვაანალიზებ იმ გამარჯვებას, რომელიც მოვიპოვე. მე ამ საქმისათვის ყველაზე მეტი გავაკეთე და აქ ეს ყველამ იცის.” უორდროპი ქართველთა ხოტბის საგნად იქცა – “გაოცდებოდი, რომ გენახა, როგორ ინტერესთა ცენტრშია შენი პროზაული ქმარი”. სადღესასწაულო ბანკეტზე მან საპატიო ადგილი თბილისის მერის გვერდით დაიკავა და “ოთხი საათის განმავლობაში ჩემს შესახებ საქებარი საუბარი მიმდინარეობდა...”

<sup>26</sup> Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. III, pp. 741-742, 746-747 London 1949; FO 371/3666/1015/167947/58; FO 371/3666/1015/167875/58; FO 371/3666/1015/168506/58; FO 371/3666/1015/169174/58; FO 371.3666/1015/169118/58; Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. II, pp. 796-797, London 1948; FRUS PPC, Vol 9, pp. 958-959; CAB 29/41 C. M. 1

<sup>27</sup> FO 371/3666 File 1015 no. 172086

<sup>28</sup> მ. მაყაშვილი – დღიური, გვ. 140-141, თბილისი 2014

<sup>29</sup> Oxford, Bodleian Library, Special Collections' Room, Ms. Ward. D. 39.9, f. 13

ერთი შენი და ბავშვების სადღეგრძელო თქვეს. ყველაზე არაჩვეულებრივი დღე იყო, რომელიც ოდესმე გამიტარებია.” მომდევნო, მუნიციპალიტეტში გამართულ ბანკეტზე ის მთავრობის თავმჯდომარესა და პატრიარქს შორის დასვეს და უთხრეს, რომ ის ქართველი ერის განმათავისუფლებელი იყო, ხოლო დიპლომატიებისათვის გამართულ ვახშამზე, რომელსაც ხატისიანიც ესწრებოდა, საქართველოს და სომხეთის პრემიერ-მინისტრებს შორის იჯდა. ის ეიფორიაში იყო – “თუ რაიმე ძალიან გინდა, შეიძლება დიდი ხნით მოცდა დაგჭირდეს, მაგრამ შენ მას მაინც მიიღებ და მე არ ვნანობ, რომ გუშინდელ დღეს 33 წელი ვუცდიდი.” უორდროპმა როგორც მთავრობის, ისე ქალთა საზოგადოების ემოციებიც დაიმსახურა. ის მეუღლეს სწერდა: “არ იეჭვიანო, მაგრამ უნდა გითხრა – დღეს ქალბატონებმა გამიმხილეს, რომ მათ ყოველთვის მოვწონდი, თუმცა მას შემდეგ, რაც მე ამ კვირაში საქართველოსთვის გავაკეთე, ისინი მალმერთებენ... მინისტრებმა დამარწმუნეს, რომ საკმარისია მე მათ რაიმე ვთხოვო და ისინი აუცილებლად გააკეთებენ. ეს მისია წარმატებულად წარვმართე და ჩემს ცხოვრებაში ტრიუმფის დროა, რომელსაც ბოლომდე ვერანაირი სამომავლო წარუმატებლობა ვერ დაანგრევს.”<sup>30</sup>

მართლაც ფაქტი იყო, რომ მან ყველაზე მეტი გააკეთა მან მოიგო ეს ბრძოლა. ოჯახს მონყვეტილი მაინც საქართველოს მომავალზე ფიქრობდა. თუმცა ის ყველაფერს ქართველებისგან ფარულად აკეთებდა, არავინ იცოდა მისი ნოტების შინაარსი. ლონდონში გაგზავნილი ემოციური შეტყობინებების ფონზე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრების დროს მას თავი დიპლომატიურად ეჭირა და არ აგრძნობინებდა თავის პირად დამოკიდებულებას. უფრო მეტიც, ქართულ გაზეთებში გამოჩნდა მისთვის ხოტბის შემსხმელი წერილები, რაზეც მან ხელისუფლებას პროტესტი განუცხადა და მსგავსი წერილების აკრძალვა მოსთხოვა, რადგან მას შეეჭმნებოდა ტენდენციური, პრო-ქართული იმიჯი, რაც საქმისათვის წარმატების მომტანი არ იქნებოდა. ამის მიუხედავად, ქართველი ხალხი მიხვდა მის ჭეშმარიტ დამსახურებას. ბრიტანელ კომისარს მაღლიერება საქართველოში ყოფნის პერიოდში და განსაკუთრებით დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ არ მოჰკლებია. 1920 წლის 10 იანვრის შემდგომ დღეებში მას ყველა კუთხიდან მოსდიოდა ქართულ ენაზე, უბრალო ქართველების მიერ დანერილი სამადლობელი წერილები შემდეგი სათაურებით: „ძმავო ოლივერ!“, „ბატონო ოლივერ“, „მოგესალმებით არა როგორც ბრიტანელს, არამედ როგორც საქართველოს შვილს!“ და ა.შ.<sup>31</sup>

თუმცა ბოლშევიკური საფრთხე ახლოვდებოდა. 1920 წლის თებერვალში, ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ ისარგებლა რა ლორდ კერზონის შვებულებაში ყოფნით, გადაწყვეტილება მიიღო ბათუმიდან ჯარების ევაკუაციის თაობაზე, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა მტერთან ქვეყნის პირისპირ შეტოვებას. ამ ფაქტის შეტყობისთანავე უმაღლესმა კომისარმა განუცხადა საგარეო სამინისტროს, რომ გადადგებოდა, თუ ეს

<sup>30</sup> Oxford Bodleian Library, Special Collections' Room, Ms.Eng.C 6824, ff. 84-95

<sup>31</sup> Oxford, Bodleian Library, Special Collections' Room, Ms. Ward. D. 38.9, ff. 15-19; *ibid*, C. 2. f. 19;

გადანყვეტილება არ შეიცვლებოდა, რადგან ეს მის მოსაზრებებს და რეპორტებს ეწინააღმდეგებოდა. უორდროპი მიხვდა, რომ თუ ბრიტანული ჯარები საქართველოს დატოვებდნენ, გარდუვალი გახდებოდა ქვეყნის ბოლშევიკური ოკუპაცია, რომელსაც თვითონ ველარ შეაჩერებდა და ამის თავიდან ასაცილებლად საკუთარი კარიერა რისკის ქვეშ დააყენა. საკუთარი მთავრობითა და ზოგადად პოლიტიკოსებით იმედგაცრუებას ვერ მალავდა ცოლისადმი მიწერილ პირად წერილში: „შენ ალბათ გაიგე, რომ დენიკინის საქმეები ცუდად მიდის. აშკარაა, რომ მისი საქმე წასულია და, რაც ძველი რუსეთისგან დარჩა, ბოლშევიკები ყველაფერს დაიკავებენ, გარდა, სამხრეთ კავკასიისა. მათი სამხრეთ კავკასიის მიღმა დატოვება შესაძლებელია, თუ მოკავშირეები და განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთი, გონივრულად მოიქცევიან; მაგრამ როგორც იცი, მე მთავრობათა გონიერების არ მნამს. არა მგონია, ლოიდ ჯორჯმა იცოდეს, სად არის კავკასია... ლორდმა კერზონმა ყველაფერი იცის მის შესახებ და იმედი მაქვს, რომ მისი გავლენა დაჩრდილავს მის კოლეგებს, განსაკუთრებით ჩერჩილს.“<sup>32</sup>

ლორდმა კერზონმა შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ მოახერხა გადანყვეტილების შეჩერება და კომისარს მისწერა წერილი, სადაც მას სრულ ნდობას უცხადებდა.<sup>33</sup>

სამწუხაროდ, კლიმატურ პირობებთან შეუთავსებლობის გამო ის მძიმედ დაავადდა. ცოლს ყოველდღიურად სწერდა მისი ჯანმრთელობის რთული მდგომარეობის შესახებ. ქართველმა ექიმებმა მას სიმსივნური გამონაზარდიც აღმოუჩინეს და ექიმმა მაჭავარიანმა ოპერაციაც ჩაუტარა. იგი იძულებული გახდა საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გადადგომის თაობაზე განცხადებით მიემართა. სამინისტრო კარგა ხანს ყოყმანობდა, არ აკმაყოფილებდა მის მოთხოვნას, რადგან მისი სათანადოდ შეცვლა არ იყო იოლი საქმე. ოლივერი ცოლს სწერდა, რომ 1920 წლის 30 მარტიდან 16 აპრილამდე სახლიდან ერთხელაც ვერ მოახერხა გასვლა, ლოგინს იყო მიჯაჭვული, საქმეს ველარ აკეთებდა და ამ უმოქმედობით უფრო მეტი ზიანი მოჰქონდა, ვიდრე სიკეთე. მას სურდა სამშობლოში დაბრუნება, მკურნალობა და გამოჯანმრთელების შემდეგ სამუშაოდ საფრანგეთში გადასვლა, რათა იქ, საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენათა ეპიცენტრში ეკეთებინა საქმე.<sup>34</sup>

ამ დროისათვის მას უკვე მოპოვებული ჰქონდა საქართველოს აღიარება, ბრიტანული ჯარებიც რჩებოდნენ ბათუმში, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორისაც მეტ-ნაკლები მშვიდობა სუფევდა. 8 თვიანი დაულალავი შრომის შედეგად მან შეუძლებელი შეძლო და ფაქტიურად მისიის დიდი ნაწილი შესრულებული ჰქონდა.

აპრილის ბოლოს ოლივერ უორდროპმა საბოლოოდ დატოვა საქართველო. მის გეგმას იმის თაობაზე, რომ უკვე საფრანგეთიდან გაენია დახმარება საქართველოსათვის დამოუკიდებლობის გამყარებაში, აღსრულება არ ეწერა, რადგან მის გამოჯანმრთელებას და სამსახურში დაბრუნებას 1 წელი დასჭირდა. ამ დროს კი საქართველო უკვე ოკუპირებული იყო.

<sup>32</sup> Oxford Bodleian Library, Special Collections' Room, Ms.Eng.C 6824, ff. 148-149

<sup>33</sup> FO 371/4931 File 1 no. E65

<sup>34</sup> Oxford Bodleian Library, Special Collections' Room, Ms.Eng.C 6824, ff. 155-170

მისი ღვაწლი ჯეროვნად იქნა დაფასებული. 1922 წელს მეფემ ის ბრიტანეთის იმპერიის რაინდის წოდებით დააჯილდოვა და იწოდებოდა სერ ოლივერ უორდროპად.

დიპლომატიური კარიერის ბოლო წლები (1921-1927) მან სტრასბურგში გაატარა გენერალური კონსულის თანამდებობაზე. ამის შემდეგაც ბრიტანეთში მოხვედრილი ნებისმიერი ნაცნობი ქართველი მისი დახმარებით საქმიანობდა. იგი, მის მიერვე დაფუძნებული მარჯორი უორდროპის ფონდის დახმარებით, აძლიერებდა ქართველოლოგიურ მეცნიერებებს ბრიტანეთში. გარდაიცვალა 1948 წლის 19 ოქტომბერს 84 წლის ასაკში. დაკრძალულია ლონდონთან ახლოს, სევენოუქსის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე მარჯორი უორდროპთან და მეუღლესთან ერთად.

**ბექა კობახიძე**

# წერილები ცოლისადმი

05.09.1919-19.04.1920

## ტფილისი – სევენოუძსი

### ტფილისი

5. 9. 19.

ჩემო უძვირფასესო,

ბოლო წერილი ორი დღის წინ გამოგიგზავნე. მას შემდეგ კი, მოუცლელობის გამო, ვერაფრით მოვახერხე მოწერა.

ოთხშაბათ საღამოს გენერალმა კორიმი<sup>1</sup> ჩემს პატივსაცემად ვახშამი გამართა, რომელზეც მის ქვეშევრდომ გენერლებსა და სხვა სამხედროებს შევხვდი. ვახშამს ასევე ესწრებოდნენ: ამერიკელი პოლკოვნიკი ჰას[კ]ელი,<sup>2</sup> მისი მეუღლე და მელიქოვები. ბატონი მელიქოვი, მიუხედავად იმისა, რომ სულ ოცი წლისაა, საკმაოდ კარგი პოეტია. თავისი ლექსების პატარა კრებულიც გამომიგზავნა წასაკითხად. სასიამოვნო საღამო გავატარეთ სიმღერის, ფორტეპიანოსა და ვიოლინოს თანხლებით (ვიოლინოს შესანიშნავი შემსრულებელი, გვარად სლუცკი უკრავდა).

გუშინ დიდხანს ვესაუბრე საგარეო საქმეთა მინისტრ გეგეჭკორსა და უამრავ ადამიანს, ვინც ჩემთან შეხვედრა მოისურვა. მათ შორის იყო მამუკა ორბელიანიც, რომელიც საქართველოს სამხედრო საბჭომ მიამაგრა ჩემს მისიას. ის და მისი მეუღლე (საქართველოს ძველი სამეფო დინასტიის შთამომავალი) თითქმის სრულყოფილად და უშეცდომოდ ფლობენ ინგლისურს.

უეითი და გრანდი<sup>3</sup> გუშინ თავს კარგად ვერ გრძნობდნენ, თუმცა დღეს ორივე უკეთაა. მე ჯანმრთელობას არ ვუჩივი მიუხედავად იმისა, რომ დაძაბული რეჟიმი მაქვს და ამინდთან შეგუებაც მიჭირს.

გუშინ ღამით ჩემმა მასპინძლებმა<sup>4</sup> ვახშამად ქართველი და სომეხი კაპიტალისტები მოიწვიეს, რათა მათთან შეხვედრის საშუალება მომცემოდა.

დღეს დიდხანს ველაპარაკე გენერალ ბარათოვს, რომელიც გენერალ დენიკინის წარმომადგენელია სამხრეთ კავკასიაში. შეიძლება გახსოვს კიდევაც - სწორედ ის ხელმძღვანელობდა რუსეთის არმიას სპარსეთში და

---

<sup>1</sup>გენერალ-მაიორი ჯორჯ ნორთონკორი - დიდი ბრიტანეთის შავი ზღვის (სალონიკის) ძალების 27-ე დივიზიის მეთაური 1919 წლის მაისიდან სექტემბრამდე. 27-ე დივიზია 1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის სექტემბრამდე, ანუ ბრიტანული ჯარების ევაკუაციამდე ახორციელებდა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას. კორიმდე ამ დივიზიას ხელმძღვანელობდნენ გენერლები: ჯორჯ ფორესტიერ-უოკერი და უილიამ ტომსონი. კორის და უორდროპს მხოლოდ რამდენიმე დღიანი ნაცნობობა ჰქონდათ, რადგან 30 აგვისტოს ტფილისში ჩამოსულმა უორდროპმა 6 სექტემბერს გააცვილა თავისი თანამემამულე.

<sup>2</sup>პოლკოვნიკი უილიამ ჰასკელი - პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მიერ დანიშნული მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი სომხეთში.

<sup>3</sup>უორდროპის თანაშემწეები.

<sup>4</sup>ჯერ უორდროპი, ხოლო შემდეგ მისი შემცვლელები - ჰარი ლუკი და პოლკოვნიკი სტოქსი ცხოვრობდნენ იმ დროისათვის ყველაზე მდიდარი ქართველის, აკაკი ხოშტარიათის სახლში, რომელიც მდებარეობს მაჩაბლის ქუჩაზე.

მესოპოტამიაში აქტიურად თანამშრომლობდა ბრიტანელებთან.

ვიცი, რასაც გიყვები, ძალზე მოსაწყენად ჟღერს, მაგრამ სხვა მართლაც არაფერი ხდება. მთელი ჩემი აქაური ცხოვრება საქმეს მიაქვს. ერთი ამბავი რომ მთავრდება, მეორე იწყება. სადილი და ვახშამიც კი სამუშაოს ნაწილად მექცა. მხოლოდ ღამით დაძინებამდე და დილით საუზმემდე მეძლევა თავისუფლების წუთები. ამ დროს ყველაფერზე ვფიქრობ. სამუშაო მაგიდაზე შენი და ბავშვების პორტრეტები მინყვია. ჩემთვის არ არსებობს დასვენების უკეთესი საშუალება, ვიდრე თქვენი სახეებისთვის თვალის შევლებაა.

მესმის, რომ არ უნდა ვიბუზღუნო. აქ ყოფნა გზას მიხსნის და შანსს მაძლევს, სახელი გავითქვა და მნიშვნელოვანი საქმე გავაკეთო. სიძნელები, რომელთაც ყოველდღე ვაწყდები, ერთი შეხედვით, დაუძლეველი და გადაულახავია. აჯობებდა, უფრო ძლიერი და ახალგაზრდა ვყოფილიყავი, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ და მოუთმენლად ველოდები შენთან შეხვედრას.

## შაბათი, 6 სექტემბერი. 1919.

### 1 საათი და 45 წუთი

ახლახანს დავბრუნდი გენერალ კორის პატივსაცემად გამართული ვახშმიდან. მენიუსაც გიგზავნი. ათასგვარი ქართული კერძი მოგვართვეს. სალამოს ქართული სანადიმო სიმღერები და ცეკვები ახლდა. ბალში, სუფთა ჰაერზე ვისხედით. სუფრას ლამბაშიძე<sup>5</sup> თამადაობდა, რომელმაც ყველა სა-დღეგრძელო ინგლისურად გვითარგმნა.

შაბათი. შუადღე.

ძალიან დაკავებული ვიყავი და თითქმის არ მქონდა დრო, რაიმე მიმე-მატებინა წერილისთვის, რომელსაც გენერალ კორის ბათუმში ვატან.

აქ ძალიან ცხელა და ამინდი ჩემს ჯანმრთელობაზე არც ისე კარგად მოქმედებს. კმაყოფილი ვიქნებოდი, ვარჯიშს რომ ვახერხებდე, მაგრამ დროის გამონახვა რთულია.

წუხელ სტუმრებს შორის აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი, ბატონი უსუბეკოვიც იყო. ის ვახშმობისას ჩემს წინ იჯდა. სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა. ძალიან თავაზიანი ადამიანია და შესანიშნავი იუმორი აქვს. უფრო დასავლელს ჰგავს, ვიდრე აღმოსავლელს. ძალიანაა მონადინებული, რომ ბაქოს, რაც შეიძლება, მალე ვესტუმრო.

ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. აშკარად იგრძნობოდა ენთუზიაზმი და თბილი ურთიერთდამოკიდებულება. მე პირველი საათისთვის წამოვედი. როცა იქაურობა დავტოვე, ჩვენი ოფიცრები და ქართველები ერთად ცეკვავდნენ. როგორც მითხრეს, დილის 5 საათზე დაშლილან. ქართველებს ძალიან სწყდებათ გული, რომ ჩვენი ჯარისკაცები მათ ქვეყანას ტოვებენ.

სადაცაა გენერალი კორი მესტუმრება, რომ ტფილისში ყოფნის უკანასკნელი საათი ჩემთან ერთად გაატაროს. წერილის წერა უნდა შევწყვიტო, რადგან გენერლის მოსვლამდე ოფიციალურ დოკუმენტებზე მაქვს ხელი მოსაწერი.

გიძღვნით უდიდეს სიყვარულს, შენ - ჩემს განუმეორებელ მეუღლესა და ჩვენს შვილებს.

გულითადი მოკითხვა დედაშენსა და კამილას.<sup>6</sup>

შენი ო. უ.

<sup>5</sup> დავით ლამბაშიძე - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარ-მომადგენელი დიდ ბრიტანეთში.

<sup>6</sup> კამილა - უორდროპის მეუღლის მარგარეტ კოლეტის და.



**ტფილისი.**  
**კვირა ღამე**  
**7 სექტემბერი, 1919**

ჩემო ერთადერთო და უძვირფასესო,  
ახლა ხანს ვივახშმე ჩემს ოთახში. დიდი ხანია, ასე არ მოვქცეულვარ. შემეშინდა, რომ მასპინძლებს და ჩემთან შესახვედრად მოსულ სტუმრებს ვანყენებდი, მაგრამ გრანდის და უეითს დავუჯერე, რომ სამუშაო ჩემზე ცუდად მოქმედებს და დასვენება მჭირდება. დილიდან შუალამემდე მუშაობა და ათას საინტერესო თუ უინტერესო საკითხზე ფიქრი მართლაც ძალიან მძაბავს. ალბათ კარგად მოვიქეცი, რომ ერთი თავისუფალი საღამო დავუთმე საკუთარ თავს.

გუშინ ღამით გენერალ კორის წერილი გავუგზავნე შენთან წამოსადეგად. ვშიშობ, რომ ნაწერი ძალიან, ძალიან უთავბოლო და ბუნდოვანი გამომივიდა, მაგრამ შენ კარგად იცი, როგორ პირობებში მიწევს ცხოვრება. ამიტომ დიდი იმედი მაქვს, რომ მაპატიებ.

თავისი უკანასკნელი წუთები ტფილისში კორიმ ჩემთან ერთად გაატარა. სადგურზე ერთად წავედით. გამომშვიდობების ცერემონიალი არაჩვეულებრივი გამოვიდა. მთელი ორი მილის მანძილზე, ქუჩის გასწვრივ, სამხედროები იდგნენ. ქუჩები ხალხით იყო სავსე, მინისტრები კი სადგურზე გველოდნენ. ყოფილ საიმპერატორო მოსაცდელში, რომელიც ყვავილებით იყო მორთული, ქართველებმა მისი სადღეგრძელო დალიეს, ჯანმრთელობა უსურვეს; აღნიშნეს, რომ გული სწყდებოდათ მისი გამგზავრების გამო და იმედოვნებდნენ, რომ ეს მხოლოდ “Au revoir” იყო და არა სამუდამო დამშვიდობება. გენერალმა საქართველოში სულ ოთხი თვე, ტფილისში კი მხოლოდ ექვსი კვირა გაატარა, თუმცა ქართველების სიყვარულის მოპოვება მაინც მოახერხა. ის არაჩვეულებრივი ადამიანია, განსაკუთრებულ მომხიბვლელობასა და შინაგან სინათლესთან შეზავებული ბრწყინვალე სამხედრო უნარ-ჩვევებით. ვწუხვარ, რომ უფრო დიდხანს არ მომიწია მასთან მუშაობა. ერთად ბევრ რამეს შევცვლიდით.

შინ ჩემი ერთ-ერთი მსუბუქი მანქანით დავბრუნდი. ძალიან კომფორტული არ არის, მაგრამ მძლოლის წყალობით მშვენიერი სიჩქარით დადის. ვწუხვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ წესები დავარღვიეთ - უკანა ფარი არ მუშაობდა. გაგვაჩერეს კიდევ, მაგრამ როგორც კი გაირკვა, რომ მანქანა „ინგლისელ კომისარს“ ეკუთვნოდა, ათასჯერ მოგვიბოდიშეს. მძლოლს ვუთხარი, რომ საგზაო მოძრაობის წესებს ყურადღებით მოეკიდოს. ორი მძლოლი მყავს, ორი მსუბუქი მანქანა და ერთი სატვირთო ფურგონი ბარგისათვის.

## 7. 09. 19.

ნაშუადღევს დენიკინის წარმომადგენლის, გენერალ ბარათოვის სა-  
ნახავად წავედი, მაგრამ არ დამხვდა. ამიტომ ჩემს ძველ მეგობარს, პირ-  
ველი რუსული რევოლუციური მთავრობის წევრს, ანასტასია წერეთელს  
შევუარე. ბოლო ათი წელია, საბავშვო გაზეთს რედაქტორობს, დღესაც  
მუშაობს მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკმაოდ მოხუცია და დაღლა სახეზე  
ანერია. დამინახა თუ არა, ისე ჩამიკრა გულში, თითქოს დიდი ხნის დაკარ-  
გული შვილი იპოვა. საბრალოს შარშან გერი გარდაეცვალა. მერე კი, სანამ  
თვითონ ქალაქგარეთ იყო, სახლი გაუქურდეს და ყველაფერი წაიღეს, რისი  
გაზიდვაც მოახერხეს. ჩემმა მასპინძელმა ძირითადად საკვების მარაგსა  
და გაძვირებულ ცხოვრებაზე იწუნუნა. მასთან ნახევარი საათი გავატარე.  
მითხრა, რომ მარჯორის გარდაცვალების ათი წლის თავთან დაკავშირე-  
ბით ჟურნალის სპეციალური ნომრის გამოშვებას აპირებდა და დასძინა,  
რომ ხშირად კითხულობდა მარჯორის ძველ წერილებს.

მიახლოებითაც ვერ წარმოიდგენ, როგორ უყვართ მარჯორი საქა-  
რთველოში, რაოდენ დიდი ადგილი უჭირავს მას ქართველთა გულებში.  
თითქოს მარჯორი აქაურების წმინდანებს უტოლდება და ყველაფერს, რაც  
მის ხსოვნასთანაა დაკავშირებული, სათუთად უფრთხილდებიან. გეგონება,  
რომ ყველა სიტყვა, რომელიც მარჯორის უთქვამს, ქართველებმა საგულ-  
დაგულოდ ჩაიწერეს და დაიმახსოვრეს.

ჩემმა მასპინძელმა ხოშტარიამ დღეს ცოტა რამ მიაგმო თავისი საქმი-  
ანობის შესახებ. ათი წლის წინ მეზაღედ მუშაობდა ბათუმში. შვიდი წლის  
წინ, როცა მისი კაპიტალი 2000 ფუნტი იყო, სპარსეთში წავიდა. როგორც  
ვხვდები, მისი ამჟამინდელი ქონება მილიონობით სტერლინგს შეადგენს.  
სახლი კი, სადაც მისი წასვლის შემდეგ მე უნდა ვიცხოვრო, 70000-მდეა შე-  
ფასებული. ხოშტარია ამბობს, რომ მაშინ უფრო ბედნიერი იყო, როცა ორ  
შილინგად სხვა ადამიანებისთვის მუშაობდა, ვიდრე ახლაა, როცა თავადე-  
ბი, გენერლები და ბანკირები მუშაობენ მისთვის. მისმა ცოლმა კი, ერთ-ერთ-  
მა ყველაზე ფუმფულა ქალმა მათ შორის, ვინც კი ოდესმე შემხვედრია,  
გამიმხილა, რომ ის დრო ენატრება, როცა მთელ დღეებს სადილების მზა-  
დებასა და კაბების კერვაში ატარებდა და საკუთარი შრომით ცხოვრობ-  
და ბათუმსა თუ ჩრდილოეთ სპარსეთის ჯუნგლებში. ის ამბობს, რომ მზა-  
დაა, ძველ ყოფას დაუბრუნდეს, თუკი მისი ქმარი ჯანმრთელად იქნება და  
ოჯახისთვისაც გამოძებნის დროს. ცოლ-ქმარს ღვიძლი შვილი არ ჰყავს და  
გოგონა იშვილეს, რომელიც ახლა ბორჯომშია. ჩემი დიასახლისი, გოგონას  
თოჯინებითურთ, ხვალ აპირებს მის მოსანახულებლად წასვლას.

დღეს ჩვენთან ერთად ხოშტარიას ბიძაშვილმა ისადილა. ასაკოვანი კა-  
ცია. ადრე რუსეთის ხელისუფლებაში მუშაობდა, ახლა კი პენსიაზეა. მე ის  
ბოლოს 1910 წელს ერევანში ვნახე. მასაც და მის ცოლსაც ხალხი პოეტებად  
იცნობს. ამჟამად ორივე პენსიაზეა და 10 ოთახიან სახლში ცხოვრობს ქა-  
ლაქ გორში, რომელიც, თუკი ჩვენს ვალუტაზე დღევანდელი კურსით გა-  
დავახურდავებთ, 200 ფუნტი სტერლინგად აქვთ ნაყიდი.

მაღე სომხეთსა და აზერბაიჯანში უნდა წავიდე. როგორც გავიგე, ამ  
რესპუბლიკებშიც ისევე კარგად დამხვდებიან, როგორც საქართველოში.

ასე რომ, წინ დაძაბული პერიოდი მელის.

გრადნი და უეითი „ქართულ კლუბში“ წასვლას და თავის გამოჩენას აპირებენ.

აივნის ქვემოდან სტუმრების ხმები მესმის. ჯერ 10 საათიც არ არის, მაგრამ უნდა დავწვე, რომ კარგად გამოვიძინო და ხვალინდელ დღეს მომზადებული შევხვდე.

ღამე მშვიდობისა, ჩემო ერთადერთო და უძვირფასესო. ხვალ კიდევ მოგწერ.

## 11. 9. 19.

ჩემმა მასპინძელმა გუშინ ღამით შესანიშნავი ვახშამი გამართა, რომელზეც აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი და მისი კოლეგები, ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი ჟორდანია და მისი კოლეგები იყვნენ მონაწილეები. ვახშამს დაახლოებით 40 ადამიანი დაესწრო. მთელი საღამოს განმავლობაში ანსამბლი სიმებიან საკრავებზე უკრავდა. მე თავს ცუდად ვგრძნობდი და ჩავთვალე, რომ აჯობებდა ბანკეტზე არ გამოვჩენილიყავი. ექიმმა ღამბაშიძემაც<sup>7</sup> მირჩია, რამდენიმე დღე ხმაურს მოვრიდებოდი. მეც დავუჯერე და ჩემს ოთახში დავრჩი. ჰავის შეცვლის გამო უეითიც შეუძლოდ იყო. ამიტომ ჩემს წარმომადგენლად ბანკეტზე გრანდი გავგზავნე. ავად არ ვარ, ჩემი სისუსტე უფრო გადაღლის ბრალია. კარგად გამოვიძინე და შემოდგომა ვთქვა, რომ დღეს თავს გაცილებით მხნედ ვგრძნობ.

როცა ეს სახლი ჩვენს ხელში გადმოვა, რაც იმედი მაქვს მალე მოხდება, ალბათ თავს უფრო კომფორტულად ვიგრძნობთ და დამატებითი სოციალური ვალდებულებებისგანაც გავთავისუფლდებით.

საშინაო საქმეებს აქ მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებს. განსაკუთრებით წყლის ნაკლებობა გვანუხებს. ისიც უნდა ვთქვა, რომ აქაური წყალი საკმაოდ არამომზიდველად გამოიყურება და არათუ მისი დაღვევა, აბაზანის მიღებაც კი არასასიამოვნოა.

აქაურობა [ბრიტანელმა] სამხედროებმა თითქმის სრული შემადგენლობით დატოვეს. მხოლოდ რამდენიმე ოფიცერია დარჩენილი და კვირის ბოლომდე ისინიც მიემგზავრებიან. მიხარია, რომ ტფილისში მათ წასვლამდე ჩამოვედი.

ამინდი შესანიშნავია. ტემპერატურა დაბლა იწევს და მგონი, ჰავაც თანდათან უმჯობესდება.

გუშინ გაზეთ „კლდეში“ დაიბეჭდა პოეტი ქალის, დომენიკა ერისთავის შესანიშნავი სტატია მარჯორიზე. ყველაფერს ვინახავ, რომ უკან დაბრუნებულმა ბოდლენის ბიბლიოთეკას გადავცე.

როგორც გავიგე მისტერ რუკერის, სევენოუქსის<sup>8</sup> მოძღვრის შვილი შინ დაბრუნებულა. მაინტერესებს, როგორია მისი შთაბეჭდილებები ქვეყანაზე, სადაც რამდენიმე თვე გაატარა.

ჯეიმი და ენდი<sup>9</sup> ალბათ უკვე წავიდოდნენ სკოლაში. მომიყვები, როგორ ეგუებიან. აუცილებლად გამოვუგზავნი ბავშვებს ღია ბარათებს, როგორც კი შევძლებ.

აქ პოლიტიკური ქორები დადის, რომ სამხრეთ კავკასიაში სიტუაცია იცვლება და რამდენიმე დღეში ყველაფერს ნათელი მოეფინება.

---

<sup>7</sup>ვახტანგ ღამბაშიძე - დიდ ბრიტანეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის დავით ღამბაშიძის ძმა. სამედიცინო განათლება მიიღო მოსკოვსა და პარიზში. ემიგრაციაში ყოფნისას 1924-1951 წლებში ხელმძღვანელობდა საფრანგეთში ქართულ სათვისტომოს.

<sup>8</sup>სევენოუქსი - ქალაქი კენტის საგრაფოში, სადაც მდებარეობდა უორდროპების საოჯახო მამული

<sup>9</sup>ჯეიმს და ენდრიუ უორდროპები - ოლივერ უორდროპისა და მარგარეტ კოლეტის უფროსი შვილები.

მიხარია, რომ ლონდონიდან ტელეგრამები გაცილებით სწრაფად მოდის. გუშინ ერთი მივიღეთ, რომელსაც გზაში მხოლოდ სამი დღე დასჭირდა.

ჯერ მხოლოდ ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემს ძვირფასს მოვშორდი. არადა მეჩვენება, რომ მთელი წელია, არ მინახავხარ.

## **დღის 5 საათი**

ტელეგრაფის მუშაობის გაუმჯობესებაზე რაც მოგწერე, სიმართლე არ აღმოჩნდა. ახლახანს მივიღე შენს მიერ 19 აგვისტოს კონსტანტინოპოლში შენს ერთადერთ სიყვარულთან გამოგზავნილი ძვირფასი შეტყობინება. მიუხედავად დაგვიანებისა, დიდი სიამოვნებით ვკითხულობ შენს ნაწერს და მზად ვარ მოძველებული ამბები უკანასკნელ სიახლეებად მივიღო.

არ ვიცი, გრეისი<sup>10</sup> როდის გამოჩნდება.

## **სუთვაბათი. 11. 9. 19.**

ამანათი ბათუმში მიდის, ამიტომ ახლა მეტს ვერაფერს მოგწერ. თავს მშვენივრად ვგრძნობ. დიდი სიყვარული ჩემგან ჩემს ძვირფას მეუღლესა და შვილებს, ასევე დედაშენს.

მარად შენი,

ო. უ.

---

<sup>10</sup>კაპიტანი გრეისი - უორდროპის წარმომადგენელი ერევანში.

## ტფილისი.

### 11. 9.19.

ჩემო ძვირფასო და ერთადერთო,

ბედნიერი დღე გამითენდა. გამოგიგზავნე თუ არა წერილი, ლონდონიდან ძველი გზავნილი ჩამოვიდა - შენი ბარათები, დანყებული 19 აგვისტოდან 26 აგვისტომდე. უფრო ძველი წერილები ჯერ არსად ჩანს, მაგრამ მიხარია, რომ 16 დღის წინ თავს კარგად გრძნობდი. თუმცა ჩემთვის მაინც უსიამოვნოა, რომ სასტუმრო ოთახში ავეჯის გადაადგილებით დაღლილხარ. იმედი მაქვს, ძალიან არ დაქანცულხარ.

სალამოს საკმაოდ გრძელი გზა გავიარეთ. ჯერ სომხეთის პრემიერ-მინისტრს, ბატონ ხატისიანს ვენვით საპასუხო ვიზიტით, შემდეგ კი კოჯრისკენ დავიძარით. გზა ალაგ-ალაგ საშინლად იყო დაზიანებული, ჩვენი მანქანა კი არც ისე ძლიერი და კომფორტული აღმოჩნდა, მაგრამ უკან დაბრუნებაზე არც გვიფიქრია და 15 მილი საკმაოდ მოკლე დროში დავფარეთ მიუხედავად იმისა, რომ 4000 ფუტის სიმაღლეზე მოგვიხდა ასვლა.

თვალწინ ტფილისისა და მისი მიმდებარე სოფლების არაჩვეულებრივი ხედი გადაგვეშალა - ტრიალი მინდვრები, დასერილი კლდეები და უდაბნო, აქა-იქ აღმოცენებული რამდენიმე პატარა ოაზისით. კოჯრის მისაღვომებთან, სადაც ზაფხულობით ტფილისის გარნიზონი იყო განლაგებული, შემთხვევით გვაზავას<sup>11</sup> და მის მეუღლეს<sup>12</sup> შევხვდით, რომელიც ჩვენი მეგობრის, ჩერქეზოვის<sup>13</sup> ძმისწულია. ცოლ-ქმარმა ჩაიზე მიგვიწვია. მათთან ერთად 45 წუთი გავატარეთ და მათი შვილებიც გავიცანით: გოგონა, თამარა, 6 წლის იქნება, ხოლო ვაჟი - ჯამლეტი, ენდის ასაკის. ორივენი სრულყოფილად ფლობენ ფრანგულს, რუსულს და ქართულს და, როგორც გვითხრეს, ინგლისურის შესწავლასაც მალე დაიწყებენ.

უკანა გზა მთვარის შუქზე გამოვიარეთ. შინ 8 საათისთვის დავბრუნდით.

დღეს თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ, თუმცა თავის ტკივილი მაინც მანუხებს და ვცდილობ, როგორღაც ვიმკურნალო. ყველა ნაცნობი და მეგობარი ქართველი, ექიმია თუ არა, იმდენად ზრუნავს ჩემს ჯანმრთელობაზე, უკვე მრცხვენია.

დღეს ერთი ახალგაზრდა ამერიკელი გავიცანი, სახელად ბლეიქი<sup>14</sup>. თურმე ბოლო ხუთი წელია ქართულის შესწავლითაა გატაცებული და აქაურ უნივერსიტეტში უნდა ასწავლოს. განსაკუთრებული ადამიანია, თავისი ცოდნითა და გონებრივი შესაძლებლობებით. როგორც გავიგე, მის მშობლებს პატარა ფერმა აქვთ.

ჩამოსვლის დღიდან მოყოლებული, უეითი არც ისე სახარბიელო მდგომარეობაშია კანის პრობლემების გამო. ჰავის ცვლილებამ მასზე ძალიან იმოქმედა, თუმცა ბოლო დროს უკეთესობა დაეტყო.

<sup>11</sup>გიორგი გვაზავა - ქართველი პოლიტიკოსი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

<sup>12</sup>ნინო ჩერქეზიშვილი

<sup>13</sup>თავადი ვარლამ ჩერქეზიშვილი - ცნობილი ანარქისტი და ქართველი ნაციონალისტი.

<sup>14</sup>რობერტ პირპონტ ბლეიკი — ამერიკელი ორიენტალისტი, ქართველოლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ნიკო მარის მონაწილე. 1918-1920 წლებში ბერძნულ ენასა და ბიზანტიის ისტორიას ასწავლიდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## 11. 9. 19.

ჩვენი დიასახლისი ამ დილით გაემგზავრა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამოუკიდებლად ვინცებთ ცხოვრებას. მგონი, ყველაფერი გაცილებით მარტივი და მოსახერხებელი გახდება.

ხვალ შევეცდები შენს მონერილ ყველა შეკითხვას პასუხი გავცე. ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო.

## 12. 9.19.

შენი წერილი კიდევ ერთხელ გადავიკითხე და მივხვდი, რომ სინამდვილეში პასუხგასაცემი კითხვები არ მოგიწერია. სჯობს, ბარგის დაზღვევის პოლისი შეინახო; მართალია, ჯერ არ დამჭირვებია, მაგრამ მაინც.

კმაყოფილი ვარ, რომ ლორდი კარზონი<sup>15</sup> ჩემთვის გამოგზავნილ წერილებს „დიდი პატივისცემითა და მოკითხვით“ ასრულებს. ეს ჩემთვის წინ გადადგმული ნაბიჯია ოფიციალურ იერარქიაში.

დღეს სომხეთის პრემიერ-მინისტრმა შემომიარა და კარგა ხანს ვისაუბრეთ. ტფილისში საკმაოდ მოკლე ვიზიტითაა და გრეისის ჩამოსვლის შემდეგ (როგორც ვიცი, ხვალ უკვე აქ იქნება) თავადაც ვესტუმრები მას. ვფიქრობ, რომ გრეისის ერევანში მოუწევს დარჩენა.

სხვებთან ერთად დღეს ქართველ მუსლიმთა დელეგაცია და ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი მყავდნენ სტუმრად. ებრაელები აქ 2000 წელზე მეტია ცხოვრობენ.

მარტო ცხოვრების პირველ დღეს ჩვენს მიერ დასაქმებულმა მზარეულმა ხარჯთაღრიცხვა მოგვიტანა. ის დღეში მხოლოდ 650 რუბლს შეადგენს და მოიცავს მოუმზადებელ პროდუქტს. იმედია, მომავალში ამ დანახარჯს არ გავზრდით. ერთი კოლოფი ასანთი 5 რუბლი ღირს, გაზეთი – 3 რუბლი, ერთი ბოთლი ადგილობრივი მინერალური წყალი – 20 რუბლი და ასე შემდეგ.

მიხარია, რომ უეითი თითქმის გამოჯანმრთელდა, გრანდიც მშვენივრადაა. მე ცოტა გავცივდი, მაგრამ ნერვიულობად არ ღირს.

„სევენოუქსამდე“ გრძელი გზაა, ჩემი გული კი მუდამ ამ გზისკენ მიიწევს; მაგრამ ვცდილობ, იმაზე ვიფიქრო, რომ ჩვენი განშორება ხანგრძლივი არ არის და ერთმანეთს საშობაოდ შევხვდებით. ახლა აქ ცხოვრება შენთვის ძალიან დამლელელი იქნებოდა. საბრალო მისის ჰასკელი გენერალ კორის გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე რომ ვნახე, საკმაოდ პათეტიკური მომეჩვენა. მითხრა, რომ ქმარს თითქმის ვერ ხედავდა და არც მეგობარი ქალები ჰყავდა. აქ საოჯახო საქმეების მიხედვა უცხოელი ქალისთვის საკმაოდ რთულია.

---

<sup>15</sup>ლორდი ჯორჯ ნათანიელ კერზონი - დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1919-1924 წლებში.

## 11. 9. 19.

მოუთმენლად ველოდები ხვალინდელ დღეს. გრეისი ჩამოვა და შენს დაგვიანებულ წერილებს ჩამოიტანს.

## კვირა. 17. 9. 19.

10 და 18 აგვისტოს წერილების ნაკითხვამ, რომლებიც გრეისიმ ჩამომიტანა, ძალიან გამაბედნიერა. თვალს ვერ ვაშორებ შენს ნაწერს. დიდი მადლობა...

გუშინ საინტერესო დღე იყო. გრეისი და გენერალი ნიუკომბი ჩამოვიდნენ. ამ უკანასკნელს სამხედრო საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების განხორციელება ევალება (კანადელი ბანკირია, როგორც ვიცე), მისი წინამორბედი კი ერევანში, ჩვენს წარმომადგენლობაში დაიდებს ბინას. ნაშუადღევს ბოლშევიკებმა ბომბი ესროლეს ეტლს, რომლითაც დენიკინის წარმომადგენელი, გენერალი ბარათოვი და ყოფილი მთავარსარდალი, გენერალი ოდიშელიძე მგზავრობდნენ. ორივე დაშავდა. პოლკოვნიკი ალხაჯი (რომელსაც ვიცნობდი), მძღოლები და ზოგიერთი გამკლავი დაიღუპნენ, რამდენიმე ადამიანი კი დაშავდა.

დღეს ნიუკომბმა და პოლკოვნიკმა სტოქსმა<sup>16</sup> (ყოფილმა სამხედრო ატაშემ სპარსეთში) ჩვენთან ერთად ისაძილეს.

გიგზავნი ჩემი ჩამოსვლის დღეს გადაღებულ ფოტოებს. ჩემი გადიდებული ფოტო გამოსაგზავნად საკმაოდ მოუხერხებელი ზომისაა.

დღეს ისევ ცხელა და მიუხედავად იმისა, რომ კვირაა, იმდენი რამე მაქვს მოსასწრები, თავს უფლებას ვერ ვაძლევ, დაგეგმილ პირად საქმეებს მივხედო.

გუშინ ბალიოლის დირექტორისგან<sup>17</sup> შესანიშნავი ვრცელი წერილი მივიღე.

## ორშაბათი. 15. 9. 19.

### დილის 9 საათი.

კიდევ ერთი მშვენიერი დღე გათენდა. მაინცდამაინც არ ცხელა.

დღეს ბარგს ბათუმში ვუშვებთ. ამიტომ შეიძლება, ძალიან დაკავებული ვიყო და მოსაწერად ვეღარ მოვიცალო. მაგრამ მინდა იცოდე, რომ ყოველთვის შენზე ვფიქრობ და მიყვარხარ.

გუშინ ნიუკომბმა და პოლკოვნიკმა სტოქსმა ჩვენთან ერთად ისაძილეს

---

<sup>16</sup>პოლკოვნიკი კლოდ ბეიფილდ სტოქსი - ჯერ უორდროპის წარმომადგენელი ბაქოში, ხოლო 1920-1921 წლებში უორდროპისა და ჰარი ლუკის შემცვლელი სამხრეთ კავკასიაში მისი უდიდებულესობის უმაღლესი კომისრის თანამდებობაზე.

<sup>17</sup>ოქსფორდის უნივერსიტეტის ბალიოლის კოლეჯი, სადაც ოლივერ უორდროპმა მიიღო უმაღლესი განათლება.



და სპარსეთსა და ბაქოში მიღებული სამხედრო გამოცდილების შესახებ მიამბეს. გრეისიმაც გაიხსენა თავისი ამბები, როგორ გადაურჩა რამდენიმეჯერ სიკვდილს და რა გამოიარა მოსკოვში, ბოლშევიკების ციხეში.

ვცდილობ, ბავშვებისთვის გამოსაგზავნად ღია ბარათები ვიპოვო, მაგრამ დიდი არჩევანი არ მაქვს. შეიძლება, რამდენიმე სიტყვის მონერა კიდევ მოვახერხო, მაგრამ თუ დრო ვერ გამოვნახე, გადაეცი ჩემი დიდი სიყვარული მარგარეტს, ჯეიმის, ენდის და ნინოს,<sup>18</sup> დედაშენს და კამილას. ასევე გულისთადი მოკითხვა მის მეღბაის და სხვა მეგობრებს.

შენი ო. უ.

#### **დღის 4 საათი. 15. 9. 19.**

სადილამდე ოფიციალური შეხვედრა უნდა მქონოდა, რომელიც ჩაიშალა. შემთხვევით ვისარგებლე და პოეტის ქვრივს, ოლა ჭავჭავაძეს შეეჯარე. მან მიცნო, მაგრამ ჩემთან საუბარზე უარი განაცხადა. ბოლო რვა წელია, სრულ ჭკუაზე არაა.

ბექთაბეგოვებთანაც შევიარე. დიასახლისმა ჩემს დანახვაზე ტირილი დაიწყო და მოინდომა, მომხვეოდა. ორივემ კითხვები დამაყარეს შენსა და ბავშვების შესახებ. მათთან მხოლოდ რამდენიმე წუთით გავეჩერდი.

როგორც იქნა, გიგზავნი ფერად ღია ბარათებს ბავშვებისთვის, ასევე წერილს ტომისთვის და ვინისთვის.<sup>19</sup>

ძალიან დაკავებული, მაგრამ მაინც მხიარული,  
შენი ო. უ.

#### **18.9.19**

ჩემო ერთადერთო და უძვირფასესო მეუღლე,

ბოლო წერილი ორშაბათს, 15-ში მოგწერე, მეორე დღით კი ბათუმისკენ დავიძარი. მას შემდეგ საინტერესო თითქმის აღარაფერი მომხდარა, ცხოვრება უფრო მშვიდად წარიმართა და საშუალება მომეცა, ვალად დარჩენილი საქმეებისთვის მიმეხედა. გადანყვეტილი მქონდა, შუა კვირაში ერევისკენ ამელო გეზი, მაგრამ სომეხმა მინისტრმა მირჩია თავი შემეკავებინა, რადგან თურმე ამ პერიოდში იქ მალარია მძვინვარებს. გარდა ამისა, გადაადგილებასა და დაბინავებასთან დაკავშირებითაც რალაც პრობლემები შეიქმნა. ამიტომ ჯერ გრეისი გაემგზავრება, რომ მე საქმე გამიადვილდეს. სავარაუდოდ, მე მანამდე აზერბაიჯანს ვესტუმრები.

გუშინ მე, გრანდი და უეითი მამა დავითის ეკლესიას ვესტუმრეთ, რომელიც მთელ ქალაქს ზემოდან გადმოჰყურებს და ჩამავალი მზის ფონზე ტფილისის არაჩვეულებრივი ხედით დავტკბით. ეკლესიის ეზოშია ჭავჭავაძის მონუმენტი, გასაოცარი გემოვნებითა და ოსტატობით შესრულებული

<sup>18</sup>ნინო უორდროპი - ოლივერ უორდროპისა და მარგარეტ კოლეტის უმცროსი შვილი.

<sup>19</sup>ტომას უორდროპი და ვინი - ოლივერ და მარჯორი უორდროპების ძმა და მისი მეუღლე ვინიფრედ ალის ბრიჩი.

ქართველი მოქანდაკის, ნიკოლაძის მიერ, რომელიც თურმე როდენის მოსწავლე ყოფილა. საქართველოს სიმბოლო – ქალის ქანდაკება, რომელსაც ხელში დაფნის ტოტი უჭირავს, მარმარილოზე დგას და ბიზანტიური ორნამენტებით არის მოკირწყლული, შავ ფილაზე კი უბრალოდ აწერია: „ილია ჭავჭავაძე, 1837-1907“<sup>20</sup>. ნაშუადღევს სახოკია<sup>20</sup> მესტუმრა. შეიძლება, გახსოვდეს – ბრიუსელში რომ ვიყავით საქორწინო მოგზაურობაში, მაშინ შემომიარა ლანჟეში. ახლა ფრანგულს ასწავლის აქაურ სკოლაში. ბერგენში იყო ჩვენს სანახავად და რუსეთის რევოლუციის შემდეგ შინ ბრუნდებოდა.

### **პარასკევი. 19. 9. 19.**

გასაოცრად სასიამოვნო და ნათელი დილაა, თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

გუშინ შუადღისით პრემიერ-მინისტრ ყორდანიასთვის მოკითხვის ბარათის დასატოვებლად შევიარე. შეუძლოდა. შემდეგ ჩემი ძველი მეგობარი, ტოლსტოის მოყვარული ილია ნაკაშიძე მოვინახულე, რომელსაც ისე გაუხარდა ჩემი დანახვა, რომ გადამეხვია. მოგვიანებით, ვანოს ბიძაშვილს, მიშო მაჩაბელს შევხვდი და მისი ოჯახი გავიცანი. მან 1894 წელი გაიხსენა, დრო, როცა ორი ჯგუფის – ჭავჭავაძისტების და მაჩაბლისტების შერიგებას ვცდილობდი. ბოლოს, ნახევარი საათი ექიმ ელიაშვილთან გავატარე, რომელმაც მიაშობ რამდენიმე დღის წინ სოფელში მისი სახლის დაყაჩაღების მცდელობისა და მძარცველი ჯგუფისგან თავის დაცვის შესახებ.

### **18. 9. 19.**

ჩემი მანქანა უიმედოდ გაფუჭდა და საბუქსირე მანქანის გამოძახება მომიხდა სახლში მის მისაყვანად. მანქანის შეკეთებას რამდენიმე დღე მაინც დასჭირდება, თანაც, მეორე ავტომობილიც გაფუჭებულია.

ლამბაშიძემ ჩვენთან ერთად ისადილა და ბათუმისკენ გაემართა გენერალ კორისტან შესახვედრად. იმედი მაქვს, მშვიდობით ჩააღწია. ბოლო ხანებში, ზედიზედ სამი დღეა, შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა მატარებლების ძარცვას მიჰყვეს ხელი. არსებობს ეჭვი, რომ ისინი საზღვარგარეთ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებენ. მთავარი მიზანი საქართველოს უსუსურ ქვეყნად წარმოჩენაა, ქვეყნად, რომელსაც ინგლისელების წასვლის შემდეგ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნება არ შეუძლია. თუმცა მთავრობამ უკვე გადადგა ქმედითი ნაბიჯები – დაკავებულია 800 ბოლშევიკი, ძირითადად, უცხოელები.

გრეისი ხვალ შუადღისას აპირებს ერევანში გამგზავრებას. აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტში ცვლილებებია, ამიტომ მომიწევს ბაქოში გამგზავრება იქამდე გადავდო, სანამ ყველაფერი არ დალაგდება. ვფიქრობ, ჩემთან ერთად პოლკოვნიკი სტოქსი (ყოფილი სამხედრო ატაშე სპარსეთში)

---

<sup>20</sup>თედო სახოკია - ქართველი პოლიტიკოსი, მწერალი, ეთნოგრაფი.

ნავიყვანო. ის შეიძლება ჩემს წარმომადგენლადაც კი დავნიშნო ბაქოში.

ჩვენი მასპინძელი ხოშტარია და მისი მეუღლე მოსამსახურებთან ერთად ლონდონში აპირებენ გამომგზავრებას. დარწმუნებული ვარ, საშუალება მოგეცემა, ჩემი ამბები მათგან მოისმინო. იმავე პერიოდში ლონდონში წასვლას ღამბაშიძეც ფიქრობს. აქ ყოფნის დროს მშვენიერ გარიგებას მიაღწია და, ალბათ, ლონდონშიც წარმატებულად იმუშავებს.

მომავალ ოთხშაბათს ჩვენს ძვირფას ჯეიმისა და ენდის სწავლა ეწყებათ. დილის რვის ნახევარზე (ბრიტანული დროით 9 საათსა და 30 წუთზე), მე მათზე ვიფიქრებ და ვისურვებ, რომ ბედნიერი და ნაყოფიერი მოსწავლეობა ჰქონდეთ.

### **სალამოს 7 საათი.**

საწერ მაგიდასთან ვზივარ და ვახშამს ველოდები. წინ ბროლის ლარნაკი მიდევს ოთხი წითელი და ორი თეთრი ვარდით, იქვე კი ჩემი ძვირფასი მეუღლისა და შვილების პორტრეტებია.

შინ ცოტა ხნის წინ დავბრუნდი. რამდენიმე ადგილას ვიყავი. რამდენიმე ნაწილის გამოცვლის შემდეგ, როგორც იქნა, გაფუჭებული მანქანის გამოყენება წუხელ გახდა შესაძლებელი.

### **18. 9. 19.**

პირველ საათზე უკვე პარლამენტის საშემოდგომო სესიის გახსნაზე ვიყავი. მივედი თუ არა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ოვაციით შემეგება. პარლამენტის თავმჯდომარემ სიტყვა წარმოთქვა დიდი ბრიტანეთის შესახებ და მეც მომიხსენია. სიტყვის დასრულებას კიდევ ერთი ოვაცია მოჰყვა. რამდენადაც შემეძლო, გულითადად და ვუკარი საზოგადოებას თავი, რომ ჩემი მსურვალე მადლიერება გამომეხატა. შემდეგ პარლამენტმა კანონი მიიღო რკინიგზაზე ყაჩაღობისათვის სიკვდილით დასჯის შესახებ და სხდომა დასრულდა.

მასპინძლებმა პარლამენტის შენობა დამათვალისწინებინეს (ენდის ფოტოს ვუგზავნი, როგორ გამოიყურება მეფისნაცვლის სასახლე ბალის მხრიდან) და გამესაუბრნენ.

მათ შორის, ვისაც სალამოს ვესტუმრე, დომენიკა ერისთავიც იყო – პოეტი ქალი, რომელსაც მიმონერა ჰქონდა მარჯორისთან და ცოტა ხნის წინ გულში ჩამწვდომი სტატიაც გამოაქვეყნა მის შესახებ აქაურ გაზეთში. ვინახულე ექიმი გედევანი – ჭავჭავაძის ერთ-ერთი გამოცემის რედაქტორი, სწორედ იმ გამოცემისა, ბექთაბეგოვამ რომ ჯეიმის გამოუგზავნა საჩუქრად. ექიმი რენტგენის აპარატთან მუშაობდა და საკმაოდ დაკავებული იყო, თუმცა ჩემს სანახავად პაციენტი მიატოვა.

მუშაობით არ ვიღლები, შედარებით მშვიდი პერიოდი მაქვს, თავს არაჩვეულებრივად მსუბუქად ვგრძნობ.

## შაბათი, აღრიანი შუაღლე.

ამ დილით ერთი საათი ვისეირნე უეითთან და გრანდისთან ერთად. სუფთა ჰაერმა საოცრად იმოქმედა ჩემზე, სკოლისკენ მიმავალი ბავშვების ნახვამაც გამაბედნიერა.

ამჯერად გიგზავნი ქართულ ილუსტრირებულ გაზეთს, რომლის პირველ გვერდზე ჩემი და მარჯორის ფოტოებია. ასევე შეგიძლია გადახედო ფრანგულ გაზეთს, რომელშიც ჩემი საქართველოში ჩამოსვლაა აღწერილი.

ალბათ გახსოვს, ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე აღვნიშნე, რომ შეიძლებოდა კონსულის თანამდებობა შეეთავაზებინათ ერთი ადამიანისთვის, რომელიც სევენოუქსიდან კავკასიაში უნდა გამოემგზავრებულყო. ამ ადამიანს მხოლოდ ერთხელ შევხვედრივარ, ისიც ცხრა წლის წინ, თუმცა აქ ყოველდღე მესმის მოსაზრებები მის შესახებ (როგორც ბრიტანელების, ასევე ქართველებისა). ყველას ერთი და იგივე მოსაზრება აქვს. თვლიან, რომ ის თანამდებობისთვის სავსებით შეუფერებელია და მისი აქ მუშაობა სიკეთეს არავის მოუტანს. რასაკვირველია, ჭორებს ვერ გამოვეყვიდე და ვერაფერს მოვიმოქმედე, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ გამოჩნდება გარემოება, რომელიც მის კავკასიაში ჩამოსვლას ხელს შეუშლის. რა თქმა უნდა, ეს საიდუმლო ინფორმაციაა, მაგრამ თუ საჭიროდ ჩათვლი, შეგიძლია ტომსა და ვინის გაუმხილო.

## პვირა, 21. 9. 19.

დილით საუზმემდე ისევ გავისეირნეთ და რუსულ საკათედრო ტაძარსა და თანამედროვე ქართულ ეკლესიას ვესტუმრეთ.<sup>21</sup> ქართული ეკლესია საკმაოდ კარგი სტილისაა, თუმცა ზოგიერთი მორთულობა, ცოტა არ იყოს, აუშნოებს.

რადგან კვირაა, გრანდის და უეითს ვუთხარი, დაესვენათ. მთელი კვირის განმავლობაში გვიანობამდე უხდებოდათ მუშაობა. ნაშუადღევს, ალბათ, ბოტანიკურ ბაღში გავისეირნებთ, იქიდან კი „ქართულ კლუბში“ წავალთ, რომლის საპატიო წევრებიც ვართ.

გენერალი ჰარბორდი, ამერიკული გენშტაბის ხელმძღვანელი,<sup>22</sup> წესით, ათ დღეში აქ უნდა იყოს. იმედია, მისი ჩამოსვლა სიტუაციას ნათელს მოჰყენს.

ვხვდები, რომ ჩემს კარიერაში საკმაოდ კრიტიკული პერიოდი დგას. თუ სირთულეებს თავს დავალწევ, შემდეგ უკვე შემეძლება შენთან და ბავშვებთან ერთად მშვიდად დავტკებ აქაური ცხოვრებით. თუ დავმარცხდები, ალბათ, სჯობს, შენ აქ არ იყო. ვფიქრობ, ორ-სამ თვეში ყველაფერს

---

<sup>21</sup>იგულისხმება ტფილისში, რუსთაველის გამზირზე დღევანდელი პარლამენტის შენობის ადგილზე მდებარე რუსული სამხედრო ტაძარი „სობორო“ და ქაშუეთის ეკლესია.

<sup>22</sup>გენერალი ჯეიმს ჰარბორდი - 1919 წელს პრეზიდენტ ვუდრო უილსონის პირადი დავალებით სათავეში ჩაუდგა ფაქტების შემსწავლელ კომისიას, რომელსაც სომხეთში, სამხრეთ კავკასიასა და ანატოლიაში შექმნილი ვითარება უნდა აღენერა, რის საფუძველზეც შეერთებული შტატების მთავრობას უნდა გადაეწყვიტა სომხეთზე მანდატის აღება.

უორდრობი შეცდომით იხსენიებს მას ამერიკული გენშტაბის ხელმძღვანელად.

ნათელი მოეფინება. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ მდგომარეობა მოულოდნელად შეიცვალოს.

სახელმწიფო კონტროლიორის, კონსტანტინე ანდრონიკოვის მოსვლამ შემანყვეტინა წერა. მგონი, წინა წერილში მოგიყევი იმ გულისამაჩუყებელი მოგონების შესახებ, რომელიც მან ჩემზე დაწერა - როგორ შევხვდით ერთმანეთს 32 წლის წინ, როცა ანდრონიკოვი 12 წლის ბიჭი იყო. მთელი გულით მეპატიჟება თავის მშობლიურ მხარეში, კახეთში ორი კვირის შემდეგ რთველზე დასასწრებად. წარმომიდგენია, რამდენად სასიამოვნო და სასარგებლო მოგზაურობა გამოვა. ბევრ საჭირო ადამიანსაც შევხვდები, თუმცა ამ ეტაპზე ბაქოსა და ერევნის მოვლა გაცილებით უფრო პრიორიტეტულია.

საინტერესო სიტუაციაში ვარ. უცნაურია, უცხო ქვეყნის წარმომადგენელი ასეთი სიყვარულით იყო გარშემორტყმული, ყველა ფენის ადამიანი საკუთარი ოჯახის წევრით ან ნათესავით გილებდეს. ჩემთან ისე მოდიან, როგორც ძალიან ახლობელთან და ბრმად მენდობიან. რა თქმა უნდა, ასეთ მდგომარეობაში ყოფნას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, მაგრამ არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ აქაურების დამოკიდებულება ძალიან დიდ ბედნიერებას მანიჭებს.

გრანდი დიდი ამბით ყიდულობს ხალიჩებს ლონდონის სახლისა და თავისი დისტვის. მისი გამოცდილება მეც გამომადგება, თუ მომავალში ხალიჩების შეძენას გადავწყვეტ. ისე კი თავად ვურჩიე, რომ საქონელს გამოგზავნამდე დეზინფექცია ჩაუტაროს, რადგან საკმაოდ საშიში დაავადებებია გავრცელებული და ხალიჩა ინფექციის ერთ-ერთი საუკეთესო გადამტანია.

## სალამოს 7 საათი.

ვახშმის დრო ახლოვდება, მე კი ისევ გწერ. შუადღისას ბოტანიკურ ბაღში წავედით მანქანით და ცოტა ხანს ვისეირნეთ. ლამაზი, მწვანე ადგილია - საკმაოდ ღრმა ხევი შიშველი ფერდობებითაა გარშემორტყმული. გუბურები წყლის შროშანებით და ვერცხლისფერი თევზებითაა სავსე. ბაღში ბევრი ულამაზესი ყვავილი და ხე ხარობს, პატარა მდინარეზე კი მომცრო ხიდებია გადებული, იქვე პატარა ჩანჩქერიც ჩამოედინება. მოგვიანებით ქალაქის აღმოსავლური ნაწილისკენ დავიძარით და თვალწარმტაც, მიხვეულ-მოხვეულ, უხეიროდ მოკირწლულ ქუჩებს გავუყევით კახეთისკენ მიმავალ გზამდე, სადაც ბოლშევიკები და სხვა ყაჩაღები იხდიან სასჯელს. ფანჯრებიდან მათი დანახვა ჩვენც მოვახერხეთ.

უკან დაბრუნებულს სპარსეთის გენერალური კონსული მესტუმრა და საკმაო ხანს ვისაუბრეთ.

მეშინია, აქაური წვრილმანებით თავი არ მოგაბეზრო, მაგრამ შენთვის ამბების მოყოლის სიამოვნებას ვერ ველევი.

თუ შეძლებ, ქართული კოლექციიდან (კარადის ქვედა ორი თარო) შემდეგი წიგნების ორ-ორი ეგზემპლარი გადააწევი:

”ვეფხისტყაოსანი”,

”ვისრამიანი”,

”წმინდა ნინოს ცხოვრება”,  
”განდეგილი”,  
გიორგი V-ის კანონები,  
წმინდა ჯეიმსის ლიტურგია,  
ინგლისურ-სვანური ლექსიკონი.

წიგნები კარგად შეფუთე, შეკარი და ასეთი წარწერით გამომიგზავნე:  
”ო. უორდროპისათვის დაუზიანებლად გადასაცემად. შუა აღმოსავლეთის  
დეპარტამენტი, საგარეო ურთიერთობათა ოფისი.“

წიგნები აქაურმა ბიბლიოთეკებმა მიხოვეს. როგორც ჩანს, ”ვისრამი-  
ანის” არც ერთი ეგზემპლარი, რომელიც 1914 წელს გამოვავგზავნე, აქამდე  
არ ჩამოსულა.

## **ორშაბათი, აღრიანი შუაღლე. 22 სექტემბერი.**

ამანათი სადაცაა გამოიგზავნება. ყველაფერი რიგზეა. უდიდესი სიყ-  
ვარულით,  
ო.უ.

## **ტფილისი. 29. 9. 19.**

ჩემო უძვირფასესო მეუღლე,

გუშინაც მოგწერე, მაგრამ დღეს ისევ შევუდექი შენთან გამოსავგზავნი  
წერილის წერას იმ იმედით, რომ შენამდე დროულად ჩამოაღწევს და ჩვენი  
ქორწინების იუბილეს აღსანიშნავად ჩემს სიყვარულს ჩამოიტანს, ჩამოი-  
ტანს მადლიერებას, რომელსაც შენდამი განვიცდი უბედნიერესი შვიდი  
წლის გამო და ყველაზე გულწრფელ იმედს, რომ წინ კიდევ მრავალი ბედ-  
ნიერი დღე გველის, ჩვენს უსაყვარლეს შვილებთან ერთად, რომლებიც შენ  
მაჩუქე.

ხვალ ბიჭები სწავლას იწყებენ. ფიქრით თქვენს გვერდით მიგულებთ.  
იმედი მაქვს, სიბეჯითეს გამოიჩინენ და თავიანთი შრომით კაცობრიობას  
გაუწევენ სამსახურს.

შინ ახლახანს დავბრუნდით. მანქანით გავედით და სიონის საკათედრო  
ტაძარი მოვინახულეთ, სადაც წმინდა ნინოს ვაზის ტოტებისგან შეკრული  
ჯვარი და სხვა რელიკვიები ვნახეთ. ტაძარი მართლაც ლამაზია.

სექტემბერი უკვე იწურება, მაგრამ მაინც ძალიან ცხელა. ვშიშობ, აქა-  
ური ამინდი ძნელად ასატანი იქნებოდა შენთვის. დილის 8 საათზეც კი მზე  
აცხუნებს და სეირნობიდან გაოფლიანებულები ვბრუნდებით.

სამსახურში საკმაოდ ბევრი სამუშაოა. ყოველდღე უამრავ ტელეგრამას  
ვიღებთ და ვგზავნით. საკანცელარიო საქმეს ჩემი კაბინეტის გვერდითა  
ოთახში აკეთებენ. გრანდის და უეითს ლამის ათ საათამდე უწევთ იქ მუშაო-  
ბა.

ჩემი ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. თავის ტკივილებს  
ნაკლებად ვუჩივი. ვცდილობ, ყველაფერს მარტივად შევხედო.

## 24 სექტემბერი. საღამოს 9 საათი.

საკმაოდ დატვირთული დღე მქონდა. საღამო ხანს, ვახშამდე, მანქანით ვიმგზავრეთ. მომეჩვენა, რომ გადაჭარბებული სიჩქარით ვმოძრაობდით.

დღეს ყველაფერი მოვანესრიგე ბაქოში წასასვლელად. შაბათს გავემგზავრები და უკან, სავარაუდოდ, მომდევნო ხუთშაბათს ან პარასკევს დავბრუნდები. შემდეგ კი რამდენიმე დღეში ერევანში მომიწევს წასვლა.

ხვალ ფოსტას ბათუმში ვგზავნით. ამ წერილსაც გამოვაცოლებ.

გენერალი კორი შუადღისას ბათუმიდან კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. ამით დამთავრდა ჩვენი არმიის საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში, თუმცა გენერალი კუკ-კოლისი ჯერ კიდევ აქ არის და ბათუმში ჩვენი ერთი გარნიზონიც დგას.

მაინტერესებს, ბიჭები როგორ არიან სკოლაში გატარებული პირველი დღის შემდეგ. გაიხარეს?

მინდა დიდი მადლობა გადაგიხადო 30 აგვისტოსა და 1 სექტემბრის წერილისთვის, რომელიც დღეს ჩამოვიდა. ვნუხვარ, რომ გადაიღალე და იმედი მაქვს, სანოლში გატარებულმა დღემ შენს ჯანმრთელობაზე კარგად იმოქმედა.

არ მესმის, რატომ დასჭირდა ამდენი ხანი ტელეგრამის კონსტანტინოპოლიდან შენამდე მოღწევას.

ვინიზე ნუ იდარდებ. მალე ისევ ისე იქნება, როგორც აქამდე იყო, ან სულაც, უკეთესად.

ჩემი აქაური ცხოვრება ძალიან საინტერესოა და უნდა ვაღიარო, რომ ბევრი მიზეზის გამო, მე ის მომწონს. რა თქმა უნდა, გარკვეული რისკები არსებობს, მაგრამ მომწონს ხიფათით ან უფრო მეტიც, საშიშროებით აღსავსე ცხოვრება, მით უმეტეს აქ - ჩემთვის ახლობელ გარემოში. მეჩვენება, რომ ყველაფერი ერთმანეთს ებმის, ემატება და ისეთ შესაძლებლობებს მაცდევს, რომლებზეც ვერც კი ვიოცნებებდი. არაჩვეულებრივი, მეგობრული განწყობით ვარ გარშემორტყმული, რაც ძალიან სასიამოვნოა.

უეითი ბაქოში ჩემთან ერთად მოდის. მგონი, საკმაოდ შთამბეჭდავი და განსხვავებული თანამშრომლები მეყოლება.

რადგან ბაქოზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთ ანექდოტურ ამბავს მოგიყვები. ერთი უცხოელი, მაღალი თანამდებობის პირი, ხალიჩის საყიდლად წავიდა. შეარჩია თავისი გემოვნებით და ფასი იკითხა. ვაჭარმა ხალიჩა 50 000 დააფასა, რაც საკმაოდ გადაჭარბებული ფასია. მყიდველი გაბრაზდა და შეტყობინება აფრინა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომელმაც მყისვე გამოაგზავნა ექვსი ჯარისკაცი. ჯარისკაცებმა ვაჭარი იქამდე სცემეს, სანამ მან შეწყალება არ ითხოვა და ფასი 5 000-მდე არ დასწია. შემოხსენებული პატივსაცემი პერსონა მიხვდა, რომ ამჯერად მცირე თანხა მოსთხოვეს და საბოლოოდ, 10 000 გადაიხადა. აბა, რას იტყვი? მგონი, ბაქოში ხალიჩების ყიდვა არ ღირს. შესაძლოა, ინციდენტმა, რომელიც მოგიყვები, უსამართლო სარგებელი მომცეს.

ყოველთვის დიდი სიყვარულით მოიკითხე ჩემგან დედაშენი და კამილა, მაშინაც, როცა ამის მოწერა დამავინწყდება. ხომ იცი, მუდმივად გადარბენაზე ვარ და წერილებიც ნაჩქარევადაა დაწერილი.

## ხუთშაბათი, 25 სექტემბერი.

ახლახანს ვისაუზმეთ. კოკისპირულად წვიმს. როგორც კი სეირნობიდან დავბრუნდით, მაშინვე დაუშვა. კარგი იქნება, თუ გულიანად იწვიმებს, რადგან ბოლო დროს წყლის პრობლემამ ძალიან შეგვანუხა.

სფრინგ რაისის<sup>23</sup> შესახებ სტატია ძალიან საინტერესო იყო. მაღლობელი ვარ, რომ გამომიგზავნე.

გუშინ „თაიმის“ რამდენიმე ნომერი მათხოვეს. სამწუხაროა, რომ ყველაფერი, რასაც კავკასიაზე წერენ, სიმართლისგან შორს დგას. პარლამენტში დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხებიც კი მცდარ წარმოდგენას ქმნის მიმდინარე პროცესების შესახებ.

## შუადღის 3 საათი.

წვიმა მალევე შეწყდა და რამდენიმე საათს მზე ანათებდა, თუმცა მერე ისევ მოიღრუბლა.

ვერც კი წარმოიდგენ, რამდენ რამეზე მიწვევს ფიქრი და რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩემს ფიქრებს სწორი მიმართულება მივცე. არ ვდარდობ, არც მეშინია, რადგან კარგად ვიცი, რომ მხოლოდ საუკეთესო განზრახვა მამოძრავებს და ასევე დარწმუნებული ვარ, რომ რაც უნდა მოხდეს, შენ მაინც გეყვარები.

ფოსტის გამოგზავნის დროა, ამიტომ წერა უნდა შევწყვიტო. ჩემი დიდი სიყვარული უძვირფასეს მეუღლესა და შვილებს.

ვეცდები ნინოს და ენდის დაბადების დღეების მისალოცად ტელეგრაფით ვისარგებლო.

მარად შენი,

ო. უორდროპი

---

<sup>23</sup>აქ უორდროპი შეიძლება გულისხმობდეს 1913-1918 წლებში ამერიკაში ბრიტანეთის ელჩს, სესილ სფრინგ რაისს, რომელსაც ჯერ როგორც ოქსფორდის ბალიოლის კურსდამთავრებულის რანგში იცნობდა, ხოლო შემდეგ 1890-იან წლებში ისინი ერთად მუშაობდნენ სანკტ-პეტერბურგში, ბრიტანეთის საელჩოში.



## **მატარებელი.**

**28. 9. 19.**

**კვირა, დილის 8. 30.**

ჩემო უსაყვარლესო მეუღლე,

აი, ვზივარ ყოფილ საიმპერატორო მატარებელში და ბაქოსკენ მივემართები. ჩემთან ერთად არიან უეითი, ფარის-ბეი (აზერბაიჯანის წარმომადგენელი საქართველოში), ალშიბაია (საქართველოს წარმომადგენელი აზერბაიჯანში) და სამხედრო და სამოქალაქო პირების მთელი ამალა. იმედი გვაქვს, შუადღისთვის ჩავალთ. ჩემი კალიგრაფიითაც მიხვდები, რომ მატარებელი ნამდვილად არაა საუკეთესო ადგილი წერისთვის. ვშიშობ, ასობის გარჩევა გაგიჭირდება.

გუშინ საღამოს, სანამ 8 საათი დადგებოდა და გამოვემგზავრებოდი, სადგურის მოსაცდელში ჩემს გასაცილებლად სამხედრო და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები მოვიდნენ. იქვე იყო ლამბაშიძე და გრანდიც, რომელიც ტფილისში რჩება. იმედი მაქვს, მომავალ ხუთშაბათს უკან დავბრუნდები.

თავს მხნედ და ბედნიერად ვგრძნობ. განთიადამდე გამელვია და 7 საათზე უკვე ჩაცმული ვიყავი. კაკასიონის დათოვლილი მწვერვალების ცქერით დავტკბი, ქვეყანას თვალი შევავლე. აქ ბევრი ნიშანია იმ დამანგრეველი ქმედებისა, რაც რუსეთის არმიამ გასვლისას ჩაიდინა.

შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ გულით მუდამ შენთან ვარ და ყოველ წამს ვფიქრობ, როგორ ხარ და რას აკეთებ.

ჯერ კიდევ ძალიან ცხელა და ცაც ძალიან იშვიათად კარგავს ლურჯ ფერს.

## **ორშაბათი, დილის 6 საათი.**

**29 სექტემბერი.**

ბაქოში გუშინ, შუადღის 3 საათზე ჩამოვედი. მგზავრობას ჩემს მიერ გათვლილ დროზე ხუთი საათით მეტი დასჭირდა.

სადგურზე ოფიციალური პირები დამხვდნენ, მათ შორის, საგარეო საქმეთა მინისტრი ჯაფაროვი, შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე გენერალი აგაბეკოვი, გუბერნატორი, ქალაქის მერი და სხვები. აზერბაიჯანის პრემიერის ფონზე ჩემს დასახვედრად მოყვანილი საპატიო ყარაულიც მოვინახულე. ჩემს საპატივცემულოდ მთელი ქალაქი დროშებით მოურთავთ. მე ცერემონიემისტერ თაჰიროვთან ერთად გავემგზავრე მანქანით ასაკოვანი ბატონის, თავირევის სახლში, რომელიც მთავრობამ მასპინძლად მომიჩინა. ის 87 წლისაა. ოდესღაც ქვისმთელი იყო, შემდეგ კი ნავთობმა ბაქოს უმდიდრეს ადამიანად აქცია. საკუთარი სახელის დაწერაც კი უჭირს, თუმცა, გულუხვად აფინანსებს გოგონებისთვის განკუთვნილ სკოლებს და სხვა საგანმანათლებლო თუ საქველმოქმედო დაწესებულებებს.

20 წლის წინ აშენებულ მის დიდებულ სახლს უფრო სასახლედ მოიხ-

სენიებენ. ოთახები ბრწყინვალედაა გაფორმებული. კედლებს შესანიშნავი ნახატები ამშვენებს (მათ შორისაა აივაზოვსკის „კონსტანტინოპოლი“, საკმაოდ მოზრდილი ტილო, რომლითაც ჩემი მასპინძელი ძალიან ამაყობს, საგანგებოდაა განათებული ზემოთ დამაგრებული ლამპებით). ჩემი საძინებელი, დაახლოებით, ოცი ნაბიჯის სიგრძისაა.

სადილის შემდეგ პრემიერ-მინისტრისაკენ გავემართე საპასუხო ვიზიტით. ალბათ, გახსოვს, ტფილისში რომ შემომიარა. დიდხანს ვისაუბრეთ მის ღარიბულ, ნაქირავებ ბინაში.

სახლში რომ დავბრუნდი და ჩაის სმას შევუდექი, უსუბეკოვმა ერთი საათით გამომიარა. ის ძალზე კულტურული ადამიანია, გახსნილი გონებით, ლიბერალური იდეებით, დახვეწილი მანერებით და საინტერესო, მახვილგონივრული საუბრით.

დაახლოებით ათის ნახევრისთვის უკვე დასაწოლად ვემზადებოდი, მაგრამ გამომიარეს და კლუბში წამიყვანეს. კლუბი ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა ყველა კლუბს შორის, სადაც კი ოდესმე ვყოფილვარ. საშუალება მომეცა, სუფთა ჰაერზე ვმჯდარიყავი, სიმფონიური მუსიკისთვის მომესმინა, ჯაფაროვთან და აგაბეკოვთან მესაუბრა, რომელთაც საინტერესო ისტორიები არ ელევათ რევოლუციისა და ბოლშევიკების ტირანიის თაობაზე. სახლში 11 საათზე მივედი, თავივეთან და თაჭიროვთან ერთად მსუბუქად ვივახშმე და შუალამისას დავიძინე. ამ დილით 5 საათზე გამეღვიძა. წინ გრძელი და რთული დღე მაქვს – ჯერ მენავთობეებს უნდა ვესტუმრო, შემდეგ ოფიციალური ვიზიტები მოვილიო, ბოლოს კი ბანკეტზე მივიდე, სადაც მინისტრებს შევხვდები.

## **ორშაბათი, დღის 2 საათი და 30 წუთი**

სადღაც ნახევარ საათში უზარმაზარ მაგიდას უნდა მივუჯდე და უამრავ ადამიანთან ერთად ვისადილო.

ნასაუზმევს, ქალაქგარეთ მდებარე ბიბიეიბათის ნავთობის საბადოები დავათვალიერე და „შავი ქალაქიც“ ვნახე, ის უბანი, სადაც ნობელისა და სხვათა ქარხნებია.

შემდეგ ოფიციალური შეხვედრების მთელი სერია ჩავატარე. ვესაუბრე საგარეო საქმეთა მინისტრ ჯაფაროვს, რომელიც უაღრესად დახვეწილი ადამიანია და რუსეთის სახელმწიფო დუმაში მუსლიმთა ერთ-ერთი ლიდერი იყო.

## 28. 9. 19.

### საგზაბათი. დღის 6 საათი.

თუ მოკლე მანძილზე გასეირნებას არ ჩავთვლით, საიდანაც ახლახანს დავბრუნდი, შეიძლება ითქვას, რომ მთელი დღე სახლში გავატარე. ერთ-მანეთის მიყოლებით რამდენიმე შეხვედრა მქონდა. ძალიან რთულია, დიდხანს გქონდეს გონება დაძაბული, მით უმეტეს ასეთ სიცხეში.

შესვენების დროს წინა ნაწერებს გადავხედე და როგორც ვხვდები, შენთვის არ მითქვამს, რომ გუშინ 4 საათზე ადრიანი ვახშამი მქონდა აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, კომუნიკაციების მინისტრთან და თავდაცვის მინისტრის თანაშემწესთან ერთად. შემდეგ კი პრემიერ-მინისტრს პირისპირ ვესაუბრე.

წუხელ 10 საათზე დავიძინე და დღის 7 საათამდე საწოლიდან ფეხი ვერ მოვიცვალე.

ამ საღამოს ოფიციალური ვახშამი იმართება, სადაც ორმოცდაათამდე სტუმარი იქნება და საშუალება მომეცემა, ყველა მინისტრს შევხვდე. ღამის 11 საათზე საგანგებო მატარებლით ვბრუნდები ტფილისში. იმედი მაქვს, საღამოს 8 ან 9 საათისთვის უკვე ტფილისში ვიქნები, მანამდე კი შუადღისას რამდენიმე საათს ელიზავეტპოლში გავატარებ.

### 2 ოქტომბერი. დღის 12 საათი და 30 წუთი.

ფოსტა რამდენი წუთში გამოიგზავნება, ამიტომ უნდა ვიჩქარო. ვახშამმა დიდი წარმატებით ჩაიარა. პრემიერმა, პარლამენტის თავმჯდომარემ და ნაციონალისტური პარტიის ლიდერებმა ჩემს საპატივცემულოდ სიტყვები წარმოთქვეს. მარმარილოს აივანზე, სუფთა ჰაერზე ვისხედით, ქალაქისა და ზღვის ხედებს გადავყურებდით. საღამოს მუსიკალურად აფორმებდნენ აღმოსავლური სამხედრო და ევროპული ორკესტრები, შესაბამისად, სიმფონიური მუსიკაც შესრულდა. მე პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის ვიჯექი, წინ კი საგარეო საქმეთა მინისტრი და იუსტიციის მინისტრი მესხდნენ (ეს უკანასკნელი, სხვათაშორის, სოციალისტია). ყველა უმაღლესი თანამდებობის პირი იქ იყო. შუაღამისას სადგურში ერთად გამაცილეს, იქაურობა დროშებითა და ათასგვარი ორნამენტებით იყო მორთული. მანქანით ასე სწრაფად მანამდე არასოდეს მივლია. ჩემთან გამოსამშვიდობებლად ჩემი მოხუცი მაპინძელი, ჰაჯი თავიევიც მოვიდა.

განჯაში (ელიზავეტპოლში) გუშინ, დაახლოებით, ათი საათისთვის ჩავედით და სამის ნახევრამდე დავრჩით. სადგურზე, რომელიც აქაც საგულდაგულოდ მოერთოთ, გენერალ-გუბერნატორი და სხვა ოფიციალური პირები დამხვდნენ. რამდენიმე მილი მანქანით გავიარეთ და ქალაქი დავათვალიერეთ, გვერდით კი ცხენოსანი ესკორტი მოგვყვებოდა ჭენებით. მეჩეთში, სომხურ ეკლესიასა და ქალაქის საკრებულოს შენობაში მისასალმებელი სიტყვით შემეგებნენ. შემდეგ კლუბში ვივახშმეთ, სადაც თანამდებობის პირები მოვიდნენ. ეს მიუხედავად იმისა, რომ ახლა მუსლიმური

დღესასწაულის, მუზარამის პერიოდია და ყოველგვარი ზეიმი იკრძალება. დამარწმუნეს, რომ ჩემი სტუმრობა ისტორიული მოვლენაა.

შუადღისას ნამდვილი შტორმი დაიწყო ჭექა-ქუხილით, ელვითა და სეტყვით, მაგრამ სადღაც, საღამოს 8 საათისთვის მაინც მშვიდობანად ჩავალწიე ტფილისში და აღმოვჩნდი საზეიმოდ მორთულ სადგურში, სადაც უამრავი ადამიანი დამხვდა, მათ შორის პრინცი ნაპოლეონ მიურატი, თავადი მ. ორბელიანი (რომელიც თავდაცვის სამინისტრომ მომამაგრა) და სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები.

კარგად გამოვიძინე და ჩვეულებისამებრ საუზმობამდე ვისეირნე. თავს კარგად ვგრძნობ, თუმცა საკმაოდ დაკავებული ვარ.

მოკითხვა დედაშენს, კამილას და ყველა მეგობარს.

ჩემი დიდი სიყვარული შენ, ჯეიმის, ენდის და ნინოს.

თხუთმეტი რიცხვი მემახსოვრება და ვეცდები, ტელეგრამა გამოგიგზავნო.

მარად შენი,

ო. უორდროპი

## **ტფილისი. 5 ოქტომბერი. 1919.**

ჩემო უძვირფასესო,

21 ოქტომბერს გამოგიგზავნე გრძელი წერილი ბაქოში ვიზიტის შესახებ და სამი ღია ბარათი ბავშვებისთვის. 2 სექტემბრის შემდეგ შენგან არაფერი მსმენია, არადა ახალ ამბებს ყოველდღე ველოდები.

ბოლო ხანებში საკმაოდ აგრილდა. რამდენიმე დღე გადაბმულად წვიმდა. ზამთარი საკმაოდ უეცრად მოდის, როდესაც ასეთი ამინდები იწყება.

ჯანმრთელობის მხრივ საკმაოდ კარგად ვარ და იმედი მაქვს, რომ თავის ტკივილიც გამიქრება.

პარასკევს ჩერქეზოვის<sup>24</sup> ძმისშვილი ივან ჩერქეზოვი, მისი მეუღლე ელენა (ვანო და ტასო მაჩაბლების ქალიშვილი) და მათი ოთხი თვის ბიჭუნა – მიშა მოვიინახულე. მიშა ძალიან მხიარული და აქტიური, თუმცა საკმაოდ გამხდარი და გალუული ბავშვია. ნიკო, ელენას ძმა, იქვე, მათ სახლში მდებარე სურსათის მაღაზიას უძღვება, რომელიც ჩერქეზოვების წყვილს ეკუთვნოდა. ადრე, სანამ ბრიტანული საჯარისო ნაწილები აქ იყვნენ, ნიკოს საკუთარი კაფეს მსგავსი ადგილი ჰქონდა ბალში - „მყუდრო კუთხე“. მე ვფიქრობ, რომ მისი ეს საქმიანობა საკმაოდ შეუფერებელია საუნივერსიტეტო განათლების მქონე ძლიერი, ახალგაზრდა კაცისთვის.

გუშინ ჩემმა ძველმა მეგობარმა ვასილი კარბელაშვილმა შემომიარა და ეკლესიის ამბები მომიყვა. როგორც ჩანს, მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ის მეცნიერი და საეკლესიო მუსიკის მკვლევარია და გამოქვეყნებული აქვს უძველესი ხელნაწერები, რომლებიც მის ოჯახში საუკუნეების მანძილზე

---

<sup>24</sup>ვარლამ ჩერქეზიშვილი

ინახებოდა.

გუშინ ღამით მე და გრანდი საოპერო სეზონის გახსნაზე წავედით და ქართული ხალხური ზღაპრის მიხედვით შექმნილი საოპერო წარმოდგენა „აბესალომ და ეთერი“ ვნახეთ, რომელიც ძველ ქართულ ხალხურ ზღაპარზეა დაფუძნებული. მუსიკა თავისი ხასიათითა და ჟღერადობით თავიდან ბოლომდე ქართულია, მეორე ნაწილში კი, სადაც ქორწილისა და მეფედ კურთხევის სცენებია, ქართული ცეკვებიც მრავლად გვხვდება. დარბაზი სავსე იყო, ჩვენ კი დიპლომატების ლოჯაში ვისხედით, სადაც ხელისუფლებამ საუკეთესო ადგილი დამითმო მთელი სეზონის ანუ თხუთმეტი წარმოდგენის განმავლობაში. „აბესალომ და ეთერი“ ამბავია გლეხის გოგოს შესახებ, რომელიც დედოფალი ხდება. მისი სიყვარულის ისტორია ტრაგიკულად, ორივე მთავარი გმირის სიკვდილით მთავრდება. მოქმედებებს შორის შესვენებები საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა, ამიტომ ლოჯის მეზობელ ოთახში უამრავი ხალხი მოვიდა ჩემს მოსანახულებლად, მათ შორის ორკესტრის წარმომადგენლებიც. ელემენტარული პირობებისა და საჭირო ნივთების უქონლობის გამო, როგორცაა შესაფერისი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და გრიმი, დადგმა ისეთი არ გამოვიდა, როგორც სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა გამოსულიყო, თუმცა წარმოდგენის მაღალმა ხარისხმა ყველა ამ ნაკლოვანებას გადააჭარბა და ყველა ძალიან კმაყოფილი დარჩა.

ამჟამად მთავარი მოვლენა ამერიკული არმიის შტაბის უფროსის, გენერალ ჰარბორდის ხანმოკლე ვიზიტია. ის პრეზიდენტ უილსონის დავალებით ჩამოდის, რომ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიში მოამზადოს. ის უმაღლესი რანგის პიროვნებაა და ვფიქრობ, რომ მისი ვიზიტი შედეგიანი იქნება. ჩვენ ერთმანეთს პარიზში შევხვდით, როცა მე საქართველოსკენ მომავალ გზას ვადექი. გუშინ გენერალი ჰარბორდი ბაქოში გაემგზავრა, მაგრამ ხვალ ბრუნდება და აპირებს შემხვდეს, სანამ ბათუმსა და, ზოგადად, დასავლეთში გაემგზავრება. მოუთმენლად ველი მისი შთაბეჭდილებებისა და მოსაზრებების მოსმენას. სავარაუდოდ, ათში ღამეაშიც გამოემგზავრება ლონდონში და ცოლ-ქმარი ხომტარიებიც გამოჰყვებიან. აუცილებლად მოგინახულებენ და ჩემს ამბებს გადმოგცემენ. შენი და ტომის მისამართი უკვე მივეცი.

## **ორშაბათი. 6 ოქტომბერი.**

გუშინ ჩვენთან ერთად მელიქოვებმა, გენერალმა ნიუქომბმა და პოლკოვნიკმა სტოქსმა ისადილეს. კნეინა მელიქოვმა მითხრა, რომ წილად მერგო პატივი, გავხდე სრულიად განსაკუთრებული, ბრწყინვალე კლუბის წევრი, რომელიც აქაურმა მხატვრებმა, მუსიკოსებმა და ლიტერატორებმა ჩამოაყალიბეს. არც კი ვიცი, რატომ დამაფასეს ასე. ჯერ ისიც კი ვერ მოვახერხე, ყველა იმ კლუბში მივსულიყავი, რომლის საპატიო წევრიც უკვე ვარ. როგორც იქნა, აგრილდა და მოიღრუბლა. როგორც ჩანს, წინ წვიმების

სეზონი გველის, თუმცა ეს, ალბათ, ვერ გადაჭრის წყლის პრობლემას, რომელიც გამუდმებით გვანუხებს და უკვე ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

გენერალი ჰარბორდი შემხვდა და თავისი მოსაზრებები გამიზიარა. ვფიქრობ, მისი მოკლე მოგზაურობა სამხრეთ კავკასიაში შედეგიანი აღმოჩნდა და პოლიტიკური ვითარების დალაგებასაც შეუწყობს ხელს.

მან სურვილი გამოხატა, შეხვედროდა ქართველ ქალებს, რომელთა მოსაზრებები პრეზიდენტ უილსონისთვისაც საინტერესო იქნებოდა. შესაბამისად, დღეს, 12 საათზე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ქალბატონ ხოშტარიას 5 საათზე ქალების შეკრება და საორგანიზაციო საკითხების მოგვარება სთხოვა. მან შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და “ენ გრანგე ტოილეტტი“-ში სამოცდაათ სტუმარზე გათვლილი ბრწყინვალე მიღება გამართა. მიღებაზე იმღერეს ოპერის ნამყვანმა ტენორმა სარაჯიევმა<sup>25</sup> და მოყვარულმა სოპრანომ, ქართველი გენერლის ქალიშვილმა. სიმღერები ქართულ, ფრანგულ, იტალიურ და რუსულ ენებზე შესრულდა. მიჭირს ვთქვა, რომ მიღებაზე ყველა ულამაზესმა ქართველმა ქალმა მოიყარა თავი, ან სხვაგვარად რომ გამოცეცე, ყველა ქალი, რომელიც მოიწვიეს, ულამაზესი იყო, მაგრამ წვეულება შესანიშნავი გამოვიდა. დარწმუნებული ვარ, ვერც ერთ სხვა ქვეყანაში ვერ შეძლებდნენ ასეთი ლხინის რამდენიმე საათში მოწყობას.

გრანდი და უეითი ოპერაში „ევეგენი ონეგინის“ სანახავად წავიდნენ. მე წყნარი საღამო მაქვს - ვკითხულობ და ხელს ვანერ გზავნილებს. ამავდროულად, ხვალისთვის საჭირო წერილებს ვამზადებ.

თავს მშვენივრად ვგრძნობ. იმედია, მომავალშიც ასე იქნება.

## **სამზაბათი. 7 ოქტომბერი. 1919.**

### **აღრიანი შუადღე.**

შენმა წერილმა, რომელიც 10 სექტემბერს იწყება და 14 სექტემბერს მთავრდება, ახლახანს მოაღწია ჩემამდე. მგონი, ერთი წერილი კიდევ აკლია, რომელიც სავარაუდოდ გზაში დაიკარგა, რადგან ამის წინა წერილმა საგარეო საქმეთა სამინისტროში 2 სექტემბერს მიაღწია,

მიხარია, რომ ყველაფერი კარგად გაქვს და ზოოპარკში შესანიშნავი დღე გაატარე. ამის შესახებ თოზერმა მომწერა.

შენ ვერც კი წარმოიდგენ, რამდენს ვფიქრობ შენზე და რამდენჯერ დავხედავ ხოლმე შენს პორტრეტს მუშობის დროს. სიტყვებით ვერ გამოცეცე, როგორ ველოდები დროს, როცა ისევ ერთად ვიქნებით. აქ ისეთი ვითარებაა, დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ არის იმედი, რომ ნოემბრის ბოლოს. პარიზის კონფერენცია მსოფლიოს ამ ნაწილთან დაკავშირებულ საკითხებსაც გადაწყვეტს.

თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, კვირის ბოლოს სომხეთში

---

<sup>25</sup>ქართული ოპერის ცნობილი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი

გაკვეთილებები ოთხი-ხუთი დღით.

გულთბილი მოკითხვა დედაშენს და კამილას, ასევე აეგოთ მეღბაის, როცა შეეხმებიან.

ჩემი უდიდესი სიყვარული ჯემის, ენდის, ნინოს და განსაკუთრებით, შენ, ჩემს უძვირფასეს მეუღლეს.

ო. უ.

## **ტფილისი. 8 ოქტომბერი. 1919.**

ჩემო უძვირფასესო,

გუშინ მოგწერე.

ალარ მახსოვს, გითხარი თუ არა, რომ კონვერტი, რომელშიც თოზერის წერილი იდო, ვილაცამ გაჭრა, სანამ ჩემამდე მოაღწევდა. თუ აღმოაჩენ, რომ ჩემი წერილები გახსნილია ან რაიმეა შეცვლილი, საგარეო საქმეთა სამინისტროში ჯ. კიდსტონს<sup>26</sup> შეატყობინე და გადაეცი თხოვნა, დაიცვას ჩემი პირადი მიმოწერა უცხო თვალისგან.

გუშინ შუადღისას ილია ჭავჭავაძის და, ღიზა საგინაშვილი მოვინახულე. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე გულისამაჩუყებელი შეხვედრა მათ შორის, რაც აქ მქონია. ის ოთხმოც წელსაა გადაცილებული, თუმცა გარეგნობისა და საუბრის მიხედვით გაცილებით ნაკლებს მისცემ. ღიზა მარტო ცხოვრობს საკმაოდ დიდ სახლში, სადაც მის ძმას ხშირად შეხვედრივარ. ის მშვიდად და მკაფიოდ ლაპარაკობს და მისი ქართულის მოსმენა ერთი სიამოვნებაა. ღიზამ მითხრა, რომ ილიას საფლავთან მივიდა, რომელიც მთაზე, წმინდა დავითის ეკლესიასთანაა და ჩასძახა, რომ ბოლოს და ბოლოს, საქართველო თავისუფალია. დარწმუნებულია, რომ ძმამ მისი ხმა გაიგონა და ახლა ბედნიერია. ჩემს დანახვაზე ცრემლები ჩამოუგორდა, გადამეხვია და მითხრა, რომ რაც ძვირფასი ძმა გარდაიცვალა, მისი ძმა ახლა მე ვარ. მაგიდის ცენტრში, ილიას პორტრეტის სიახლოვეს, მარჯორის სურათიც შევნიშნე. იქვე, კახურ ტანსაცმელში გამონწყობილი ტომის ფოტოცაა. ღიზა თავისი თაობის შესანიშნავი წარმომადგენელია, თაობის, რომელიც უკვე წავიდა. სამწუხაროა, რომ ჩვენი ქართველი მეგობრებიდან ბევრი საკმაოდ მოხუცდა.

ღიზა საგინაშვილისგან წამოსულმა კიდევ ერთ მეგობარს შევურბინე, სოსიკო მერკვილაძეს. მას პატარა მაღაზია აქვს – ნიგნებს ყიდის. ჩემი დანახვით ისიც ძალიან გაბედნიერდა და ბევრი ტკბილი სიტყვა მითხრა. უზომოდ მსიამოვნებს ადამიანების ასეთი თბილი დამოკიდებულება ჩემს მიმართ.

ერევანში გასამგზავრებლად ყველაფერი მზად მქონდა, როცა ტელეგრამით შემატყობინეს, რომ ხანმოკლე, არაოფიციალური ვიზიტით ხმელთაშუა ზღვისპირეთის მთავარსარდალი და კონსტანტინეპოლის უმაღლესი

---

<sup>26</sup>ჯორჯ კიდსტონი – საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის (ამ დეპარტამენტში შედიოდა კავკასიის რეგიონის საკითხებიც) ხელმძღვანელი, ოლივერ უორდროპის უშუალო ზემდგომი.

კომისარი, ადმირალი დე რობეკი უნდა მენვიოს. ჩემი ვარაუდით, მისი საბრძოლო გემი "Iron Duke" უკვე ბათუმისკენ გზას უნდა ადგეს. შესაბამისად, სომხეთში გამგზავრების გადადება მომიხდა, მაგრამ იმედია, მომავალ კვირას მაინც მოვახერხებ ნასვლას. რომ შემეძლოს, სიამოვნებით წავიდოდი დალესტანში და იქ მიმდინარე ბრძოლების შეჩერებას შევეცდებოდი, მაგრამ როგორც ვხვდები, ამჟამად ეს შეუძლებელია.

დღეს მნიშვნელოვანი სტუმრები მივიღე: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი გეგეჭკორი და ყოფილი ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ბამატი. ჩრდილო კავკასიაში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა.

შინ ახლახანს დავბრუნდი. რაც საქართველოში ჩამოვედი, დღეს პირველად ვიყავი დალაქთან. ალექსანდრე დიუმა ჩიოდა, რომ ტფილისში თმის შეჭრა 3 რუსული რუბლი უჯდებოდა, ახლა კი საერთო ფასი შამპუნის ჩათვლით 16 რუბლს აღწევს.

ვერც კი წარმოიდგენ, რამდენად გაუმჯობესდა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 6 საათი მძინავს და მთელ დღეს საკმაოდ დაკავებული ვარ.

მგონი, ლონდონში გამომავალ გაზეთებში ჩემთვის აქ მოწყობილ დახვედრის შესახებაც დაიწერა რაღაც, რადგან საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩემმა ყოფილმა მდივანმა მის ლესლიმ მილოცვა გამომიგზავნა პომპეზური მიღების გამო.

ჩვენი ქორწინების დღეს გამუდმებით ვიფიქრებ შენზე, თუმცა შენ ისედაც ჩემი ფიქრების განუყოფელი ნაწილი ხარ.

## 9 ოქტომბერი. 1919.

რამდენიმე საათის წინ უდიდესი ბედნიერება მენვია შენგან 19 და 21 სექტემბერს გამოგზავნილი წერილების სახით. თუმცა რამდენიმე წერილს, როგორც შენსას, ასევე ტომისას, ჯერ კიდევ არ მოუღწევია ჩემამდე.

იმედი მაქვს, ჯეინმა უკვე გამოგიგზავნა კარგი დამხმარე. სამი შვილის ყოლა დიდ ენერჯიას მოითხოვს მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები უკვე სკოლაში დადიან. ალბათ საქმე თანდათან მოგაკლდება და გვერდით უცხო ქალის ყოლაც აღარ მოგიწევს.

მთელი გულით მებრალებით, როცა წარმოვიდგენ, რომ თქვენთან მალე უნდა აცვიდეს. აქაც საკმაოდ აგრილდა, თუმცა, როცა მზეა და ძირითადად ასეა, სასიამოვნოდ თბილა. ბუხარზე ფიქრი ჯერ არ დაგვიწყია. ბუხარი არც გვაქვს, მხოლოდ ცენტრალურ გათბობაზე ვართ.

სამწუხაროა, რომ ჰაიგეითის სკოლა არ მოგწონთ. არ მეგონა, თუ ასეთი არაკომფორტული აღმოჩნდებოდა.

ვიფიქრე, რომ კარპენტერის წიგნი უნდა მოგწონებოდა. ის ორიგინალური ადამიანია და უიტმენის სტილში წერს. „დემოკრატიისაკენ“ და სხვა ნაშრომები გრონდალს ძალიან მოსწონს. მან რამდენიმე წელი მუშაობაში გაატარა მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთში, უნივერსიტეტში, ლექციების



კითხვას თავი დაანება. თავადაც მიხვდები, რომ საზოგადოებრივ მოწყობასთან დაკავშირებით საკმაოდ რადიკალური იდეები ანუხებს, რაც პროგრესულად აღიარებული ადამიანების პატივისცემას იწვევს.

იმედი მაქვს, ჯეიმი და ენდი სწავლით ტკბებიან და ცოდნას იღებენ. ნუ ინერვიულებ იმის გამო, რომ ჯეიმი დაუსრულებლად სვამს კითხვებს. უბრალოდ, პერიოდი აქვს ასეთი. მის ასაკში ადამიანური ცნობისმოყვარეობა და მისაღები ახსნის ძიება სავსებით ბუნებრივია.

შენმა წერილმა სულზე მომისწრო, ზუსტად ჩემს დაბადების დღეზე ჩამოვიდა. ხვალ ალბათ დრო აღარ მექნება ასეთი ფიქრებისთვის, მაგრამ დღეს მინდა, შენი ჯანმრთელობის სადღეგრძელო შევსვა და გულითა და გონებით შენს გვერდით ვიყო, ისევე როგორც შენ ხარ ჩემთან.

ბევრი ნერვიულობისა და დამღლევი სამუშაოს მიუხედავად, ბედნიერი ადამიანი ვარ. ცხოვრებაში ბევრი ბედნიერი დღე მქონია. ალბათ ადრე ვერც კი ვიოცნებებდი იმ სრულიად განსაკუთრებულ სიხარულზე, რომელიც ბოლო შვიდი წლის განმავლობაში შენ და ბავშვებმა მომიტანეთ. ოჯახის გარეთ ჩემს ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება კავკასიაში ჩამოსვლა ჩაითვალოს იმ დროს, როდესაც ჩემი უამბიციობის მიუხედავად მსოფლიო ისტორიის შექმნაში ვეხმარები იმ ხალხს, ვისი დიდი სიყვარულიც ხშირად უხერხულ მდგომარეობაში მაგდებს. სწორი მიმართულებით ვმუშაობ და ოცდაათწლიანი შრომის შედეგებს ვიძიკი.

ალბათ ხვდები, რომ მტერიც ბევრი მყავს, რომელთა არსებობაც საყურადღებოა, მაგრამ ამაზე ნუ იღარდებ და ყურადღებას ნუ მიაქცევ, რადგან თანახმა ვარ ჩემი პირადი უსაფრთხოება სხვის ხელში დავტოვო. ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს, უკეთესობისკენ იქნება და ისეთი არაფერი დამემართება, რაც უზენაესისგან არ მიწერია.

ჩემი ოთახი მზის შუქითაა სავსე, აივნის კარი ფართოდაა ღია, ჩიტები გალობენ, მაგრამ მე მაინც მუშაობა უნდა განვაგრძო. დიდი მადლობა საჩუქრისთვის, ჩემო უძვირფასესო.

## 10 ოქტომბერი. 1919.

დილა მშვიდობისა, ძვირფასო!

მინდა ჩემი დაბადების დღე შენით დავინყო და უღევი სიყვარული გიძლვნა შენ, ჩემს უსაყვარლეს მეუღლეს, რომელიც, ვიცი, ყოველ წამს ჩემზე ფიქრში გაატარებს. სასიამოვნო დილაა, მზე ანათებს და თბილი ნიავი უბერავს. თავს ბედნიერად ვგრძნობ. არც კი ვიცი, თუ ოდესმე გამთენებია უფრო მშვენიერი დაბადების დღე. ჯერ მხოლოდ შვიდი საათია, მე კი მოწესრიგებული და ჩაცმული ვზივარ ყავის მოლოდინში, რომ სადგურისკენ გავემართო ადმირალ დე რობეკის დასახვედრად. წინ ძალიან დატვირთული დღე მელის, ამიტომ არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა მოწერას. ალბათ ამ წერილს ამაღამ გავგზავნი ბათუმში.

## 11 ოქტომბერი.

აუცილებლად უნდა მოგიყვე, როგორ გავატარე ჩემი ორმოცდამეხუთმეტე დაბადების დღე.

მიუხედავად ჩემი თხოვნისა, ადმირალ დე რობეკის ვიზიტისთვის ოფიციალური სახე არ მიეცათ, ქართველებმა მაინც გამოგზავნეს საპატიო ყარაული მის დასახვედრად. ის 10 საათზე ჩამოვიდა, ჩემს ბინაში მოვედით და რამდენიმე საათი ლაპარაკში გავატარეთ. დელიკატური, თავაზიანი და უბრალო ადამიანია. შეიძლება იცი კიდევაც, რომ დარდანელის ექსპედიციას ხელმძღვანელობდა და ამისთვის პარლამენტის მადლობა, ბარონის ნოდება და 30 000 ფუნტი აქვს მიღებული ჯილდოდ. ველინგტონის ჰერცოგის მსგავსად რომაული ცხვირი აქვს. მითხრა, რომ მისი წინაპარი შვედი თავგადასავლების მაძიებელი, სახელად ფოკი იყო, რომელიც ამერიკელების მხარეს იბრძოდა, შემდეგ ირლანდიაში დასახლდა, დაქორწინდა და გვარი „დე რობეკი“ იმ ადგილის გამო შეარჩია, სადაც ცხოვრობდა. დაახლოებით 1 საათსა და 30 წუთზე თორმეტკაციანი სადილი გველოდა. სადილს ვესწრებოდით: ადმირალი და მისი სამი ოფიცერი (ბოულბი, ლუკი<sup>27</sup> და ბირკეტი, რომელთაგანაც უკანასკნელი ორი ჩვენს რეგიონში ორი კვირით აპირებს დარჩენას), უეითი, გრანდი და მე, ორბელიანი და მელიქოვი (როგორც ჩემი თანამშრომლები), ლამბაშიძე, ნაპოლეონ მიურატი და ჯაფარიძე (მეკავშირე ოფიცრები). როგორც მივხვდი, სტუმრებმა სადილით ძალიან ისიამოვნეს.

სამ საათზე დავიძარი და ოფიცერთა ახალი საწვრთნელი სკოლა დავათვალიერეთ ქალაქ მცხეთაში, რომელიც 50 წუთის სავალზეა ტფილისიდან. საკათედრო ტაძარში დაგვხვდნენ ინგლისურად მოლაპარაკე მღვდელი კაპანაძე, რომელმაც იქაურობა დაგვათვალიერებინა და ტაძრის მცველი, ქართველი პოეტი და ოფიცერი ენუქიძე, რომელმაც ველური ყვავილების თაიგული გადმომცა და გულისამაჩუყებელი სიტყვა წარმოთქვა მარჯორისა და ჩემს შესახებ.

საკათედრო ტაძარი ძალიან საინტერესო ნაგებობაა, რომელიც ბალახით დაფარულ მინდორზე დგას და ძველი ქონგურებითა და მალალი კედლებითაა გარშემორტყმული. შენობის შიგნით უძველესი ქართული ფრესკები, ქართველ მეფეთა სამარხები (დიდებული ირაკლის ჩათვლით), სამეფო ტახტი, ქვის გალავნით შემოსაზღვრული წმინდა სვეტი, იერუსალიმთან ახლომდებარე წმინდა იოანეს სახელობის ქართული მონასტრის მცირე მაკეტი ვნახეთ. საკათედრო ტაძრიდან სამთავროს მონასტერში წავედით, რომელიც მისმა წინამძღოლმა, გვარად ბარათოვამ (ქალიშვილობის გვარი ციციანოვა) დაგვათვალიერებინა. ის მონაზვნად მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 18 წლის წინ აღიკვეცა და ახლა ორმოცდაათამდე მონაზონსა და ობოლთა პატარა თავშესაფარს ხელმძღვანელობს. თბილი, უბრალო, სახეგაღებული, მომცრო ტანის მოხუცი ქალია. მოვინახულეთ ადგილი, სადაც მეფე მირიანი და მისი ოჯახის წევრები მოინათლნენ და სენაკი, სადაც წინო ცხოვრობდა. შენობები მშვენივრად გამწვანებულ ადგილასაა განლაგებუ-

<sup>27</sup> სერ ჰარი ლუკი - უორდროპის კავკასიიდან წასვლის შემდეგ 1920 წლის აპრილ-სექტემბერში იკავებდა მის ადგილს.

ლი და გარშემო კედლები აკრავს. სადილად იქვე, სუფთა ჰაერზე მიგვიწვიეს.

უკანა გზაზე ელვა და წვიმა წამოგვეწია, მაგრამ მანქანის სახურავმა გვიშველა.

8 საათზე ვივასშმეთ. ვახშამს ჩვენთან ერთად ესწრებოდნენ: გეგეჭკორი (საგარეო საქმეთა მინისტრი), რამიშვილი (თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრი), გედევანოვი (გენშტაბის ხელმძღვანელი და თავდაცვის მინისტრის თანაშემწე). ყველა საკმაოდ უშუალოდ იქცეოდა.

ადმირალი, რომელიც ათ საათზე თავის პუნჯაბელ მცველებთან ერთად წავიდა, ერთად გავაცვილეთ. წასვლამდე გვითხრა, რომ ვიზიტით ძალიან ნასიამოვნები დარჩა. ვიგრძენი, რომ როცა ამას ამბობდა, გულწრფელი იყო. მიხარია, რომ მისი გაცნობის საშუალება მომეცა. ერთად ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთებას შევძლებთ.

ჩემი უახლოესი გეგმა ერევანში გამგზავრებაა. ვაპირებ, მომავალ სამშაბათს, ღამით წავიდე და შაბათს ან კვირას დავბრუნდე. მინდა, თან გრანდი და საზღვაო ფლოტის ორი ოფიცერი წავიყვანო, არარატის მხარეს ვიმოგზაურო და ეჩმიაძინში სომხეთის კათოლიკოსი მოვიწინახულო.

დღესვე გიგზავნი ტელეგრამას, რომელიც, იმედია, ჩვენი ქორწინების დღისთვის შენამდე მოაღწევს და კიდევ ერთხელ დაგარწმუნებს ჩემს სიყვარულში. ასევე ვგეგმავ, ნინოს და ენდისაც გამოვუგზავნო ტელეგრამები მათი დაბადების დღეებისთვის და იქნებ თითოეულისთვის პატარა წერილების მიწერაც მოვახერხო. ზოგადად კი, ტელეგრამების დროულად ჩამოსვლის შანსი ძალიან მცირეა, რადგან გადამცემი ხაზების დაზიანება ჩვეულებრივ მოვლენაადაა ქცეული.

## **კპირა. 12 ოქტომბერი.**

დიდი ფიქრის შემდეგ ბიბლიიდან რამდენიმე პასაჟი გამოვყავი თანამედროვე პრობლემებთან და განსაკუთრებით ბოლშევიზმთან დაკავშირებით. ალბათ ჩემი დასკვნები შენც დაგაინტერესებს. გადახედე ზაქარიას მეთორმეტე თავს და ნახავ წინასწარმეტყველებას, რომ ებრაელი ერი გახდება: „სიბრუვის თასი, ყველა ხალხისათვის ირგვლივ“, საჯილდაო ქვა, რომლის ყოველი ამწევი წელში განყდება“, „ანთებული ქურა ხეთა შორის და ანთებული ჩირაღდანი ძნებს შორის, რომელიც შთანთქავს ყველა ხალხს ირგვლივ, მარჯვნივაც და მარცხნივაც“. ბოლშევიკური მოძრაობის უკეთ განმარტება შეუძლებელია. თუმცა იმედიც არსებობს. წინასწარმეტყველი იოველი, მეორე თავში, ლაპარაკობს უფლის არმიაზე, დიდებული და ძლიერი ხალხის გაერთიანებაზე, რომელიც ცუდ ებრაელებს დასჯის. ვბედავ დავუშვა, რომ აქ სწორედ ჩვენ, ბრიტანელები შეიძლება ვიგულისხმებოდეთ.

ახლახანს ლეიტენანტ-კომანდერი ლუკი მსტუმრობდა, ვილაპარაკეთ. მას ყველაფერი აინტერესებს, რაც საქართველოს უკავშირდება. ისიც ოქსფორდელია, ტრინიტის (სამების) კოლეჯიდან (ბალიოლთან ძალიან ახ-

ლოსაა), ადრე მთელ რაიონს ხელმძღვანელობდა კვიპროსზე. მოუთმენლად ელის, როდის იმოგზაურებს ჩემთან ერთად ერევანში, მერე კი ბაქოში წავა. ალბათ მისი კონსტანტინოპოლში უმაღლეს კომისართან მრჩევლად გაგზავნაც ღირს ამ რეგიონთან დაკავშირებით კითხვებზე პასუხების გასაცემად. თუმცა კონსტანტინეპოლისგან საკმაოდ დამოუკიდებელი ვარ და პირდაპირ საგარეო საქმეთა სამინისტროს ვექვემდებარები.

### **ორშაბათი. 13 ოქტომბერი.**

კიდევ ერთი მშვენიერი, ნათელი და თბილი დილა გათენდა!

გრანდიმ მითხრა, რომ გამორიცხული არ არის, მისის ჯეინის დამხმარესთან დაკავშირებით პრობლემა შეგექმნას, რადგან უცხოელ მოახლეებს მხოლოდ იმ ოჯახში მუშაობის უფლება აქვთ, რომელიც მათ ინგლისში ჩაიყვანს, სხვაგან გადასვლა კი შრომის სამინისტროს ნებართვის გარეშე არ შეუძლიათ. ამიტომ სჯობს, წესებს მიჰყვე, თორემ შეიძლება დარღვევების გამო დაგაჯარიმონ კიდევ.

როგორც მთხოვე, “the Georgian Mail”-ის რამდენიმე ეგზემპლარს გიგზავნი, მაგრამ დიდად საინტერესო არაფერია.

ამ ეტაპზე ყველაფერი ისე მიდის, რომ წესით სომხეთში წასვლაში ხელი ვერაფერმა ვერ უნდა შემეშალოს.

ხოშტარიები ჯერ არ გამომგზავრებულან, ალბათ ამ კვირაში წამოვლენ.

### **სამშაბათი, 14 ოქტომბერი.**

გუშინ მიქაძეებს შევუარე. მიქაძე ახლა საბაჟო დეპარტამენტის უფროსია. ერთმანეთი აშხაბადში გავიცანით. მისი მეუღლე ჩვენი გარდაცვლილი მეგობრის, ვენერას დაა და რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ემსგავსება მას. მათი კიდევ ერთი და ჩვენს კარგ მეგობარს, ტელემაკ გურიელს ჰყავს ცოლად.

მიქაძეებისგან წამოსულმა ოზურგეთის თავადაზნაურობის ყოფილი მარშალი კონია ერისთავი და მისი მეუღლე მოვინახულე. მათ საოჯახო ძვირფასეულობა დამათვალეირებინეს: ოქროსა და ვერცხლის ხატები, უძველესი იარაღი, ნაქარგები და სხვა იშვიათი ნივთები. 6 საათზე შინ დაბრუნებულს ღამბაშიძე მელოდებოდა. ლაპარაკში ოთხი საათი გავატარეთ. ერევნიდან რომ დავბრუნდები, ის უკვე ინგლისში იქნება.

ჩემს სახელზე უამრავი ტელეგრამაა მოსული, ამიტომ ვშიშობ, რომ წასვლამდე ველარ მოგწერ. გიძღვნიტ ჩემს სიყვარულს შენ - ჩემს უძვირ-

ფასეს მეუღლესა და ჩვენს შვილებს.  
მარად შენი,

ო. უ.

გულისთავი მოკითხვა დედაშენს, კამილასა და სხვებს.  
აქ ძალიან თბილა და იმედია, ამინდი მალე არ გაფუჭდება.  
პოლკოვნიკ სტოქსისგან ახლახანს მივიღე განჯაში (ელიზავეტპოლში),  
კლუბის ბაღში, სადილობისას გადაღებული ფოტო, რომელსაც გიგზავნი.

## ერევანი

**სუთხაბათი, 16 ოქტომბერი. 1919.**

ჩემო უძვირფასესო,  
როცა შენთან გამოსაგზავნი ბოლო წერილი კონვენტში ჩავდე, ძალიან  
ბევრი საქმე მქონდა. ლონდონიდან უამრავი ტელეგრამა მოვიდა, ზოგიერ-  
თი მათგანი 4 ოქტომბრით იყო დათარიღებული.

სამ საათზე საგანგებო მატარებლით დავიძარი ერევნისკენ. მატარებ-  
ელში ჩემი ორი მანქანაც მოათავსეს. სადგურზე ჩემს გასაცხილებლად ქა-  
რთველი და სომეხი ოფიციალური და სამხედრო პირები მოვიდნენ. ჩემ-  
თან ერთად გამოემგზავრნენ გრანდი, ადმირალ რობეკის ორი ოფიცერი  
(ლეიქი და ბარკიტი), ჩემზე მომაგრებული სომეხი პოლკოვნიკი, ასევე ქა-  
რთველი პოლკოვნიკი (მამუკა ორბელიანი), მცველთა რაზმი და მძღოლები.  
მატარებლის ფანჯრიდან ჩვენს თვალწინ მშვენიერი ხედები გადაიშალა,  
თუმცა რუსეთის არმიის საშინელი კვალი აქაურობას ჯერაც ეტყობა. ალ-  
ბათ წარმოგიდგენია, რა შეუძლია ორ მილიონ უდისციპლინო ჯარისკაცს.  
გავიარეთ საკმაოდ დიდი ნეიტრალური ზონა საქართველოსა და სომხ-  
ეთს (მშვენიერი, ნაყოფიერი ქვეყანაა) შორის. 11 საათისთვის კარაკილისს  
მივადექით. ადგილობრივი მთავრობის ხელმძღვანელმა გრძელი მისა-  
სალმებელი სიტყვა სომხურად წარმოთქვა, შემდეგ კი ვახშამი პირდაპირ  
მანქანაში შემოგვაგება. მოგვართვეს თაფლის ფიჭებიც, რითაც აქაურობა  
საკმაოდ ცნობილია. კარაკილისში ცხრა წლის წინაც გავატარე რამდენიმე  
დღე.

ოთხშაბათს აისამდე გავიღვიძე და დიდებული რამ ვიხილე - არარა-  
ტი და ალაგერაზი ამომავალი მზის ფონზე. ომების კვალი აქაც იგრძნობა.  
თურქები ერევნამდე ხუთი მილის მანძილზე მივიდნენ.

ერევანში 11 საათზე ჩასულს პრეზიდენტი ხატისიანი დამხვდა, რომელ-  
მაც თავისი ქვეყნის სახელით დიდი მადლიერება გამოთქვა ჩემ მიმართ და  
აღნიშნა, რომ სამხრეთ კავკასიაში ჩემმა მუშაობამ სწრაფად შეცვალა მდ-  
გომარეობა უკეთესობისკენ, ბაქოში ჩემმა ვიზიტმა კი მნიშვნელოვანი შე-  
დეგი გამოიღო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაუნდობელი საომარი  
მოქმედებათა შეწყვეტის სახით. თავდაცვის მინისტრმა სომხურად წარ-  
მოთქვა სიტყვა, რომელიც გრეისიმ მოკლედ მითარგმნა. გამაცნეს როგორც  
მინისტრები, ასევე მთავარსარდალი (კავკასიის ომის გმირი, ლეგენდარუ-

ლი გენერალი ნაზარბეკოვი), საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენელი და სხვები. საპატიო ყარაული მოვინახულე. როგორც მითხრეს, ეს ერთადერთი სამხედრო ჯგუფია სომხეთში, რომელსაც სათანადო ტანსაცმელი და აღჭურვილობა გააჩნია. ჯარის დანარჩენი ნაწილი, ფაქტობრივად, ძონძებშია ჩაცმული, სამხრეთის ფრონტზე კი ჯარისკაცების 70 % მაღალი სიცხითაა ავად და მათ სამკურნალოდ ქვეყანას მედიკამენტები არ გააჩნია. ჯარისკაცებმა მარშით ჩაიარეს, მე მათ მივესალმე, შემდეგ კი ხატისიანმა ჩემი მისიის შენობისკენ წამიყვანა. მომეწონა იქაურობა, ყველაფერი გრეისის მითითებითაა მოწყობილი, ხედიც შესანიშნავია - არარატი მოჩანს. ჩვენი ჩამოსვლის აღსანიშნავი მიღებაც იქ გაიმართა.

სადილის შემდეგ ექვსი ადამიანისგან შემდგარ ამაღლასთან ერთად ყველა სავალდებულო ოფიციალური ვიზიტი მოვილიე. ასევე ვესაუბრე ხატისიანს, რომელმაც თავისი მშვენიერი რუსი მეუღლე გამაცნო. ნაზარბეკოვსაც შევხვდი. წარმოდგენაც კი გაგიჭირდება, რამდენად მოკრძალებულია აქაური მინისტრების ყოფა - პრეზიდენტის ბინა აფთიაქის თავზეა, ის ოთახი კი, სადაც ნაზარბეკოვი ცხოვრობს, როგორც ჩანს, ერთდროულად საძინებელიცაა, სასადილოც და მისაღებიც. საუკეთესო პირობები აზერბაიჯანის წარმომადგენელს აქვს. ის ცხოვრობს აღმოსავლური ორნამენტებით შემკულ სახლში, რომელიც ერევნის ხანების რეზიდენცია ყოფილა. შენობა მრგვალ ბაღში დგას. გალავანი, რომელიც ბაღს აქვს შემორტყმული და სახლის ფერადი ფასადი, მთლიანად თეირანიდან ჩამოიტანეს 130 წლის წინ. ტერასაზე ვისხედით და ჩაის მივირთმევდით, როცა ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი, თავსაბურავიანი ქალების მთელი მწკრივი დავინახეთ. ქალები წყლის ასაღებად მოსულიყვნენ შადრევანთან, რომელიც იქვე, ტერასის ქვემოთ მოჩანდა. სახლის პატრონი, ალი ხანი, ჩასუქებული თათარია, უზარმაზარი სახითა და კისრით. მან სიამაყით აღნიშნა, რომ ქალები მის ერთი წლის გოგონას ასეირნებდნენ გალავნიან ბაღში.

ძალიან დაზიანებული გზებით ვიარეთ ეპისკოპოსის სასახლემდე, სადაც თავად ეპისკოპოსმა და კათოლიკოსმა გევორქ V-მ მიგვიღეს. კათოლიკოსი არაჩვეულებრივად სიმპათიური და მხნე ადამიანია გრძელი, თეთრი წვერით. ამჟამად ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა კენჭის გამო. ხედი არარატიც მთაზე, რომელიც სასახლის აივნიდან მოჩანს, ერთ-ერთი საუკეთესოა მათ შორის, რაც კი ოდესმე მინახავს. ქვემოთ კი მდინარეზე გადაკიდებული ქალაქი და თათრების ახლახანს განადგურებული და გადამწვარი უბანია. მასპინძლებმა ჩაი, ღვინო და ყურძენი მოგვართვეს. დიდხანს ვისაუბრეთ ბევრ საინტერესო საკითხზე.

სიტყვებით ვერც კი აღვინერ, რა ხდება აქ. პატარა ქალაქში და მის შემოგარენში 200 000 აბსოლუტურად უქონელი, თითქმის შიშველი დევნილი ცხოვრობს. ტიფი, ქოლერა, მალარია და უამრავი სხვა დაავადება დათარეშობს ადამიანებს შორის, რომლებიც ღია ცის ქვეშ წვანან და ვერსად ემალებიან ქარს, რომელიც ინფექციების გავრცელებას კიდევ უფრო უწყობს ხელს. ბავშვები ნარჩენებს ეძებენ და მზად არიან ყველაფერი გადაყლაპონ, რაც იჭმება და რაზეც ხელი მიუწვდებათ. შინ დაბრუნებულმა აივნიდან დავინახე, როგორ დაეცა შიმშილისგან მისავათებული, დაძონძილი კაცი შუა ქუჩაში. ხალხს ჭუჭყი და მკბენარი ჭამს. ყველა სრულიად

სასონარკვეთილი და დემორალიზებულია. მზად არიან, პურის გამო საკუთარი შვილები გაყიდონ. პური აქ 50 რუსული რუბლი ღირს. გული მტკივა, ასეთ რამეებს რომ ვხედავ. ბევრი საქმე გაკეთდა და ზოგიერთი მიმართულებით მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე ერთი წლის წინ იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ამ ადამიანების გადარჩენა შეუძლებელია და ზამთარში მსხვერპლი ათეულ ათასობით გაიზრდება.

სომხეთის მთავრობას ვუთხარი, რომ ასეთი სიღარიბის ფონზე ჩემი ჩამოსვლის აღნიშვნა სრულიად მიუღებლად მიმაჩნდა, თუმცა ძალიან მთხოვეს, მოკრძალებულ სადილზე ვწვეოდი. ასე რომ, გუშინ საღამოს მთავრობის სასტუმრო სახლში ვივახშმე. ვახშამს ესწრებოდნენ მინისტრები და ინგლისის, ამერიკის, რუსეთის (დენიკინის არმიის), საქართველოს, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ხატისიანმა სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც სომხეთის ყველა მეზობელი და მოკავშირე თანაბარი მაღლიერებით მოიხსენია, თუმცა მაინც მოახერხა, რამდენიმეჯერ წარმოეთქვა ჩემი სახელი ოდნავ განსაკუთრებულად, ოღონდ ისე, რომ სხვებს თავი დამცირებულად არ ეგრძნოთ. სასიამოვნოა, რომ ეს ხალხი ბრიტანეთში საიმედო დამცველს ხედავს.

როგორც ყოველთვის, ამ დილითაც ადრე ავდექი და მზის ამოსვლას ჩემი აივნიდან ვუყურე.

რამდენიმე საათის წინ ჩავიცვი, მოვწესრიგდი და მზად ვარ პარტნიორებთან ერთად სასაუზმოდ. თავს ისე კარგად ვგრძნობ, გაგიკვირდება, რომ მნახო.

გუშინ ჩვენი ქორწინების დღე იყო. ძალიან მინდოდა, ჩემი გამოგზავნილი ტელეგრამა გუშინ მოგსვლოდა, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჯერ კიდევ არ მოუღწევია შენამდე. კიდევ ერთხელ გიხდი მაღლობას იმ ბედნიერებისთვის, რომელიც ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მომანიჭე.

## **საღამოს 10 საათი და 30 წუთი.**

საუზმის შემდეგ ბაზარში გავიარეთ და ძველი ვერცხლის ბალთები ვიყიდე, იმედი მაქვს, მოგეწონება. სხვებმა ხალიჩები შეიძინეს სასაცილო ფასად - 1.5, 1.10 ფუნტად თითო.

მოგვიანებით ეჩმიაძინისკენ დავიძარით. ეპისკოპოსმა ტირაისმა, რომელიც სომხეთში ბოლო ვიზიტისას გავიცანი, რადგან ქონიბეარის მეგობარია, მონასტრის ტერიტორია, მუზეუმი და ბიბლიოთეკა დაგვათვალისწინებინა. ეჩმიაძინი ჩვენი წელთაღრიცხვის 301 წელს აშენდა, თუმცა მეცხრე და მეთათე საუკუნეებში იგი აღადგინეს, მეჩვიდმეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში კი შენობა გაადიდეს. თუმცა, სამწუხაროდ, ომის დროს მონასტრის მთელი განძი მოსკოვში გაიგზავნა „უსაფრთხოების მიზნით“ და ახლა ბოლშევიკების ხელშია. იმედი მაქვს, ეს უძვირფასესი ნივთები ოდესმე სომხეთში დაბრუნდება. ორ ეპისკოპოსთან ერთად ვისადილეთ. რა თქმა უნდა, სადილს მისასალმებელი სიტყვების გარეშე არ ჩაუვლია. ერევანში 5-ის ნახევრისთვის დავბრუნდით და 5-ზე უკვე ხატისიანებთან ვიყავით, სადაც

მთავრობის წევრებს, პარიზიდან და ამერიკიდან ჩამოსულ ამერიკელ დელეგატებს შევხვდით. პრეზიდენტთან საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი გამოვიკადა.

8-ის ნახევარზე პარლამენტში წავედით, სადაც თავმჯდომარე მისასალმებელი სიტყვით შემომეგება, წევრები და დამსწრე საზოგადოება კი - ტაშით.

საკმაოდ გვიან ვივასშმეთ და დავწექით. დილის 6 საათზე უნდა დავიძრაოთ.

## **დილიყანი**

### **17 ოქტომბერი**

#### **სალამოს 8 საათი**

აქ სალამოს რვის ნახევრისთვის ჩამოვედით. გრძელი და მომქანცველი დღის შემდეგ ვეცდები, მოკლედ მოგიყვე აქაური ამბები. ჯერ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მე და ჩემი თანმხლები პირები ძალიან კომფორტულ სახლში განგვათავსეს, სადაც მისვლისთანავე შემოგვეგებნენ ინგლისურად მოლაპარაკე 12 წლის გოგონა და დედამისი, რომელიც ფრანგულს ფლობს და ჩემი ვარაუდით სომეხი გენერლის ცოლი უნდა იყოს. ახლა ვახშობას ვაპირებთ. მოგვიანებით მოგწერ.

### **18 ოქტომბერი, 1919.**

დასაძინებლად 11-ის ნახევარზე წავედი, ამიტომაც ველარაფერი მოგწერე, თუმცა კარგად მეძინა და დღეს თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

გუშინ 6 საათზე უნდა დავძრულიყავით, მაგრამ 8 საათამდე ფეხი ვერ მოვიცვალეთ. სამ მანქანაში გადავანაწილდით. აქედან ერთი, რომელიც მხოლოდ ბარგისთვის გამოვიყენეთ, პირდაპირ დილიყანში წავიდა. ჩემს მანქანაში გრეისი, გრანდი და ლუკი ისხდნენ. მეორე მანქანა გაფუჭდა და როგორც მოგვიანებით გავიგეთ, 8 მილის ფეხით გავლა მოუხდათ. პირველად გოგჩის ტბის სამხრეთით, ელენოვკაში გავჩერდით. ცხენოსანი ესკორტი გზად შემოგვეგება და სოფელში ზეიმით შევედით. მასპინძლებმა მთელი პური და თევზით მარილი დაგვახვედრეს, რომელიც გავსინჯე. მოგვიანებით ადგილობრივმა კომისარმა სადილად მიგვიწვია. დაახლოებით 11 საათისთვის დაიწყო ჩვენი მოგზაურობა ტბის გასწვრივ, წმინდა ნინოსა და წმინდა რიფსიმეს გზაზე. მათი აქაური მოღვაწეობის აღსანიშნავად გზის პირას, მთელს გაყოლებაზე, ჯვრები დგას. სოფლები თითქმის მიწასთანაა გასწორებული. დაახლოებით 20 მილი ისე გავიარეთ, სიცოცხლის ნიშან-წყალი არ შეგვხვედრია. ტბა ზღვის დონიდან 6000 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს და აქაურობა ფაქტობრივად ჩამკვდარია. ნოვო ბაიაზიდამდე რამდენიმე მილის მოშორებით ადგილობრივი დელეგაცია



დაგვხვდა, ქალაქის შესასვლელში კი ცხენოსანთა რაზმი და ბოისკაუტების ჯგუფი გველოდა მისასალმებელი ტრანსპარანტებით, შეძახილებითა და სიმღერებით. ქალაქში ტრიუმფით შესვლას მოსახლეობის გულითადი მისალმება, ბანკეტი და გამოსვლები მოჰყვა. შემდეგ ეკლესიისკენ გავემართეთ, თან ცხენოსნები და ბოისკაუტები გვახლდნენ. მათი სიმღერა და ხალხის ოვაციები მუდამ თან გვსდევდა. ნოვო ბაიაზიდიდან ელენოვკაში დაბრუნებისას მანქანაში მომაკვდავი დევნილი ჩავისვით. ელენოვკაში ჩვენებს შევხვდით. გაირკვა, რომ 4 საათისთვის ძლივს ჩამოსულან. მზის ჩასვლისას ტბის დასავლეთ ნაპირს გავუყევით და კუნძულზე აგებული მონასტრის ულამაზესი ხედით დავტკბით. გზა ზღვის დონიდან 8000 ფუტის სიმაღლემდე აღის, მერე კი ქვემოთ, 5400 ფუტის სიმაღლემდე ეშვება მკვეთრი მოსახვევების გავლით. სწორედ აქ, სადაც ულამაზესი, ტყიანი პეიზაჟი იშლება, მშვენიერი საზაფხულო კურორტი, დილიჟანი მდებარეობს. ის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია მათ შორის, რისი წარმოდგენაც ადამიანს შეუძლია. რვის ნახევარზე უკვე დილიჟანში ვიყავით, სადაც ჩვეულებისამებრ საზეიმო დახვედრა მოგვინწყევს, შემდეგ კი გენერალ იანალოვის სახლისკენ გავემართეთ. მთებს შორის გზა სწორედ მან გაიყვანა და ახლა მასზე პასუხისმგებელი თავადაა. მისმა მეუღლემ არაჩვეულებრივად თბილი დახვედრა მოგვინყო, ხოლო მისმა ქალიშვილმა, თეა ოსიპოვმა (ოსიპოვი ქმრის გვარია) და შვილიშვილებმა - 9 წლის კიტიმ და 12 წლის ტასიამ ოჯახის წევრებივით მიგვიღეს. ვახშამი, რომელიც აივანზე გაგვიშალეს, თერთმეტის ნახევრამდე გაგრძელდა. გუშინდელი დღე იმდენად სასიამოვნო და ამაღელვებელი იყო, მის შესახებ დაუსრულებლად შემიძლია წერა, თუმცა ახლა სასაუზმოდ მიმეჩქარება.

### **კპირა. 19 ოქტომბერი.**

ამ წერილს მატარებელში ვწერ, რომელიც დილაადრიან შემოვიდა ტფილისში. დაბინავებამდე საუზმობას ვაპირებთ.

გუშინ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ციხე მოვინახულე. იქაურობა თურქეთიდან წამოსული დევნილებითაა სავსე, ბავშვები შიმშილობენ. ფქვილის საცავებსაც შევაკვლეთ თვალი. რთული დასანახი არ არის, რომ ფქვილში ქვიშაა გარეული. შემდეგ რამდენიმე მილი ფეხით გავიარეთ ტყით შეფენილი მთის გასწვრივ, რომლის სილამაზეც არაფრით ჩამოუვარდებოდა გუდბრანდსდალისა და ვალდერსის ხედებს.<sup>28</sup>

სადილის შემდეგ საპატიო ყარაულის თანხლებით დავიძარით. ქალები და ბავშვები ჩემს მანქანას ყვავილებს ესროდნენ. კარაკლისამდე მშვენიერი გზით ვიარეთ და ნაშუადღევს ჩავედით. ჩვენთან სომხეთში ამერიკული ხსნის კომიტეტის<sup>29</sup> უფროსი მოვიდა და ცოტა ხანი ჩემს ვაგონში გაატარა.

---

<sup>28</sup>ადგილები ნორვეგიაში

<sup>29</sup> American Committee for Relief in the Near East - ჰუმანიტარულ საქმიანობას ეწეოდა ძირითადად სომხეთსა და სირიაში.

გზა დაბნელების შემდეგ გავაგრძელებთ. სანაინში ახალგაზრდა ამერიკელი ოფიცერი დავიმგზავრეთ, რომელიც ორი დღე ელოდებოდა მატარებელს. ერევნის მიმართულებით კვირაში მხოლოდ სამი მატარებელი დადის, მთელ სომხეთში კი, ჯამში, ოცდაორი ლოკომოტივია, რომელთა ნაწილიც მწყობრიდანაა გამოსული და ტექნიკური პირობების უქონლობის გამო მათი შეკეთება შეუძლებელია. საერთოდ, რკინიგზით სარგებლობა საკმაოდ სარისკოა, მაგრამ აქამდე უსაფრთხოდ ჩამოვედით.

თავს კარგად ვგრძნობ. მზისა და ქარის წყალობით საკმაოდ ჯანმრთელად გამოვიყურები.

დარწმუნებული ვარ, ტფილისში დაბრუნებულს ბევრი სამუშაო მელოდება.

## 20 ოქტომბერი. 1919.

უამრავი საქმე დამხვდა. ჩამოსვლის წუთიდან კატორღელივით ვმუშაობ მანამდე, სანამ თავი საშინლად არ ამტკივდება და თვალები არ დამეხუჭება გუშინ, კვირას, სახლში საუზმის დროს დავბრუნდით. მთელი კალათა დამხვდა ტელეგრამებით სავსე, თანაც ყველა ტელეგრამა სასწრაფო იყო. საქმეს შუალამემდე შემოვრჩი. ერთადერთი, რამაც ბედნიერება მომანიჭა, შენი 2 ოქტომბერს გამოგზავნილი ბარათი იყო, სადაც ბედნიერ დაბადების დღეს მისურვებდი და შენს კარგად ყოფნას მამცნობდი. მახარებს იმის ცოდნა, რომ ყველა, ვინც მიყვარს, 18 დღის წინ თავს მშვენივრად გრძნობდა, რადგან შენს წერილებს 20 სექტემბრის შემდეგ აღარ მოუღწევია ჩემამდე.

დღეს გრძელი დღე მქონდა. საღამოს საგარეო საქმეთა მინისტრმა შემომიარა გადაუდებელი საქმის გამო და კარგა ხანს ვისაუბრეთ. ზოგჯერ ბედნიერიც კი ვარ, რომ აქ არა ხარ. აქ რომ ცხოვრობდე, დაუნდობლად დამტანჯავდა ფიქრი, რომ გარშემო შენთვის საინტერესო არაფერია და თავს ვერ იქცევ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არც სანიტარული პირობებია შენი საკადრისი.

სანამ მე ერევანში ვიყავი, აქ ბოლშევიკებმა წყალსადენი გადაწვეს და მას შემდეგ ქალაქს წყალი აღარ მიეწოდება. ხალხი წყაროებისა და ჭების იმედადაა დარჩენილი. ალბათ წარმოგიდგენია, როგორ მდგომარეობაში არიან ადამიანები, რომელთათვისაც სისუფთავე ძალიან მნიშვნელოვანია. აქ არც ისე ბევრი ბოლშევიკია; სადაც წააწყდებიან, იქვე იჭერენ, მაგრამ თავიანთი საწინააღმდეგო აზრის გამოხატვას ისინი მაინც ახერხებენ. აშკარაა, რომ სანიტარული ნორმების დაცვა მათი პროგრამის ნაწილი არ არის.

რა თქმა უნდა, მუშაობის პროცესში ბევრ იმედგაცრუებას და წინააღმდეგობას ვაწყდები, მაგრამ მათბედნიერებს იმის შეგრძნება, რომ სასარგებლო საქმეს ვაკეთებ და მაქვს სამუშაო, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაოა მათ შორის, რაც კი ოდესმე მქონია. ცხოვრების საუკეთესო პერიოდი მიდგას და მგონია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მიზანს მაინც მივაღწევ.

ბავშვებისთვის დილიჟანის ფოტოებს ვაგზავნი. სიმართლე რომ ვთქვა, ჩემს სომხურ მოგზაურობაში დილიჟანი ერთადერთი ნათელი წერტილია. ერევანი კომმარნი იყო, ნოვო ბაიაზიდი - არანაკლები. ფიქრიც არ მინდა, რა მდგომარეობაშია იქ ხალხი და რას მოუტანს ზამთარი ამ საბრალო ქვეყანას.

გრანდი და უეითი ტელეგრაფის ოფისში წავიდნენ ლონდონთან დასაკავშირებლად. მეც მოვრჩი. მიუხედავად იმისა, რომ გვიანია, საქმეს უნდა დავუბრუნდე.

ტელეგრაფების მიმოსვლას იმდენი დრო მიაქვს, ეჭვი მეპარება, ღირს თუ არა ტელეგრაფის გამოყენება ნინოსთვის და ენდისთვის დაბადების დღეების მისალოცად. თუმცა ალბათ მაინც ვცდი.

დიდი მადლობა საჩუქრისთვის, ჩემო უძვირფასესო.

## **ოთხშაბათი. 22 ოქტომბერი, 1919.**

გუშინდელი დღე საკმაოდ დამღლეელი და დეპრესიული აღმოჩნდა. დასაძინებლად 11 საათზე სრულიად დაქანცული წავედი.

ამ დილით ტომის 28-29 სექტემბრის წერილი ჩამოვიდა. შენგან ისევე არაფერი ისმის. თავის წერილში ტომი გაკვირვებით აღნიშნავს, რომ ოცდარვაში შეგხვდა და შენ მისის ჰადსონთან ერთად იყავი. იმედია, დრო სასიამოვნოდ გაატარეთ. თავს ცუდად არ ვგრძნობ, მაგრამ უამრავი საქმე მაქვს. სომხეთში გატარებული დღეების გამო უამრავი წერილი და ტელეგრაფი დამიგროვდა სამუშაოდ.

## **პარასკევი. ღამე. 24 ოქტომბერი.**

თავისუფალი დრო ჯერ კიდევ არ გამომიჩნდა. შეიძლება უახლოეს მომავალში ჩრდილოეთისკენ, დარიალის ხეობაში მომიხდეს წასვლა. ამინდი საგრძნობლად გაფუჭდა. მოკლედ რომ ვთქვა, გადავიღალე.

ამ წერილს კონსტანტინოპოლში ბირკეტი და ლუკი წაიღებენ. დამპირდნენ, რომ თავად გააკონტროლებენ გამოგზავნის პროცესს.

ჩვენი სომხური მოგზაურობის ამსახველი ფოტოები, რომლებიც გრანდიმ გადაიღო, საკმაოდ კარგია. იმედი მაქვს, მომავალი წერილის გამოგზავნამდე მათ ამოებჭდვას მოვახერხებ.

კონვერტში ვერცხლის პატარა ჯვარს ვდებ ნინოსთვის. გიძღვნი უდიდეს სიყვარულს, ჩემს ძვირფას მარგარეტს და ბავშვებს.

## შაბათი. 25 ოქტომბერი. 1919.

აღბათ ადვილი წარმოსადგენია, როგორ გამახარა ამ დილით შენი წერილის მიღებამ, რომელიც 26 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდეა დაწერილი. თუმცა, ჩემი ვარაუდით, შენი ზოგიერთი წერილი ჯერაც არ მოსულა ჩემამდე. იმედი მაქვს, ჩემი 2 სექტემბრის წერილი არ დაკარგულა. ასევე მოგწერე 11, 22 და 25 სექტემბერს, 2 და 7 ოქტომბერს, შეიძლება სხვა გზავნილები უბრალოდ არ ჩამინიშნავს.

მოხარული ვარ, რომ მისის ჰადსონთან ერთად დრო სასიამოვნოდ გაატარე, ახლა კი აღბათ ჯონასი და მაალფრიდი<sup>30</sup> არიან შენთან. აღბათ კამილაც მანდაა.

ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ ალისას აიყვანდი ან ვინმე კარგს იპოვიდი.

ჩემო საბრალო! აღბათ, როგორი დაქანცული ხარ. მუშებით სავსე სახლი და დაზიანებული იატაკი რთული ასატანი უნდა იყოს. ახლა, აღბათ, უკეთ გრძნობ თავს. ვერ ვითმენ, ისე მინდა სუფთა, სასიამოვნოდ მოწყობილი ოთახები ვნახო, როცა დავბრუნდები.

მეტი არაფერი ხდება. ძალიან ბევრი საქმე მაქვს, უეითს და გრანდის ველოდები. დამხმარე ძალა ნამდვილად არ გვანწყნდა.

რუკერი აღბათ უკვე დაიძრებოდა. იმედი მაქვს, კარგი თანამშრომელი აღმოჩნდება.

დღეს მშვენიერი დარია. შეიძლება ხვალ თელავში წავიდე მანქანით. დაახლოებით 60 მილი უნდა გავიარო კახეთის აღმოსავლეთ ნაწილისკენ.

ჩემი სიყვარული ჩემს უძვირფასეს მეუღლეს და შვილებს: ჯეიმსს, ენდისს, ნინოს.

მარად შენი,

ო. უ.

## ტფილისი

28. 10. 19.

ბოლო წერილი შაბათს ღამით, 25 ოქტომბერს მოგწერე. მას შემდეგ ბევრი ვიფიქრე და ვიფარდე. იქნებ რაღაცას ისე არ ვაკეთებ, როგორც საჭიროა? იქნებ ჩემი არჩეული გზა სხვებისთვის დამლუპველი აღმოჩნდეს? ყველაფერი უნდა ვაკონტროლო, მუდამ ფხიზლად უნდა ვიყო და ეს დამლელელია.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ორი თანამშრომელი შემომემატა. პირველი ლეიტენანტი სტოუნია, 49 წლის. ბათუმიდან გამომიგზავნეს. მისი 19 წლის ვაჟი ფლოტში მსახურობს. მგონი, ომამდე ბუღალტერი იყო. მეორე – ყოფილი ბარონესა, თამარა თისენჰაუზენია, დაახლოებით

---

<sup>30</sup>ჯონას გეორგ იოჰან კოლეტი და მაალფრიდ დუბლოგი, ოლივერ უორდროპის მეუღლის - მარგარეტის ძმა და რძალი

იმავე ასაკისა. ის ბეჭდვაში მეხმარება. საბრალო, ძალიან მონდომებულია, რომ მოვალეობა პირნათლად შეასრულოს. ადამიანებისთვის, რომლებმაც ახალგაზრდობა უკან მოიტოვეს, ლუკმა-პურის შოვნა რთულია. არისტოკრატები თავის გადასარჩენად იბრძვიან და სიამოვნებით თანხმდებიან მსგავს სამუშაოს.

ბოლო დროს სახლში ვჭამთ და არა სუფთა ჰაერზე, თუმცა ამინდი ჯერ კიდევ მშვენიერია და დღეს უფრო თბილა, ვიდრე რამდენიმე დღის წინ.

საწყალი უეითი თავს შეუძლოდ გრძნობს, თუმცა მაინც მუშაობს. მგონი, დედასა და დაზე დარდობს, რომლებიც ოდესაში არიან. მისი ცოლის წერილები კი კიდევ უფრო გვიან მოდის, ვიდრე შენი.

ქალბატონმა ბეგთათბეგოვმა მითხრა, რომ მომავალ კვირას ჩემთვის დიდებულ წვეულებას მართავს, რომელსაც სამოცი სტუმარი დაესწრება. ნეტავ, თავის არიდება შემეძლოს. შეიძლება, კახეთში წავიდეთ ექსკურსიაზე, ესეც მნიშვნელოვანი ამბავია. პარალელურად ვაპირებ ვლადიკავკაზში გავემგზავრო სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად. მეტი-მეტად დატვირთული ვარ. როგორც ჩანს, დასვენება არ მიწერია.

პარიზის კონფერენციაზე რაიმეს მაინც რომ იტყოდნენ ამ რეგიონზე, გონება შემიმსუბუქდებოდა. ხალხში მოუთმენლობა და ბრაზი მატულობს. ვეჭვობ, სასონარკვეთამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმისკენ არ უბიძგოთ.

კონვერტში უოლშისა და კოლინის წერილებსაც ვდებ. როგორც კი შეიძლება, იქნებ გადააგზავნო.

### **სუთხაბათი. 30. 10.19.**

გუშინ ნინოს და ენდის ტელეგრამა გამოვუგზავნე დაბადების დღეების მისალოცად. ტექსტი ძალიან უბრალოა: „ნინო, ენდრიუ, მიყვარხართ.“ იმედია, მალე ჩამოვა თქვენამდე.

შუადღისას მე, გრანდი და უეითი ფეხით ავედით მთაზე, რომელიც წმინდა დავითის ეკლესიის უკან, ქალაქიდან ათასი ფუტის სიმაღლეზეა. ეს იყო პირველი დიდი გასეირნება მას შემდეგ, რაც აქ ჩამოვედით. თბილი ამინდით ძალიან ვისიამოვნეთ. მთის წვერზე სასიამოვნოდ ქროდა ნიავი. ჩვენ თვალწინ შესანიშნავი ხედი გადაიშალა, თითქოს ასობით მილი დაგვიდეს ხელის გულზე. ყაზბეგის ულამაზესი, დათოვლილი მთა ძალიან ნათლად მოჩანდა, დასავლეთითაც შეიძლებოდა მწვერვალების დანახვა. ჩვენ ქვემოთ გაშენებულმა ქალაქმა თავისი აღმოსავლური ხასიათით და მდინარის ხეობამ შესანიშნავი განწყობა შეგვიქმნა. ფუნქიკულორის მიმართულებით ლიანდაგიცაა გაყვანილი, მაგრამ რევოლუციის შემდეგ ვაგონი აღარ მოძრაობს. ამიტომ ვინრო და ციცაბო ბილიკით მოგვიხდა ასვლა.

დაბრუნებისას ახალგაზრდა ოფიცერს, ჰერონ უოთსონს შევხვდი. მან ორი თვის წინ კონსტანტინოპოლიდან ბათუმამდე იმგზავრა ჩვენთან ერთად გემით, ახლა კი თეირანიდან ბრუნდება შინ. უოთსონი უეითთან და გრანდისთან ერთად წავიდა ოპერაში, ბიზეს „მარგალიტის თევზების“ სა-

ნახავად, მე კი წყნარი საღამო მაქვს, რომელსაც სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაზე დარღში ვატარებ.

ამ დილით საჩხერელმა ნინო წერეთელმა (ტასო მაჩაბლისა და ბაბო ბაგრატიონის დამ) სოფლიდან უზარმაზარი კალათით ყურძენი გამომიგზავნა საჩხერიდან.

გუშინ რთული დღე მქონდა, მაგრამ მაინც მოვახერხე ჩერქეზოვის ძმისშვილი ნინო და მისი მეუღლე გვაზავა მენახა. ორივე საოცრად მომხიბვლელი ადამიანია. ნახევარი საათით პრინც ნაპოლეონ მიურატსაც შევუარე. ქართული ჯარის გენერალი მიურატი ნახევრად ქართველი, ნახევრად კი ფრანგია. ავადმყოფობამ ხელი დარია, თუმცა მიუხედავად ამისა, სიცოცხლით სავსე და სასიამოვნო ადამიანია. ლამბაშიძეც მოვიდა და შექმნილ ვითარებაზე ვისაუბრეთ. გენერალი ნიუქომბი ბაქოდან დაბრუნდა საინტერესო ახალი ამბებით და მალარით, რომელმაც ძალიან დაასუსტა.

ვინატრებდი, აქაური მდგომარეობა ოდნავ მარტივი მაინც ყოფილიყო. სანამ პარიზის კონფერენციაზე რაიმე არ ითქმება, ვიცი, რომ ნერვიულობას ვერ შევწყვეტ.

შენი და ბავშვების ფოტოებს რომ დამპირდი, ჩემამდე ჯერაც არაფერი მოსულა. ალბათ, წერილი ჯერ კიდევ გზაშია და მათი ჩამოსვლით მალე გავბედნიერდები. იმედი მაქვს, ფოტოზე ნათლად დავინახავ, რომ ჩემი ძვირფასი მეუღლე მხნედაა, წერილში კი მხოლოდ სასიამოვნო სიახლეებს ამოვიკითხავ.

ლამბაშიძე, ხოშტარია და გენერალი ნიუქომბი ალბათ ერთად გამოემგზავრებიან მომავალი კვირის დასაწყისში. შეგიძლია, ისინი მომავალ კვირაშივე ან შემდეგ თვეში (ნოემბერში) ნახო. აუცილებლად გეტყვიან, რომ ასე კარგად დიდი ხანია არ ვყოფილვარ. სომხეთის ფოტოები ჯერ კიდევ არ არის მზად. იმედი მაქვს, მალე მოვახერხებ მათ გამოგზავნას. ამჯერად კი კონვენტში წერილთან ერთად ბავშვებისთვის სამ ღია ბარათს ვდებ დილიუანის ხედებით.

### **პარასკევი, 31 ოქტომბერი.**

დღეს მშვენიერი ამინდია და თავს კარგად ვგრძნობ. ფოსტა უკვე მზადაა გამოსაგზავნად, ამიტომ ძალიან ცოტა დრო მაქვს იმის სათქმელად, რომ ძალიან მიყვარხარ. ხვალ განსაკუთრებით ბევრს ვიფიქრებ ჩემს ძვირფას ნინოზე, ორშაბათს კი ენდიზე. გადაეცი ჩემი გულითადი მოკითხვა დედაშენს, ასევე ჯოანას და მაალფრიდს, თუ შენთან არიან.

ძნელი დასაჯერებელია, რომ მხოლოდ ორი თვეა, რაც აქ ვარ. მეჩვენება, რომ მთელი წელი გავიდა.

გკოცნი სითბოთი და სიყვარულით, ჩემო ტკბილო მეუღლე.

ო. უ.

## **ტფილისი. 3 ნოემბერი.**

ჩემო უძვირფასესო,

31 ოქტომბერს მოგწერე, მერე კი, სალამოს, საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი მქონდა ლამბაშიძესთან.

ნინოს დაბადების დღე საკმაოდ რთული აღმოჩნდა ჩემთვის. ბევრი თავსატეხი გამომიჩნდა. მიუხედავად ამისა, მაინც სულ ჩვენს პატარა გოგოზე ვფიქრობდი და ბედნიერების შეგრძნება არ მტოვებდა. შუადღისას გულითადი საუბარი მქონდა პრემიერ-მინისტრ ჟორდანიასთან. ის შესანიშნავი ადამიანია, მთელი ქვეყანა დავალებულია მისგან იმ ყველაფრის გამო, რასაც ჟორდანია აკეთებს. მოგვიანებით ამერიკული მისიის ხელმძღვანელს შევხვდი. ვილაპარაკეთ ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემაზე – უთანხმოებაზე თათრებსა და სომხებს შორის. როგორღაც უნდა მოვახერხოთ, რომ ეს პრობლემა კიდევ უფრო არ გამწვავდეს. შემდეგ აფხაზეთის ეკლესიის მეთაურს, ამბროსის შევხვდი, რომელიც გასაოცრად მხნე, განსწავლული და ღვთისმოშიში ადამიანია. მან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მომცა სოხუმის რაიონის შესახებ. სალამოს ამინდი გაფუჭდა და ცოტა ხანს, მაგრამ ძლიერად ქუხდა და ელავდა. შინ ძალიან დაღლილი დავბრუნდი.

გუშინ, კვირას, გენერალმა ნიუქომბმა მთელი შუადღე ჩვენთან საქმიან საუბარში გაატარა, მერე კი ერთადაც ვისადილეთ. ღამით ბათუმისკენ დაიძრა ლამბაშიძესთან ერთად, საიდანაც, კონსტანტინოპოლის გავლით, ლონდონში გაემგზავრებიან. მათი მოგზაურობა თვის ბოლოს დასრულდება.

რკინიგზაზე კიდევ ერთი თავდასხმა განახორციელა ბანდამ, რომელსაც, სავარაუდოდ, უცხოეთიდან გადაუხადეს. გარკვეული ჯგუფები ძალიან ცდილობენ წარმოაჩინონ საქართველო, როგორც არეული ქვეყანა. თავდასხმამ ხუთი ადამიანი იმსხვერპლა, საკმაოდ ძვირადღირებული ლოკომოტივი კი მნიშვნელოვნად დაზიანდა.

გუშინ, სალამოს ხუთისკენ, ბეგთაბეგოვებთან წავედით “tasse de the”-ზე. ვახშამს ცეკვები მოჰყვა, თუმცა მე ათი საათისთვის მაინც მოვახერხე წამოსვლა. რა თქმა უნდა, იქ ბევრი ადამიანი იყო, ვისი ნახვაც ძალიან მესიამოვნა, მაგრამ შენ კარგად იცი – წვეულებები ნამდვილად არ არის ჩემი ცხოვრების სტილი.

დღეს ჩემი ძვირფასი ენდის დაბადების დღეა. დაუსრულებლად ვფიქრობ მასზე და ბედნიერებას ვუსურვებ.

ამ დღეებში შემოდგომის არაჩვეულებრივი ამინდი დგას. ავდარი სულ რამდენიმე დღეს გაგრძელდა, შესაბამისად, ისევ გვაქვს საშუალება, შენობის შიგნით აღარ ვიკვებოთ. აივანზე ვსაუზმობთ, ვსადილობთ და ვვახშმობთ. სუფთა ჰაერი სიცოცხლის ძალას მმატებს.

სტუმრად ბატონი ჟორდანია (პრემიერ-მინისტრი) მყავდა. ერთი საათით შემოიარა. მიუხედავად იმისა, რომ ენა ოდნავ ებმის, მასთან საუბარი ძალიან სასიამოვნოა.

წერილთან ერთად თორმეტ ფოტოს გიგზავნი. მათი უმეტესობა გრანდიმ სომხეთში ყოფნის დროს გადამიღო. შეიძლება, მოგვიანებით კიდევ

შევძლო რამდენიმეს გამოგზავნა.

ჩვენი ელექტროსანათები მწყობრიდან გამოდის, ზოგჯერ საერთოდ არ მუშაობს. იმედი მაქვს, შენ ჩემზე ნაკლები პრობლემა განუხებს.

#### 4 ნოემბერი.

ცივი, მონყენილი დღე იყო. ვშიშობ, რომ ბოლოს და ბოლოს, ზამთარი დადგა.

ვლადიკავკაზში წასვლას ველარ ვახერხებ. მართალია, გენერალ ქისს<sup>31</sup> ავუხსენი, რომ ჩემთვის მასთან შეხვედრა ვლადიკავკაზში უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე ტფილისში, მაგრამ ის ხვალ დილით მაინც ჩამოდის. როგორც ჩანს, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ივარაუდა, რომ მგზავრობა სახიფათო იქნებოდა ჩემთვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში არ არსებობს გზა, რომელიც შემაშინებდა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ აქაურ გზებზე უამრავი მანქანა დადის ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

#### 5 ნოემბერი.

ქისი ამ დილით ჩამოვიდა და სადილამდე კარგახანს ვილაპარაკეთ. ვშიშობ, რომ უშედეგოდ. ის მალე შვებულებაში მიემგზავრება ლონდონში. ჩვენთან ერთად ლამბაშიძემ, მელიქოვმა და ორბელიანმა ივანშემეს. მუზეუმებისა და სხვა ღირსშესანიშნაობების მოსანახულებლად არცერთი არ წასულა. ცოტა ადრინადა ვივანშემებთ, რათა საღამოს ოპერაში წასვლა მოვასწროთ "ტოსკას" მოსასმენად, მაგრამ, სიმართლე რომ გითხრა, ამ წარმოდგენის ხილვა დიდად არ მეხალისება.

ხვალ საქართველოს მთავრობა Hotel d' Orient-ში გვეპატიჟება სადილად, შუადღისას კი წვეულებაზე უნდა წავიდე. ქისმა თქვა, რომ ბათუმში პარასკევს დილით დაბრუნდება.

#### 7 ნოემბერი.

მიუხედავად ყველაფრისა, ოპერაში წასვლა მაინც მომიწია. მსახიობები კარგად თამაშობდნენ და შესანიშნავად მღეროდნენ, მაგრამ წარმოდგენა მაინც არ მომეწონა. შემდეგ „ქართულ კლუბში“ წავედით სავანშემოდ და შინ ძალიან გვიან დავბრუნდით.

---

<sup>31</sup>გენერალი ქისი - ეკატერინოდარში დენიკინის შტაბთან პოლიტიკური მისიით მიმავრებული სამხედრო პირი. ქისი ეკატერინოდარში ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ მიმართულებას, ხოლო გენერალი პოლმანი სამხედროს. საბოლოოდ, ორივენი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ექვემდებარებოდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს, მათ შორის, კერზონისა და უორდროპის მიერ გატარებულ პოლიტიკას.



გუშინდელმა დღემ ჩემი დიდი ძალისხმევა წაიღო. მეჯავრება ზეიმები! რამდენიმე დღის წინ კონია ერისთავს შევპირდი, რომ ოთხზე მასთან ერთად ვისადილებდი. თავის არიდება აღარ გამომივიდა. სადილს ოცზე მეტი ადამიანი დაესწრო, მათ შორის, გეგეჭკორი (საგარეო საქმეთა მინისტრი) და სხვები. დიასახლისისა და მისი ქალიშვილის გარდა, რომელიც კლერკად მუშაობს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ყველა მამაკაცი იყო. კაცები მღეროდნენ, გიტარაზე უკრავდნენ და სადღეგრძელოებსაც წარმოთქვამდნენ, მაგრამ შვიდი საათი არ იყო, როცა იქაურობას გამოვეცალე.

სახლში მისული ცამეტი რიცხვით დათარიღებულმა შენმა წერილმა გამახარა, სწრაფად ჩავიკითხე, ჩავიცვი და ოფიციალურ ვახშამზე წავედი, რომელსაც მთელი მინისტრთა კაბინეტი უნდა დასწრებოდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ მათთვის საგანგებო თათბირი დაინიშნა და ვერ მოვიდნენ. მაგიდის გარშემო ოცზე მეტი სტუმარი იჯდა. ლამბაშიძე, რომელიც თამადაობდა, თითოეულ მათგანს ელაპარაკებოდა. ეს ბანკეტი ქისის პატივსაცემად გაიმართა, რომელიც შუადღისას მცხეთაში წასულიყო. შინ ისევ ძალიან გვიან დავბრუნდი, შუალამე უკვე გადასული იყო.

ქისი დილის ათზე გაემგზავრა ბათუმში, მე კი ჩვეულ რიტმში განვაგრძე მუშაობა.

ხვალ, შუალამისას, მატარებლით გავემგზავრები სიღნაღისკენ, შემდეგ მანქანით თელავისკენ, უკან კი ისევ მატარებლით დავბრუნდები ორშაბათს, სადილამდე. იმედი მაქვს, ცოტა ხანს მშვიდად ყოფნას შევძლებ.

რაც შეეხება ათი-თორმეტი ოქტომბრით დათარიღებულ შენს ძვირფას წერილს- მიხარია, რომ იპოვე საწერი მაგიდა, რომელიც მოგწონს და იმედი მაქვს, რომ მაგ მაგიდაზე ჩემთვის ბევრ წერილს დანერ. ნეტავ შემეძლოს, მისაღებ ოთახში შევიხედო და დავინახო ფანჯრებზე მოფრიალე ახალი წითელი ფარდები, დაგინახო შენ, ცეცხლის პირას მჯდომი. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი აღმიწერე, სრულად მაინც ვერ წარმოვიდგინე იქაურობა. მართალია, აქ კიდევ ორი წელი არ ვაპირებ ყოფნას (რუკერმა მომანოდა ეს აზრი), მაგრამ ვშიშობ, რომ შობას თქვენთან ერთად ვერ ვატარებ. ეს ერთადერთი იმ შემთხვევაში მოხდება თუ აღმოჩნდება, რომ ჩემი აქ მუშაობა სრულიად უშედეგო და უსარგებლო იყო. რა თქმა უნდა, ვერაფერს გამოვრიცხავ. იმედია, წლის ბოლოსთვის გავიგებ, როგორია მოკავშირეთა<sup>32</sup> პოლიტიკა დედამინის ამ ნაწილთან დაკავშირებით. თუმცა ამ ეტაპზე, ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ხელ-ფეხი მაქვს შეკრული. დღევანდელი მდგომარეობით, ძალიან შემეცოდებოდი აქ რომ ყოფილიყავი. ვერც ბავშვები გაძლებდნენ. მიხარია, რომ სკოლა უფრო და უფრო მოსწონთ, თუმცა საწყენია, რომ ფრანგულის მასწავლებელი არ უვარგათ.

ვიცი, ჩემი წერილები შენდამი ძალიან მოსაწყენი და სულელურია. სწრაფად ვვლახნი ყველაფერს, რაც თავში მომდის, როგორც კი დრო გამიჩნდება. ჩემი ბარათები უფრო ყოველდღიური ამბების ქრონიკაა, რაც, ვშიშობ, სულაც არ არის წასაკითხად საინტერესო.

ბოლო ხანებში გაცილებით უკეთ ვარ. ალბათ უფრო იმიტომ, რომ ცა

---

<sup>32</sup> იგულისხმება ანტანტა - დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი და იტალია.

მონმენდილია და ჰაერი -სუფთა. აქ არ იცის ცივი ზამთარი, მაგრამ მუდმივი პრობლემები გათბობასთან და განათებასთან დაკავშირებით, ძალიან გამაღიზიანებელია. ჩვენთან ელექტროობა აღარ მუშაობს და მთლიანად სანთლებზე ვართ დამოკიდებული.

გთხოვ, გადასცე ჩემი გულითადი სალამი დედაშენს და კამილას, ასევე, ჯონასს და მაალფრიდს, რომლებიც, ალბათ, შენთან ერთად არიან. ასევე, საუკეთესო სურვილებით მოიკითხე ლანყეები.

ერთი თხოვნა მაქვს - შეგიძლია, პოპლინის ჰალსტუხები გამომიგზავნო? სამი ცალი, თითო ინჩის სიგრძის, ლურჯი, მწვანე ან ყავისფერი. მგონი, სულ გამეზნა ჩემი ჰალსტუხები, რომლებიც თან ჩამოვიტანე. წინდებს, ცხვირსახოცებს და საყელოებსაც ველარ ვპოულობ. სარეცხს თითქმის ვერ ვიბრუნებთ დანაკარგის გარეშე.

## შაბათი. 8 ნოემბერი.

შუადღისას ჩემი ძვირფასი გოგონას კიდევ ერთმა წერილმა გამახარა და სასიამოვნოდ გამაკვირვა. მართალია, წერილი საკმაოდ ძველი იყო (4-7 სექტემბრის), მაგრამ სასიამოვნოდ იკითხებოდა. დაგვიანება, სავარაუდოდ, ოლდჰემის გამო მოხდა, რომელმაც გზა-კვალი არია. შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტი გაცილებით სანდოა, ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ ასეა და არ ვცდები.<sup>33</sup>

რამდენიმე საათში კახეთისკენ დავიძვრებით. იმედი მაქვს, უკან ორშაბათს დავბრუნდებით, დღის პირველ ნახევარში.

დღეს ბევრი ვიშრომე მოსალოდნელი უთანხმოების და სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუკი ჩემს შრომას ამაოდ არ ჩაუვლია.<sup>34</sup>

მახსოვს, ადრე მითხარი, რომ ჩვენმა ერთმა დაქორწინებულმა ახლობელმა (მგონი კამილამ), თქვა, რომ ქორწინების მეშვიდე წლისთავი ყველაზე კრიტიკულია წყვილისთვის. ჩვენ ზღვარს უკვე გადავაბიჯეთ და ახლა, როცა უკან ვიხედები, მხოლოდ ბედნიერებას ვხედავ, ბედნიერებას, რომელიც დღითიდღე იზრდება. სავარაუდოდ, გარემოებებით გამონვეულმა განშორებამ ჩვენს ურთიერთობაზე კარგად იმოქმედა. ყოველთვის, როცა შენთან ვბრუნდები, ვბრუნდები დიდი სიყვარულით, ვიდრე წინა ჯერზე და შენც უფრო და უფრო ძლიერ გრძნობას მაგებებ.

მიხარია, რომ ვარჯიშს არ წყვეტ. დღეს ბლუმმა შემომიარა. ის რუსეთის კონსულია თავრიზში. ერთმანეთი დიდი ხნის წინ, 1887 წელს, მოსკოვში გავიცანით, როცა ჯერ კიდევ ბიჭი იყო, მე კი მის ბიძასა და ბიცოლასთან გავატარე ჩემი იქ ყოფნის მთელი პერიოდი. საბრალო დედამისი ჯერ კიდევ

---

<sup>33</sup> აქ უორდროპი, სავარაუდოდ, გულისხმობს ქალაქ ოლდჰემის საფოსტო სერვისის და ხაზს უსვამს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტის გზავნილები ადგილზე უფრო უსაფრთხოდ ჩადიოდნენ.

<sup>34</sup> აქ იგულისხმება, უორდროპის შუამავლობით, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთაც ის ქვემოთ უფრო დეტალურად ეხება.

მოსკოვშია. ბლუმი აქ იმისთვის ჩამოვიდა, რომ ცოლს შეხვდეს და თავ-რიზში მასთან ერთად დაბრუნდეს. ცოლი ცნობილი რუსი კომპოზიტორის, სკრიაბინის შვილია, თავად ბლუმი კი ანტონ რუბინშტეინის ძმის შვილიშვილი. სკრიაბინმა მარცხენა ხელისთვის იმდენად რთული ნოქტიურნი დაწერა, რომ საზოგადოებაში მის შესრულებას თავადაც კი ერიდებოდა - შეცდომების დაშვების ეშინოდა.

სასიამოვნოა ბიძია ალფის ვერცხლეულის ქონა. თუკი ადამიანს ძვირფასეულობა საერთოდ უნდა გქონდეს, ალბათ ჯობია, ისეთი ნივთების მფლობელი იყო, რომლებთანაც ასოციაციები გაკავშირებს.

დიდი ხანია, შენი და ბავშვების ფოტოები არ გამოგიგზავნია. არადა, ძალიან მინდა თქვენთვის თვალის შევლება.

ამ დილით ოდნავ ყინავდა და წელს პირველად, დილის ტრადიციული სეირნობისას, პალტო ჩავიცვი. წუხელ მთელი ღამე სავსე მთვარე ანათებდა, რამაც ძალიან გაგვახარა, რადგან სანთლების გარდა, სინათლის არავითარი წყარო არ გაგვაჩნია.

უჩვეულოდ სასიამოვნოა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩემი ბათუმში ვიზიტის შესახებ შეგატყობინა. ალბათ უკვე გეცოდინება, რომ მხოლოდ ერთი დღით ვიყავი წასული.

„ფიქრის ძალა“ შესამჩნევად იზრდება მაშინ, როცა აზრებისთვის თავის მოყრას ახერხებ. ვშიშობ, აზროვნების უნარი საერთოდ წამერთვა. მე ახლა მანქანა ვარ, რომელიც მთელ დღეს სამუშაოს შესრულებას ანდომებს.

ძვირფასი ნინოს ფოტომ, რომელიც გამომიგზავნე, სახლი მომანატრა. წარმომიდგენია, როგორია ნინო ახლა - „სიამოვნებათა ზმანება“ და არა „პატარა, უსახური არსება ყვითელი თმითა და ლურჯი თვალებით“.<sup>35</sup>

გრანდი და უეითი მოკითხვას გითვლიან. ამჟამად ორივე მშვენივრად გრძნობს თავს.

## **კვირა. 9 ნოემბერი. დღის 3 საათი. ბურჯანის საღვთი.**

ამ წერილს მატარებელში ვწერ, სანამ შთაბეჭდილებები ჯერ კიდევ ცხელია. ვშიშობ, მოგვიანებით სათანადო სიტყვების პოვნა გამიჭირდება. მანქანებს მატარებელში ვტვირთავთ. რამდენიმე წუთში თელავისკენ დავიძრებით.

წუხელ ღამით გრანდი, უეითი, ორბელიანი და მე ტფილისიდან საღვთოს ათ საათზე გავედით და ნაშუალამევს, ოთხის თხუთმეტ წუთზე მელაანში ჩავედით, სადაც სილნალისკენ არის გადასახვევი. 6 საათზე ავდექით, ვისაუზმეთ და ცხენოსანი ესკორტის თანხლებით დავადექით გზას. აქაურობა ლამაზია, მინა-ნაყოფიერი, ჰაერი-სუფთა. გზადაგზა ჩვენი ესკორტიც იზრდებოდა და მოსახლეობის ყურადღებაც ჩვენ მიმართ. მელაანიდან

---

<sup>35</sup> ეს არის ამონარიდები ბრიტანელი პოეტის - უილიამ უორდვორსის ლექსიდან „სიამოვნებათა ზმანება“.

ათი მილი ვიარეთ და ბოდბეს მივადექით, სადაც წმინდა ნინოა დასაფლავებული. ხალხი ჩვენს მანქანას ყვავილებს ესროდა. მონასტერს მივადექით, გავიარეთ ტრიუმფალური თალი, რომელიც ფოთლებისგან აღემართათ. წინამძღვარმა თავად მიგვიღო. ის თავადის ქალი ვაჩნაძეა, ლევან ვაჩნაძის და. ლევან ვაჩნაძე ჩემი მასპინძელი იყო ტფილისსა და სიღნაღში ოცდაათი წლის წინ, როცა აქ პირველად ჩამოვედი. შავსამოსიანი, მაღალთავსაბურთიანი დედები, მონასტრის სკოლის თეთრკაბიანი გოგონები და შემოგარენში მცხოვრები მოსახლეობა მონასტრის ტერიტორიაზე შეკრებილიყო. მღვდელი მეოთხე საუკუნეში აშენებული პატარა ეკლესიისკენ წამიძღვა და ლოცვა აღავლინა მონა ღვთისა ოლივერისა და მისი საყვარელი ადამიანების კარგად ყოფნისათვის. მონაზვნებმა გალობით მისურვეს ხანგრძლივი და ბედნიერი სიცოცხლე. ჯვარზე მთხვევის შემდეგ წმინდა ნინოს საფლავთან მიმიყვანეს. არქეოლოგმა ნატროშვილმა, რომელიც ამავდროულად მომრიგებელი მოსამართლეა, ბევრი საინტერესო რამ მიაპოო მონასტრის შესახებ. ვაზის ხისაგან დამზადებულ კანკელზე ყურძნის მტევნებია გამოსახული. წინამძღვარმა დამათვალისწინებინა გოგონების სასწავლებელი, საცხოვრებელი, საკლასო ოთახები, სატრაპეზო და სახელოსნოები, სადაც ხალიჩები, ნაქარგები, საეკლესიო სამოსი და ხატები იქმნება. მან შენთვის საჩუქრად ნაქარგი გადმომცა, თამარ დედოფლის გამოსახულებით, ჩვენი ნინოსთვის კი მისი მფარველი წმინდანის პატარა ხატი, რომელიც მონაზვნების მიერაა დანერგილი. სანამ მოსწავლე გოგონებისა და მონაზვნების გუნდი საგალობლებს ასრულებდა, წინამძღვარი თავის სამყოფელში ყავით გაგვიმასპინძლდა. მონასტერი პურის და, საერთოდ, ბევრი საჭირო რამის ნაკლებობას განიცდის. წამოსვლამდე ილუმენიას მცირე შესაწირი გადავეცი, 5000 რუსული რუბლი (დაახლოებით, 8 ფუნტი სტერლინგი). ასევე დავათვალისწინებთ მონასტერთან მდებარე მოზრდილი ბაღი, ყვავილებით დავიტვირთეთ და ბავშვებისა და უფროსების გამოსამშვიდობებელი შეძახილების თანხლებით, სიღნაღისკენ გავეშურეთ. საითაც ნაბიჯი გადავდგი, გარს შემოხვეული გოგონები ყველგან ყვავილებს მახვედრებდნენ ფეხქვეშ. სიღნაღში ჩასულებს წარმტაცი ხედი გადაგვეშალა თვალწინ - ალაზნის ტრიალი ველი და მის უკან აღმართული კავკასიონის თოვლიანი მთები.

სიღნაღს ჭენებით, უფრო სწორად, ჭენებით მომავალი ესკორტის თანხლებით მივადექით. ხალხი ჩემს შესახვედრად გამოეფინა და ქალაქში ყვავილებისა და ფოთლების თალის გავლით შევედი. ჩემს დასახვედრად მთელი მოსახლეობა გამოვიდა, ქალაქის ხელისუფლების მეთაურობით, რომელთაგანაც რამდენიმემ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა, შემდეგ კი ბანკეტზე მიმიპატიჟეს, სადაც უამრავი სიმღერა შესრულდა და სადღეგრძელოებიც ითქვა. სუფრას ესწრებოდა პოეტი სანდრო შანშიაშვილი, რომელმაც წლების წინ დანერგილი, მარჯორისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა. მარჯორის სახელი ბევრმა მოიხსენია მონინებითა და სიყვარულით. აღნიშნეს, რომ მასზე, როგორც მიცვალებულზე ლაპარაკი ყველას უჭირს, რადგან მარჯორი სამუდამოდ ცოცხლობს ქართველების გულებში და იცოცხლებს იქამდე, სანამ საქართველო არსებობს. წამოსვლისას მთელმა ქალაქმა გამოგვაცილა. სავაჭრო გაერთიანებებს, გილდიებს, მუნიციპალურ ორგანოებს ბაირაღები გამოეტანათ, გოგონები ფეხქვეშ ყვავილებს

გვიფენდნენ. მთაგრეხილს ქალაქის კედლებამდე ჩავუყევით, შემდეგ კი დაკლაკნილი გზით ვენახებამდე ჩავალწიეთ. ეს რაიონი სწორედ ყურძნით და ღვინითაა ცნობილი. კიდევ ერთხელ შევაველი თვალი ალაზნის ველის მომაჯადოებელ ხედს და დალესტინის მთიან, კრიალა ცამდე აზიდულ საზღვარს. მინდორს იქით ანაგის დაბურული ტყე მოჩანდა, სადაც, ჩემი წარმოდგენით, მძინარე მზეთუნახავი ცხოვრობდა და დიდხანს ელოდა თავის ზღაპრულ პრინცს.

ჩემი ბოლო ვიზიტის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა. სიღნაღიდან თელავამდე სახლებისა და ვენახების მწკრივი არ წყდება. მიუხედავად იმისა, რომ მოსავალი არც ისე დიდია, აქაური ღვინო უმაღლესი ხარისხისაა და საკმაოდ ძვირი ღირს. ხალხი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობს, კარგად იკვებება და მშვენივრად აცვია. შენდება ახალი სახლები და გზებიც იგება.

გურჯაანის სადგურიდან ისევ მატარებლით განვაგრძეთ მოგზაურობა და თელავის სადგურში შევედით, რომელიც ქალაქიდან რამდენიმე მილის დაშორებით მდებარეობს. აღმართი მანქანით ავიარეთ, მაღლობზე მთელი თელავი გველოდებოდა. ათასობით ადამიანი სიხარულით დანახვაზე, მოედანზე სიმღერები გაისმა და მისასალმებელი სიტყვებიც ითქვა. მოსწავლე გოგონები თეთრებში გამოწყობილიყვნენ, ყველაფერს საზეიმო ელფერი დაჰკრავდა. ძველი თალი გავიარეთ და მეფე ირაკლის სასახლესთან მივედით, რომელიც ახლა გოგონების სკოლაა. გოგონების გუნდმა საქართველოს ეროვნული ჰიმნი შეასრულა. არც ყვავილები დაგვაკლეს და არც ტრიუმფალური თალები - ალბათ ყველაფერს, რაც თელავში დაგვახვედრეს, ვერ აღვინერ. ჩაის დასალევად ოთახში დავსხედით, რომელსაც უზარმაზარი, გაშლილი აივანი ჰქონდა. თვალწინ გადაგვეშალა ყინულოვანი კავკასიონი - ერთ-ერთი ულამაზესი ხედი მათ შორის, რაც კი ოდესმე მინახავს. სკოლის დირექტორის ცოლმა თავად გვიმასპინძლა - ის ესტონელია და ინგლისურიც იცის.

თელავიდან იმდენივე ადამიანმა გაგვაცილა, რამდენიც დაგვხვდა. ცხენოსანი რაზმის თანხლებით წინანდლისკენ დავიძარი. სამთავრობო ღვინის საცავები სწორედ წინანდალშია. იქაურობა ადრე ჭავჭავაძეებს ეკუთვნოდათ. სწორედ წინანდლიდან გაიტაცეს შამილის მეომრებმა ქალები და რამდენიმე თვე მძევლად იყოლიეს დალესტანში. ჩემმა მეკავშირე ქართველმა ოფიცერმა, მამუკა ორბელიანმა, თავად მაჩვენა ცაცხვის ხე, რომლის ძირშიც იჯდა დედამისი, სრულიად ბავშვი, როცა ლეკებმა ტყვედ აიყვანეს. მოვინახულე ნანგრევებად ქცეული სამლოცველო, სადაც ცნობილი რუსი პოეტი და დრამატურგი გრიბოედოვი (რომელიც თეირანში მოკლეს და ტფილისში დაკრძალეს), პრინცესა ჭავჭავაძეზე დაქორწინდა.

მდიდრულად და გემოვნებით მორთული სასახლე დაახლოებით ოცი აკრის ფართობის კარგად მოვლილ ტყეში დგას. ჩასულებს მასპინძლები 20 ფუტის სიმაღლის ჩირაღდნებითა და თაიგულებით დაგვხვდნენ. რამდენიმე მისასალმებელი სიტყვაც წარმოითქვა. აქაურობის ხელმძღვანელმა რამიშვილმა ვახშამი უზარმაზარ წვეულებლად აქცია. თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ღვინები გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე თამადის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოები.

დაახლოებით თერთმეტი საათისთვის ისევ მატარებელში ჩავსხედით და გურჯაანში დავბრუნდით, საიდანაც ტფილისისკენ დავიძარი. ტფილისში პირველ საათზე ჩავედით.

დამავიწყდა მეტქვა, რომ ბაკურციხეშიც არაჩვეულებრივად დაგვხვდნენ. იქ ოცდაათი წლის წინაც ვიყავი და აღმოჩნდა, რომ ბევრს ჯერ კიდევ ვახსოვარ.

## **ოთხშაბათი. 12 ნოემბერი.**

რაც ტფილისში დავბრუნდი, უამრავი საქმე მაქვს, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობ.

გუშინ ქუთაისში ნორვეგიის კონსულმა, ვინმე კაპიტანმა კონრად სოუნდლომ საქმეზე შემომიარა. როცა ნორვეგიულად დაველაპარაკე, ლამის გული წაუვიდა და ბოლოს, როცა კარგა ხნის შემდეგ გონს მოვიდა, მითხრა, რომ ჩემი წარმოთქმა ძალიან ჰგავდა სტლანდურს, მსუბუქი ბერგენული ელემენტებით. ის თავად ტრონჰეიმიდან არის.

ჩემს ოთახს უამრავი ყვავილი ამშვენებს. მათგან ზოგი კახეთიდან ჩამოვიტანე. ამინდი ჯერ კიდევ ძალიან სასიამოვნოა და ძირითადად, აივანზე ვსადილობთ. ამ დღით წვიმდა.

## **12 ნოემბრის საღამო.**

შენმა წერილმა, რომელიც 6 ოქტომბერს ბიზნესმენებს გამოატანე, ბერიძის<sup>36</sup> მეთვალყურეობის ქვეშ, ჩემამდე დღეს შუადღისას მოაღწია. რამდენიმე წუთი გამოვძებნე, რომ შენთვის ეს მეცნობებინა და ასევე, დიდი მადლობა მეტქვა წიგნისთვის სფრინგ რაისის შესახებ.

უამრავი საქმე მაქვს. წესით შობას შინ ჩამოსვლა ვერ უნდა მოვახერხო. სხვანაირადაც შეიძლება მოხდეს თუ აქ სრულ კრახს განვიცდი. ერთი სული მაქვს როდის განახვთ შენ და ბავშვებს, მითუმეტეს მას შემდეგ, რასაც ბავშვებზე მიყვები, მაგრამ არჩევანი არ მაქვს, რაც დავინყე ბოლომდე უნდა მივიყვანო.

---

<sup>36</sup> საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი

## 12.11. 19.

ორიოდე სიტყვით გეტყვი, რომ თავს მშვენივრად ვგრძნობ, თუმცა ძალიან, ძალიან დაკავებული ვარ.

გიძღვნიტ სიყვარულს, შენ, ჩემს უძვირფასეს მეუღლეს და ჩვენს შვილებს. მოკითხვა დედაშენს და სხვებს.

შენი

ო. უ.

## ტფილისი. 14. 11. 19.

ჩემო უძვირფასესო მეუღლე,

საოცრად სასიამოვნოა შენი ხელიტ ნაწერი, ახალი ამბებით სავსე, ოცდაოთხგვერდიანი გზავნილის მიღება, რომელიც 16-22 ოქტომბრის ამბებს მომიტხრობს. ყველაზე მეტად გამაოცა იმ ფაქტმა, რომ შენი წერილი ზუსტად მაშინ მოვიდა, როცა მე თვითონ მოვრჩი შენთვის გამოსაგზავნი ბარათის წერას და კონვერტის დაღუქვა დავაპირე.

როგორც ჩანს, მალე მუდმივი შუამავლები გვეყოლება ლონდონიდან სპარსეთში მიმავალი ოფიცრების სახით, რასაც ბათუმიდან ბრიტანეთისკენ კვირაში ორჯერ მომავალი საფოსტო გზავნილები ემატება. ასე რომ, აწი ჩვენს შორის კომუნიკაცია სწრაფი და ხშირი იქნება.

რა თქმა უნდა, სევდიანია იმაზე ფიქრი, რომ ჩვენი ქორწინების იუბილე ერთად ვერ გავატარეთ, მაგრამ ეს პირველად მოხდა და იმედია, უკანასკნელადაც.

მადლობა ესკიზისთვის. ახლა უკვე შემიძლია წარმოვიდგინო, როგორ გამოიყურება ჩვენი სასტუმრო ოთახი, ავეჯი დავათვალიერო, გავიარ-გამოვიარო, თუმცა მთელი ჩემი გულისყური მაინც თქვენკენაა მოპყრობილი, ჩემი ძვირფასი მეუღლისა და შვილებისკენ, რომლებიც, ჩემს წარმოდგენაში, ბუხრის პირას სხედან.

ძალიან მაინტერესებს, ვინის განდევილობა როგორმე თუ არის დაკავშირებული სიასამურის ბენვის ამბავთან. ტომმა მიაჩნო თავის წერილში, რომ ვინიმ ბევრი იდარდა ბენვეულის ტანსაცმელთან დაკავშირებით და ფიქრობდა, რომ დედაჩვენის წილი მისთვის უნდა გაგვეყო.

აქ შემოდგომის შესანიშნავი ამინდია და მიხარია, რომ სველი და ცივი დღეები კიდევ ცოტა ხანს არ გვემუქრება. ჯერ კიდევ ისე თბილა, რომ აივანზე ვსადილობთ.

სომხეთისა და აზერბაიჯანის დაპირისპირება ბევრ პრობლემას ქმნის და მუშაობას გვირთულებს. რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ სიტუაციის განსამუხტავად და იმედია, შედეგიც გვექნება, მაგრამ უცხოური ინტრიგების შედეგად გამონვეული ზოგადი დაძაბულობა ყველგან იგრძნობა. თუმცა „ბოლშევიზმის“ აფეთქებამ, რომელიც ასევე უცხოური ფულიტ ფინანსდებოდა, ხელი შეუწყო ამ ქვეყანაში ვითარების გარკვევას. ქართველე-

ბი ძალიან შორს არიან ბოლშევიზმისადმი დადებითი დამოკიდებულები-საგან, განსაკუთრებით, სოფლის მოსახლეობა ძალიან ენინააღმდეგება მსგავს იდეოლოგიას.

ქართულ ოთახში, კარადის შუა განყოფილებაში, სულ ქვემოთ, „წმინდა ნინოს ცხოვრების“ რამდენიმე ეგზემპლარს იპოვი. წიგნებს სქელი ქალაღდი აქვს შემოკრული და შენ ალბათ ერთი შეხედვით ვერ იცნობ, რადგან გარედან სათაურის ნაცვლად დიდი ასოებით „სტუდია ბიბლიკა“ აწერია.

რუკერი ჯერ არ გამოჩენილა. ყოველდღე ველოდები. უეითი და გრანღდი გადაიღალწენ და დამხმარის გამოჩენა ძალიან გაახარებთ.

ყოველთვის გეუბნებოდი, რომ ენდის უფრო ჭარბად აქვს ვერგლანღდების სისხლი, ვიდრე დანარჩენებს. მენიშნა შენი მოწერილი, როგორ აღფრთოვანდა ენდი, როცა მისი დიდი ბებიის ძმის შესახებ უამბე. ვიმეღდოვნებ, რომ ამ დიდებული ადამიანის თვისებები ჩვენს შვილშიც მრავლად იჩენს თავს.<sup>37</sup>

რა უცნაურია, რომ „მგლის ლეკვები“, ჩვენი ბიჭები, უკვე ისე გაიზარღდწენ, რომ მსოფლიო პრობლემებზე ფიქრობენ და დიდ მებრძოლებს ეღრეღბიან.

შენ ბებერი „მგლის“ საქმეები მოიკითხე. რისი თქმაც შემიძღლია ისაა, რომ განწყობა ოღნავ გამომიკეთდა. ჯერჯერობით არავის უთქვამს, რომ რაიმე სერიოზული შეცდომა დავუშვი, თუმცა ვხვდები, რომ სახიფათო აღმართს მივუყვები და ნებისმიერ წამს შეიძღლება ფეხი გადამიბრუნღდეს, რაც ძალიან ცუღდ შედეგს გამოიღღებს და უამრავ ადამიანს დააზარაღღებს. ვგრძნობ, რომ აქაურ ისტორიაში საკუთარ ფურცელს ვწერ და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემს ამბავს კეთილი დასასრული ექნება. მუღდმივად დაჭიმული ვარ ცვლილებების მოლოღღინში და ვიცდი, როღღის დაღღება ცვლილებების დრო, რომ შვებუღღებით სახღღში დავბრუნღდე და დღღესასწაული ოჯახთან ერთად გავატარო. ხუთი წელი უშვებუღღებოდ მუშაობა საკმაოდ რთულია. შეიძღლება, გაისად ნაადრევად გამოვიქცე. როგორც უკვე გითხარი, სავსეღბით შესაძღღებღღია წარუმატებღღობის შემთხვევაში, ნებისმიერ მომენტში უკან გამიწვიონ.

ჩემს უსაფრთხოებაზე არ ვღღარღღობ. მცვეღღები, რომღღებიც ქვეყანაში მოგზაურობისას თან დამყვებიან, მხოლოდ ჩემღღამი პატივისცემის დასაღღდასტურებღღად მომამაღღგრეს. მე კი ვფიქრობ, რომ შავ და კასპიის ზღვებს შორის მღღებარე ნებისმიერ ადგილას შემიძღღლია უსაფრთხოღღ, დაცვის გარეშე ვიმოგზაურო და რაც უფრო ველურ, მიუვალ ადგილას მივალ, მით უფრო გულთბილად დამხვდებიან.

სფრინგ რაისის შესახებ პატარა წიგნი, რომელიც შენ გამომიგზავწენ საჩუქრად დაბადების დღეზე, უკვე წავიკითხე. ალბათ გახსოვს, ჩიროღღლი, ავტორი, რომელიც ცდიღღობდა, ჩვენი ქორწიღღების პირველ წელს,<sup>38</sup> „თაიმსში“ მუშაობით დავეინტერესებინე და მე მართლაც გავწიე გაზეღღ-

<sup>37</sup> ოღღივერ უორდროპის მეუღღლის - მარგარეტ კოღღეტის ბებია იყო ცნობიღღი ნორვეგიეღღლი მწერაღღი კამიღღა კოღღეტი (ქაღღიშვიღღობის გვარი ვერენღღანდი) 1813-1895, ხოლო მისი ძმა, რომელზეღღაც უორდროპი საუბრობს, ასევე ცნობიღღი ნორვეგიეღღი პოეტი - ჰენრიკ ვერგელანდი (1808-1845) გახღღდათ.

<sup>38</sup> 1912



თისათვის გარკვეული სამუშაო. თავად ადრე უცხოეთის ამბების განყოფილებას რედაქტორობდა. სფრინგ რაისი ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვინც მონათესავე სულად მივიჩნიე და დღემდე ასეთად მიმაჩნია. პეტერბურგში ყოფნის დროს მისი გაკეთებული ბევრი მნიშვნელოვანი საქმე ვნახე.

ხვალ ტფილისის უნივერსიტეტში მელოდებიან. კვირას სადილად ვარ მიპატიჟებული თავად მამუკა ორბელიანთან და მის მეუღლე ელისაბედთან, რომელიც საქართველოს სამეფო ოჯახის წარმომადგენელია და, ამავე დროს, რედაქტორია გაზეთისა “La Georgie Independante”, რომელსაც რეგულარულად გიგზავნი. რაც შეეხება კვირა საღამოს, ამერიკული ფლოტის ოფიცერს, ბრაიანს და მის მეუღლეს შევპირდი, რომ ერთად ვივახშმებთ მშვიდ და სასიამოვნო გარემოში.

## 15. XI. 19.

შუადღისას უნივერსიტეტში შევიარე. შენობა საკმაოდ დიდია, ვითარება სასიამოვნო. კოლექციები და ბიბლიოთეკა დავათვალიერე. ვნახე რუსთაველის ილუსტრაციები, რომელთა ყიდვაც, ალბათ გახსოვს, ლონდონში შემოგვთავაზეს და ვერ შევძელით. ახლა ილუსტრაციები იმ ხელნაწერებთან ერთად ინახება, საიდანაც თავის დროზე ამოჭრეს. კედელს მარჯორის პორტრეტები ამშვენებს, იქვე მისი ბრინჯაოს ნიღაბია, რომელიც კნენა ოლლა ჭავჭავაძის სახლში ინახებოდა.

ორი საათისთვის ნახევარი საათით მოვიცალე და ჩაი დავლიე პატარა გოგონებთან, ტასიასთან და კიტისთან, მათ დედასთან და ბებიასთან ერთად, რომლებმაც დილიდან საოცარი სტუმართმოყვარეობით გვიმასპინძლეს. კარაკილისიდან ტფილისში სატვირთო ვაგონით ჩამოსასვლელად სამი დღე დასჭირდათ.

შემდეგ ამერიკის წარმომადგენელს შევხვდი სომხებისა და თათრების ურთიერთობაზე სასაუბროდ. ახლახანს დავშორდით ერთმანეთს. გრანდი და უეითი ამერიკელებთან ერთად ვახშობენ, მე კი სახლში ვარ და საღამოს მშვიდად ვატარებ. საერთოდ, ჩემი საღამოების უმეტესობა წყნარი და უხმაუროა, როცა არ ვმუშაობ, მძინავს.

## 16. 11. 19.

### საღამოს 6 საათი და 30 წუთი.

სამსახურებრივი თვალსაზრისით, დღევანდელი დღე ყველაზე დამაიმედებელი აღმოჩნდა და დამანახა, რომ ამ წუთას შემძლია ბედნიერი ვიყო ჩემი შრომის შედეგით. მერე რა, რომ არავინ იცის, რა მოხდება ხვალ, შეიძლება სასონარკვეთილებამაც შემიპყროს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემი ორთვენახევრიანი ძალისხმევა წყალში არ ჩაყრილა და მანდ, სამშობლოში, ძალაუფლების მქონე ადამიანებს არა მხოლოდ აინტერესებთ რას ვაკეთებ,

არამედ მხარს მიჭერენ და იზიარებენ ჩემს ზოგიერთ შეხედულებას.

ჩემი დღე კიდევ უფრო გააბედნიერა შენმა წერილმა, რომელიც 29 ოქტომბრითაა დათარიღებული. წერილი საზღვაო ძალების რეზერვის ახალგაზრდა უმცროსმა ლეიტენანტმა, გვარად ლოუელმა მომიტანა, რომელიც ადმირალმა დე რობეკმა გამოგზავნა ჩემს დასახმარებლად.

ორბელიანებთან გამართულმა სადილმა მშვენივრად ჩაიარა. დაახლოებით 4 საათზე წამოვედით, რაც ამ ქვეყანაში კარგი შედეგია, რადგან თითოეული კერძის სტუმრებისთვის მირთმევა ცალკე რიტუალია და დიდ დროს ითხოვს. მართალია, სადღეგრძელოებიც ითქვა, მაგრამ ლამბაშიძემ, რომელიც თამადობდა, საკმაოდ მოკლედ ილაპარაკა.

სადილს ესწრებოდნენ: ორბელიანები და მათი ვაჟები (20 და 18 წლის, ეს უკანასკნელი პიანისტი), თავდაცვის, შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი (რამიშვილი), ქალაქის მერი, თაყაიშვილი (არქეოლოგი და პარლამენტის ვიცე-სპიკერი- ჩემი ძველი მეგობარი), ვარია ყიფიანი (პროფესორი, რომელიც ბრიუსელში მუშაობდა. ვარია ორმოც წელს გადაცილებული ქალბატონია. მან მითხრა, რომ ღრმა ბავშვობიდან მოყოლებული გიჟდებოდა ჩემზე, უფრო სწორად, ისე გამოაცხადა თავისი „გაგიჟების“ შესახებ ყველას წინაშე, რომ ოდნავაც არ განითლებულა. შემდეგ კი დააყოლა, რომ მისი დამოკიდებულება ჩემ მიმართ მრავალმხრივი იყო), ნინო გელოვანი (ქართული სტენოგრაფის გამომგონებელი, რომელიც ბოლოს 1905 წელს, პეტროგრადის დუმაში ვნახე), ლამბაშიძე და მისი რძალი, ბლექი (ახალგაზრდა ამერიკელი ქართველოლოგი), პოლკოვნიკი სტოქსი, უეითი, გრანდი. მგონი, არავინ გამომრჩა.

## 17. 11. 19.

გუშინ ღამით ამერიკული ფლოტის ოფიცერ ბრაიანთან და მის ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე მეუღლესთან ერთად ვივახშმე. ვახშამს ასევე ესწრებოდნენ: მისის ჰარისი (მისტერ ჰუვერის,<sup>39</sup> მოკავშირეთა გაერთიანებული საკვების კონტროლის ხელმძღვანელის, ყოფილი მდივანი), ამერიკელი ოფიცრის - ჰიბენის<sup>40</sup> ცოლი და პოლკოვნიკი სტოქსი.

დღეს თითქმის მთელი დღე ლაპარაკში გავატარე. გრეისი რამდენიმე დღით ჩამოვიდა ერევიდან, მას ორი ბრიტანელი ოფიცერიც ჩამოჰყვა ბათუმიდან. მთლიანობაში ვითარება უფრო იმედისმომცემად გამოიყურება, ვიდრე აქამდე იყო.

ვდარდობ, რომ მკლავი ასე განუხებს. ცოტა ხნის წინ მეც დამემართა,

---

<sup>39</sup> ჰერბერტ ჰუვერი - ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი 1929-1933 წლებში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ხელმძღვანელობდა ამერიკული ხსნის ადმინისტრაციას, რომელიც დახმარებას უწევდა ომის შემდეგ გაჭირვებაში ჩავარდნილ ქვეყნებს, მათ შორის რუსეთს და სომხეთს.

<sup>40</sup> პაქსტონ ჰიბენი - ამერიკელი დიპლომატი, რომელიც 1918-1923 წლებში სომხეთისადმი ამერიკული დახმარების ადმინისტრირებით იყო დაკავებული, მრავალგზის იმყოფებოდა საქართველოში, დადებითად იყო განწყობილი ქვეყნისადმი და 1921 წელს დაწერა სტატია „მხიარულების რესპუბლიკა“. იხ. „თრაველ“, ჟულე 1921 (Vol. XXXVII, სსუე 3)

რალაც მწერლის სპაზმის მსგავსი, მაგრამ მალევე გამიარა. იმედია, მალე შენც კარგად იგრძნობ თავს.

ჯეიმი მართალია, როცა ამბობს: “du blir bedre og bedre for hver dag som gaar”.<sup>41</sup> შეგიძლია ჩათვალო, რომ ის გულწრფელი ადამიანია.

კარგია, რომ ჩვენმა შვილებმა ცეკვის სწავლა მოინდომეს. ვისურვებდი „ლეკურიც“ სცოდნოდათ, რომელიც დიდებული სანახავია და ევროპულ ცეკვებს ბევრად ჯობია.

არ უნდა შეიცხო. არ შეგიძლია, დამატებით ზეთის ღუმელი დადგა, თუკი ქვანახშირი არ გეყოფათ?

საწყენია, რომ შენი ოცნების საწერი მაგიდა ვერ მიიღე. ხომ იცი, როგორ მიყვარს, როცა ოცნებები გისრულდება.

მოუთმენლად ველოდები, როდის ჩამოვა შენი ამანათი, რომელიც რუქერს გამოატანე. შენ მიერ ჩამოთვლილი ნივთები ძალიან მჭირდება. ცხვირსახოცები და ყელსახვევები უკვე თითქმის აღარ მაქვს.

## 18. 11. 19.

ჩემი რჩევით, ოცში სომხეთის და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრები ტფილისში ჩამოდიან, რათა ერთმანეთთან დალაპარაკება სცადონ და განიხილონ, როგორ მოაგვარონ თავიანთ ქვეყნებს შორის ურთიერთობები, რომელიც უკვე სისხლისღვრაში გადაიზარდა. თუ შეხვედრა წარმატებით ჩაივლის, შემიძლია თავი ბედნიერად ვიგრძნო და ვთქვა, რომ რამდენიმე სიცოცხლე მაინც გადავარჩინე.

იმავე დღეს ვინმე სკოტი, რომელიც თეირანში კანცლერის თანამდებობაზე მუშაობდა, ტფილისის გავლით, კაიროში მიდის, სადაც მინისტრად ინიშნება. მოკლედ, დატვირთული დღე გველის.

დღეს მაიორმა ლოფტონმა, არჯილ ჰაილენდერის წარმომადგენელმა ისაძილა ჩვენთან ერთად. ის კონსტანტინეპოლიდან თეირანისკენ მიემგზავრებოდა.

გუშინ და დღეს ცივი, მოყამული ამინდია.

ლამბაშიძემ და ხოშტარიებმა თქვეს, რომ ამ პარასკევს ნამდვილად გამოემგზავრებიან ინგლისში. უკვე ორი თვეა გამგზავრებისთვის ემზადებიან.

ძალიან დაკავებული ვარ. მეტს ვერ გწერ. მხოლოდ ჩემს სიყვარულს გიგზავნი. გარწმუნებ, არაფერი მიჭირს.

მარად შენი,

ო. უ.

---

<sup>41</sup>“შენ ყოველდღიურად სულ უფრო უკეთესი ხდები“, ნორვეგიულად.

## ტფილისი, 20 ნოემბერი. 1919.

ჩემო ძვირფასო მეუღლე,

ახლახანს ჩავაბარე წერილები შენთან და ტომთან გამოსაგზავნად. ტომს ვთხოვე წამოიღოს ამანათი, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში გადავაგზავნე და წავაწერე, რომ მას წასაღებად მოაკითხავენ. ამანათში ხელნაკეთი ნივთები და სამკაულებია, რომლებიც ერევანში ვიყიდე, ყველა ვანელ ოსტატთა ნახელავია: ვერცხლის მოზრდილი ქამარი, ვერცხლის მომცრო ქამარი, ვერცხლის ორი აბზინდი, ვერცხლის ჯვარი, 22 ფილიგრანული საკინძე, მარგალიტებითა და ფირუზებით მოჭედილი ოქროს ორი საყურე, რომლებიც შეგიძლია კულონადაც გამოიყენო. რა თქმა უნდა, ეს ნივთები სულ შენია, მაგრამ თუ რომელიმე მათგანის გაჩუქება მოგინდება, გთხოვ, თავს ნუ შეიკავებ.

დღეს მნიშვნელოვანი და დატვირთული დღეა. შეიძლება, გსმენია კიდეც, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი, ომის ოფიციალურად გამოცხადების გარეშე, ნებას რთავენ ადამიანებს იომონ ზანგეზურის რეგიონში. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, მსხვერპლმა უკვე რამდენიმე ასეულს გადააჭარბა. მე წინადადება წამოვაყენე, რომ თუ ორივე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ერთ მაგიდასთან დაჯდებოდა და დაილაპარაკებდა, მდგომარეობის დარეგულირებას შეძლებდნენ. ორივემ თანხმობა განაცხადა და გუშინ ღამით ტფილისში ჩამოვიდნენ. ხატისიანი უკვე შემეხმინა, უსუბეკოვისგან ჯერ არაფერი მსმენია. ნუხელ ადრე დავიძინე, ასე ათი საათისთვის, გრანდი და უფითი კი ოპერაში წავიდნენ "აბესალომზე" დასასწრებად და ორივე პრემიერ-მინისტრი იქ ნახეს ამერიკელ პოლკოვნიკ რეასთან<sup>42</sup> ერთად. როგორც ჩანს, მათი პატივისცემის ნიშნად, მასპინძლებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს. ორკესტრმა საქართველოს და ბრიტანეთის ეროვნული ჰიმნებიც შეასრულა. დიდი იმედი მაქვს, რომ პრემიერ-მინისტრები, რომელთაც დიდ პატივს ვცემ, შეთანხმებას მიაღწევენ. თუ ასე მოხდება, ეს ფაქტი სამშვიდობო კონფერენციაზე<sup>43</sup> დიდ გავლენას იქონიებს, ამასთანავე, საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩემი გავლენა გაცილებით გაიზრდება.

ამინდი საგრძნობლად შეიცვალა, ცივა და წვიმს. ნუხელ თავსხმა იყო. თუმცა მე თავს შესანიშნავად ვგრძნობ და დილაობით, ყოველგვარი დისკომფორტის განცდის გარეშე, ისევ ვიღებ ცივ აბაზანას.

დღეს ტომის ტელეგრამას ვუგზავნი დაბადების დღესთან დაკავშირებით. იმედია, დროულად მიუვა.

ყველაზე მეტად მახარებს ის ფაქტი, რომ ჩემი აქ ჩამოსვლის შემდეგ პოლიტიკური ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა რეალური საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს და სერიოზული იმედგაცრუებისთვისაც მზად ვარ.

<sup>42</sup> პოლკოვნიკი რეა - პოლკოვნიკი ჰასკელის მოადგილე. ამ უკანასკნელის პარიზში ყოფნის დროს, 1919 წლის ნოემბერში, ასრულებდა სომხეთში მოკავშირეთა უმაღლესი კომისიის მოვალეობას.

<sup>43</sup> იგულისხმება პარიზის სამშვიდობო კონფერენცია (1919-1920), რომელიც პირველი მსოფლიო ომის შედეგებს აჯამებდა, აყალიბებდა მსოფლიოს ახალ წესრიგს და მათ შორის, წყვეტდა რუსეთის ყოფილი იმპერიის, კავკასიის რეგიონის ბედსაც.

დღეს მისტერ სკოტი ჩამოდის ტფილისში გავლით, თეირანიდან კაიროში მიემგზავრება, სადაც მინისტრად დაინიშნა. მას იმ დროიდან ვიცნობ, როცა პეტროგრადში, საელჩოში მდივნად ვმუშაობდი. ისე, მერჩინა, სხვა დროს გვწვეოდა.

სანამ წერილს ვწერდი, ბატონი უსუბეკოვი შემომეხმინა. დამპირდა, რომ ხვალ სამ საათზე ჩემთან ერთად ისაძილებს. იმედია, ბატონი ხატისიანიც მოვა. დღეს ექვსაათიანი საუბარი ჰქონდათ, თუმცა ვერაფერზე შეთანხმდნენ. ხვალ დილას ისევ შეხვდებიან და გულითადად ვიმედოვნებ, რომ შეთანხმებას მოახერხებენ.

## 21. 11. 19.

წუხელ ათ საათზე სკოტი მესტუმრა და შუალამემდე დარჩა. მას თან ახლდნენ სტუდენტი თარჯიმანი, სახელად- მონიპენი და რაჯუტელი ოფიცერი, სახელად- კარლაილი. მათ ამ დილითაც ჩვენთან ერთად ისაუბმეს, ხოლო ხვალ უკვე გაემგზავრებიან.

ლამით ძლიერად წვიმდა, ამიტომ დილით ჩვეული სეირნობისაგან თავი შევიკავე.

## საღამოს 7 საათი.

სადილმა მშვენივრად ჩაიარა. დრო მხიარულად გავატარეთ, სადღეგრძელოების და საზეიმო გამოსვლების გარეშე. მარჯვნივ უსუბეკოვი მეჯდა, მარცხნივ ხატისიანი, პირისპირ - პოლკოვნიკი რეა, მისგან მარჯვნივ ისხდნენ - გეგეჭკორი, ლამბაშიძე, პაპაჯანიანი (სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე), გაჯინსკი (აზერბაიჯანის ვაჭრობის მინისტრი), პოლკოვნიკი სტოქსი, აზერბაიჯანის და სომხეთის წარმომადგენლები საქართველოში. ყორდანია ავად იყო და მოსვლა ვერ მოახერხა. სულ თოთხმეტნი ვიყავით და დაახლოებით ექვსის ნახევრისთვის დავიშალეთ.

ბედნიერი ვარ, რომ პრემიერ-მინისტრებს შორის დიალოგი სწორედ იმ მიმართულებით მიდის, რომლითაც მე ვისურვებდი. დიდი იმედი მაქვს, რომ ხვალ ყველასთვის მისაღებ გადაწყვეტილებებამდე მივლენ. თუ ასე მოხდება, აქ პოზიციებს მნიშვნელოვნად გავიმყარებ.

საინტერესო ისაა, რომ მე უფრო დიდი ძალა და გავლენა მაქვს, ვიდრე სხვა ნებისმიერს კასპიისა და შავ ზღვებს შორის, მაგრამ ხომ იცი, როგორია ჩემი დამოკიდებულება ძალაუფლების მიმართ - არ მიყვარს მისი გამოყენება.

დღეს საშობაო საჩუქარი გიყიდე - საინტერესო სამკაულია. ვიფიქრე, რომ მოგეწონება. ჯვარია, ხელობა, მგონი, სპარსულ-სომხური, ან სპარსულ-სირიულია. ვფიქრობ, საკმაოდ ძველიც უნდა იყოს. ოქროსგან დამზადებული არშია საკმაოდ უხეშია.

წინა მხარეს მინანქრის ზოლები დაყვება, უკანა მხარე კი მთლიანად

ზურმუხტისფერი მინანქრისგანაა დამზადებული. ზურმუხტისფერს რამდენიმე ხაზი კვეთს, თუმცა ლალის თვლებს არცერთი ეხება. მარგალიტები, რომლებიც პატარა მავთულითაა ჯვარს მიბმული, ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისგან. ჯაჭვი ოქროსი არაა და, ჩემი აზრით, სულაც არ უნდა ეკუთვნოდეს ჯვარს. მას მომცრო რომაული მარგალიტები ამშვენებს. როცა მიიღებ, ძალიან გთხოვ, გულწრფელად გამიზიარო შენი აზრი. უიშვიათესი ნივთია, მისი მსგავსი არასოდეს არაფერი მინახავს. მითხარი, მოგეწონება თუ არა. ასევე შეგიძლია, იუველიერსაც შეაფასებინო. მოკლედ, როგორც მოისურვებ.

დღეს ცენტრალური გათბობა გვექონდა ჩართული, მაგრამ ახლა მაინც საგრძნობლად ცივა. იმედი მაქვს, რომ შენ და დედაშენი (რომელსაც გულითად მოკითხვას ვუთვლი), ინგლისური სახლის სიცივიტ არ იტანჯებით.

ანგინისა და ბრონქიტის გამო, ლამბაშიძე ხმას ძლივს იღებს. ძმამ, რომელიც ექიმია, სამდღიანი წოლითი რეჟიმი გამოუწერა. თუმცა ის მაინც ჯიუტად გაიძახის, რომ ხვალ ღამით ლონდონში მიემგზავრება ხოშტარისასთან ერთად.

## 22. 11. 19.

სკოტმა, მთელი შემადგენლობითურთ, ჩვენთან ერთად ისადილა და ხუთი საათისთვის ინგლისისკენ გაემგზავრნენ. მე ქალბატონმა ლამბაშიძემ შემომიარა თავის ქალიშვილთან ერთად, რომელიც ხვალ (ეს „ხვალ“ აღარ დამთავრდა) ბიძას მიჰყვება ლონდონში. ლამბაშიძეების ქალიშვილი სასიამოვნო გოგო ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მამამისს, ექიმ ლამბაშიძეს ჩამოაგავს, მაინცდამაინც ქართული გარეგნობა არ აქვს.

## ორშაბათი. ღამე.

### 22. 11. 19.

შევაჯამებ, რა მოხდა ჩემს ცხოვრებაში შაბათიდან მოყოლებული.

ექვს საათზე პატარა წვეულებაზე წავედი ტასო წერეთლის სახლში, სადაც ასევე მის მიერ 30 წლის წინ დაარსებული საბავშვო ყურნალის, „ჯეჯილის“ რედაქციაა. სამ ძალიან მოხუც ქალბატონს შევხვდი: ტასო წერეთელს, ეკატერინე გაბაშვილს (გოგონათა სკოლის დირექტორი, ძალიან ცნობილი მწერალი, რომელსაც ყურთასმენა თითქმის მთლიანად აქვს დაკარგული. ის მარჯორის 1894 წელს შეხვდა მცხეთაში ილია ჭავჭავაძესთან და სხვებთან ერთად) და ქალბატონ მესხს. საერთო ჯამში, უამრავმა ადამიანმა მოვიყარეთ თავი, ტასოს ძმისა და დისწულის, თუმანოვის ჩათვლით, რომელიც სომხეთის აქაური დიპლომატიური მისიის მდივანია. ორ საათს გავჩერდი. ჩაი დავლიეთ, ხილი ვჭამეთ და დიდი ხნის წინ გარდაცვლილები გავიხსენეთ. ტასო, მარჯორის გარდაცვალების ათი წლისთავთან დაკა-

ვშირებით, „ჯეჯილის“ სპეციალური ნომრის გამოცემას აპირებს და მის გასახსენებლად, პატარა ცერემონიალის ორგანიზებასაც მთავაზობს.

მე თავი მეტკინა. გარშემო მონყენილობამ დაისადგურა. სტუმრები დანალვლიანდნენ. ველარ გავძელი და წამოვედი.

ხოშტარიები დილის 11 საათზე, სიმღერითა და შეძახილებით დაიძრნენ ბათუმისკენ, საიდანაც ინგლისში გამოემგზავრებიან.

კვირა დილით დასვენება გადავწყვიტე. ამასობაში გრანდი, უეითი და გრეისი ნახატების გამოფენა-გაყიდვაზე წავიდნენ და უკან ისეთი ნამუშევრებით დატვირთული დაბრუნდნენ, რომ ჩემისთანა პროფანიც კი მოიხიბლა. ისეთი ცნობილი ქართველი მხატვრების ტილოები, როგორც გაბაშვილია, სულ რამდენიმე შილინგად იყიდეს.

შუადღისას ისტორიული მოვლენის მომსწრე გავხდი, სწორედ იმ მოვლენის, რომელსაც ასე აზერბაიჯანისა და სომხეთის პრემიერ-მინისტრებმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს რეგიონის და ზოგადად აზიის მომავალ ისტორიაზე. მე იქ არ ვყოფილვარ, შესაბამისად არ ვიქნები იმ ფილმში, რომელიც მიმდინარე მოვლენების შედეგად შეიქმნა, მაგრამ მე ვიყავი სცენის უკან და არამარტო შეხვედრა მოვანყვე, არამედ მათი პოლიტიკაც განვსაზღვრე. კარგ ადგილას ვითამაშე ამ ეპიზოდში და კმაყოფილი ვარ.

4 საათზე ბანკეტი გაიმართა. მენიუს გიგზავნი. ჩემ გვერდით სომხეთის პრემიერ-მინისტრი იჯდა. ბანკეტს დაესწრო ყველა, ვინც კი რაიმეს წარმოადგენს. თამალობდა ლამბაშიძე, რომელიც იმავე საღამოს გამოემგზავრა ინგლისში. დიდი ენთუზიაზმით შემეგებნენ და ჩემ შესახებ ბევრი კარგი რამ ითქვა. მთავარ მაგიდასთან მსხდომთაგან (კიდევ ორი მაგიდა იყო) მე ერთადერთი აღმოვჩნდი, ვისაც სიტყვა არ წარმოუთქვამს. ახლა ასე მოქცევაა უმჯობესი. ჩემი მტრები თვლიან, რომ ჯოჯოხეთურად ქკვიანი ვარ, რადგან ხმას არ ვიღებ. საღამოს აღმოსავლური მუსიკაც აფორმებდა და ევროპულიც. საოპერო არიები და დუეტები საუკეთესო ტენორებმა და ბანებმა შეასრულეს. ცხრა საათზე დავიშალეთ. ძალიან დავიღალე. ხუთსაათიანი ვახშამი წამდვილი სასჯელია.

დღეს აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი, უსუბეკოვი მესტუმრა. დიდხანს ვისაუბრეთ. როგორც ყოველთვის, ჩემდამი ამჯერადაც ძალზე კეთილგანწყობილი იყო. ვფიქრობ, რომ ორივენი, ისიც და ხატისიანიც, მენდობიან და მაფასებენ. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ. ორივე თვლის, რომ მათი მშვიდობიანი შეთანხმება ჩემი დამსახურებაა, მიუხედავად იმისა, რომ განზრახ ამერიკელები წამოვწიე წინა პლანზე.

შუადღეზე ჩემმა ძველმა მეგობარმა ანეტა ჭყონიამ, ილია ჭყონიას ცოლმა შემომირბინა თხუთმეტი წუთით. ის ჩემი მასპინძელი იყო 1894 წელს ქუთაისში და 1910 წელს კარაკლისში.

მოგვიანებით მე, უეითმა და გრანდიმ მიწვევით ვისარგებლეთ და ნახევარი საათი გავატარეთ გაბაშვილის სახელოსნოში. ის ერთ-ერთი საუკეთესოა ქართველ მხატვრებს შორის, თუმცა ნამუშევრების უმეტესობა გაყიდული აქვს და იმ ნახატებიდან, რომელთა ყიდვაც განსაკუთრებით მინდოდა, არცერთი დამხვდა, თუმცა ბევრი სხვა რამეც მომეწონა. გრანდიმ თუთის ხის ესკიზი იყიდა, დაახლოებით თხუთმეტი (?...).

შემდეგ ამერიკული მისიის წარმომადგენელ ორ ქალბატონს ბარათები დავეუბრეთ და შინ დავბრუნდი, რათა სადილობამდე მემუშავა. სადილის შემდეგ ვწერ იმას, რასაც შენ ახლა კითხულობ.

წერილთან ერთად მიიღებ ახალგაზრდა ქართველის მიერ თარგმნილ საგაზეთო ანგარიშს ჩემი კახეთში ვიზიტის შესახებ. იმედი მაქვს, რამდენიმე ფოტოს გამოგზავნასაც შევძლებ. რაც შეეხება საფოსტო მარკებს, როგორც მითხრეს, მათი შენახვა ნამდვილად ღირს.

ცუდად არ ვარ. თავის ტკივილი სულ უფრო და უფრო იშვიათად მანუხებს. ჯერ ძალიან არ ცივა, თუმცა სუსხი უკვე იგრძნობა. უცნაური შეგრძნებაა, ყველაფერი რომ მშვენივრად და არაფერი მტკივა. ახლა შენი კეთილი სურვილები მჭირდება, თორემ ჩავთვლი, რომ თავს ისე კარგად არ უნდა ვგრძნობდე, როგორც ვგრძნობ.

## **ოთხშაბათი. 26 ნოემბერი.**

გუშინ ტომის დაბადების დღე იყო, დღეს კი მარჯორის დაბადების დღეა.

გუშინ საინტერესო თითქმის არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ათონის მთაზე მოღვაწე ქართველ ბერს შევხვდი. მან მითხრა, რომ ხელნაწერები საიმედოდაა დაცული, საკუთარი თვალთ უნახავს რამდენიმე თვის წინ.

მაღე ამ წერილსაც გამოგიგზავნი. ფოსტალიონი ხვალ, შუადღისას გამოივლის.

ჩემი ჯანმრთელობის მგომარეობა დამაკმაყოფილებელია, კარგად ვიკვებები, კარგად მიძინავს. თავის ტკივილები უფრო ნაკლებად მანუხებს, ვიდრე ადრე. თვალებს რომ ვხუჭავ, ღვთისმშობლისფერ ლურჯ ფერს ვხედავ, რაც კარგის ნიშანია. არაფერზე ვდარდობ, მიუხედავად იმისა, რომ სანერვიულო არ მეღევა. ვერც კი წარმოიდგენ, რამდენად მარტივია აქ საბედისწერო შეცდომის დაშვება.

თუ შეგიძლია, ტომს სთხოვე, საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტში შეიაროს და ჩემი გამოგზავნილი ამანათი წამოიღოს. ამანათში ის ჯვარი და ჯაჭვია, რომელზეც გეუბნებოდი, ასევე წმინდა ნინოს ხატი და ნაქარგობა ბოდბედან.

## **ხუთშაბათი. 27 ნოემბერი.**

ბათუმიდან ფოსტა მოვიდა, მაგრამ შენგან არაფერი ჩამოუტანია! ამ წერილის წერას რამდენიმე წუთში უნდა მოვრჩე.

გუშინ შუადღისას, ქალბატონმა ხატისიანმა (რომელიც, როგორც ყოველთვის, მომხიბვლელად გამოიყურებოდა), ძალიან ვინრო წრე ჩაიზე მიგვიპატიჟა აზერბაიჯანთან შეთანხმებაზე ხელმოწერის აღსანიშნავად.



სულ ოცნი ვიყავით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ამერიკელი პოლკოვნიკის, გრანდის და ჩემი ჩათვლით. ხატისიანი ერევანში დღეს მიემგზავრება.

წუხელ ჩვენი დილიყანელი დიასახლისები გვესტუმრნენ ნაადრევ ვახშამზე. განსაკუთრებით ბედნიერი პატარა გოგონა ჩანდა. ვახშამს ასევე ესწრებოდნენ: მისის ბრაიანი, მომხიბვლელი ახალგაზრდა ამერიკელი, ვინმე კაპიტანი ჰასიკი ამერიკული არმიიდან და ჩვენი ახალწვეული ლეიტენანტი ნოუელი, რომელიც კონსტანტინოპოლიდან გადმოიყვანეს ჩვენს დასახმარებლად.

დღეს მშვიდი დღეა. მაბედნიერებს ის, რომ ლონდონიდან ამბავი მოვიდა, ჩემი მუშაობის შედეგები მაღალ დონეზეა შეფასებული.

მოკითხვა დედაშენს, ჯონასს და მაალფრიდს. გიძღვნი უდიდეს სიყვარულს შენ, ჩემს მეუღლეს და უძვირფასეს შვილებს.

ო. უ.

პ. ს. რაც ჩემი საქმიანობის შესახებ გიამბე, მხოლოდ შენთვისაა (თუ საჭიროდ ჩათვლი, ტომს და ვინისაც უთხარი), სხვებთან არ ილაპარაკო.

## **ტფილისი.**

**30. 11. 19.**

ოცდაშვიდში გამოგვზავნენ წერილები შენთვის და ტომისთვის, ასევე ამანათი ლალისა და ზურმუხტის ჯვრით, ხატითა და ნაქარგებით. სანამ ყუთს ჩაკეტავდნენ, მეორე კონვერტიც ჩავდე, კახეთში მოგზაურობის ამსახველი ფოტოებით.

ოცდარვაში ბოდბეს წინამძღვარი გვესტუმრა სადილად. ორბელიანებიც იქ იყვნენ. როგორც ჩანს, წინამძღვარი ლევან ვაჩნაძის ბიძაშვილია და არა და. აღკვეცამდე ელენე ერქვა, ახლა კი ნინო ჰქვია. სახლი რომ დატოვა, 11 წლის იყო. ახლა 39 წლისაა. გამოდის, ბოდბეში 28 წელი გაატარა.

გუშინ დაძაბული დღე გვქონდა. პოლიტიკური ვითარების გამო ისევ ვვლავ. თითქმის მთელი დღე სახლში გავატარე, ერთმანეთის მიყოლებით ვხვდებოდი საჭირო ადამიანებს. თერთმეტის ნახევარზე კონცერტი იყო დაჭრილი სომეხი ჯარისკაცების დასახმარებლად და ბილეთებიც მქონდა, მაგრამ ვერ წავედი, ჩემ ნაცვლად გრანდი და უეითი გავგზავნე. დილის ოთხამდე არ დაბრუნებულან.

მთელი ჩემი ცხოვრება სამუშაოა. ყოველდღე უამრავი წერილი მომდის. რუქერისგან ჯერ არაფერი მსმენია. ამინდი ისევ სასიამოვნოა და ნათელი.

სანამ ეს წერილი შენამდე მოაღწევს, ალბათ შობაც დადგება. მთელ ჩემს სიყვარულს ამ ნაწერს ვატან. იმედი მაქვს, ერთად ბედნიერ დღესასწაულს გაატარებთ და მერე, როცა მარტო ვიქნებით, თქვენ იფიქრებთ ჩემზე. თითქოს საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც შენგან ამბები მოვიდა. თუ ჩათვლი, რომ ჩემი წერილები ძალიან გვიან მოგდის და იმის გაგება მოგინ-

დება, რომ კარგად ვარ, ნებისმიერ დროს შეგიძლია შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტში გაარკვიო, როდის მიიღეს ბოლო ტელეგრამა ჩემგან. მათთან ყოველდღიურ კონტაქტზე ვარ.

## **საგზაბათი. 2 დეკემბერი.**

შენგან ისევ არაფერი ისმის. ყური მოვკარი, რომ გემი, რომელსაც ჩვენი წერილები მოჰქონდა, კონსტანტინეპოლშია გაჩერებული ქვანახშირის ნაკლებობის გამო.

კვირას ერთი საათით ვესტუმრე დიასამიძეების ოჯახს. ექიმმა, მისმა მეუღლემ, მათმა ორმა ქალიშვილმა, გიგომ, მისმა ქალიშვილმა, ლამბაშიძის ექიმმა ძმამ, მისმა მეუღლემ და ა.შ. ჩაიზე მიმიწვიეს. დასაძინებლად საკმაოდ ადრე წავედი.

გუშინ გიგო დიასამიძე ჩემთან მოვიდა და მარჯორის გარდაცვალებიდან ათი წლისთავთან დაკავშირებით მოსაგონარი ცერემონიალის ჩატარების შესახებ აზრი მკითხა. ვუპასუხე, რომ საჯარო ღონისძიების მოწყობის მომხრე არ ვიყავი. დეიდამისი, ტასო წერეთელი, ამ თარიღთან დაკავშირებით თავისი ჟურნალის სპეციალურ ნომერს უშვებს, რომელიც შობას გამოვა.

გუშინ საღამოს ჩაის დასალევად წავედი გენერალ დენიკინის წარმომადგენელთან ერთად, რომლის მეუღლეც ილია ჭავჭავაძის დისშვილია. რამდენიმე ადამიანს შევხვდი, ვინც დიდი ხანია არ მინახავს, მათ შორის, ნინო ჩოლოყაევას, რომელიც თავის დროზე მზეთუნახავი იყო, ახლა კი ოთხმოც წელს გადაცილებული, სანყალი მოხუცი ქალია. ასევე ვნახე სპარსეთის პრინცი, მირზა რიზა ხანი, რომელიც მგონი ბოლო წერილშიც ვახსენე, ის სპარსეთის ელჩი იყო კონსტანტინოპელში, და ამერიკელი კონსული დულითლი, რომელსაც შენც იცნობ. იქიდან თერთმეტ საათზე, ვახშმამდე წამოვედი.

ამ დღით თექვსმეტი ტელეგრამა მოვიდა (ზოგი მათგანი ძალიან გრძელია), ადგილობრივ კორესპონდენციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ყველაფერი ერთად დამეყარა თავზე. ზოგიერთი მათგანი თორმეტ ნომებერსაა ლონდონიდან გამოგზავნილი.

დღეს სადილად კონსული სოუნდლო გვეწვია. მე და გრანდიმ მასთან ნორვეგიულად ვილაპარაკეთ. მალე ნორვეგიაში მიდის და კამილასთან წერილი გავატანე, თუმცა დარწმუნებული არ ვარ საახალწლოდ გადასცემს თუ არა. შემდეგ რამდენიმე მუსლიმს ვესაუბრე. სადილობამდე ბევრი საქმე უნდა მოვასწრო, რადგან დღეს ოპერაში მივდივართ „აბესალომ და ეთერის“ 25-ე წარმოდგენაზე დასასწრებად. კომპოზიტორ ფალიაშვილისადმი მიძღვნილი საღამოა და მინდა, რომ დავესწრო.

## ოთხშაბათი

### 3 დეკემბერი, საღამოს 9 საათი და 30 წუთი

წუხელ ოპერაში წავედი და ძალიან ვისიამოვნე. „აბესალომ და ეთერი“ რამდენჯერმე მაქვს ნანახი და ყოველ ჯერზე უფრო და უფრო მომწონს. საუკეთესო ორკესტრის, მომღერლებისა და რეჟისურის პირობებში, ლონდონშიც უდიდესი წარმატებით დაიდგმებოდა, ჩვენი საზოგადოება ამისათვის მზად რომ იყოს, მაგრამ მე ვიცი ჩემი ხალხის წარმოდგენები და შეხედულებები. ვფიქრობ, სრულიად შესაძლებელია, რომ კრიტიკოსები აღმოსავლური მუსიკის უცნაურ სილამაზეს ვერ დააფასებენ.

ხვალ ჩვენი ფოსტალიონი მოვა. ბევრს ვერაფერს გწერ, უამრავი საქმე მაქვს. ძლივს დავამთავრე საბუთების გროვის გადარჩევა. საუზმიდან მოყოლებული, გარეთ ფეხი არ გამიდგამს. უკვე საკმაოდ ცივა, ჩვენ კი ქვანახშირი არ გვაქვს. ქურთუკით ვზივარ.

დღეს დამაიმედებელი ამბებიც მოხდა. თამარა, ნინო წერეთლის ქალიშვილი, ქალბატონ ყურულთან ერთად მოვიდა, რომ დედამისის სახელით მადლობა გადაეხადა ჩემთვის, რადგან საფრანგეთში დაკარგული ძმის, ნიკოს მოძებნაში დავეხმარე. მის შესახებ ჩერქეზოვებმა ტელეგრამით გვაცნობეს. ბოლოს რომ ვნახე თამარა, ენდის ასაკის იქნებოდა. შემდეგ ბლეიქი მოვიდა, ამერიკელი მეცნიერი, რომელიც ქართულ ენაშია სპეციალიზებული და თავისი რუსი საცოლე გაგვაცნო, რომელიც ქართულ ხელოვნებაზე - მინიატურებზე, არქიტექტურაზე და ა.შ. მუშაობს.

ის სიმპათიური, ძლიერი, მაღალი (დაახლოებით ჯონასის სიმაღლის) ახალგაზრდა კაცია, არაჩვეულებრივად მიმზიდველი. რა კარგი იქნებოდა, მეტი დრო მქონდეს ჩემთვის საყვარელი საქმეების საკეთებლად და უფრო ხშირად ვხვდებოდე ჩემთან სულიერად უფრო ახლო მყოფ ხალხს, მაგრამ ახლა ყველაფერი სამსახურს უნდა დავუქვემდებარო. ბოლო დროს წამახალისეს და ამან საქმე გამიადვილა. ყველაფერი დაიწყო საგარეო საქმეთა სამინისტროდან მოსული წერილებით, რომელსაც ეწერა - „გეთანხმებით“ ან „სრულიად გეთანხმებით“, ხოლო ახლა იქამდე მივიდა საქმე, რომ ჩემ მიერ განეულ სამუშაოს „შესანიშნავ წარმატებად“ აფასებენ და ა.შ. დე რობეკმა არ დაიზარა და უკვე მეორედ გამომიგზავნა ტელეგრამა წარმატების მოსალოცად, რაც კოლეგიალური ურთიერთობის ნაწილია. როგორც ჩანს, ჩვენი ურთიერთობის ერთმა დღემ ის ჩემდამი მეგობრული გრძნობებით აღავსო.

თუმცა, როგორც ადრეც მითქვამს, ყოველთვის მეჩვენება, რომ ციცაბო, არამყარ ბილიკზე მივაბიჯებ და ნებისმიერ წამს შეიძლება ნიადაგი გამომეცალოს. შესაძლოა, ხვალ ტელეგრამა მივიღო ლონდონიდან, რომელიც შეძლებისდაგვარად ზრდილობიანი, ოფიციალური ენისათვის დამახასიათებელი სიტყვებით მაუნყებს, რომ სინამდვილეში, ჭკუასუსტი იმპეცილი ვარ. ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც მთავრობის დაქვემდებარებაში მუშაობენ, ან, სულაც, თავად არიან მთავრობის წევრები, განსაკუთრებით დღევანდელ დროსა და ამ რეგიონში, ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ მათი გადადგმული ნაბიჯები ყველაფერზე გათვლილი ვერ იქნება და ამან შეიძლება კაცი არასწორ ქმედებამდე, ზემდგომთა ბრძანებებთან წინააღმდეგობამდე მიიყვანოს.

მირზა რეზა ხანმა შემოიარა, რათა, ჩემ მიერ რამდენიმე დღის წინ შეძენილი, ძველი სპარსული ხელნაწერებისათვის დაეხედა და ძალიან დაინტერესდა. ისინი ყველა ილუსტრირებული ან მოხატულია. მან აღნიშნა, რომ ერთი ილუსტრაცია (ფირდოუსის „შაჰნამეს“ დასაწყისის) საკმაოდ იშვიათია და გაცილებით უფრო ღირებულია, ვიდრე მთელი დანარჩენი ხელნაწერი. ის თავადაც კოლექციონერია და უნდა იცოდეს კიდევ, რას ლაპარაკობს. კიდევ ერთი საინტერესო რამ, რაც მაქვს, მუსლიმთა საღვთო წიგნია. ჩემი აზრით, ეს არის ლოცვების ნაკრები, რომლის ილუსტრატორმაც, სავარაუდოდ, არაბული კარგად არ იცოდა, შესაბამისად, ილუსტრაციები ტექსტს აცდენილია. უამრავი ხელნაწერი ვიყიდე ძალიან იაფად. გრანდიმ შესანიშნავი სპარსული ხანჯალი იყიდა, რომლის ტარი სპილოს ძვლითაა მორთული. საერთოდ, ის ყოველთვის მშვენივრად ვაჭრობს. მთელ თავის დანაზოგსა და თავისუფალ დროს მალაზიებსა და ოპერაში სიარულში ხარჯავს. ახლაც სპექტაკლს ესწრება უეითთან ერთად. უეითს მუსიკა უყვარს, მაგრამ მგონი, ოპერაში სიარულით უკვე დაიღალა.

შობა ახლოვდება და მარტოობის შიში შემომეჩვია. უნდა მოვახერხო, რომ ყოველთვის, როცა დავდარდიანდები, შენზე ვიფიქრო, წარმოვიდგინო, რას აკეთებ, ხანდახან თუ გენატრება ჩემთან ერთად ბუხრის პირას ჯდომა. ახლა კი საქმეს უნდა დავუბრუნდე - ჩემს ცხოვრებაში მოსავლის აღების დრო დადგა და ეს შესაძლებლობა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო. ბილიკი, რომელსაც ვადგავარ, ციცაბო და სახიფათოა, შეიძლება ეს გზა ბოლომდე ასეთი რთული იყოს, მაგრამ არ ვუნუნებ, რადგან მე მალლა ასვლა მინდა და არა დაღმასვლა.

#### 4 დეკემბერი

მინდა ამანათი მალე გამოვაგზავნო, ამასთანავე წამლეკა რთულმა სამუშაომ, ამიტომ დრო თითქმის არ მაქვს და მხოლოდ ის შემიძლია გითხრა, რომ კარგად ვარ. გიგზავნით მთელ ჩემს სიყვარულს ძვირფას მეუღლესა და საყვარელ შვილებს.

ო. უ.

P.S. ოქტომბრის შემდეგ შენგან წერილი ისევ არ მომსვლია.

მისი უდიდებულესობის გემი „კალიფსო“

ბათუმთან ახლოს

## 2 იანვარი, 1920

ჩემო უძვირფასესო,

ახალი წელი კარგად დაიწყო. ეს პირველი წელია, რომელსაც 1920 წელს ვწერ. ბოლო წერილი ტფილისში დავტოვე გამოსაგზავნად, სანამ ბათუმისკენ გამოვემგზავრებოდი.

სადგურისკენ სიცივესა და მთვარის შუქში ვიარეთ. საგანგებო მატარებლით ვიმგზავრეთ, რომელიც ძალიან კომფორტული აღმოჩნდა, აბაზანით, სასტუმრო ოთახითა და ორი საძინებლით. შუალამისას დავიძარი. კარგად მეძინა. თერთმეტის ნახევარზე უკვე ბათუმში ვიყავით. სადგურზე ქართველი კონსული და მუსლიმების წინამძღოლი გველოდებოდნენ წვიმაში (ბათუმში თითქმის ყოველთვის წვიმს). რამდენიმე წუთში სამხედრო გუბერნატორი, გენერალი კუკ-კოლისი გამოჩნდა და მანქანით წამიყვანა ნავმისადგომში, სადაც ნავი მელოდებოდა კრეისერზე გადასაყვანად. კონსული სტივენსი შუადღის სამი საათისთვის მესტუმრა და ზღვაში გავედით. თავიდან ძლიერი ქარი უბერავდა, მაგრამ თანდათან ჩადგა და შემდეგ მთელი გზა მშვიდ ზღვაში მივცურავდით. ბათუმიდან ნოვოროსიისკამდე 252 მილია. წელა ვიარეთ, დაახლოებით, საათში, თხუთმეტი ნოტიო (როცა ოცდაშვიდიც შეგვეძლო), რათა შესაბამის დროს ჩავსულიყავით. ხვალ, ტფილისში რომ ჩავალ, გამოვა, რომ 1000 მილი ვიმგზავრე. ზღვის ნოტიო ჰავამ ჩემზე კარგად იმოქმედა. რაც გემბანზე ფეხი შემოვდგი, თავის ტკივილს არ შევუწუხებდით. რვა საათზე ნოვოროსიისკის პორტში შევედით, ათზე კი უკვე საბრძოლო ხომალდმა „მარლბორომ“ ლუზა ჩაუშვა. ჩემთან ნავი გამოაგზავნეს. შემდეგ მთელი დღე მაკინდერთან<sup>44</sup> ლაპარაკში გავატარე. „კალიფსოზე“ დავბრუნდი თუ არა, დავიძარი. ამ დროს სადღაც, ექვსი საათი იქნებოდა. ახლა უკვე თითქმის ბათუმში ვართ. იმედი მაქვს, ამალამვე გავემგზავრები მატარებლით ტფილისში. ხვალ, შაბათ დილას, საუზმობისას უკვე იქ ვიქნები.

ექვგარეშეა, უკან რომ დავბრუნდები, უამრავი საქმე მელოდება. დაძაბული ცხოვრება მაქვს, მაგრამ მთლიანობაში სიამოვნებას განვიცდი, რადგან ასეთი მნიშვნელოვანი სამუშაო ჯერ არასდროს მქონია და აუცილებლად წარმატებას უნდა მივალწიო. შენ კარგად იცი, სად მიმიყვანს ჩემი პირადი სურვილები და მისწრაფებები, მათ რომ მივყვე - სახლში ჯდომა და მშვიდად ცხოვრება ყველაფერს მირჩევნია, მაგრამ ეს თვეები საქმეს უნდა შევწირო, ისევე, როგორც ეს ომის პერიოდში იყო.

მას შემდეგ, რაც ზემოთ მოთხრობილის წერა დავასრულე, გემბანზე დამიძახეს, რათა სიღრმული ბომბის აფეთქება ეჩვენებინათ. ასეთ მექანიზმს ხშირად იყენებენ წყალქვეშა ნაგების გასანადგურებლად. საკმაოდ ძლიერი ხმა იყო და გემზეც წყლის დიდი ნაკადი შემოვარდა. გავიხედეთ, რომ გვენახა, თევზებიც ხომ არ ამოჰყვა წყალს, მაგრამ ვერაფერი ვიპოვეთ.

შესანიშნავი შეგრძნებაა, უსაქმურად იყო საბრძოლო ხომალდზე, სადაც ყველას უამრავი საქმე აქვს. წუხელ სასიგნალო შუქზე ივარჯიშეს.

---

<sup>44</sup> სერ ჰარფორდ მაკინდერი - უორდროპის კოლეგა, სამხრეთ რუსეთში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი.

ტალღები არაჩვეულებრივად ლამაზად, ზურმუხტისფრად მოჩანდა. მგონი, ნაპირზე მყოფი მთიელები ძალიან დაინტერესდნენ, რა ხდებოდა, როცა ცისკენ აჭრილი ელექტრონის ნათება დაინახეს.

მოუთმენლად ველოდები ტფილისში დაბრუნებას, რადგან იმედი მაქვს, რომ შენი წერილი დამხვდება. არ მინდა იმედი გამიცრუვდეს.

გემის კაპიტანი ჯერალდ სეიმური საოცრად სასიამოვნო კომპანიონია. ის გასულ ივნისში დაქორწინდა და მხოლოდ რამდენიმე კვირის გატარება მოასწრო თავის მეუღლესთან ერთად, რადგან გემზე გამოიძახეს. ამჟამად სეიმურის მეუღლე მალტისკენ მიემგზავრება. კაპიტანმა თქვა, რომ სავარაუდოდ, მომავალ წელსაც ვერ შეძლებენ რამდენიმე კვირაზე მეტი დაჰყონ ერთად. როგორც ხედავ, ჩემზე უიღბლოებიც არსებობენ. მეზღვაურის ცოლი მარტოობისთვისაა განწირული.

#### **ტფილისი, 4 იანვარი, 1920.**

მსოფლიოში ჩემო უძვირფასესო გოგონავ,

პარასკევს, საღამოს ათ საათზე, სანამ ბათუმიდან წამოვიდოდი, კონსულ სტივენსს შენთან გამოსაგზავნი დაუსრულებელი წერილი დავუტოვე. ვიფიქრე, ასე უფრო მალე მოაღწევდა შენამდე. ტფილისში წამოღება, გაგრძელება და მერე გამოგზავნა არ ღირდა. კიდევ ერთი წერილი წასვლის წინ, 30 დეკემბერს, ტფილისიდან გამოგიგზავნე.

ბათუმიდან დაბრუნება მაინცდამაინც კომფორტული არ აღმოჩნდა. არც ნორმალური საწოლები გვექონდა, არც დაბანის საშუალება, არც სხვა პირობები, რაც ჩვეულებრივ გვაქვს ხოლმე. საფრანგეთის წარმომადგენლობის ვაგონით ვიმგზავრეთ. ის საკმაოდ განსხვავდებოდა იმ ვაგონისაგან, რომელიც ჩვეულებრივ მაქვს.

გუშინ თორმეტის ნახევარზე სადგურზე გრანდი და გრეისი დამხვდნენ. ამ უკანასკნელს წარმატება და D.S.O. („ორდენი გამორჩეული სამსახურისათვის“) მივულოცე. პატივი, რომელიც მხოლოდ არმიის ოფიცრებს ერგებათ, მან ჩრდილოეთ კავკასიაში გამორჩენილი სიმამაცისთვის დაიმსახურა, სანამ ბოლშევიკები დაიჭერდნენ. თავად არაფერი იცოდა ჯილდოს შესახებ და ძალიან გაუხარდა, როცა ვუთხარი.

სახლი გაყინული დამხვდა, რადგან წყლის სისტემა-მოშლილიყო, თუმცა საღამოსთვის ყველაფერი შეკეთდა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა სასწრაფოდ მოითხოვა შეხვედრა. ბევრი საქმე გამომიჩნდა.

დილით, საუზმემდე, სუფთა, ცივ ჰაერზე გავისეირნე და თავი შედარებით უკეთ ვიგრძენი. წუხელ ცუდად მეძინა, მთელი ღამე საზოგადოებრივ საკითხებზე ვფიქრობდი.

კაპელანი მოვიყვანეთ. ცერემონიალს დაახლოებით ოცი ადამიანი დაესწრო. კაპელანმა ჩვენთან ერთად ისაძილა. სადილს ასევე დაესწრო ახალგაზრდა ოფიცერი, რომელმაც აქ წელიწადზე მეტი გაატარა, ამალამ კი ბომბეიში მიემგზავრება, რომ საინჟინრო საქმეს მოჰკიდოს ხელი. შემთხ-

ვევით ვისარგებლე და წერილი გავატანე პალმორის ეპისკოპოსთან, რომელიც ბალიოლში სწავლობდა ჩემთან ერთად და გასულ ზაფხულს ლონდონშიც შევხვდი.

როგორღაც აქ ოქსფორდის ჯგუფი ჩამოვყალიბეთ. გრანდის და ჩემ გარდა, რუქერიც ბალიოლში სწავლობდა, მაიორი დელი კი უნივერსიტეტის კოლეჯში. კიდევ ერთი ბალიოლელი, ლეფროი, ამჟამად დემობილიზებულია და საკუთარი ბიზნესის დანყებას აპირებს. მას ბათუმში, სტივენსთან სტუმრობისას შევხვდი. მგონი, ბათუმში დაბრუნების შესახებ არაფერი მომიწერია. ნაპირს თერთმეტი საათისთვის მივადექით. ზღვა გუბურასავით უძრავი იყო, გემზე ვისადილეთ, მერე კი სტივენსთან ნავედით და ჩაი დავლიეთ მასთან, მის დასთან, ორ ფრანგ ქალბატონთან, კიდევ ერთ ინგლისელ ქალბატონთან და სამხედრო გუბერნატორ, გენერალ კუკ კოლისთან ერთად. საღამოს ადმინისტრაციის წარმომადგენელ სამხედრო ოფიცრებთან ერთად ვივახშმე. ვახშამს გენერალიც ესწრებოდა. დაახლოებით, ათი საათისთვის გამოვემგზავრეთ.

დღეს შუადღისას ჩაი დავლიე დადიანებთან ერთად. ამ ინგლისურენოვანი ოჯახის შესახებ ადრეც მიაბნია. მათთან რამდენიმე სხვა სტუმარიც იყო. მე ნახევარი საათით შევიარე. უკვე შინ ვარ დაშენ გწერ.

ჩემი არყოფნის დროს გრანდის ორი არაჩვეულებრივი ისპაჰანური ხალიჩა შეუძენია. ერთ-ერთი მათგანი გამგზავრებამდე ვნახე და საფასურის ზედა ზღვარი დავასახელე, თუმცა გრანდის მიერ გადახდილმა თანხამ ჩემს დასახელებულ ციფრს გადააჭარბა. ორივე ულამაზესია და იმედი მაქვს, მოგეწონება. განსაკუთრებით ის, რომელიც დღეს უკვე გამოვგზავნე ლივერპულისკენ მიმავალი გემით. შენ ეს ცხოვრებას არ გაგირთულებს, რადგან ლივერპულში პოლკოვნიკი რიჯვეი წავა და ხალიჩას ლონდონში ჩამოიტანს. ჩემი საჩუქარი შენამდე ალბათ თებერვლის დასაწყისში მოაღწევს. 120 ფუნტი დამიჯდა, მაგრამ ექსპერტებმა ძალიან აქვს. ხალიჩას „მუჰაბეთ“ (სიყვარული) ჰქვია და განსაკუთრებული შემთხვევებისთვისაა შექმნილი. ექსპერტებმა მითხრეს, რომ იმდენად ძვირფასია მისი მინის ქვეშ შენახვაც კი ღირს და, რა თქმა უნდა, ძალიან ძვირფასია იმისათვის, რომ მასზე ტალახიანი ჩექმებით იარო. ვაჭარმა შეთანხმების გასაუქმებლად 25 ფუნტი შემომთავაზა მას შემდეგ, რაც ხალიჩა ვიყიდე.

ვახშმის დრო მოვიდა. წერა უნდა შევწყვიტო.

ყურნალმა, რომელსაც “თეატრი და ცხოვრება“ ჰქვია და რომლის ორი ეგზემპლარიც ადრე გამოგიგზავნე, სტატია გამოაქვეყნა, სადაც აღწერილია დედაჩემის, მამაჩემის, მარჯორის და ტომის სტუმრობა ილია ჭავჭავაძის სოფლის სახლში 1896 წელს. სტატიის სათაურში ნახსენებია „ოლივერ უორდროპის ვიზიტი“. უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ხალხს მე და ტომი ერთმანეთში ვერევი. ხშირად მისი ფოტო ჩემი ჰგონიათ. გიგზავნი ყურნალის ორ ეგზემპლარს, ერთს შენთვის, მეორეს ტომისთვის, იმედია, თავისი ფოტოს დანახვა გაუხარდება.

## ორშაბათი, დღის 3 საათი

ამანათი უფრო ადრე უნდა გამოიგზავნოს, ვიდრე მე მოველოდი, ამიტომ მიწევს, რამდენიმე სიტყვით შემოვიფარგლო.

თავს კარგად ვგრძნობ. როგორც ყოველთვის, დაკავებული ვარ, თუმცა შენგან ისევ არაფერი ისმის, რაც ჩემთვის სავსებით გაუგებარია. იმედგაცრუებული ვარ.

დილით ზომიერი, საგაზაფხულო ამინდი იყო. მზე ანათებდა, მაგრამ ახლა უკვე მოღრუბლულია.

წინოსთვის ღია ბარათს ვაგზავნი. კარგი ბარათების შოვნა ძალიან ჭირს, თუმცა ვეცდები შემდეგ ჯერზე ბიჭებისთვისაც რამე ვიპოვო.

დროებით გემშვიდობები, ჩემო ძვირფასო. იმედია, შენი წერილი მალე მოაღწევს ჩემამდე.

## ტფილისი

5 იანვარი, 1920.

ჩემო უძვირფასესო,

შუადღისას კონვერტი დავლუქე, შენთან გამოსაგზავნად გავამზადე და ერთი საათით სომხეთის წარმომადგენლებთან შევიარე ჩაის დასალევად. შინ დაბრუნებულს სიურპრიზი დამხვდა - მთელი ამანათი ინგლისიდან, რომელიც, არავინ იცის ვინ მოიტანა.

ამანათში აღმოჩნდა წიგნი ფიშერის შესახებ, სამი ჰალსტუხი, უამრავი ცხვირსახოცი, ენდის მოზრდილი პორტრეტი, სამი ღია ბარათი ბავშვების ფოტოებით, რომელთაგანაც ერთ-ერთს შენი უძვირფასესი სახეც ამშვენებს, ასევე წერილები ფარნ კოტეჯიდან, თუმცა შენგან ახალი ამბები არ მომსვლია. თქვენი ფოტოების ცქერა დიდი ბედნიერებაა, მაგრამ შენს წერილს მაინც მოუთმენლად ველი.

ბოლშევიკები რუსეთის სამხრეთ ნაწილის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ. მე კი ვცდილობ ხალხის ემოციები დავაცხრო და მათი ენერჯია მოსალოდნელი საგარეო აგრესიისადმი წინააღმდეგობის გასაწევად მომზადებისკენ მივმართო.

ვახშმის შემდეგ გრანდი და უეითი ოპერაში წავიდნენ რუქერთან და მის ირლანდიელ მეგობართან ერთად. მას ლეფროი ქვია, ადრე ჯარში მსახურობდა, თუმცა ამჯერად ბიზნესინტერესების გამოა ჩამოსული.

სახლის ატმოსფერო, რომელიც შენმა გამოგზავნილმა ნივთებმა შემიქმნა, ბედნიერებას მგვრის.

ევანგულოვებთან ჩაის სმა საკმაოდ სასიამოვნო იყო. ბევრი სტუმარი არ ჰყავდათ. ბუხართან ვისხედით და ვუყურებდით, როგორ იწვოდა და ყრიდა ნაპერწკლებს უზარმაზარი მორი. ქალბატონი ევანგულოვი და მისი ქალიშვილი არაჩვეულებრივად ლაპარაკობენ ინგლისურად. ამ უკანასკნელს 10 წლის ასაკში ინგლისში დაუბეჭდავს ფრანგულიდან თარგმნილი მოთხრობა, რომლის ეგზემპლარიც საკუთარი ავტოგრაფით გადმომცა. ის



ჯერ მხოლოდ ჩვიდმეტი წლისაა და უნდა, რაც შეიძლება მალე, ოქსფორდში განაგრძოს სწავლა.

რამდენიმე დღეში აქ ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები უნდა შევკრიბოთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია განვითარებული მოვლენების ფონზე. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და, რაც არ უნდა მოხდეს, იმედია, სულ ასე ვიქნები. ცხოვრებას მიადვილებს იმაზე ფიქრი, რომ რაც მოხდა, აუცილებლად უნდა მომხდარიყო და ყველაფერში დადებითი უნდა ვეძებოთ.

ფოტოებს თუ დავუჯერებთ, გამხდარხარ, ჩემო საბრალოვ. თოზერმა მითხრა, რომ დარდიანად გამოიყურებოდი და ნუხდი ჩემი ხანგრძლივი არყოფნის გამო. არ მინდა იმაზე ფიქრი, რომ აღდგომამდე ისევ უშენოდ მომიწევს ყოფნა. არ გამოვრიცხავ უფრო ადრეც, ვალენტინობას, უკვე შენ გვერდით მიხილო. მანამდე კი, სანამ აქ საჭირო ვარ და ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა შემიძლია, ვერ დაგიბრუნდები.

გაოგნებული ვარ, ჩემი არყოფნის მცირე დროში, როგორ გაზრდილან ჩვენი შვილები. ეს განსაკუთრებით ჯეიმისზე ითქმის და ნინოზე, რომელიც სურათში შენ გვერდით დგას.

## 7 იანვარი, შუადღე.

გუშინ ველარაფერი მოგწერე, ძალიან დაკავებული ვიყავი. სამხრეთ რუსეთში განვითარებული მოვლენები აქაურობაზე დიდ გავლენას ახდენს.

ორშაბათს, ღამით, კიდევ ერთხელ გადავქექე შენი გამოგზავნილი ნივთები იმ იმედით, რომ სადმე შენს წერილს ვიპოვიდი. ალბათ წარმოგიდგენია ჩემი სიხარული, როცა 6-9 დეკემბრის წერილს ნავაწყდი და ასევე დედაშენის ბარათს, რომელიც მის მიერ ნაჩუქარ წიგნში იდო.

საბედნიეროდ უეითს მელანი აქვს, რომლითაც შემიძლია ცხვირსახოცები დავნიშნო, როცა დრო მექნება. ისინიც კი, რომლებსაც ადრე დავადე ნიშანი, სამრეცხაოში ხშირად მეკარგება, ამიტომ შენმა გზავნილმა სულზე მომისწრო.

მგონი, პატარა ღია ბარათები დიდებს ჯობია. რატომ არის, რომ ენდის ცალკე უყვარს სურათების გადაღება?

თუ ჩერქეზოვები ჯერ კიდევ ინგლისში არიან, გთხოვ, ჩემგან მადლობა გადასცე წერილისათვის და აუხსენი, რატომ არ გავეცი პასუხი - მეგონა, საქართველოში ბრუნდებოდნენ და ჩავთვალე, რომ ჩემი წერილი მანდ ველარ ჩამოუსწრებდათ. ნინო წერეთელმა ძალიან გაიხარა, როცა შვილის ამბები შეიტყო.

ჩვენთან ჯერ არ მოუთოვია. სასიამოვნო ამინდია. ძალიან არ ცივა.

კონვერტში ბროკარდის წერილსაც ვდებ, იმედია, ბოლო ციტატა საინტერესო აღმოჩნდება შენთვის და ფრანგულშიც გავარჯიშდები.

დღეს ამერიკელი ქართველოლოგის, ბლეიქის და მისი რუსი საცოლის ქორწილში წავედი. ცერემონიალის დროს გალობით ძალიან ვისიამოვნე. შეიძლება, იცოდეთ კიდევაც, რომ ჯვრისწერის დროს წყვილის უკან მათი

მეგობრები დგანან, რომლებსაც ქალ-ვაჟის თავზე გვირგვინები უჭირავთ. პატარძალი ბლეიქს მხრამდე ძლივს სწვდება, ამიტომ მის მეგობარს დაკისრებული მისიის შესრულება არ გასჭირვებია. თუმცა ბლეიქი ნამდვილი გიგანტია და მისი ხელისმომკიდე ძალიან შეშეშდა.

სტოქსი მოვიდა არსებულ მდგომარეობაზე სალაპარაკოდ. ბაქოდან ახალი ჩამოსულია. უნდა ნავიდე.

## 8 იანვარი. 1920.

დღეს ერთ-ერთი ყველაზე დაკავებული დღე მაქვს მათ შორის, რაც კი ოდესმე მქონია. დრო აღარ მრჩება, ამიტომ ტომს, ვინის და ჯონს ვერაფერს ვწერ. არადა, ვიმედოვნებდი, რომ ამას მოვახერხებდი. იმდენი რაღაც ხდება, იმდენი სხვადასხვა რამ იჩენს თავს, ვერც კი აღვწერ, თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ რთულ დღეებს როგორღაც გადავურჩები. მზის სინათლე ცხოვრებას მიმარტივებს. ჩემი კარიერის კრიტიკული პერიოდი შესაძლოა დიდხანს გაგრძელდეს ან ძალიან მალე დასრულდეს. არაფერი შემძლია, გარდა თავდაუზოგავი შრომისა და ოპტიმიზმის იმ დოზით შენარჩუნებისა, რის საშუალებასაც შექმნილი ვითარება მაძლევს.

მიყვარხარ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე და მოუთმენლად ველოდები იმ დროის დადგომას, როცა ისევ ერთად ვიქნებით.

შენი ო. უ.

## ტფილისი

### კვირა, 11 იანვარი, 1920.

ჩემო უძვირფასესო,

დილით რომ გავიღვიძე, თავში ერთი წინასწარმეტყველური ფრაზა ამომიტივტივდა: "მისტერ და მისის უორდროპების ურთიერთობა მომავალში სულ უფრო და უფრო ჰარმონიული გახდება." სიტყვები გადავთვალე და სიხარულით გამოვუტყდი საკუთარ თავს, რომ მათი რაოდენობა ცამეტი აღმოჩნდა<sup>45</sup> - ჩემი საყვარელი რიცხვი.

ბევრი საინტერესო, მაგრამ არასასიამოვნო რამ ხდება. არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები. ისევ ძალიან დაკავებული ვარ.

დღეს ცოტა ხნით ოპერაში წავედი, რომ ტასო წერეთლის რედაქტორობის იუბილეს დავსწრებოდი - 30 წელი შესრულდა, რაც "ჯეჯილი" მისი ხელმძღვანელობით გამოდის. მან და სხვა ასაკოვანმა ქალბატონებმა ჩემი დანახვისას ძალიან გაიხარეს. თეატრი ბავშვებით იყო სავსე, სცენაც მათ ეჭირათ. მშვენიერ, ეროვნულ სამოსში გამოწყობილები მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ირგვლივ მხიარულება სუფევდა და ვიცი, დიდხანს ყოფნაც სასი-

---

<sup>45</sup> ქართულში თორმეტსიტყვიანია ეს წინადადება, ხოლო ინგლისურის ორიგინალმა ვარიანტმა აღნიშნულ თორმეტ სიტყვასთან ერთად, წინადადების დასაწყისში, მოიხმარა არტიკლი The.

ამოვნო იქნებოდა, მაგრამ დარჩენა ველარ შევქელი. გიგზავნი ”ჯეჯილის” ბოლო ნომერს, სადაც მარჯორის შესახებ ორი სტატიაა დაბეჭდილი.

ბრაიანები მიემგზავრებიან. დავპირდი, რომ ამ სალამოს, 8 საათზე, მათთან ერთად ვივასშივებ.

ვაგზავნი წერილს ტომისთვის, რომელსაც თან ხელშეკრულება ერთ-ვის. თუ შეიძლება, სთხოვე, მის წამოსაღებად შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტში მივიდეს.

ამ დილით ბერძნული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ბატონი სტავრიდაკისი, საკმაოდ ჯანსაღი და ძლიერი ადამიანი, მოულოდნელად ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. ხვალ მის დაკრძალვაზე უნდა წავიდე. დაავადება საკმაოდ გავრცელებულია სომხეთში და უნდა აღინიშნოს, რომ არც ტფილისია უსაფრთხო.

## **ორშაბათი, 12 იანვარი.**

დღეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უბედნიერესი დღეა. ახლახანს დავბრუნდი პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრიდან. მათ ინფორმაცია მივანოდე, რომ მოკავშირეებმა აღიარეს საქართველოსა და აზერბაიჯანის დე ფაქტო მთავრობები. აღსრულდა, რასაც ოცდაათ წელს ველოდი. უკვე დავიწყეთ კაბინეტის წევრებთან და მოკავშირეების წარმომადგენლებთან მოსაწვევების გაგზავნა. 14 იანვარს, წმინდა ნინოს ხსენების დღეს, დიდი ზეიმი გაიმართება. პირველად, ჩემი აივნიდან გადაკიდებული დროშა ამაყად ფრიალებს. ეკლესიის ზარები საზეიმოდ რეკენ. ქალაქში საყოველთაო ზეიმი. სამთავრობო უწყებებმა, ბანკებმა და სხვა დაწესებულებებმა მუშაობა შეაჩერეს.

როგორც გითხარი, საბერძნეთის წარმომადგენლის დაკრძალვაზე ვიყავი. სახლი, სადაც ის ცხოვრობდა, ადრე გენერალ კორის ეკავა. კუბო სწორედ იმ ოთახში ესვენა, სადაც ბოლო ვახშიობისას სასიამოვნო სალამო გავატარე. ცერემონიული საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა. ბევრი სიტყვა წარმოითქვა. ბერძნებმა უამრავი ცრემლი დაღვარეს. იქ ჟორდანია, გეგეჭკორი და სხვა ქართველი მინისტრებიც იმყოფებოდნენ. იქვე იდგა საკმაოდ მრავალრიცხოვანი საპატიო ყარაული არტილერიასთან ერთად. პროცესიას რალაც მანძილზე გავყევი მშვენიერი საგალობლის, ”კოლსლავნის” თანხლებით და მერე შინ დავბრუნდი.

უახლოეს ხანებში ძალიან დაკავებული ვიქნები, თუმცა იმედი მაქვს, მდგომარეობა არ გართულდება. ბოლშევიკების გააქტიურება და საკვების მარაგთა ნაკლებობა ხელისუფლებისთვის ახლა მთავარ საფიქრალს წარმოადგენს.

უნდა მაპატიო თუ ეს წერილი ჩვეულებრივზე უფრო არეული მოგეჩვენება. ვერც კი ვაანალიზებ იმ გამარჯვებას, რომელიც მოვიპოვე. მე ამ საქმისათვის ყველაზე მეტი გავაკეთე და აქ ეს ყველამ იცის.

წუხელ ბრაიანებთან წავედი სავახშიმოდ. ოცდარვაწი ვიყავით, თითქმის ყველა ბრიტანელი და ამერიკელი. ბრაიანი, უეითი, გრანდი და ნოუელი

ჩერქეზული სამოსით გამოცხადდნენ. საკმაოდ მხიარული საღამო გამოვიდა. ახალგაზრდებმა შუალამემდე იცეკვეს. ჭაბუკმა ამერიკელმა ოფიცერმა გვაცნობა, რომ დაინიშნა ბელგიელ ახალგაზრდა ქალბატონზე, რომელიც ამერიკელებთან მუშაობს. მხოლოდ ექვსი დღეა, რაც წყვილი ერთმანეთს იცნობს. მგონი, წინდაუხედავი საქციელია, შენ რას იტყვი? არ გგონია, რომ ხანგრძლივი ურთიერთობები უფრო მყარი და საიმედოა?

სადილის შემდეგ ჩემს ოთახში ვზივარ და ვიცდი - წერა შემანწყვეტინეს. პირველი დელეგაცია გამოჩნდა. ბაირალებით, სიმლერითა და შეძახილებით ტრიალებენ სახლთან. აივანზე გასვლა მომიხდა სკოლის მასწავლებლების მიერ წარმოთქმული სიტყვების მოსასმენად. ჯერ კიდევ აქ არიან და ზეიმობენ.

ჩემო უძვირფასესო, მინდა იცოდე, რომ გამუდმებით შენზე ვფიქრობ და უზომოდ მიყვარხარ. ჩემი დღე შენი პორტრეტის ცქერით იწყება და მთავრდება.

შენს ძალას, შენს ნათელ მზერას, შენი თვალების ელვარებას მე ჩვენს შვილებშიც ვხედავ.

ფოსტა მალე გამოიგზავნება, ამიტომ წერას ველარ გავაგრძელებ. გახსოვდეს, რომ მე შენს მგზნებარე საყვარელსა და უერთგულეს ქმარს, შენზე ძვირფასი არავინ მყავს.

ო. უორდროპი

## **ტფილისი. 12 იანვარი. 1920.**

ჩემო უძვირფასესო, გუშინ ტომსაც გავუგზავნე წერილი, ხელშეკრულებითურთ, რომლის წამოსაღებადაც საგარეო საქმეთა სამინისტროში მოუწევს შევლა. ახლა კი თხრობას განვაგრძობ.

დოქტორ სტავრიდაკისის დაკრძალვიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი, როცა ხალხმა ქუჩაში ზეიმი დაიწყო. აივანზე გასვლა და დემონსტრანტების მისალმება მომიხდა. ტფილისის მთელმა გარნიზონმა, კავალერიის და არტილერიის ჩათვლით, ჯერ ჩემს, შემდეგ კი მთავრობის სახლთან ჩაიარა, სადაც მე და პრემიერ-მინისტრი ჟორდანიას აივანზე ვიდექით.

დემონტრაციას მუშები შეუერთდნენ - ქალებიც და მამაკაცებიც. თითქმის მთელი მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. არასოდეს მინახავს ამდენი ხალხის ასეთი ორგანიზებული მოქმედება. ჟორდანიას და გეგეჭკორს პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე გამოსვლა ჰქონდათ, სადაც ბრიტანეთის დამსახურებას გაუსვეს ხაზი და მეც ხოტბა შემასხეს. მთელ დღეს ბედნიერი ხალხის გარემოცვაში ვტრიალებდი. ქუჩაში გავედი თუ არა, ხალხის მასამ მხრებზე შემისვა და ველური სიხარულით მიმარბენინა ჩემს მანქანამდე. გაოცდებოდი, რომ გენახა, რაოდენ დიდი ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა შენი პროზაული ქმარი.

### 13 იანვარი. 1920.

ოპერაში წავედით (პროგრამას თან ვურთავ), სადაც "აბესალომ და ეთერის" წარმოდგენა სახელდახელოდ იქნა შეცვლილი სხვა სპექტაკლით, რომელიც ასევე ქართულია, თუმცა გაცილებით ნაკლებად საყურადღებო. ჩვენ რომ მივედით, ფარდა სწორედ მაშინ ასწიეს და გამოჩნდა ერთ-ერთი პრიმადონა, ის საქართველოს განასახიერებდა - ტახტზე იჯდა, სცენიდან მაღლა იყო აწეული და გარს მთელი დასი ეხვია. სახელმწიფო ჰიმნი რამდენიმეჯერ შესრულდა. შეასრულეს ბრიტანეთის ჰიმნიც, რომლის ფონზეც მხურვალე ოვაციებით შემეგებნენ. პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი და სხვები ჩვენს ლოჟას ესტუმრნენ. შესვენების დროს შამპანური მივირთვით. წარმოდგენის დასრულების შემდეგ „ქართულ კლუბში“ წაგვიყვანეს, სადაც უზარმაზარი ბანკეტი შუალამემდე გაგრძელდა. მე კი, ოთხი საათის განმავლობაში, საყოველთაო ყურადღებისა და პომპეზური მიმართვების ობიექტი ვიყავი. ქალაქის მერის გვერდით დამსვენეს, რომელიც ლონისძიებას ხელმძღვანელობდა. საღამოს სამი ანსამბლი აფორმებდა, მათ შორის, კახელების ფოლკლორული გუნდი, თავისი არაჩვეულებრივი სიმღერებით. ტფილისის საუკეთესო მოცეკვავეებმა ქორეოგრაფიული არაჩვეულებრივი ნომრები შეასრულეს. შენი და ბავშვების სადღეგრძელოც შესვენს შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ყველაზე დიდებული დღე ჩემს ცხოვრებაში. სულ ვინის სიმღერა მახსენდებოდა, აი, ის სიმღერა, „ძაღლის ამბავს“ რომ ვეძახდი. როგორც ვინი წაიმღერებს ხოლმე, „რაც არ უნდა მოხდეს, ჩემი დღეც მოვა.“ თუ რაიმე ძალიან გინდა, შეიძლება დიდი ხნით მოცდა დაგჭირდეს, მაგრამ შენ მას მაინც მიიღებ და მე არ ვნანობ, რომ გუშინდელ დღეს 33 წელი ვუცდიდი. მთავარია, ადამიანს მიზანი გქონდეს, რომლისთვისაც ღირს ბრძოლა.

დასაძინებლად ხუთი საათისთვის წავედი. საკმაოდ დაღლილი ვიყავი, თუმცა, როცა რვაზე გამაღვიძეს, ადგომა მაინც არ გამჭირვებია. გრანდი, უეითი და მე, ჩვეულებისამებრ, საუზმობამდე სასეირნოდ წავედით.

დაკავებულმა დილამ რომ გადაიარა, ბატონი ხატისიანის მოსაკითხად გავემართე, რომელიც სულ რამდენიმე წუთის ჩამოსული იყო ერევნიდან. სასახლისკენ ერთად დავიძარით მანქანით, სადაც ჟორდანიას საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების აღსანიშნავ მიღებას მასპინძლობდა.

დამავიწყდა, შენთვის მეთქვა - გუშინ, როცა ეს ამბავი მოვიდა, მთელი ქალაქის სამრეკლოებმა ზარების რეკვა იწყეს და კათალიკოსმა სიონის საკათედრო ტაძარში სამადლობელი ლოცვა გადაიხადა. ვისურვებდი, იქ ვყოფილიყავი.

### ღღის 6 საათი.

ბატონმა ხატისიანმა შუადღისას შემომიარა და ბოლოდროინდელი მოვლენების შესახებ დიდხანს ვილაპარაკეთ. მთელი ღღის განმავლობაში ძალიან დაკავებული ვიყავი და როგორც იქნა, მოვიხელთე რამდენიმე წუთი საკუთარი თავისთვის, რომ მოვნესრიგდე და სადილზე წავიდე, რომელსაც მოყვება საგანგებო შეხვედრა მუნიციპალიტეტში რვა საათზე, ათის ნახ-

ევარზე კი დადიანებთანაა წვეულება. ზოგჯერ თვითონაც წარმოუდგენლად მეჩვენება, რომ მე, რომელსაც დიდი ძალდატანების გარეშე სახლიდან ფეხს ვერ გამადგმევინებდა ვერავინ, ასე აქტიურად ვარ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმული.

შენზე ფიქრი ძალას და ხალისს მმატებს. მენატრები და იმედი მაქვს, რომ უკანასკნელ დროს მომხდარი ამბების შედეგად, უფრო რეალურია ჩემი ოცნების ახდენა და აღდგომას სახლში, თქვენთან ერთად, შეხვედრა.

#### **14 იანვარი.**

დღეს მართლმადიდებლური ახალი წელია. ჩვეულებისამებრ, თბილი და ნათელი დღეა. წუხელ ორ საათზე ძლივს დავიძინე, მაგრამ მაინც მოვახერხე დილის ტრადიცია არ დამერღვია და მესეირნა.

წუხელ მუნიციპალიტეტში საგანგებო სხდომა გაიმართა დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით. ქალაქის მერიის შენობა არაჩვეულებრივად გაენათებინათ. ბევრი საინტერესო სიტყვა წარმოითქვა. საპატიო სტუმრები იყვნენ: კათალიკოსი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი და სხვები. ასევე, სომხეთის პრემიერ მინისტრი და მოკავშირეთა წარმომადგენლები. მე პირველ ორ დასახელებულს შორის მომიჩინეს ადგილი. შემდეგ გაიმართა ვახშამი, რომლის დროსაც არავინ დამჯდარა. დალიეს ჩვენი ჯანმრთელობის სადღეგრძელო, რის შემდეგაც, ათი საათისთვის გამოვიპარე და დადიანებთან წავედი საახალწლო წვეულებაზე, სადაც დიდი შეკრება გაემართათ. ახალგაზრდებმა წარმოადგინეს მცირე პიესები ქართულად და რუსულად. ცეკვა და მოლხენა შუალამემდე გაგრძელდა. აღმოჩნდა, რომ საღამოს ცენტრალური ფიგურა სწორედ მე გახლდით. ჟურნალმა სიტყვა წარმოთქვა, სადაც ციტატა მოიყვანა პუშკინიდან ადამიანის შესახებ, რომელმაც მახეში გაბმული ჩიტი იპოვა და მას თავისუფლება აჩუქა. მან თქვა, რომ ჩემი მუშაობის შედეგად მთელმა ერმა მოიპოვა თავისუფლება. დაახლოებით, ორის ნახევარზე წამოვედი.

ახლა კი წავალ, პირველ საათზე პარლამენტის საგანგებო სხდომა იწყება, რომელსაც უნდა დავესწრო. საღამოს კი დიდი ვახშამი გველის.

#### **15 იანვარი. ღამის 2 საათი.**

ჩემი სტუმრები ცოტა ხნის წინ წავიდნენ და დაძინებამდე წერას ვაგრძელებ.

პარლამენტის საზეიმო სხდომა სამ საათს გაგრძელდა და საკმაოდ “festlig”<sup>46</sup> გამოვიდა. განსაკუთრებით მოულოდნელი აღმოჩნდა ჩხენკელის სიტყვა, სადაც მან მარჯორის დაკრძალვის დეტალები გაიხსენა. მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და წუთიერი დუმილით მიაგო პატივი მარჯორის

---

<sup>46</sup> Festlig - საზეიმო, ნორვეგიულად

ხსოვნას. სიტყვებით ნამდვილად ვერ გადმოგცემ, რა ვიგრძენი. ჟორდანიაშიც შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა. მთელი სხდომის განმავლობაში მიდიოდა როგორც ფოტო, ასევე კინოგადაღება. მე, ადამიანი, რომელსაც მუდამ ჩრდილში ყოფნა მირჩევნია, ისევე საყოველთაო ყურადღების ცენტრში გახლდით. რა გაენწყობა, ასეთია ჩემი მდგომარეობა, ასეთი ფიგურა ვარ, არა მარტო საქართველოში, არამედ სომხეთსა და აზერბაიჯანშიც.

4 საათზე ვისადილე, ცოტა ხანს დავისვენე, მერე წავიმუშავე, რვა საათისთვის კი რეგალიებით აღკაზმული უნიფორმა ჩავიცვი და ვახშმად ოცდაათი სტუმარი მივიღე. მთელი მინისტრთა კაბინეტი მოვიდა. მარჯვნივ ჟორდანია მეჯდა, მარცხნივ - სომხეთის პრემიერ მინისტრი. მის მარცხნივ - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ - საფრანგეთის წარმომადგენელი. ჟორდანია მარჯვნივ აზერბაიჯანის წარმომადგენელი ველიქოვი იჯდა. ჩემ პირდაპირ განლაგდნენ სპარსეთის, საბერძნეთის და პოლონეთის წარმომადგენლები. გვერდით მაგიდებთან ისხდნენ ქართველი მინისტრები, სომხეთის დელეგაციის წევრები, გენერლები და სხვები.

მხოლოდ სამი სადღეგრძელო წარმოვთქვი: მეფის, სამხრეთ კავკასიისა და მოკავშირეების. მოკლედ ვილაპარაკე. ვახშმის დასასრულს, ჟორდანია ჩემი ჯანმრთელობის სადღეგრძელო შესვა და გულთბილად გაიხსენა ჩვენი ძველი შეხვედრები ჟენევასა და ჩისლეჰარსტში. კარგა ხანს ვისხედით და ვლაპარაკობდით. დროდადრო სარაჯიშვილი და იმერლიშვილი, ოპერის თეატრის წამყვანი ტენორი და ბარიტონი მღეროდნენ. ხალხური სიმღერები ანსამბლმა საკრავების თანხლებით შეასრულა. ოპერის მომღერლებს აკომპანიმენტს უწევდა ქალბატონი ფალიევა, „აბესალომ და ეთერის“ ავტორის და. როგორც მითხრეს, ძალიან კარგი წვეულება გამოვიდა.

მგონი, აჯობებს, დავიძინო. ხვალ უამრავი საქმე მაქვს.

იმედი მაქვს, არ იეჭვიანებ, თუკი გეტყვი, რომ რამდენიმე ქალბატონმა მითხრა, რომ მათ ყოველთვის მოვწონდი, ხოლო მას შემდეგ, რაც ბოლო კვირაში საქართველოსთვის გავაკეთე, ისინი უბრალოდ „მალმერთებენ“.

სასახლეზე ეროვნული დროშა ფრიალებს. მინისტრებმა დამარწმუნეს, რომ საკმარისია მხოლოდ რამე ვითხოვო და ის აუცილებლად შესრულდება. საქმე ბოლომდე მივიყვანე, წარმატებას მივალწიე და ვერცერთი მარცხი, რომელიც შესაძლოა მომავალში მელოდეს, ვერ წაშლის ჩემს დღევანდელ ტრიუმფს. შემიძლია ვთქვა, რომ ამაოდ არ მიცხოვრია.

## 15 იანვარი. დღის 5 საათი.

16-17 დეკემბრით დათარიღებულმა შენმა წერილმა ძალიან გამახარა, მაგრამ რადგან ფოსტა უკვე იხურება, პასუხის გრძლად გაცემა არ შემიძლია.

აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღსანიშნავად მისი წარმომადგენლის სახლში მუსლიმანური რელიგიური ცერემონიალი გაიმართა. ყველანი იქ ვიყავით. ბოლოს შამშანური დავლიეთ და ტკბილი ნამცხვრები მივირთვით.

დღის პირველ ნახევარში ბატონი ხატისიანი კიდევ ერთხელ მესტუმრა. ტომის 14-16 დეკემბრის წერილიც დღეს ჩამოვიდა, კონვერტში უორენ როუდის 41-ის საიჯარო ხელშეკრულებაც იდო.

ერთი სული მაქვს, შენს ნაცრისფერ პიჯაკს როდის ვნახავ. მგონი, წერილი დაუშთავრებლად გამოაგზავნე.

როგორც მოგწერე, ვერცხლეული, რომელიც ნაკლებად მოგწონს, თავისუფლად შეგიძლია გასცე. მიხარია, რომ ბიჭებს სკოლაში აქებენ. საბუთებს უკან გიბრუნებ.

დიდი ხანია, შენთვის პატარა საჩუქრების გამოგზავნა მინდა, მაგრამ მათ ჩასალაგებლად და შესაფუთად დრო ვერ გამოვძებნე.

გიძღვნით უდიდეს სიყვარულს ჩემს ძვირფას მეუღლესა და საყვარელ შვილებს.

შენი

ო. უორდროპი

### **ტფილისი. კვირა. 18 იანვარი. 1920.**

#### **სალამოს 7 საათი.**

ჩემო უძვირფასესო და უსაყვარლესო, ჩემო მეუღლე,

იმდენი რამ მაქვს შენთვის მოსაყოლი, არც კი ვიცი საიდან დავიწყო, მინდა ყველაფერი გითხრა, რა ტრიალებს ჩემს თავს მას შემდეგ, რაც ბოლო წერილი გამოგიგზავნე, მაგრამ მოკლე შინაარსის გადმოცემაზე მეტს ალბათ ვერ მოვახერხებ. ჩემს გზავნილში რამდენიმე გაზეთსაც იპოვი, რათა წარმოგდგენა შეიქმნა რა ხდება ჩემ გარშემო, თუმცა ის, რაც გაზეთებში წერია, მხოლოდ გარედან დანახული ამბებია და რა თქმა უნდა, ვერ აღწერს ჩემს შრომასა და გარჯას, რომელსაც სამუშაოს შესრულებაში ვდებ. არსად ჩანს ჩემი ფიქრი, რომელიც დიდიდან დაძინებამდე არ მტოვებს.

პარასკევს სალამოს ბალი გავმართე ორასი სტუმრისათვის. ყველამ მითხრა, რომ მან არაჩვეულებრივად ჩაიარა. სტუმრებს კმაყოფილება ეტყობოდათ, მე კი ყველაზე მეტად დილის ოთხ საათზე დაძინებამ გამაბედნიერა. აღინიშნა, რომ ამდენ მშვენიერ ქალს საქართველოში ერთად თავი დიდი ხანია არ მოუყრია. თითოეულ მათგანს თავისი საუკეთესო კაბა ემოსა, ვერცერთს დაინუნებდი. ზოგიერთს ათასობით ფუნტის ღირებულების ბრილიანტი და მარგალიტი აესხა. საყოველთაოდ ცნობილი ევროპული ცეკვების გარდა, შესრულდა ქართული და თათრული ცეკვები, რისთვისაც თათარი ქალები საგანგებოდ ჩამოვიდნენ ბაქოდან, აზერბაიჯანის პოლიტიკური აგენტის, ველიქოვის მოწვევით. წვეულებას მთელი ტფილისი ესწრებოდა. მოუთმენლად ველოდები შეჯამებას, რომელსაც კნეინა ელისაბედ ორბელიანი თავის გაზეთ "La Georgie independante"-ში დაბეჭდავს. მან სილამაზის მიხედვით შერჩეული თხუთმეტი გოგონა მოიყვანა. სტუმრებს შორის იყვნენ სომხეთის პრემიერ-მინისტრი ხატისიანი, მისი მეუღლე და სხვა სომხები და თათრები, მაგრამ სტუმრების უმრავლესობას მაინც ქართველები წარმოადგენდნენ. ბოლო დიდი წვეულება ტფილისში ომის დაწყებიდან ცოტა



ხანში, რუსეთის მეფის პატივსაცემად გაიმართა, სწორედ იმავე შენობაში. თუმცა მითხრეს, რომ ჩემმა წვეულებამ მისას ბევრად აჯობა. ცხადია, მის მიმართ არავის გამოუხატავს იმდენი სიყვარული და აღფრთოვანება, რამდენიც ჩემ მიმართ ბოლო კვირაში გამოხატეს.

არ მახსოვს, გიამბუე თუ არა პატარა ქართველი ბიჭის შესახებ, რომელიც, ასე ვთქვათ, ჩემი და მარჯორის პაჟი იყო ქერჩში, ოცდახუთი წლის წინ. 1906-ში პეტროგრადში ვნახეთ. მეხანძრეთა რაზმის ხელმძღვანელი გამხდარიყო და სიმამაცისთვისაც დაეჯილდოებინათ. მეგონა, ომში მოკლეს, მაგრამ ბოლშევიკებს გაჰქცევია და ახლა ტფილისშია, მთელი ქვეყნის სახანძრო ბრიგადებს ხელმძღვანელობს. მას ალექსი ბერიძე ჰქვია. ტომს ალბათ ემახსოვრება.

გუშინ მომარაგების მინისტრი მოვიდა და თან თავისი ასისტენტი, როინოვი მოიყვანა. ამ უკანასკნელს ჩვენი საუბრის განმავლობაში ხმა არ ამოუღია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც წავიდა, შევიტყვე, რომ თურმე მარჯორის ნათლული ყოფილა. მისი კიდევ ერთი ნათლული, ავალიშვილი, აზერბაიჯანის არმიის ოფიცერია და ახლა ალბათ დაღესტანში იბრძვის.

პირადი ურთიერთობები ჩემს მდგომარეობას განსაკუთრებულს ხდის. მთელი ქვეყნის გარშემო უამრავი ადამიანია, ვინც ჩემს ნაცნობობას იჩემებს, ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრთან ჰქონია შეხება და ამით ძალიან ამაყოფს.

წუხელ ჰასკელებთან ერთად ვივახშმე. ვახშმის შემდეგ ამერიკული სადამხმარებლო ორგანიზაციის კლუბის გახსნაზე წავედი. გახსნა ბალით აღინიშნა. როგორც გვითხრეს, კვირაში ორჯერ ცეკვები გაიმართება, შესაძლებელი იქნება ჩოგბურთის თამაში და სხვადასხვაგვარად გართობა. მე ათ საათზე გამოვიპარე და ღამე მშვენივრად დავისვენე.

გუშინ ბარაქიანად ჩამოთოვა, რაც ძალიან დროული იყო. ჩემი აქ ყოფნის პერიოდში საერთოდ არ უთოვია და თითქმის არც უწვიმია, ამიტომ ყველა დარდობდა, როგორი იქნებოდა მომავალი წლის მოსავალი. პურის მარაგი ამ დროისთვის ძალზე მცირეა და დიდი იმედი გვაქვს, რომ როგორმე მოვახერხებთ საზღვარგარეთიდან მის შემოტანას.

წარმოდგენა არა მაქვს, როგორ გავძელი უშენოდ ამდენ ხანს. ძალიან მიმძიმს, მაგრამ გამუდმებით მომავალ აღდგომაზე და ჩვენს შეხვედრაზე ვფიქრობ. იმედი მაქვს, აღარასოდეს დავშორდებით. ჩემს საქმეს ვერ მივატოვებ, ყველაფერი უნდა გავაკეთო, რაც შემიძლია. არა იმიტომ, რომ სახელის მოხვეჭა მინდა, არამედ იმიტომ, რომ მჯერა, ჩემი ყოველდღიური საქმიანობით მსოფლიოს ვეხმარები. საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ცნობა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია მსოფლიო ისტორიისთვის, განსაკუთრებით კი დიდი ბრიტანეთის ისტორიისთვის. სწორედ ესაა თანამედროვე პოლიტიკის გარდამტეხი მომენტი, ან ჯერ არ არის, მაგრამ შესაძლებელია გახდეს.

მიხარია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში აქ ყოფნა არ მოგიხდა. გაგიჭირდებოდა მშვიდად მიგელო არამდგრადი ვითარება, რომელშიც ვიცხოვრე. ვერც მე მოვახერხებდი, შენთვის რისკები ამერიდებინა. როცა ჩვენი გემი მღელვარე ტალღებს უკან მოიტოვებს და მშვიდად განაგრძობს ცურვას, ყველაფერი შეიცვლება. თუ საგარეო საქმეთა სამინისტრო კვლავ

მოისურვებს, რომ აქ განვაგრძო მუშაობა, იმედი მაქვს, შენთვისაც უფრო ადვილი და საინტერესო იქნება აქ ცხოვრება.

სავარაუდოდ, გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი უმაღლესი კომისრის, ანუ ჩემს პოსტთან დაკავშირებით. რამდენიმე ვერსია განიხილება. შესაძლოა, დაარსდეს ცალ-ცალკე ლეგაციები სამივე რესპუბლიკისათვის, ან საერთო ყველა მათგანისთვის. საინტერესოა, რას გადაწყვეტს საგარეო საქმეთა სამინისტრო. თუ მე დამნიშნავენ ლეგაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, ეს შეიძლება ვილაცებმა გააპროტესტონ ბრიტანეთის დიპლომატიურ სამსახურში, მაგრამ თუკი ჩემ მაგივრად ვინმე სხვას მოავლენენ, დარწმუნებული ვარ, ამას ქართველების ხმამაღალი პროტესტი მოჰყვება. გადაწყვეტილი აქვთ, რომ მთელი ცხოვრება აქ უნდა გავატარო. ნებისმიერ დღეს შესაძლებელია ლონდონში ჩემმა დამქირავებლებმა გადაწყვიტონ, რომ ჩემი ქმედებები მათ მოსაზრებებთან წინააღმდეგობაში მოდის და შესაბამისად, დაუყოვნებლივ შემანყვეტინონ საქმიანობა.

აღბათ რუქერის ბარგის ამბავი დაგაინტერესებს. ჯერ არაფერი ჩამოსულა, მათ შორის, არც შენი გზავნილი და არც გრანდის ამანათი. ბოლო ინფორმაციით, ბარგი ნოვოროსიისკში იმყოფებოდა. მგონი, რაღაცები აირია. ბატონი მაკინდერი უკვე ლონდონისკენ მიემგზავრება, რომ სამხრეთ რუსეთში განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაცია ჩაიტანოს.

უკვე ვახშმის დროა, ამიტომ წერა უნდა შევწყვიტო. იმედი მაქვს, წერილს ხვალ დავასრულებ, სანამ ფოსტალიონი გამოივლის. ნეტავ შენი ბარათიც მოიტანოს თან. შენი უსაყვარლესი წერილები ჩემი აქაური ყოფის ყველაზე ნათელ წერტილს წარმოადგენს. შენ აღბათ ვერც კი წარმოგიდგენია, იმდენად ძვირფასი ხარ ჩემთვის!

## 19 იანვარი. შუადღე.

ღამით კარგად უთოვია. ხეები და მთები მზის შუქზე თეთრად ელვარებს. თავს კარგად ვგრძნობ, თუმცა ძალიან დაკავებული ვარ.

თუ შეგიძლია, მარჯორის ბოლო პორტრეტები გამომიგზავნე. სადღაც უნდა გვექონდეს შენახული, მაგრამ სად, ვერ ვიხსენებ. ასევე მინდა, წიგნების ორი შეკვრა გამომიგზავნო, როგორც ადრე - რუსთაველი, „ვისრამიანი“, „წმინდა ნინოს ცხოვრება“, „განდეგილი“ და სხვა წიგნები - რა თქმა უნდა, ინგლისურ თარგმანებს ვგულისხმობ.

გამუდმებით თქვენზე ვფიქრობ, ჩემს ძვირფასებზე. დროებით უნდა დაგემშვიდობო. ფოსტალიონი მოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შენგან არაფერი მოუტანია.

არ დაგავინწყდეს, ტომს უთხრა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში მისთვის წერილია და გზავნილში შენთვის განკუთვნილი გაზეთებიცაა.

ო. უ.

## ტფილისი, 21 იანვარი. 1920.

ბოლო წერილი 19 იანვარს გამოგიგზავნე. ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტროში გადავაგზავნე წერილი ტომისთვის, საიჯარო ხელშეკრულება და გაზეთების მთელი შეკვრა შენთვის.

გუშინ და გუშინწინ, ჩვეულებისამებრ, ძალიან დაკავებული ვიყავი და თავის ტკივილიც მანუხებდა, მაგრამ დღეს - არც ვიცი, როგორ - თავისუფალი დრო გამომიჩნდა, ჰოდა, მშვენივრად ვარ.

რომ არ დამავინწყდეს - ზოგჯერ შენთან გამოსაგზავნ წერილებს უკვე გამოყენებულ საფოსტო მარკებს ვაკრავ. როგორც მითხრეს, ზოგიერთი მათგანი საკმაოდ ღირებულია, ამიტომ აჯობებს, შეინახო.

ხვალ ფოსტალიონი ისევ გამოივლის, ამიტომ ახლა ვცდილობ ორიოდ ბნკარი მოგწერო, შუადღემდე დრო არ მექნება, ხუთი საათისთვის კი ბაქოსკენ დავიძვრები. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ტფილისშია და გადავწყვიტეთ, ერთად ვიმგზავროთ. პარასკევს ბაქოში დიდი ბანკეტია აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, რომელსაც აუცილებლად უნდა დავესწრო. სავარაუდოდ, ტფილისში ორშაბათს დავბრუნდები.

ახლახანს მოვნიშნე ყველა ცხვირსახოცი, რომელიც საშობაოდ გამომიგზავნე.

ყოველდღე უამრავი ხოტბის შემსხმელი ტელეგრამა მომდის საქართველოს ყველა კუთხიდან, ადამიანები მადლობას მიხდიან იმისთვის, რომ მათი ქვეყნის აღიარებაში დიდი წვლილი შევიტანე.

ძალიან მაინტერესებს, საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთი სიტყვით მაინც თუ აღნიშნავს ჩემს ღვაწლს. რაც აქ ჩამოვედი, თავდაუზოგავად ვშრომობ და ჯერ გზის ბოლომდე არ ვარ მისული.

თოვლი უკვე დევს და დროდადრო ძალიან მცივა. სახლში გათბობა საღამომდე არ ირთვება ხოლმე. ალბათ მეტს რომ ვვარჯიშობდე, ძალიან არ გამიჭირდებოდა სიცივის ატანა, მაგრამ თუ დილის გასეირნებებს არ ჩავთვლით, გარეთ თითქმის ვერ გავდივარ. ბაქოში წასვლა, იმედია, ცვლილებების მომტანი იქნება. უეითი ჩემთან ერთად მოდის. თავს მაინცდამაინც კარგად ვერ გრძნობს, მაგრამ არასდროს წუნუნებს.

მგონი, არ მითქვამს, რომ ორშაბათს ტრიონდალისგან ნახატი ვიყიდე, „ალაზნის ველი“, ლამაზია და არც ისე დიდი, სადღაც 20/10-ზე იქნება. 1,5 ფუნტი ღირდა. ამ ფასად ჩარჩოსაც კი ვერ იყიდი.

ასევე შევიძინე ოთხი სომხური ხელნაწერი 12 ფუნტად. ორი მათგანი შესანიშნავად ილუსტრირებული სახარებაა, სრულად მოხატული გვერდებით, ინიციალებით და ორნამენტებით მოვარაყებულ კიდეებით. ერთი ხელნაწერი, ჩემი აზრით, წმინდანთა ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე დიდი კოლექციაა. მინიატურები აქაც შესანიშნავია, თუმცა, სამწუხაროა, რომ ფურცლების ნაწილი ბარბაროსულადაა ამოჭრილ-ამოჩიჩქნილი.

გამუდმებით ვფიქრობ ჩვენს სააღდგომო შეხვედრაზე. რაც შეეხება ოფიციალურ ნაწილს - მგონი უკვე იმაზე მეტს მივალწიე, ვიდრე წარმომედგინა, ამიტომ ახლა ჩემი საზრუნავი მიღწეულის შენარჩუნებაა. ახალგაზრდა რესპუბლიკების მომავალი დიდწილად მათსავე საქციელზეა დამოკ-

იდებულნი. შემდეგი თვეები დაგვანახებს, რა მოხდება. ახლა ის კრიზისი, რომელიც მოკავშირეთა მიერ თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებას მოჰყვება, ჩავლილი რომ იყოს, მე თავისუფლად ამოვისუნთქებდი და მხოლოდ უტკბეს ცოლ-შვილთან შეხვედრაზე ვიფიქრებდი.

### **სუთმაბათი, 22 იანვარი.**

მშენიერი, მზიანი დღეა. მხნედ ვარ და არც თავის ტკივილი მანუხებს. ბატონმა ხატისიანმა გამოსამშვიდობებლად შემოიარა. ამაღამ ერევანში მიემგზავრება.

დიდი ამბები ხდება და ჩემი განწყობა ოპტიმისტურია. ნებისმიერ შემთხვევაში, უკვე დიდ რამეს მივალწიეთ და რაც უნდა მოხდეს, მიღწევა მიღწევად დარჩება.

### **დღის 4 საათი.**

გამგზავრებამდე მხოლოდ რამდენიმე წუთი დარჩა. ჩემს უდიდეს სიყვარულს ვუძღვნი ძვირფას მარგარეტს, ჯეიმსს, ენდის და ნინოს. იმედია, ორშაბათს რომ დავბრუნდები, შენი წერილი დამხვდება.  
ო. უ.

### **ბაქო. შაბათი. 24 იანვარი. 1920.**

ჩემო უძვირფასესო,  
სანამ სპარსეთის წარმომადგენელი შემოივლის, რამდენიმე თავისუფალი წუთი გამომიჩნდა.

ხუთშაბათს მოკლედ მოგწერე. შემდეგ, ხუთ საათზე ბაქოსკენ დავიძარი. ერთ ვაგონში უფითი, მაიორი დელი და მე ვისხედით, ხოლო მეორე ვაგონში - აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი, მისი რუსი მეუღლე, თანაშემწე და სომხეთის წარმომადგენელი აზერბაიჯანში. განსაკუთრებული მატარებლით ვიმგზავრეთ, სადაც ერთად ვივასშმეთ და ჩაიც მივირთვით. მინდა გითხრა, რომ კარგადაც მეძინა.

ბაქოში გუშინ სადაც ათი საათისთვის ჩავედით. საპატიო ყარაულთან ერთად, ოფიციალური პირების მთელი ჯგუფი დამხვდა. დიდი ამბით მიმაცვილეს თავიევის „სასახლეში“ (იქ, სადაც ბოლო ვიზიტისას დავრჩი), სადაც საპატიო ყარაულის სხვა რაზმი მელოდა. დაცვა იდგა ყველგან, არა მარტო სახლთან, არამედ კიბეზე და ჩემი ოთახის შესასვლელთანაც. ქალაქი დროშებით მოერთოთ. გზადაგზა ხალხი მხიარული შეძახილებით მესალმებოდა.

ჯერ პრემიერ-მინისტრს შევხვდი. საღამოს ცხრაზე კი სტოქსმა ბანკეტი მოაწყო ოცდაექვსი სტუმრისთვის, რომელსაც ყველა მინისტრი ესწრებოდა, გარდა ერთი სოციალისტისა. თითოეულმა მათგანმა ჩემი საქე-

ბარი სიტყვა წარმოთქვა. ძალიან გულთბილად მექცევინა. მგონი, ყველას მოვწონვარ. დასაძინებლად პირველი საათისთვის დავწექი, რაც ჩემთვის არც ისე ცუდია.

მთელი დღე მნიშვნელოვანი საქმეებით ვიყავი დაკავებული. დღეს, ცხრა საათზე, საქართველოს წარმომადგენელი, დოქტორი ალშიბაია, ჩემს პატივისცემად ბანკეტს მართავს.

აქ გაცილებით უკეთესი ამინდია, ვიდრე ტფილისში და, გარდა ამისა, სახლიც მშვენივრად თბება. თავს მშვენივრად ვგრძნობ, მაგრამ დაღლილი ვარ.

ხვალ ღამით აზერბაიჯანის მთავრობა აწყობს ჩემს პატივისცემ ბანკეტს, რის შემდეგაც, დიდი ალბათობით, ტფილისისკენ გავემგზავრები. მეჩქარება უკან დაბრუნება, რადგან აუცილებლად უნდა ჩავიდე ერევანში. იმედია, მომავალ ოთხშაბათს უკვე იქ ვიქნები.

### **ჰვირა. 25 იანვარი.**

ბანკეტს, რომელიც წუხელ ცხრა საათზე დაიწყო, ოთხი ქალბატონი ესწრებოდა. მათგან ერთ-ერთი გახლდათ ქალბატონი თოფჩიბაშევი. მისი მეუღლე უკვე მეორე წელია პარიზში აზერბაიჯანის წარმომადგენლობას ხელმძღვანელობს. დანარჩენი სამი ქართველი იყო, მათ შორის - ჩემი მასპინძლის, დოქტორ ალშიბაიას ცოლიც. სულ ოცდახუთნი ვიქნებოდით. ბანკეტს აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრიც ესწრებოდა. ბევრი სიტყვა წარმოითქვა - რამდენიმე ძალიან საქებარიც. დაუკრა მევიოლინე ბრეტანიცკიმ. მისი შესრულება, ბეთჰოვენის სონატის ჩათვლით, იყო საუკეთესო ყველა იმ შესრულებას შორის, რაც კი ოდესმე მომისმენია. დასაძინებლად რომ დავწექი, უკვე ორს იყო გადაცილებული.

დღეს ბევრი საინტერესო რამ მოხდა, თუმცა მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვი, გარდა იმისა, რომ კრიტიკული პერიოდი გვიდგას და ბევრი რამ უახლოეს დღეებში განვითარებულ მოვლენებზე იქნება დამოკიდებული.

ამალამ, ცხრა საათზე, ჩემს პატივისცემად კიდევ ერთი ბანკეტი იმართება, ამჯერად აზერბაიჯანის მთავრობის ორგანიზებით. იმედი მაქვს, პირველი საათისთვის იქიდან წამოსვლას შევძლებ და მატარებლით გავემგზავრები, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, დავრჩე და ხვალ სომხების მოწყობილ წვეულებას დავესწრო. თავს კარგად ვგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ავადმყოფობა საკმაოდ გავრცელებულია.

## **ბაქო. 26 იანვარი.**

თავის დაღწევა ვერაფრით მოვახერხე. სომხებს მთელი გულით უნდათ, რომ მათ წვეულებაზე ვიყო ათის ნახევარზე. მომიწევს იქიდან პირდაპირ სადგურისკენ გავემართო და პირველ საათზე ტფილისისკენ დავიძრა.

ჩემმა ვიზიტმა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა და საკმაოდ შედეგიანიც აღმოჩნდა.

წუხანდელმა ვახშამმა წარმატებით ჩაიარა. მთელი მთავრობა და ყველა პარტიის ხელმძღვანელობა, ბოლშევიკების გარდა, იქ იყო. ჩემი და ინგლისის მისამართით თბილი და მაღლიერებით აღსავსე სიტყვები არ დაიშურეს. ვახშამმა ათასგვარი ქორეოგრაფიული და მუსიკალური ნომრის თანხლებით ჩაიარა. განსაკუთრებით მომხიბლა აღმოსავლურმა მუსიკამ, რომელიც ქამანჩაზე (პატარა ვიოლინოზე) სრულდება. უკვე სამი საღამოა აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი გვერდით მიზის და ლაპარაკში ოთხ საათს ვატარებთ, რამაც საშუალება მოგვცა, ერთმანეთისთვის უკეთ გაგვეგო. ძალიან სასიამოვნო და გონიერი ადამიანი აღმოჩნდა სპარსეთის წარმომადგენელი, რომელიც მუშაობაში მნიშვნელოვნად დამეხმარა. პოლკოვნიკი სტოქსი აქ ძალიან პოპულარულია და სპარსულ ენაზე მისი გამოსვლები ამ ენის მასტერკლასებად ითვლება. წვეულებიდან ორის ნახევარზე წამოვედი და ორზე უკვე ლოგინში ვინექი.

დილით გასეირნება ვცაადე, მაგრამ ბაქოს ცნობილმა ჩრდილოეთის ქარმა, რომელიც მართლაც ძალიან ცივი და შემანუხებელია, ხელი შემიშალა. ფილტვების ანთება მთელ ქალაქსაა მოდებული და სიკვდილიანობაც საკმაოდ ხშირია.

დიდი იმედი მაქვს, რომ ტფილისში დაბრუნებულს შენი წერილი დამხვდება. წესით, კორესპონდენციების გაგზავნა უნდა დაჩქარდეს.

ბრიტანეთიდან მოსულ ახალ ამბებში ჩემი აქაური საქმიანობის და საქართველოსა და აზერბაიჯანის აღიარებისთვის განუთელი მუშაობის შესახებ წერია. ალბათ შენც წაიკითხავდი ამ ამბებს ლონდონურ გაზეთებში. ტფილისშიც და ბაქოშიც საყოველთაო კეთილგანწყობითა და პატივისცემით ვარ გარშემორტყმული.

## **საფშაბათი. 27 იანვარი. 1920.**

წუხელ ათ საათზე ყველაზე წარმატებული ბანკეტი გაიმართა, რომელიც სომხეთის წარმომადგენლობამ მოაწყო ჩემს პატივსაცემად. სომხებისა და აზერბაიჯანელების შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ამ შეხვედრამ დამაკმაყოფილებელი შედეგებიც მოიტანა. გარდა სომხებისა, ბანკეტს ესწრებოდნენ აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სპარსეთისა და საქართველოს წარმომადგენლები. სულ ორმოცამდე სტუმარი იქნებოდა. საკმაოდ გონებამახვილური სიტყვები წარმოითქვა. ბექზადიანმა ჩემი ჯანმრთელობის სადღეგრძელო შესვა და განაცხადა, რომ სწორედ მე ვარ სამი ახალგაზრდა რესპუბლიკის ნათლიმა-

მა. იდეა ორი დისა და ერთი ძმის (აზერბაიჯანის) შესახებ სხვებმაც აიტაცეს და არაერთხელ ახსენეს. მაგიდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე იყო გაშლილი, რომ დიდი სივრცე დაგვრჩენოდა.

მოგვიანებით ქამანჩაზეც დაუკრეს. მართლაც არაჩვეულებრივი ინსტრუმენტი. ასეთ სასიამოვნო ხმოვანებას ხშირად ვერ მოისმენ. ინსტრუმენტი ვიოლინოს გავს, თუმცა გამობერილი მუცელი აქვს და ისეა აწყობილი, რომ მისი მაგიდაზე დადგმაც შესაძლებელია.

უსუბეკოვი, ხან ხოისკი, ალშიბაია, ბექზადიანი, ზია-უდ-დინი და სხვები სადგურზე წამოვიდნენ ჩემს გასაცვილებლად. მსუბუქად თოვდა. თოვლი ბაქოსთვის დიდი იშვიათობაა. შვიდ წელიწადში ერთხელ თუ მოთოვს. საკმაოდ პუნქტუალურად, გამოვემგზავრეთ, პირველს რომ რამდენიმე წუთი გადასცდა. მე მაშინვე დავიძინე, დილის შვიდზე გავიღვიძე და ცხელი აბაზანა მივიღე. ახლა საუზმეს ველოდები. გადაუღებლად წვიმს. სადაცაა ევლახის სადგურში გავჩერდებით, როგორც ვხვდები, წყლის ასაღებად.

საქმიანი თვალსაზრისით, ჩემი ბაქოში ვიზიტი კიდევ უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე ველოდებოდი.

მოხუცი ჰაჯი თაგიევი (ამბობენ, რომ უკვე ასი წლისაა) ძალიან საინტერესო ადამიანია. ის ხშირად იმეორებს, რომ ”როგორც მუჰამედმა თქვა, ადამიანმა სულ უნდა ისწავლოს, დაბადების დღიდან გარდაცვალების დღემდე”. მგონი, ადრეც გითხარი, რომ ოდესღაც ძალიან ღარიბი იყო, მტვირთავად მუშაობდა, შემდეგ კი მის ეზოში ნავთობის საბადო აღმოაჩინეს და ახლა მილიონერია.

## 28 იანვარი. დილის 10 საათი.

ღამის ხუთ საათზე ჩამოვედით. ტფილისი თოვლით დაგვხვდა დაფარული. გადაუღებლად ბარდნის და მირჩევნია, სანამ ერევანში წასვლის დრო - საღამოს რვა საათი არ მოვა, მანამდე სახლიდან არ გავიდე. უკან ალბათ ოცდათერთმეტში დავბრუნდები.

ბედნიერება მქონდა შინ შენი ოცდასამი დეკემბრის წერილი დამხვედროდა. ალბათ ვერც კი წარმოიდგენ, ისეთი ძვირფასი ხარ ჩემთვის და ისე მენატრები. მოუთმენლად ველოდები ნანატრ დღეს, როცა გულში ჩაგიკრავ და წარსულში დარჩენილი ქარიშხალი ჩვენს დაშორებას ველარ შეძლებს. შენ არც ის იცი, როგორი დაძაბული და მოულოდნელობებით აღსავსეა ჩემი ცხოვრება, მაგრამ ვცდილობ, ბოლომდე შევინარჩუნო სიმშვიდე და არ ვიდარდო.

მივიღე ტომის წერილიც, რომელიც ასევე ოცდასამითაა დათარიღებული. თუ ჯერ კიდევ ვერ იპოვეთ ჩემი სიცოცხლის დაზღვევის პოლისი, შესაძლოა, მას პრესკოტის ბანკში მიაგნოთ (ქორნჰილის 50), პატარა ყუთი უნდა იყოს, რომლის გასაღებიც, როგორც მახსოვს, შენ დაგიტოვე (გასაღების აღწერილობა მოცემულია).

თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში კვებისა და ძილის რეჟიმი საკმაოდ ამერია. თუმცა ვიმედოვნებ, რომ შემ-

დეგ შაბათ-კვირიდან რეჟიმში ჩადგომას შევძლებ.

წუხელ მიღებულ წერილებს შორის ბოდბის წინამძღვრის, ნინოს ტელეგრაფაც აღმოჩნდა, რომელმაც მამცნო, რომ წმინდა ნინოს ღამეს (ძველი სტილით 26 იანვარს) მონაზვნებმა ჩვენი პატარა ნინოსთვის და მთელი ჩვენი ოჯახისთვის ილოცეს. ასევე მივიღე ჩვენი გოგონას მიმართ კეთილი სურვილებით სავსე წერილი პოეტი ქალისგან, "განდეგილისგან" (მისი ნამდვილი სახელი და გვარი დომენიკა ერისთავია) და თარხან-მოურავისგან (მილანში მცხოვრები პრიმა დონას, ელენას მამისგან). უფრო მეტიც - თურმე ტფილისელი ქალები და გოგონები აპირებდნენ, საზეიმო მსვლელობა მოეწყოთ, ჩემთან მოსულიყვნენ და წმინდა ნინოს დღე მოელოცათ, მერე კი ბანკეტი გაემართათ ჩვენი პატარა პრინცესას პატივსაცემად. ჩემმა ბაქოში ვიზიტმა დაგეგმილი ღონისძიებები ჩაშალა, თუმცა ვხვდები, რომ წინ "მოულოდნელი" სტუმრობა მელის, რომლის შესახებ წინასწარ არაფერი მეცოდინება.

სამი ახალგაზრდა რესპუბლიკის აღიარებაში ჩემს შეტანილ წვლილთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ვიღებ ტელეგრამებს. ერთი მათგანი სპარსეთში მცხოვრები ქართველებისგანაა. აზერბაიჯანულმა პრესამ ჩემ შესახებ ერთობ მაამებლური სტატიები გამოაქვეყნა, სომხები კი უამრავ მადლობას მითვლიან ყველაფრისთვის, რაც გავაკეთე. მგონი, ამჟამად ყველაზე პოპულარული ადამიანი ვარ კასპიისა და შავ ზღვებს შორის.

იმედს ვიტოვებ, რომ თოვლის გამო რკინიგზაზე არ ჩავრჩები. წინ ცივი გზა მელის. ერევანში სასტიკი ზამთარი იცის. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ვითარება საკმაოდ მძიმე დღეშია ერევანში, არც ტფილისსა და ბაქოშია კარგი მდგომარეობა. უეითი ქანცგანყვეტილია აზერბაიჯანში ბოლო მოგზაურობის შემდეგ და ძალიან ვწუხვარ, რომ ერევანშიც მიწვეს მისი წაყვანა. არადა, ნამდვილად საჭიროებს კარგ დასვენებას. ჩემი მოგზაურობის პერიოდში გრანდი ტფილისში იყო. შეუსვენებლად ახველებს. რუქერის ბარგიც ჯერ არ ჩამოსულა.

შესაძლოა წასვლამდე რამდენიმე სიტყვის დამატებაც შევძლო. ეს წერილი ხვალ ღამით გამოიგზავნება ბათუმიდან ინგლისში.

ჩემი მოკითხვა და სიყვარული ჯეიმის, ენდის და ნინოს, დედაშენს, ტომს, ვინის და ჩვენს ნორვეგიელ მეგობრებს.

ჩემი გული ჩემი საყვარელი ცოლის ხელშია, ხელში, რომელიც ყოველდღე დამაქვს მკერდით და არ ვიშორებ. აღდგომა ის დროა, როცა გულში ჩაგიკრავ და აღარასოდეს გაგიშვებ, სანამ ცოცხალი ვარ. მთელ ჩემს სიყვარულს გიძღვნი შენ, ჩემო ჭეშმარიტო, ტკბილო, საყვარელო მეუღლე.

შენი მგზნებარე თაყვანისმცემელი,

ო. უ.



ჩემო უძვირფასესო,

ოთხშაბათს ღამით, სანამ გამოვემგზავრებოდი, შენთან გამოსაგზავნი კონვერტი დავლუქე. მე და უეითი რვა საათზე დავიძარით მაიორ დელისთან და მაიორ ქოლანთან ერთად (პუნჯაბის 67-ე ბატალიონიდან). ერევანში გუშინ, ხუთშაბათს, ორი საათისთვის ჩავედით. ჩემს შესახვედრად უამრავი ოფიციალური პირი შეკრებილიყო: ხატისიანი, მინისტრები, უცხო ქვეყნების წარმომადგენლები, მერი და მრავალი სხვა. იქვე მელოდებოდა საპატიო ყარაულიც, რომელიც, როგორც ყოველთვის, მოვინახულე. შემდეგ ყარაულმა საზეიმოდ ჩემ წინ ჩაიარა.

პრემიერ-მინისტრმა ჩვენს წარმომადგენლობაში წამიყვანა, სადაც მინისტრები მივიღე აუდიენციაზე.

ოთხ საათზე კათოლიკოსს ვესტუმრე ეპისკოპოსის სასახლეში. რამდენიმე საათი ვისაუბრეთ. მოგვიანებით აზერბაიჯანის და სპარსეთის წარმომადგენლებსაც შევხვდი. მათთან საკმაოდ სასარგებლო გასაუბრება მქონდა. შეხვედრები შემანყვეტინა ინფორმაციამ, რომ მისიის შენობასთან უამრავი ადამიანი და ორკესტრი მოსულიყო. ისინი ჩემს გამოჩენას ელოდნენ. გარეთ გასულს თოვლიან ქუჩაზე ათასობით თურქეთის სომხეთიდან გადმოსული ლტოლვილი დამხვდა. დიდი ოვაციებით შემეგებნენ. შესრულდა ბრიტანეთის ჰიმნი. წარმოითქვა მისასალმებელი სიტყვები სომხურად და ინგლისურად. მე აივანზე ვიდექი და იქიდან ვთქვი საპასუხო სიტყვა.

შემდეგ დელეგაცია მივიღე და ცალკეულ სტუმრებსაც ვუმბარებდი, მათ შორის, ამერიკელ ექიმ აშერს, რომელსაც სომხეთში მუშაობის ოცნლიანი გამოცდილება აქვს.

მალე ბატონ ხატისიანთან მომიხდა დაბრუნება. პოლიტიკური ვითარება განვიხილეთ. ცხრა საათისთვის კი ჩემს პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე წავედით. მშვენიერი ბანკეტი გამოვიდა. მასპინძლებმა უამრავი საქებარი სიტყვა წარმოთქვეს ჩემი მისამართით. სამივე რესპუბლიკაში მეგობრად მივიჩნევი.

სახლში პირველი საათისთვის დავბრუნდი და რვამდე მეძინა.

მინდოდა ტფილისში ამაღამ დავბრუნებულიყავი, მაგრამ აქ ალექსანდროპოლის<sup>47</sup> უნივერსიტეტი იხსნება და ცერემონიალს აუცილებლად უნდა დავესწრო. თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, კვირა დილით უკვე ტფილისში ვიქნები.

შუადღემდე რამდენიმე შეხვედრა მაქვს, ნაშუადღევს კი მინისტრებთან ერთად უნდა განვიხილო მნიშვნელოვანი საკითხები.

აქ გაცილებით მეტად ცივა, ვიდრე ტფილისში. საკმაო რაოდენობის თოვლიცაა. გრეისი სახლს კარგად ათბობს და საერთოდ, მშვენივრად ზრუნავს ჩემზე. თავს კარგად ვგრძნობ.

ოცდასამი დეკემბრით დათარიღებული შენი წერილი კიდეც ერთხელ გადავიკითხე. მოუთმენლად ველოდები ბარათს შობის ამბებით. ძალიან ძნელია შენგან შორს ყოფნა. გადავწყვიტე ყველაფერი გავაკეთო იმის-

<sup>47</sup> დღევანდელი გიუმრი

ვის, რომ აღდგომას თქვენთან ერთად შევხვდეთ, მაგრამ აქაური სიტუაცია იმდენად არამდგრადია, გამიჭირდება რაიმეს დაგპირდე. საბრალო სტოქსი დიდი დილემის წინაშე დგას. დედამისიც და მამამისიც, ორივე ძალიან ავადაა. შვილს შინ დაბრუნებას სთხოვენ. მაგრამ მისი აქ ყოფნაც უმნიშვნელოვანესია, ამიტომ გადაწყვიტა, რომ ამ ეტაპზე ბაქოდან გამგზავრება არასწორი საქციელი იქნება.

ახლა უნდა წავიდე. შეხვედრები მენწყება.

## **კვირა ღამე. 1. 2. 20.**

### **9 საათი.**

პარასკევს, საღამოს ათ საათზე ხატისიანთან პატარა ვახშამი გაიმართა, ყოველგვარი საზეიმო სიტყვებისა და ცერემონიალების გარეშე. შემდეგ ალექსანდროპოლში ყველანი ერთად გავემგზავრეთ და დილის ცხრაზე უკვე იქ ვიყავით. როგორც ყოველთვის, სადგურზე დახვედრა მოგვიწყვეს, საპატიო ყარაულის თანხლებით. მათ პრემიერ-მინისტრთან ერთად ჩამოვუარე. შემდეგ არქიებისკოპოსმა თავისთან მიმინვია და საშუალება მომეცა ახალი უნივერსიტეტის რექტორს შეხვედროდი, დოქტორ გამბოროვს, რომელიც იურისტია და ვინოგრაფიის კოლეგა იყო მოსკოვში. შეხვედრას რამდენიმე პროფესორიც დაესწრო. ნაშუადღევს უნივერსიტეტის გახსნაზე წავედით, სადაც საზეიმო გამოსვლები თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა. მეც მომინია სიტყვის თქმა. მოგვიანებით ხალხმრავალი დემონსტრაციაც გაიმართა. დღე ბანკეტით დასრულდა. იქაც იძულებული გავხდი, მოკლე სამადლობელი წარმომეთქვა უამრავი საქებარი გამოსვლის საპასუხოდ. როგორც ყოველთვის, საპატიო ადგილას ვიჯექი. რვა საათისთვის გამოპარვა მოვახერხე და დილის ცხრაზე ტფილისში ჩამოვედი. სომხეთში ძალიან ცუდი ამინდი დავტოვე, გადაუღებლად თოვდა. ჩვენ 5000-6000 ფუტის სიმაღლეზე უნდა გაგვევლო და მეშინოდა, მატარებელი გზაში არ ჩარჩენილიყო.

დღეს ძალიან დაკავებული ვიყავი, ბევრი საქმე დამიგროვდა, ოფიციალური შეხვედრების ჩათვლით. დიდი სურვილი მაქვს, ჩემს ძვირფას მეუღლეს ვესაუბრო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სიამოვნება უნდა გადავდო. ხვალ ფოსტის ჩამოსვლის დღეა და იმედს ვიტოვებ, რომ შენს წერილს მივიღებ. რუქერის ბარგმა, როგორც იქნა, ბათუმამდე ჩამოაღწია და შეიძლება ხვალ აქ ჩამოიტანონ. წარმოუდგენელია, სამი თვე გზაში!

მიკვირს, რა კარგად გადავიტანე გაუთავებელი მგზავრობა დეკემბრიდან დღემდე - ნოვოროსიისკი - ბაქო - ერევანი - ალექსანდროპოლი, ბანკეტები და საზეიმო გამოსვლები. თან, მგზავრობისთვის ფრიად უსიამოვნო ამინდები დამემთხვა - წლევანდელი ზამთარი ჩვეულებრივზე უფრო სასტიკია.

ძალიან ვწუხვარ საბრალო სტოქსის გამო. მამა გარდაეცვალა, დედა ძალიან ავადა და შვილის ნახვას დაჟინებით ითხოვს. მას კი გამგზავრება არ შეუძლია და უფრო მეტიც, რომც გავემგზავროს, ალბათ უკვე ძალიან გვიანი იქნება.

## 2 თეზირვალი. 1920.

ჩემო ძვირფასო,

შენგან 30 დეკემბრითა და 3 იანვრით დათარიღებული წერილები მომივიდა, მე კი პასუხის გასაცემად დრო ვერ გამოვძებნე. ჩამოვიდა ტომის წერილიც, რომელიც 8 იანვარსაა გამოგზავნილი. ფოსტის ნასაღებად უკვე მოვიდნენ და მხოლოდ იმის თქმა ძალმიძს, რომ მიყვარხარ და ისე მენატრები, როგორც არასდროს. ხვალ ახალ წერილს მოვკიდებ ხელს.

თავს მშვენივრად ვგრძნობ. ისევ ძალიან დაკავებული ვარ.

ძალიან ვდარდობ ჯეიმის ჯანმრთელობის გამო. თევზის ცხიმი მიეცი და საკვები, რომელიც ქიმიურ დანამატებს შეიცავს, განსაკუთრებით, თევზის ცხიმი. უთხარი, რომ მინდა ძლიერი ბიჭი გაიზარდოს.

ჩემი უდიდესი სიყვარული ძვირფას მეუღლეს და შვილებს, მათ, ვისზეც გამუდმებით ვფიქრობ.

ო. უ.

## ტფილისი. 3 თეზირვალი. 1920.

### სალამოს 10 საათი.

ჩემო უძვირფასესო,

მძიმე დღე მქონდა. უკვე დასაძინებლად მივდივარ და ძლივს მოვახერხე ორიოდ სიტყვა მოგწერო. წინა წერილი გუშინ, ორ თებერვალს გამოგიგზავნე.

ჩაის სმისას „მოულოდნელი“ სტუმრები მომივიდნენ. ქვემოთ ჩავედი და დავინახე ოთხი გოგონა (სამი თეთრ ტანსაცმელში, ერთი კი წითელში გამოწყობილი, ოთხივე ექვსი წლის): მაკრინე მელიქიშვილი, თამარ გვაზავა, ლეილა ქავთარაძე, ქეთევან ერისთავი და ხუთი ქალბატონი: მარია კვინიტაძე, ნინო გვაზავა, ელენე აფხაზი, ეკატერინე ლორთქიფანიძე, ანა დიასამიძე. დასახელებულ გოგონათაგან პირველმა რევერანსი გამიკეთა და პატარა სიტყვა წარმოთქვა, სადაც აღნიშნა, რომ ქართველი გოგონები და ქალები ბედნიერებას უსურვებდნენ ჩემს პატარა ქალიშვილს, ნინოს და მფარველი წმინდანის დღესთან დაკავშირებით, მცირე საჩუქარს უძღვნიდნენ. საჩუქარი, ნინოს მაგივრად, მე გადმომცეს - ძველი, სპარსული მოზაიკის ყუთი, რომელშიც ოქროს ჯვარი იდო, შენ რომ გამოგიგზავნე, იმ ჯვრის მსგავსი, ოღონდ შედარებით პატარა და ძალიან ლამაზი, ოქროსავე, ლალის და მარგალიტის თვლებით მორთული ყელსაბამით, უძვირფასესი რელიქვია, რომლის აღწერაც გამიჭირდება, მაგრამ შევეცდები.

(ნახატი და აღწერა თან არის დართული).

ჯვარს გარშემო ლურჯი მინანქარი აქვს შემოვლებული და მასიური ოქროთია ნაკეთები. საკმაოდ ძველი უნდა იყოს. ჯვრის ზემოთ პატარა მტრედია გამოსახული, მოზრდილი, დაუმუშავებელი ლალის თვლით. ჯვარი მტრედის კისერზეა ჩამოკიდებული. ლალი, დაახლოებით, ამ ზომის-

აა... ყელსაბამი ოცდაექვსი ნაწილისგან შედგება. თითოეულს დაუმუშავებელი ლალი ამშვენებს, დაახლოებით, ამ ზომის... მუქი ლურჯი მინანქრის ყვავილის შუაგულში, ნაწილებს შორის და გვერდით, ამობურცულ ოქროში, ორი მარგალიტია ჩამაგრებული. ხელოვნების ეს შესანიშნავი ნიმუში მთლიანობაში შეიცავს ოცდაათ მოზრდილ ლალს, სამოც მარგალიტს და ხუთ ბრილიანტს. ასეთი სამკაულები მხოლოდ უძველეს ოჯახებშია შემორჩენილი და მათი საყიდლად შოვნაც კი ძალიან რთულია, თუმცა, გრანდი როგორღაც მაინც წააწყდა მსგავს ნამუშევარს, რომელიც ასორ-მოცდაათ ფუნტზე მეტი ღირდა (150 000 რუსული რუბლი).

უკანა მხარე მომინანქრებული და გრავირებულია.

სავარაუდოდ, საჩუქარი უამრავი ადამიანის შემონირულობითაა ნაყიდი და დარწმუნებული ვარ, მათგან ბევრმა დიდი მსხვერპლი გაიღო ამისთვის დღევანდელ პირობებში, როცა რუბლის ფასი მეასედიც აღარაა ადრინდელთან შედარებით და ცხოვრება ძალიან ჭირს. ვერ აღვწერ, როგორ ამაღელვა ჩვენი პატარა გოგონასთვის გაკეთებულმა არაჩვეულებრივმა საჩუქარმა. სტუმრები ჩაიზე დამენვივნენ. გოგონებმა მთელი საათის განმავლობაში იცეკვეს, ითამაშეს და იმხიარულეს.

ბევრი წერილი მომივიდა, რომლებზე პასუხის გაცემაც ამ დრომდე ვერ მოვახერხე. მათ შორისაა მოხუცი მწერლის, ეკატერინე გაბაშვილის წერილი. ბევრმა ისეთმა ადამიანმა მომწერა, ვინც ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო ვერ შეძლო მოსვლა. როგორც ჩანს, საჩუქრის გადმომცემ სტუმართა რიცხვი და ვიზიტის ხანგრძლივობა თავად შეამცირეს, რომ ჩემთვის დრო არ წაერთმიათ და არ შევწუხებულიყავი.

დღეს ასაკოვანი ივანე როსტომაშვილი მესტუმრა, დამსახურებული მწერალი. მისი ქალიშვილი ელენა მარჯორის ნათლული იყო და ექვსი წლის ასაკში გარდაიცვალა. მან ღია ბარათი მომიტანა, რომელიც დაახლოებით, ოცი წლის წინ, მარჯორიმ პორტ-ო-პრენსიდან<sup>48</sup> გაუგზავნა გოგონას. მითხრა, რომ სხვა წერილები ეროვნული მუზეუმის ბიბლიოთეკას გადასცა. მისი ვაჟი ისევ აპირებს იაპონიაში, ჩინეთსა და ციმბირში დაბრუნებას, სადაც მან, როგორც კონსულმა და საქართველოს მთავრობის სავაჭრო წარმომადგენელმა, უკვე რამდენიმე წელი გაატარა.

ძალიან, ძალიან დაკავებული ვარ, დღე კი მეტისმეტად მოკლეა ყველაფრის მოსასწრებად. სიახლეებით აღსავსე პერიოდი მაქვს. არავინ იცის, ხვალ რა მოხდება. სხვა თუ არაფერი, ტემპერატურამ მაინც მოიმატოს, რადგან ჩვენი გათბობა არსებულზე ბევრად უკეთესის სურვილს ტოვებს.

როცა აქ ჩემი მუშაობის პერიოდი დასრულდება, ჩემი შემოსავლები საგრძნობლად შემცირდება. მიუხედავად სახლების გაყიდვიდან შემოსული თანხისა, ჩემი საბანკო ანგარიშები სახარბიელოდ ნამდვილად არ გამოიყურება. ბანკიდან ანგარიში მივიღე. ვხედავ, რომ ცხოვრება ინგლისშიც საკმაოდ ძვირია. სამ თვეში 600 ფუნტი გაგიტანია, რაც წელიწადში 2400 ფუნტს უდრის, ჩემი ხელფასი კი ინგლისში სულ 800 ფუნტია, გადასახადების გამოკლებით. აქ ადგილობრივი პირობების შესაბამისად ვცხოვრობ.

---

<sup>48</sup> პორტ-ო-პრენსი - ჰაიტის დედაქალაქი, ოცი წლით ადრე ოლივერ უორდროპი ჰაიტიზე მუშაობდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლად.

ჩემი წლიური შემოსავალი 550 ფუნტია. მიუხედავად ამისა, ახლა ფულზე დარდის დრო არ არის. სააღდგომოდ მოვიფიქრებ, როგორ გავაუმჯობესო მდგომარეობა. სანამ ჩვენი შემოსავალი მნიშვნელოვნად არ შემცირდება, მირჩევნია, არ ვინერვიულო.

ახლა კი წავალ და გუშინ მიღებულ ძვირფას წერილებს კიდევ ერთხელ გადავიკითხავ.

#### 4 თებერვალი. 1920.

წუხელ ველარ გავაგრძელე წერა, ამიტომ თავიდან ვიწყებ.

მშვენიერია, რომ ჩემი რვა დეკემბრის წერილი ოცდაათში მიიღე. ნეტავ შენი ბარათებიც სამ კვირაში მომდიოდეს! მიხარია, რომ ჩემი ამანათი – ჯვარი, ხატი და ნაქარგები – უკვე შენთანაა და მოგწონს. ვგონებ, ნინოს საჩუქარი კიდევ უფრო მოგხიბლავს. გაზეთიდან ამონაჭრები, რომლებიც შენ ვერ მოიძიე, უკვე გამომიგზავნეს სხვებმა. ჩემი მისამართით არასწორი შეფასებებია გაკეთებული, წერენ, თითქოს ჩემი ქმედებები „სახიფათო ინგლის-რუსეთის მეგობრობისათვის“. პრესისგან მიღებული დარტყმები საერთოდ არ მადარდებს და უფრო მეტიც, შემიძლია, არც კი შევიმჩნიო. შენგან აღწერილმა შობის დღესასწაულმა სახლი კიდევ უფრო მომანატრა.

რამხელა სულგრძელობაა ჯონასისგან, რომ მთელი ვერცხლეული შენ მოგცა! არ მახსოვს, გითხარი თუ არა, რომ კამილას წერილი გავუგზავნე ფინეთის წარმომადგენლის, ბიორკვისტის ხელით, რომელიც ორშაბათს გაემგზავრა. იმედი მაქვს, ჯონასი გაციებებს მოერია და გზაში ძალიან არ განვაღდა.

შენ სამომავლო გეგმების შესახებ მკითხე, განსაკუთრებით გაინტერესებდა, როდის წავალთ პარიზში. დღევანდელ დღეს პარიზში გამგზავრების შანსები ძალიან მცირედ გამოიყურება. სამი ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობას და ასევე, ხალხს, განსაკუთრებით ქართველებს, იმის გაგონებაც არ უნდათ, რომ ოდესმე აქედან წავალ. მტკიცედ სჯერათ, რომ შენ და ბავშვებიც უნდა ჩამოხვიდეთ და სამუდამოდ ყველანი ერთად აქ უნდა დავსახლდეთ. ჯიუტად ამტკიცებენ, რომ სწორედ მე ვარ მათი დამოუკიდებლობის შემოქმედი და უჩემოდ შორს ვერ წავლენ. თანაც ამას გამუდმებით იმეორებენ. არ ვიცი, რამდენად მიზანშეწონილად ჩათვლის საგარეო საქმეთა სამინისტრო ასეთ კრიტიკულ დროს ჩემს შინ დაბრუნებას, მაგრამ თუ ერთ თვეში ან ექვს კვირაში არ გადაწყდა სააღდგომოდ ჩემი ინგლისში გამგზავრება, მაშინ მომიწევს ტელეგრამა გავაგზავნო და შენი და ბავშვების აქ მშვიდობიანად, სასწრაფოდ, კომფორტულად ჩამოყვანა ვითხოვო. ადმირალიტეტს ეს ნამდვილად შეუძლია. ვგონებ, შესაძლოა, ბელმონტს ავეჯით აღჭურვილი ოთახები რამდენიმე თვით დავუთმოთ, ჩვენი ნივთები კი ქართულ ოთახში ჩავკეტოთ. ზუსტად ვიცი, რომ შენს და ბავშვების გარეშე ველარ ვიცხოვრებ. ამ სახლში უამრავი ადგილია. არც მსახურებთან გექნება პრობლემა, თავისი საქმე ყველამ კარგად იცის.

სტოქსმა ძნელად, მაგრამ მაინც გადაწყვიტა ინგლისში გამგზავრება. მამამისი უკვე გარდაიცვალა, დედაც დღეებს ითვლის. სახლში წასასვლელად საკმარისზე მეტი მიზეზი დაუგროვდა, მაგრამ მაინც ითრევდა ფეხს.

ბევრი გამოწვევის წინაშე დგას და თავს არ ზოგავს, რომ ყველაფერი სათანადოდ გააკეთოს. გამოსდის კიდეცაც. ახლახანს მოვრჩი მასთან ხანგრძლივ საუბარს. ოჰ, უკვე შუალამე გადასულა. ნეტა იცოდე, როგორ მიყვარხარ! „უფრო და უფრო ჰარმონიულად“. წარმომიდგენია, რა ბედნიერები ვიქნებით, როცა შევხვდებით, ასე არ არის?

გიგზავნი საქართველოს ჰიმნს ჯარისკაცების სიმღერასთან ერთად. ჰიმნი დღეს თავად კომპოზიტორმა მომიტანა. საინტერესო ამბებიც გავიგე. მან მითხრა, რომ ჰიმნი ნამდვილად ქართველი ხალხის ქმნილებაა და დაზუსტებით არავინ იცის, რეკოლუციის დროს გაჩენილმა სიმღერამ როგორ მიიღო დღევანდელი ჟღერადობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არ არის ერთი პიროვნების მიერ ცნობიერად შექმნილი პროდუქტი. ჰიმნი სამი ნაწილისგან შედგება: 1. ლოცვა, 2. ბრძოლა, 3. გამარჯვება. კომპოზიტორმა ასევე მიაჩნო, რომ საეკლესიო მუსიკამ, რომლის ხელნაწერები მეცხრე საუკუნიდან არსებობს, ბევრი რამ წარმართული მუსიკისაგან, მათ შორის მზის ღმერთისადმი მიძღვნილი საგალობლისგან აიღო. კომპოზიტორი ძალიან საინტერესო ადამიანია. მუსიკალური განათლება პეტროგრადში მიუღია. ის ამბობს, რომ მისი ქვეყნის ფოკლორული მუსიკა მოიცავს ჰარმონიასაც, კონტრაპუნქტებსაც, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც მას თეორიულად უსწავლია.

მუსიკას ტომის სახელზე გამოსაგზავნ კონვერტში ვდებ. მასში ასევე მოთავსებულია ორი საიჯარო ხელშეკრულება. თუ შეიძლება, სთხოვე ტომს საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტში შეიაროს გზავნილის წამოსაღებად.

ხვალ ალბათ ძალიან დაკავებული ვიქნები და მოწერას ვერ შევძლებ, ამიტომ დღეს კიდეც ერთხელ გეუბნები, რომ შენ ის ხარ, ვინც ამქვეყნად ყველაზე მეტად მენატრება და ვისი ნახვაც საოცრად მწყურია. შენთან შეხვედრა ერთადერთია, რაც იმედით მავსებს, რაც პირადია და მხოლოდ მე მეკუთვნის. ყველაფერი სხვა, რაც მეიმედება, პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. გიგზავნი მხურვალე კოცნას, ჩემო ტკბილო და ერთგულო, ჩემო ძვირფასო მეუღლე! ვესწრაფი შენს ნახვას.

## სუთხაბათი. 5. 2. 20.

სანამ ფოსტა გამოიგზავნება, მხოლოდ რამდენიმე სიტყვის მოსაწერად მაქვს დრო მოზღვავებული საქმის გამო.

ძალიან ცივა. ცა ლურჯია, ჰაერი კი სუფთა.

გიძღვნიტ ჩემს უდიდეს სიყვარულს, შენ, ძვირფასო, და საყვარელ ჯემის, ენდის და ნინოს. როგორც გავიგე, ნინოს საჩუქარი მანამდე ავალოვების ოჯახს ეკუთვნოდა. საინტერესო ისაა, რომ ამ ოჯახის ერთ-ერთი (ქორწინებით) წევრი, ნათესავად გერგება.<sup>49</sup>

გკოცნით ყველას.

მოკითხვა დედაშენს.

ო. უ.

## ტფილისი. 6 თებერვალი. 1920.

ჩემო ერთადერთო და უძვირფასესო მარგარეტ, პოლკოვნიკი სტოქსი ამაღამ მოემგზავრება. სიკეთე გამოიჩინა და თან მოაქვს ჩემი ამანათი შემდეგი ნივთებით:

ნინოს ჯვარი, ყელსაბამი, რომლებიც ძველ სპარსულ მინანქრიან ყუთშია ჩადებული.

ძველი რუსული ვერცხლის სარძევე (დაახლოებით, 1830 წელს დამზადებული).

მოზრდილი ვერცხლის ქამარი ვანის ოლქიდან.

ერთიც მომცრო ქამარი.

სპარსული, მომინანქრებული ბურნუთის ყუთი, ვერცხლის პატარა ყუთით, ასევე ვანიდან. პატარა ყუთის სახურავს სამი ქვა ამშვენებს, შიგნით კი მომცრო ზომის „ივერიის ღვთისმშობელს“ იპოვი.

ძველი ვერცხლისგან დამზადებული თანამედროვე პორტსიგარი, საფერფლე და ასანთის კოლოფი, რომელიც ერევანში მცხოვრები ვანელი დეენილების ნახელავია.

იმედი მაქვს, ყველაფერი მშვიდობიანად ჩამოაღწევს შენამდე. შეგიძლია, ნივთები შენი სურვილისამებრ გააჩუქო (ცხადია, ნინოს ჯვრის გარდა) და გადასცე ტომს, ვინის, ჯონასს, კამილას, დედაშენს და შენს რომელიმე მეგობარს.

სტოქსი მანდ ძალიან დაკავებული იქნება. მამამისი გარდაიცვალა, დედაც ძალიან მძიმედაა. თუმცა ალბათ მაინც მოახერხებს შენს სანახავად მოსვლას, ჩემს შესახებ გაიმბოს და საჭირო რჩევები მოგცეს იმ შემთხვევისთვის, თუ მე ვერ ჩამოვალ და შენ გამომგზავრებას გადანყვეტ. მან ჯერ არ იცის, რამდენ ხანს დარჩება ინგლისში, მაგრამ ძალიან ეცდება, როგორც კი შეძლებს, ბაქოში დაბრუნდეს, რადგან უამრავი საქმე აქვს.

მე კარგად ვარ, თუმცა შეუსვენებლად მუშაობა ძალიან მღლის. დღეს

---

<sup>49</sup> აქ უორდროპი გულისხმობს ცნობილი ქართველი მეცნიერისა და დიპლომატის - ზურაბ ავალიშვილის დედას, რომელიც ოლივერ უორდროპის მეუღლის მსგავსად ნორვეგიელი იყო.

გაზაფხულის ამინდია - ნათელი და თბილი დღე დგას. გაგვიმართლა, რომ არ ცივა, რადგან არც წყალი გვაქვს და არც ცენტრალური გათბობა. ეს წერილი შენამდე ალბათ მალე მოაღწევს, რადგან სტოქსი შეეცდება, რაც შეიძლება სწრაფად ჩამოვიდეს ინგლისში. ის უმაღლესი დონის ადამიანია და ბედნიერი ვიქნები, როცა უკან დამიბრუნდება.

ინგლისში მისი მისამართია: ქენფილდ გარდენის 10, NW6 ლონდონი. შეგიძლია, მისწერო და ჰკითხო, როდის ეცლება, რომ შენ ან ტომმა ამანათი წამოიღოთ, მერე კი ის გესტუმროთ სევენოუქსში სადილად ან ვახშმად. მოკითხვა ტომს, ვინის და ჯონოს, ბეტის, ენს და დედაშენს.

ჩემი უდიდესი სიყვარული ჩემს ძვირფას მეუღლეს, ვის მკერდშიც ჩემი გული განსასვენებლს ჰპოვებს. მოკითხვა ძვირფას ჯეიმის, ენდის და ნინოს. ჩემი ფიქრები ყოველდღე მათით საზრდოობს. მიგულებ შენთან ახლოს, ჩემო ერთადერთო. იმედია, მალე შევხვდებით, აქ ან ინგლისში, აღდგომას.

მარად და მთელი არსებით,

შენი

ო. უ.

სულ სამ შეკვრას გიგზავნი, თითოეული ერთი ფუტის სიგრძისაა.

### **ტფილისი, 6 თებერვალი, 1920.**

ჩემო უძვირფასესო,

წუხელ ერთი წერილი შენ გამოგიგზავნე, ერთი კი ტომს, ორი საიჯარო ხელშეკრულებითურთ. ამაღამ სტოქსს კიდეც ერთ წერილს და სამ ძვირფას შეკვრას ვატან.

როცა ნახავ, გეტყვის, რომ სულ ცოტა ხნით ადრე მის გამომგზავრებამდე ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიახლის შესახებ შევიტყვე, რაც დიდი დარტყმა აღმოჩნდა ჩემთვის. ჯერ კიდეც ვინარჩუნებ ოპტიმისტურ განწყობას, მაგრამ სიტუაცია მართლაც საგანგაშოა.

დიდი დრო გავატარე თქვენგან შორს, თუმცა თავს ყოველთვის ვინუგეშებდი იმით, რომ საქმე, რასაც ვაკეთებდი, რომელსაც ჩემთვის აღიარება უნდა მოეტანა, უფრო თქვენთვის იყო, თქვენი ბედნიერებისთვის და კეთილდღეობისთვის და არა ჩემთვის, რადგან მე კარგად ვიცი, საზოგადოების აღტაცებასა და გამორჩეულ პატივში აყვანას რამდენად მცირე ღირებულება შეიძლება ჰქონდეს. რაც უნდა მოხდეს, შენ უნდა იცოდე, რომ მე შეუძლებელი შევძელი, მოვახერხე ის, რასაც სხვა ვერავინ გააკეთებდა. მე აქ დავიმკვიდრე სახელი, საპატიო სახელი, რომელიც დარჩება, რაც არ უნდა მოხდეს.

შუადღისას სუფთა ჰაერზე გავისეირნე და უკან დაბრუნებულმა რამდენიმე საინტერესო ნივთი მოვიტანე თან. ვფიქრობ, გაგიხარდება.

1. სამკაულების ყუთი სპარსული მოზაიკით, დაახლოებით, ჩვეულებრივი საწერი დაფის ზომის, გარშემო წარწერებით. მუსლიმანური კალენდრით 1209 წელსაა დამზადებული, ანუ ახლა, დაახლოებით, 130 წლის უნდა იყოს.

2. მძიმე და ძველი, ქართული ღვინის ხაპი, ასევე წარწერებით.

3. ძალიან საინტერესო ჩინური ნეფრიტის სამელნე.



4. ვერცხლის დახვეწილი ქამარი, ფილიგრინული ნამუშევარი ახალ-ციხიდან.

5. თითბერის თასი სპარსული გრავერებით.

უნდა მოვახერხო და როგორც კი საშუალება მომეცემა, ეს ნივთები გამოგიგზავნო ქაშგარულ ხალიჩასთან ერთად. რადგან სტოქსი ხმელეთით მოდის და ეჩქარება, ძალიან ვერ დავტვირთე.

სტოქსი პირველი კლასის ბრიტანელია. ძალიან გამიმართლა, რომ ერთად ვმუშაობთ. იმედი მაქვს, უკან მალე დაბრუნდება.

## **შაბათი. 7 თებერვალი. 1920.**

დამქანცველი დღე მქონდა. შუადღემდე რამდენიმე ადამიანს შევხვდი. მესტუმრა კომპოზიტორი ფალიაშვილი, რომელმაც თავისი კომპოზიციების უკვე დაბეჭდილი ნოტები მომიტანა. გიგზავნი რამდენიმე მათგანს. ფალიაშვილი სხვებსაც დამპირდა. განსაკუთრებით ველოდები არიებს „აბესალომ და ეთერიდან“. ახლა რამდენიმე დღით დასასვენებლად მიემგზავრება. მისი ოპერა უკვე ოცდათვრამეტჯერ დაიდგა.

შუადღისას თანამშრომლებთან ერთად მაძამ ხატისიანს ვესტუმრე ჩაიზე. რამდენიმე დღეში ერევანში, ქმართან მიდის.

ისევ უწყლოდ ვართ, შესაბამისად, არც ცენტრალური გათბობა მუშაობს. ამიტომ „სპარსულ ოთახში“ შეშის ღუმელი დავანთეთ.

სუნდლო 31 დეკემბერს ჩავიდა ქრისტიანიაში. იმედი მაქვს, კამილანახა და ჩემს შესახებ სიახლეები აცნობა.

ვვარაუდობ, რომ ჩემთვის მომდევნო რამდენიმე დღე კიდევ უფრო დაძაბული იქნება. უკვე თერთმეტის ნახევარია და ალბათ აჯობებს, დავიძინო, თუმცა მანამდე აუცილებლად უნდა გითხრა, რომ შენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ხარ და მთელ ჩემს სიყვარულს შენ, ჩვენს ბიჭებს და პატარა გოგონას გიგზავნით.

## **კვირა. 8 თებერვალი. 1920.**

ამ დღით წყალი აბაზანისთვისაც გვქონდა და გათბობაც ჩავრთეთ, თუმცა შემდეგ ისევ შეწყდა და სახლშიც აცივდა.

ნინოზე უკვე გაზეთებში წერენ. მისი სახელი დიდი ასოებით წერია! აბა, რას იტყვი?

ამალამ, ათ საათზე, საქველმოქმედო ღონისძიებაზე მიწევს დასწრება. უარს ვერ ვიტყვი, პრემიერ-მინისტრის მეუღლემ მიმიწვია, რომელსაც ჯერაც არ შევხვედრივარ.

ფოსტა ბათუმში ხვალ წავა და ამ წერილსაც გამოვაგზავნი. იმედი მაქვს, რამე შენგანაც მოვა.

დღეს პატარა, მოხატული სპარსული ხელის სარკის ყიდვა შემომთავაზ-

ეს და ვიყიდე კიდევაც ოცდაათად. მხოლოდ მინა აქვს გამოსაცვლელი, რომლის შოვნაც სირთულეს არ წარმოადგენს. ვფიქრობ, მოგეწონება. შენთვის ბევრი არაფერი შემეგროვებია აქ, მაგრამ რაც გიყიდე, იმედი მაქვს, ყველაფერი შეესაბამება შენს გემოვნებას.

## ორშაბათი. 9 თებერვალი. 1920.

ფოსტალიონს ისევ არაფერი მოუტანია.

გრძელი საღამოს შემდეგ, ღამის ორ საათზე ძლივს მოვალწიე სახლამდე. როგორც გითხარი, მადამ ჟორდანიამ, რომელიც ხელმძღვანელობს „ქალთა საზოგადოებას ბავშვთა კეთილდღეობისთვის“, საქველმოქმედო საღამო მოაწყო კაფე „ფრასკატიში“. კაფე ღონისძიებისთვის საკმაოდ პატარა აღმოჩნდა. მე ჟორდანიებსა და მათ ქალიშვილთან ერთად ვიჯექი. ჟორდანიების შვილი თხუთმეტი წლის, გამოკვეთილად სადა გოგოა. პატარა სცენაზე რამდენიმე ნომერი წარმოადგინეს: იმღერეს, ბალაღიკაზე დაუკრეს, განსაკუთრებით დიდი დრო კი ცეკვებს დაეთმო. უნდა აღვნიშნო, რომ ცეკვები ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით, აღმოსავლურები, ხოლო ყველაზე მეტად მთიელთა ცეკვები, რომლებიც ქალბატონებმა მერიმანოვამ და ანდრონიკაშვილმა შეასრულეს (ქალბატონმა ანდრონიკაშვილმა ოთხი წელი გაატარა ლონდონში და შესანიშნავად ფლობს ინგლისურს). თანხის შესაგროვებლად „ამერიკული აუქციონიც“ გაიმართა. ყველა მყიდველი თავის ფასს ასახელებდა, ბოლოს კი ერთ ქართველ ებრაელს ერგო პატივი, ბავშვთა დასახმარებლად შექმნილ ფონდს მისი სახელი დარქმეოდა. უკვე ნახსენებ ებრაელს, ქრისტიან ქართველსა და სომეხს შორის საკმაოდ სერიოზული პაექრობა გაიმართა. შესაბამისად, უფრო დიდი თანხა შეგროვდა, ვიდრე ვინმე ელოდა. აუქციონი ახალგაზრდა პოეტს, პაოლო იაშვილს მიჰყავდა, რომელიც სტუმრებს იუმორისტული ექსპრომტი კუპლეტებით აგულიანებდა და ამხნევებდა.

საღამოს მსვლელობისას ახალგაზრდა მხატვარმა ჩემი პორტრეტის ესკიზი შექმნა და მაჩუქა. მომეწონა, თუმცა მაინც მგონია, რომ არც ისე მაღალ დონეზეა შესრულებული. ჟორდანიას პორტრეტიც იგივენაირი წარმატებით დახატა. ჟორდანია ძალიან მომწონს და გამიხარდა, რომ მასთან ოთხი საათის გატარების საშუალება მომეცა. მისი მეუღლე მორიდებული და უბრალო ადამიანია. ჟორდანიას თქმით, „ცნობისმოყვარე დამსწრე საზოგადოება“ ძირითადად სიმდიდრის მიხედვით იყო შერჩეული, თუმცა ბევრი სასიამოვნო და საინტერესო პიროვნება ვნახე. ტრადიციულად დალიეს ჩემი და ჟორდანიას სადღეგრძელო, განსაკუთრებით აღვნიშნეს ინგლისის სიმპათია დაჩაგრული ერების მიმართ და მაგალითად მოიყვანეს ბაირონის ბრძოლა საბერძნეთისთვის.

ძალიან დაღლილი ვარ. წუხელ წვეულებაზე წასვლამდე მხოლოდ ერთი საათით წავუძინე. აღმოვაჩინე, რომ ნებისმიერ დროს შემიძლია თვალის მოტყუება და ეს ძალიან მოსახერხებელია.

ვფიქრობ, როცა მნახავ, მიხვდები, რომ ახლა გაცილებით მხნე და ჯან-

რთელი ვარ, ვიდრე ბოლო წლების განმავლობაში ოდესმე ვყოფილვარ. მგონი, ბევრი მუშაობა მიხდება. ვფიქრობ და იმედი მაქვს, რომ ჩემ გვერდით ახლა უფრო ბედნიერი და კმაყოფილი იქნები, ვიდრე ადრე. ძალიან მენატრები.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ დღეს წყალი ჩაგვირთეს. ამ დილით, ჩემი ტრადიციული სეირნობისას, ძალიან არ ციოდა.

## **შუაღლე, 5 საათი.**

დღეს ორი საათი გავატარე საგარეო საქმეთა სამინისტროში. სულ რაღაც მეორედ მომიხდა იქ საქმის გამო მისვლა (პირველი ვიზიტი მაშინ შედგა, როცა მთავრობას საქართველოსა და აზერბაიჯანის აღიარების შესახებ ვაუწყე). როცა სალაპარაკო გვაქვს, გეგეჭკორი ყოველთვის თვითონ მოდის ჩემთან, მაგრამ დღევანდელი თათბირისთვის საკმაოდ დიდი რუკები გვჭირდებოდა, ამიტომ სამინისტროში მისვლა გაცილებით მოსახერხებლად ჩავთვალე.

გადაუღებლად თოვს, მაგრამ რადგან სახლში გათბობა ჩართულია და შიგნით ტემპერატურა ასატანი, ამინდს არა უშავს.

გამუდმებით მეფიქრება, შენც ისევე გენატრები თუ არა, როგორც მე მენატრები. ყოველდღე სულ უფრო და უფრო ძლიერ მიყვარხარ და მეჩქარება, რომ ეს გაგრძობინო.

გადაეცი ჩემი სიყვარული ბავშვებს და დედაშენს.

სრულიად და სამარადჟამოდ შენი,

ო. უ.

## ტფილისი. ოთხშაბათი. 11 თებერვალი. 1920.

ჩემო ძვირფასო და ერთადერთო,

ბოლო წერილი ფოსტალიონმა ორშაბათს, ღამით წაიღო.

სამსახურში რთული პერიოდი მაქვს. ჩვენი მთავრობის საქციელი ძალიან მაშფოთებს. რამდენიმე დღეა, უშედეგოდ ველოდები პასუხს ტელეგრაფზე, რომლითაც შავი ზღვის რეგიონში „მწვანეების“<sup>50</sup> გააქტიურების შესახებ ვამცნე, მაგრამ ჩემთვის არ უცნობებიათ თუ რა პოლიტიკის გატარებას აპირებენ.

ისევ ძალიან ცივა. ბოლო ოცდაოთხი საათის განმავლობაში გადაუღებლად თოვდა.

გული მაქვს დამძიმებული. არც კი ვიცი, რა მოგწერო.

“Ak min venn, kan du tro at jeg har elsket dig?

Tak for al den glede du harskjenket mig.”<sup>51</sup>

## 12 თებერვალი.

ახლა ხანს ვისაუზმე, მაგრამ მანამდე არ მისეირნია. ქუჩები მოყინულია და კვირის განმავლობაში გარეთ ძლივს გავდიოდი.

ჩემი წერილიდან დაინახავ, რომ გუშინ ძალიან ნატანჯი ვიყავი, ამიტომ ადრე დავწეტი. როგორც გითხარი, საბედნიეროდ, ნებისმიერ დროს შემიძლია ძილს მივეცე.

მომქანცველი საქმიანობა მაქვს. პატარ-პატარა ცეცხლებს ვაქრობ, რომელთაგანაც ნებისმიერი შეიძლება უზარმაზარ კოცონად იქცეს და აბრიალდეს, ძლიერ დინებებთან ვაგებ პატარა წყალშემაკავებლებს და ვშიშობ, რომ მოვარდნილმა წყალმა შეიძლება ნებისმიერ მომენტში წალეკოს ჩემი ნაგებობები, ვზივარ დენით სავსე კასრზე, რომლის აფეთქებასაც ათასობით ადამიანი ცდილობს. დამოკიდებული ვარ ჩემი ხელმძღვანელობის კეთილგანწყობაზე, რომელსაც არსებული ვითარების შესახებ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს და კიდევ უფრო ნაკლებად ადარდებს, რა მოხდება. ნეტავ მსოფლიომ იცოდეს, რა სულელია ხალხი, რომელსაც ის საკუთარ ბედს ანდობს!

რაც მსურდა, რაც მინატრია, ყველაფერს მივალწიე. ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულება, არა მარტო იმიტომ, რომ ჩემს ყველაზე წარმოუდგენელ პოლიტიკურ ოცნებებს შევასხი ფრთები, არამედ იმიტომაც, რომ ყმანვილკაცობიდან მოყოლებული, საყვარელი საქმის კეთების სიხარული არ მომკლებია, სიყვარულის უნარი არასოდეს დამიკარგავს და ვფიქრობ, არავინ ჰყვარებიან ისე, როგორც მე გარშემომყოფთ ვუყვარდი. თანახმა ვარ, ადგილზე ვიყო და ასე ვიარსებო, სანამ რაიმე სარგებლის მოტანა შემიძლია, ხოლო შემდეგ, როცა დრო მოვა, კმაყოფილი დავტოვებ აქაურობას.

<sup>50</sup> “მწვანეთა არმია” - გლეხთა შეიარაღებული მოძრაობა, რომელიც ტუაფსესა და სოჭის მიდამოებში მოქმედებდა დენიკინის წინააღმდეგ და მას ფარულად უჭერდა მხარს საქართველოს ხელისუფლება.

<sup>51</sup> ეპჰ, ჩემო მეგობარო, იცი რომ მიყვარხარ? ბედნიერების ყველა მწვერვალი სწორედ შენ მაჩუქე. ნორვეგიულად.

ფოსტალიონს, არც ლონდონიდან და არც კონსტანტინეპოლიდან, დღესაც არაფერი მოუტანია. სანყენია. წარმოდგენა არ მაქვს, როდის მივიღებ შეტყობინებას. გავიგე, რომ ჩვენი ჯარი ბათუმს ტოვებს, თუმცა საგარეო საქმეთა სამინისტროს არ გავუფრთხილებივარ და ჩემთვის არაფერი შეუტყობინებია. როგორც ჩანს, ისევე უნდა ვიყო მონყვეტილი სამყაროს, როგორც მოსკოვში ვიყავი. ჩემი ინგლისთან კომუნიკაცია, ამ ეტაპზე, ინდოეთის გავლით ხდება, ძალიან მათემატიკურ და შეიძლება, ნებისმიერ წუთს განწყდეს. რასაც გაზეთები მსოფლიოს ამ ნაწილის შესახებ წერენ, ნურაფერს დაიჯერებ.

შუადღისას სასეირნოდ გავედი. მგონი, სამუშაო დღის განმავლობაში ეს აქამდე არასოდეს გამიკეთებია. ქუჩაში თოვლქყაპი დამხვდა. უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა. უკან დაბრუნებულმა რამდენიმე არასასიამოვნო შეხვედრა ჩავატარე, რომელიც დაგეგმილზე დიდხანს გაგრძელდა, შესაბამისად, დროულად სადილობა ვერ მოვახერხე.

ალბათ ხვდები, პარასკევიდან მოყოლებული, რა უბედურად ვგრძნობ თავს, რადგან საფრთხე ემუქრება ყველაფერს, რასაც ექვსი თვის შრომა შევალე.

გათბობის სისტემის გაუმართავი მუშაობის გამო სახლში ძალიან ცივა. სახლში ან საშინლად ცხელა, ან ვიყინებით. საბედნიეროდ ზამთარი მალე დასრულდება.

როგორც ხედავ, სიახლეები არ მაქვს, ამიტომ წერილის გამოგზავნას არ დავაყოვნებ. წერა საუზმის შემდეგ დავიწყე, სადილობისას განვაგრძე და ახლა, ჩაის სმის დროს, ვასრულებ.

ჩემი გული შენთანაა, ძვირფასო. გადაეცი ჩემი შორეული კოცნა ბავშვებს, თბილი მოკითხვა კი დედაშენს და ჩვენს მეგობრებს.

მარად შენი,

ო. უ.

## **ტფილისი.**

**14 თებერვალი. 1920.**

ჩემო უძვირფასესო,

დღეს წმინდა ვალენტინის დღეა. გწერ, რომ გთხოვო, წელსაც იყო ჩემი ვალენტინი, რადგან სწორედ შენ ხარ ერთადერთი გოგო დედამიწის ზურგზე, რომელიც მიყვარს.

დიდი ვერაფერი დღეა იმისთვის, რომ გარშემო ჩიტებმა იფრინონ თავიანთ გულისწნობებთან ერთად. დილიდან გადაუღებლად თოვს. კიდევ ორი დღეც და თოვლი მთელი თვის განმავლობაში აღარ გადნება. ასეთი ზამთარი მას შემდეგ არ ყოფილა, რაც აქ ბოლოს 1911 წელს ვიყავი. მაშინ ბათუმში ისე მოთოვა, თოვლის საფარი პირველი სართულის ფანჯრებს მიწვდა. საბრალო შოშიები ათი (თუ მეტი) დღის წინ გამოჩნდნენ. საბრალონი.

ბოლოს გუშინწინ მოგწერე. მოუთმენლად ველოდები ფოსტის მოსვლას,

იქნებ ჩემი ძვირფასისგან წერილი მოიტანოს.

ლონდონიდან ტელეგრამა ისევ არ ჩანს. დაძაბული ვარ და ვბრაზობ.

ხვალ სამხედრო ნაწილებზე მიმაგრებული მღვდელი ჩამოდის ბათუმიდან. აქ წირვას ჩაატარებს.

ორშაბათს ბეგთაბეგოვების სახლში საგანგებოდ ჩემთვის იქნება წარმოდგენილი ახალი ოპერა „ლეგენდა შოთა რუსთაველზე“, დირიჟორობას მისივე კომპოზიტორი - არაყიშვილი გასწევს, ხოლო არიებს საუკეთესო მომღერლები შეასრულებენ. ძალიან მაინტერესებს, როგორი გამოვა სახლის პირობებში დადგმული საოპერო სპექტაკლი.

ბოლო დროს, თავს კარგად არ ვგრძნობდი, მაგრამ დღეს გაცილებით უკეთ ვარ. გრანდი და უეითი შიშობენ, რომ გრიპი აქვთ (მსგავსი ჩივილები საკმაოდ გავრცელებულია). იმედი მაქვს, ცდებიან. ყველაფერი გათბობის მოშლილი სისტემის ბრალია. შენობაში ან ძალიან ცივა, ან ძალიან ცხელა.

### **პვირა. 16 თებერვალი.**

ქვედა სართულზე წირვა ჩატარდა. სამუშაოს უდიდესი ნაწილი უკვე შევასრულე და ცოტა დრო მაქვს იმისთვის, რომ ჩემს ძვირფასს მივწერო, სანამ დაგეგმილი სადილი დაიწყება. მაინტერესებს, უკვე თუ იშოვე და ნაიკითხე დოროთი ვორდსვორსის დღიური,<sup>53</sup> რომელიც ახლახანს დაბეჭდა პროფესორმა ნაითმა. ის არაჩვეულებრივად საინტერესო ადამიანი იყო, თავად ვორდსვორსი საკუთარ მიღწევათა დიდ ნაწილს სწორედ მას უნდა უმაღლოდეს. ვფიქრობ, ასეთ ქალბატონთან ნაცნობობა ძალიან გესიამოვნებოდა. დოროთი ვორდსვორსი ერთ-ერთია იმ ადამიანებს შორის, ვისთან შეხვედრასაც ვინატრებდი იმ ქვეყნად.

შიშველი მთები ჯერ კიდევ თოვლითაა დაფარული, ჩვენს გადათვრებულ ბალშიც ტოტებდამძიმებული, წელში მოხრილი ხეები დგანან. ეს მცენარეები ზამთარს ძნელად ეგუებიან. გული მიკვდება, ფერწასულ, საბრალო პალმებს რომ ვუყურებ.

მალე ტფილისში მსოფლიოში ყველაზე დიდი, 140 000 ადამიანზე გათვლილი სტადიონი გვექნება. გარეუბანს, სადაც მშენებლობა დაიწყება, ვაკე ქვია. იქაური მიწა ზედგამოჭრილია მსგავსი წამონწყებისთვის. „Tenk paa det!“<sup>53</sup> გაზაფხულზე ყველანი ერთად გავალთ და სტადიონის ტერიტორიის გარშემო ხეებს დავრგავთ. მხოლოდ იმედი მაქვს, რომ მანამდე იარაღის ხელში აღება და ბოლშევიკებთან ბრძოლა არ მოგვიწევს. შავი ზღვის ნაპირზე აჯანყება სულ უფრო ბოლშევიკურ სახეს იღებს. ბათუმი სხვადასხვა ეროვნების, საშიში და გაურკვეველი ურდოებითაა სავსე, რომლებმაც ნებისმიერ დროს შეიძლება, პრობლემები შექმნან. მე მჯერა ქართველების, რომ გერმანელ, ებრაელ და ახალგაზრდა თურქ შეთქმულებს არ შეუერთდებიან.

---

<sup>52</sup> დოროთი ვორდსვორსი - ცნობილი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის, უილიამ ვორდ-ვორსის და.

<sup>53</sup> იფიქრე ამაზე! - ნორვეგიულად

## სალამოს 7 საათი.

შუადღისას შენი ძვირფასი წერილი მოვიდა, რომელიც ცამეტ იანვარს იწყება და თოთხმეტ იანვარს მთავრდება. წერილი აქ მოხვედრილმა მეფის შიკრიკმა მოიტანა, რომელიც სპარსეთში მიდიოდა და გზად გამოიარა. ვფიქრობ, აჯობებს შენი ბარათები შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტში მიიტანო წარწერით „პირველივე შესაძლებლობისთანავე უსაფრთხოდ გასაგზავნად“. ვფიქრობ, ოლდჰემის გავლით ფოსტა უფრო ცუდად მუშაობს. ტომის წერილები, როგორც წესი, უფრო გვიანაა გამოგზავნილი, ვიდრე შენები, მაგრამ გაცილებით უფრო ადრე ჩამოდის. მაგალითად, დღეს 22 იანვრით დათარიღებული გზავნილი მივიღე მისგან. მთელი კვირითა და ერთი დღით ნაკლები დასჭირდა.

შენს კითხვას ვუპასუხებ – შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ვშიშობ, რომ პარიზში საერთოდ ვეღარ წავალ, თუმცა დარწმუნებით ვერაფერს გეტყვი. არც ისე დიდი ხნის წინ საერთოდ გადადგომას ვაპირებდი, ჩემი მდგომარეობა დღესაც გაურკვეველია. ერთადერთი, რაც ნამდვილად ვიცი, ისაა, რომ სააღდგომოდ ძალიან მინდა შენი ნახვა და ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ გნახო – ან მე დავბრუნდები სახლში, ან შენ გთხოვ აქ ჩამოსვლას. თუმცა, რაც გარშემო ხდება, ჩემთვის ძალიან რთულია. სტოქსი გიამბობს, რა დღეში ვარ და წარმოდგენას შეიქმნი.

მჯერა, რომ ვინის ახალი მეგობარი კარგი ადამიანია. მის ქმარს შორიდან, სხვების მონათხრობით ვიცნობ. ერთხელ ვნახე, ათი წლის წინ, სულ რაღაც თხუთმეტი წუთით და მას შემდეგ აღარ შევხვედრივარ. ყველაფერი, რაც პოლკოვნიკის შესახებ გაინტერესებს, შეგიძლია, ტომისგან გაიგო. მე არასოდეს მქონია მასთან შეხება. ისე კი, შთაბეჭდილება მრჩება, რომ დიდ პატივს არავინ სცემს.

შენს გამოგზავნილ გაზეთს ჩემამდე არ ჩამოუღწევია. ინგლისის ამბები თოზერის მიერ აკინძული გაზეთებიდან ამონაჭერებით გავიგე. ხსენებულ ამონაჭერებს აქვე გიგზავნი.

დილის ნირვამ სასიამოვნოდ ჩაიარა - არც ისე ბევრმა ადამიანმა მოიყარა თავი. მღვდელმა ჩვენთან ერთად ისადილა, ასევე რობერტსმა, რომელიც აქ ინდო-ევროპულ ტელეგრაფის სადგურს ხელმძღვანელობს. მასთან ერთად საკმაო საქმე გვაქვს საკეთებელი. ახლახანს გადაიტანა ციებ-ცხელება, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში ტანჯავდა და ლამის ფატალური აღმოჩნდა. რამდენიმე წელი გაატარა ქერჩში და ბევრი საინტერესო ინფორმაციაც მომანოდა ჩემი იქაური მეგობრების, ბოლშევიკთა მიერ ჩადენილი მკვლევლობების და სხვათა შესახებ.

გრანდიმ და მე, გასაკაუებლად, თავი გამოვიდეთ და თოვლსა და ჭყაპში ვიარეთ ქალაქის მეორე ბოლომდე. რამდენიმე წუთით ჩერქეზოვის დისწულს და მის მეუღლეს - ელენა მაჩაბელს შევუარეთ და მათი რვა თვის ბიჭუნა - მიშა მოვინახულეთ, რომელიც უკვე ძლიერი და ფუმფულა ბავშვია. ადრე სუსტი და უსუსური იყო.

ვახშმის დროა. წერა უნდა შევწყვიტო.

## ღამის 10 საათი.

ტომის წერილიდან შევიტყვე, რომ ჩემს თანამშრომლებს შენთვის ტელეგრამა გამოუგზავნიათ. ძალიან მესიამოვნა მათი საქციელი.

## ორშაბათი. 16 თებერვალი.

არც დრო მაქვს წერისთვის და არც ახალი ამბები. საკმაოდ კარგად ვარ. გიძღვნიტ ჩემს სიყვარულს ჩემს უძვირფასეს გოგონასა და შვილებს. გულითადი მოკითხვა დედაშენს. მარად შენი,  
ო. უ.

## ტფილისი.

19. 2. 20.

ჩემო უძვირფასესო,  
ორშაბათის შემდეგ შენთვის სიტყვაც არ მომიწერია. დღეს ფოსტა ისევ მოვა და იმედი მაქვს შენს წერილსაც მომიტანს.

რთული დრო მიდგას. მონდომებით ვიბრძვი, რომ როგორმე ბათუმში ბრიტანული ჯარი შევინარჩუნო, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი მცდელობა წარმატებული იქნება. ჯარისკაცების ნაწილი უკვე გაემგზავრა. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ სამშობლოში ჩემს ღვანლს აფასებენ და საგარეო საქმეთა სამინისტრომ სრული ნდობა გამომიცხადა. გაზაფხული კიდევ უფრო რთული იქნება და ალბათ გამეორებაც აღარაა საჭირო, რომ ყველაფერს გავაკეთებ ჩემს ძვირფასთან რაც შეიძლება სწრაფად შესახვედრად.

ორშაბათს, ღამით, ბეგთაბეგოვებმა წვეულება გამართეს. მადამ ბეგთაბეგოვას წმინდანის დღე იყო (ანა ჰქვია). სამოცდაათი სტუმარი ჰყავდათ მონვეული. წარმოადგინეს ნაწყვეტები ოპერიდან, თუმცა წარმოდგენა „აბესალომ და ეთერის“ მსგავსად მომხიბვლელი ვერ გამოვიდა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ სივრცე ძალიან პატარა აღმოჩნდა, მოქმედება სცენაზე არ მიმდინარეობდა, ორკესტრის ნაცვლად კი მხოლოდ ფორტეპიანო უკრავდა. ვახშამმა დიდხანს გასტანა და შინ დილის ოთხ საათზე დავბრუნდი.

სამშაბათს ალექსანდროპოლის არქიეპისკოპოსმა მესროფმა ერთი საათით შემომიარა და ჩემი კუთვნილი სომხური ხელნაწერები დაათვალიერა.

შემდეგ მაჯონი მოვიდა, ჩემი იტალიელი კოლეგა მოსკოვიდან. ის აქ იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებითაა ჩამოსული, კომერციული მისიით, ორმოც ადამიანთან ერთად. თან ორმოცდაათი კარაბინერი ჩამოიყვანეს, უსაფრთხოების მიზნით! მან და მისმა კომპანიონმა ჩვენთან



შემოიარეს სადილად. საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორიცი მოვიდა და არსებული ვითარების შესახებ სერიოზულად ვისაუბრეთ.

ყოველდღე თოვს და ძალიან ცივა. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო დღეებში სახლი საკმაოდ დავათბეთ.

დღეს საუბრემდე სასეირნოდ არ წავალ. ამ დროს შენთვის მოსაწერად ვიყენებ. გწერ და დროდადრო პორტრეტზე აღბეჭდილ თქვენს სახეებს ვუყურებ - შენ, ჩემო ძვირფასო გოგონა და ჩვენს სამეულს.

დროს როგორ ატარებ? კითხულობ? უკრავ? ფრანგულს სწავლობ? ალბათ დაკავებული და მხიარული ხარ, როგორც ყოველთვის.

დღეს ერევნიდან გრეისი ჩამოდის აზერბაიჯანელ დიპლომატთან ერთად. მნიშვნელოვანი საკითხები უნდა განვიხილოთ.

გუშინ ლონდონიდან ოცდასამი იანვრის გაზეთი მივიღე. როგორც ჩანს, ინგლისში თანდათან ჩნდება ინტერესი მსოფლიოს ამ ნაწილის მიმართ. სამწუხაროა, რომ ეს უფრო ადრე არ მოხერხდა.

თავს კარგად ვგრძნობ. რა თქმა უნდა, აღმართი და დაღმართი ერთმანეთის გარეშე არ არსებობს, მაგრამ ჯერ ძალიან დაბლაც არ დავშვებულვარ.

დროდადრო ბოლშევიკებიც ზრდილობიანად მითმობენ ყურადღებას და თავიანთი იატაკქვეშა გამოცემებიდან მიტევენ. ცოტა ხნის წინ სიკეთე გამოიჩინეს და ერთი ასეთი გამოცემა გამომიგზავნეს. კონვერტს „შენ მიერ მოწყობილი კარნავალისთვის“<sup>54</sup> ეწერა. დამხატეს, როგორც „ყოველისშემძლე უორდროპი“, რომ ჩემი წკეპლის ქვეშ, საქართველოს მთავრობა იმას აკეთებს, რასაც მე ვეუბნები. მათ ასევე ახსენეს ჩემი „ჯადოსნური ხელი“, რომელშიც ყველა სადავე იყრის თავს.

## 19 თეპერვალი. ჩაის დრო.

ფოსტალიონმა შენგან მხოლოდ 8, 9, 10 იანვრის გაზეთები მომიტანა (ჰოპენცოლერის კორესპონდენცია „ნიკისთან“),<sup>55</sup> ტომის 18 იანვრის და 26 იანვრის წერილები. ეს უკანასკნელი შენს ბოლო წერილზე ორი კვირით გვიანაა გამოგზავნილი.

აქ ისევ თოვს. მე კარგად ვარ.

---

<sup>54</sup> საჯარაუდოდ, დამოუკიდებლობის აღიარების აღსანიშნავად მოწყობილი ზეიმი იგულისხმება.

<sup>55</sup> გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ მეორესა და რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს შორის, მსოფლიო ომის დაწყებამდე გამართული მიმოწერა. ორი იმპერატორი ერთმანეთის ნათესავი იყო და მათ მიმოწერასაც სრულიად არაფორმალური სახე ჰქონდა, შესაბამისად, ხელს აწერდნენ, როგორც „ვილი“ და „ნიკი“. ინგლისურ ენაზე გამართული ეს კორესპონდენცია „ვილის და ნიკის წერილებით“ არის ცნობილი.

## **20 თებერვალი. დღის 1 საათი და 30 წუთი.**

რამდენიმე დღე თოვდა, მაგრამ ახლა მზე ანათებს.

წუხელ, ღამის სამი საათისთვის, საკმაოდ ძლიერი, ტალღისებრი მიწისძვრა მოხდა და იმავე წუთს ელვამაც გაანათა. ჩემი გამოთვლით, ეს ყველაფერი ოც წამზე დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც ვიცი, აქ მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ ტფილისიდან დასავლეთით, რამდენიმე მილის სავალზე, გორში, დაღუპულებიც არიან, დაშავებულებიც და უსახლკარო-დაც ბევრი დარჩა. რუქერი და დელი საღამოს საცეკვაოდ წავიდნენ. თურმე ოთახში, სადაც ისინი იმყოფებოდნენ, მიწისძვრის შედეგად, ბზარი გაჩენილა. თუმცა, მე სხვა ქვეყნებში ბევრად უარესი მიწისძვრების მომსწრეც გავმხდარვარ (იტალიაში, რუმინეთში, ჰაიტიზე და ა.შ.).

თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ ვისურვებდი, მეტს ვვარჯიშობდე და სუფთა ჰაერზე სეირნობის საშუალება მქონდეს.

გრეისი ჯერ არ გამოჩენილა. ვშიშობ, რომ მისი მატარებელი გზაში ჩარჩა თოვლის გამო.

## **დღის 3 საათი.**

სადილობისას ერთმა ბრიტანელმა კომერციალისტმა საინტერესო ისტორიები გვიამბო ავსტრალიასა და კანადაში სავაჭრო წარმომადგენლის რანგში გატარებული წლების შესახებ. შუა საუბრისას მიწისძვრა კიდევ ერთხელ ვიგრძენით. რყევამ ერთ წუთს გასტანა. ოთახში ყველაფერი ამოძრავდა, თუმცა ჩვენ მაინც მყარად ვისხედით ჩვენს ადგილებზე და არც კი შევრხეულვართ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სასწრაფოდ საათებზე დავიხედეთ დროის დასანიშნად.

რადგან მზე ანათებს, ცოტას გავისეირნებ. თოვლში სიარულს ნამდვილად აჯობებს.

## **დღის 6 საათი.**

სადაცაა, ფოსტა გამოიგზავნება, ამიტომ ბევრს ვერაფერს მოგწერ. სველ ქუჩებში ვიარე. მიხარია, რომ სუფთა ჰაერი ჩავცლაპე, ცოტა მაინც. ბარათს ჩემს სიყვარულს ვატან შენთან და ბავშვებთან. გულითადი მოკითხვა დედაშენს.

სამარადჟამოდ მხოლოდ შენი,

ო. უ.

## ტფილისი.

კვირა. 22 თებერვალი. 1920.

ჩემო უძვირფასესო და ერთადერთო,  
დასანანია, რომ შენგან ისევ არაფერი ისმის. მიწისძვრამ რკინიგზა დაა-  
ზიანა და ვშიშობ, შენი წერილის მოსვლას კიდევ რამდენიმე დღე დააგვი-  
ანდება. შენთვის პარასკევს (20-ში) დაწერილ ჩემს წერილს ტფილისი ჯერ  
კიდევ არ დაუტოვებია.

გრეისი გუშინ (შაბათს) დილით ჩამოვიდა. როგორც ვვარაუდობდი,  
თოვლის გამო ალექსანდროპოლში ჩარჩა. რკინიგზის განმენდას სამასი  
ადამიანი დაჭირდა.

გუშინ ღამით ამერიკის საკონსულოს უზარმაზარ წვეულებაზე მომიხ-  
და წასვლა. მიუხედავად იმისა, რომ გამოძინებული ვიყავი, ძალიან დავი-  
ლალე. სანამ შუალამე დადგებოდა, გამოვიპარე.

დღეს არქეოლოგთა საზოგადოებამ დეპუტაცია გამომიგზავნა, რათა  
საზოგადოების საპატიო წევრობის დამადასტურებელი დიპლომი გადმოე-  
ცათ.

საკმაოდ წყნარი დღე მქონდა. თავს დამშვიდებულად ვგრძნობ, რადგან  
ბათუმის შესახებ ჩემი პოლიტიკა ალბათ მაინც გაიმარჯვებს. რაც აქ ჩამ-  
ოვედი, ყველაფერი ვნახე და, მიუხედავად ძლიერი ოპოზიციის ყოლისა,  
რაც მინდოდა, ყველაფერი გამომივიდა.

მიწისძვრა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე მე მეგონა. გორი (ქა-  
ლაქი, რომელიც ტფილისიდან დასავლეთით 60 მილის სავალზეა და სა-  
დაც 20 000 ადამიანი ცხოვრობს) მთლიანად დაინგრა. დანგრეულია მის  
გარშემო მდებარე რამდენიმე სოფელიც. ბიძგების შედეგად ზედაპირზე  
ღრმეულები და თერმული წყლები გაჩნდნენ, ქვათა ცვენა მდინარე მტკვარს  
კალაპოტის შეცვლას უქადის. რკინიგზა დაზიანებულია, ლიანდაგები  
აყრილი. ბევრი ადამიანი დაიღუპა, ათეულობით ათასი კი ღია ცის ქვეშ  
დარჩა სასტიკ ამინდში. საკვების მარაგიც ძალიან მცირეა. ტფილისიც ვერ  
გადარჩა ზარალის გარეშე. რამდენიმე სახლი საძირკველიდან სახურავამ-  
დე დაიბზარა. ჩემს რეზიდენციასაც ეტყობა ბზარები სახურავთან ახლოს.  
დღეს ერთ ადგილობრივ გაზეთში ამოვიკითხე, რომ 1088 წლიდან მოყოლე-  
ბული, საქართველოს მსგავსი მიწისძვრა არ ახსოვს.

დღე საგრძნობლად გაიზარდა და ამიტომ დღეს 6 საათამდე მოვახერხე  
კითხვა. მხოლოდ ამ წერილის დასაწერად დამჭირდა ელექტროლამპის ან-  
თება. შუადღისას თითქმის ერთი საათი გავატარე გარეთ. მიუხედავად იმი-  
სა, რომ გზები სველია და თოვლიანი, ტროტუარები მშრალია და სუფთა.  
ჯერ კიდევ ცივა, მაგრამ გაზაფხულის სურნელი ჰაერში უკვე ტრიალებს.  
ცაც ნათელი და ღურჯია.

იონოს მოკლე ბარათი გავუგზავნე დაბადების დღისთვის და ვაცნობე,  
რომ ჩემს საჩუქარს შენ გადასცემდი.

აღდგომას შინ დაბრუნების იმედი არ გადამინურავს. თუმცა შეიძლე-  
ბა ამის სანინააღმდეგო არგუმენტები ძლიერი აღმოჩნდეს, მაგრამ ყვე-  
ლაფერს გავაკეთებ, რომ შევძლო.

გთხოვ, არ დამივიწყო, ჩემო უძვირფასესო!

## ორშაბათი, 23 თებერვალი. დღის 2 საათი.

ფოსტალიონი ბათუმიდან მოულოდნელად ჩამოვიდა და საღამოს უკან მიდის. რადგან „თათბირი“ მაქვს, მხოლოდ ორიოდ სიტყვის მოწერას ვახერხებ. ლონდონიდან არაფერი მომსვლია. გარეთ მზე ანათებს, მაგრამ მაინცდამაინც კარგად არა ვარ. უკვე ძალიან დავილაღე ყველაფრით.

ხვალ გორში მივდივართ მიწისძვრით გამოწვეული ზარალის სანახავად. ჩემი წასვლა ალბათ აუცილებელია და თავის არიდება არ მოხერხდება, მაგრამ უბედურების სანახაობად გადაქცევის წინააღმდეგი ვარ.

კიდევ რა მოგწერო? ცუდ ხასიათზე ვარ და აჯობებს, წერა შევწყვიტო.

გიძღვნიტ უდიდეს სიყვარულს ჩემს ძვირფას მეუღლესა და შვილებს. გულთბილი მოკითხვა დედაშენს.

მარად შენი,

ო. უ.

## ტფილისი, 25 თებერვალი, 1920

ჩემო უძვირფასესო მარგრეთ,

ბოლოს ორშაბათს, ღამით, მოგწერე. დღეს ჩემოდანი გამოგიგზავნე, რომელსაც გრანდის მოსამსახურე ლონდონში ჩამოსვლისთანავე მოგიტანს. ნივთების ჩამონათვალს წერილს თან ვურთავ. ძვირფასი ამანათი, რომელიც 4 იანვარს გამოგიგზავნე, მხოლოდ გასულ შაბათს, 21 თებერვალს დაადგა გზას გემით. იმედი მაქვს, ამ წერილის ჩამოსვლამდე მშვიდობიანად ჩაგბარდება.

გუშინ მიწისძვრის შედეგების სანახავად წავედი. ზარალი გაცილებით დიდია, ვიდრე წარმომედგინა. გორში 30 000 ადამიანი ცხოვრობდა და არც ერთ მათგანს აღარ აქვს თავზე ჭერი, თუ აქა-იქ შემორჩენილ ხის ქოხებს არ ჩავთვლით. ბიძგების დროს მთაზე მდგარი უძველესი ციხის კედლები ჩამოიშალა და მთის ქვეშ მდგომ სახლებს დაეყარა, საიდანაც, მარტო ჩვენი იქ ყოფნის დროს, ოთხი მიცვალებულის ცხედარი გამოასვენეს. ბიძგები დროდადრო მეორდება, თუმცა მე ვერაფერს ვგრძნობ. ალბათ ეს ქალაქი ერთიანად უნდა აიყაროს და სადმე სხვაგან აშენდეს. გული მომიკლა საბრალო ადამიანების დანახვამ, რომლებიც კარვებსა და სახელდახელოდ გაჭიმულ ხალიჩებს შეჭფარებოდნენ. ცრემლი ვერ შევიკავე, როცა ჩვენი შვილების ასაკის ბავშვები დავინახე, აკანკალებულები, მშივრები, გაუსაძლის ყინვა-სა და თოვლში უსახლკაროდ დარჩენილები. ქალაქში ცუდი მდგომარეობაა, მაგრამ კიდევ უარესია ახლო სოფლებში, რომელთაგანაც 47, მეტწილად, დანგრეულია. მათ დასახმარებლად ჯერ არაფერი გაკეთებულა. რამდენიმე ადამიანი, ბავშვების ჩათვლით, შიშისგან გაგიჟდა. ქალებს მიწისძვრის დროს ნაადრევი მშობიარობა დაეწყოთ. პირველმა შოკმა იმდენად იმოქმედა ხალხზე, რომ რყევების დასრულების შემდეგ, საბედნიეროდ,

სახლებში არავინ შებრუნებულა, საჭმლის მოსამზადებლადაც კი. შესაბამისად, როცა მეორე, უფრო ძლიერი მიწისძვრა მოხდა, უკვე ყველა გარეთ იყო. ნანგრევებში ხანძარი არ გაჩენილა. მე ჯერ გორში წავედი, მერე კი სოფელ ხიდისთავში (არ აგერიოს გურიის იმავე სახელწოდების სოფელში, სადაც ტომია ნამყოფი). საშინელებას, რომელიც იქ ვნახე, ნამდვილად ვერ აღვწერ. ვნახე ამილახვრების სახლი, სადაც 1897 წელს ჩვენს ოჯახს უმასპინძლეს. ფასადი ჯერ კიდევ დგას, მაგრამ სხვა ყველაფერი მიწასთანაა გასწორებული.

ერისთავების სახლიც მთლიანადაა დანგრეული. მიშო ერისთავი და მისი ოჯახის წევრები რამდენიმე ხალიჩისგან სახელდახელოდ გამართულ კარავში, თოვლში, ჭყაპსა და ყინვაში ცხოვრობენ. ხალხი სასოწარკვეთილი და განადგურებულია, მაგრამ ჩვენი ვიზიტისა და თანაგრძნობის გამო მადლიერების გამოხატვა არავის დავინწყებია. თითოეულ მათგანს უზარმაზარი ტრაგედია დაატყდა თავს.

ჯერ კიდევ ძალიან ცივა და ქარი ქრის, თუმცა მზე ანათებს. რამდენიმე წუთში პროფესორმა ცაგარელმა უნდა შემომიაროს. ის თითქმის დაბრმავებულია, მაგრამ მაინც ბევრს მუშობს. ამჟამად წიგნს წერს საქართველოს დამოუკიდებლობის უფლებრივ საკითხებსა და მისი ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივ ასპექტებზე.

სომხები და აზერბაიჯანელები (განსაკუთრებით, დასახლებულთაგან პირველები) პრობლემებს ქმნიან. ორიოდე დღის წინ გადავწყვიტე, რამდენიმე მათგანისთვის მომეყარა თავი და მენახა, მიაღწევდნენ თუ არა შეთანხმებას. გუშინ, როცა მიწისძვრით დაზარალებული საბრალო ხალხი ვნახე, დავფიქრდი კიდევ ასობით ათას ადამიანზე, რომელიც ზუსტად იგივენაირ სიღარიბესა და უიმედობაში ცხოვრობს იმ პოლიტიკოსთა მიზანმიმართული ქმედებების გამო, რომლებიც ჩამოხრჩობას იმსახურებენ.

დღეს ღამე კიდევ ერთი შეხვედრა მაქვს იმავე საკითხებზე და ვაპირებ, ყველაფერი ვთქვა, რასაც ვფიქრობ.

თავს არც ისე კარგად ვგრძნობ. თავის ტკივილი ძალიან მანუხებს, თუმცა ვუძლებ და თბილი ამინდების დადგომას მოუთმენლად ველოდები.

ჩემი ფიქრები და იმედები აპრილში შინ დაბრუნებას ვერ შორდება. ცხადია, ყველაფერი მოვლენების განვითარებაზეა დამოკიდებული, მაგრამ თუ რაიმე ძალიან მნიშვნელოვანი და გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ვფიქრობ, შვებულება უნდა მომცენ. ცუდია, რომ შენგან ასე ცოტა ისმის.

## 26 თებერვალი. 1920.

ფოსტალიონს შენი ბარათი ისევ არ მოუტანია. ერთადერთი, რაც დამიტიოვა, გერმანიასთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების სამი ეგზემპლარი იყო.<sup>56</sup> ფოსტა ტფილისში ბომბების გავლით გამოიგზავნა. ალბათ

---

<sup>56</sup> 1919 წლის 28 ივნისს გამარჯვებულ სახელმწიფოთა მიერ გერმანიასთან გაფორმებული „ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულება“.

ხვდები, რა “ჭკვიანურადაა” ყველაფერი მონყობილი.

ამინდი გამოკეთდა. უფრო და უფრო ვუახლოვდებით გაზაფხულს. ნეტავ უფრო მეტად შემეძლოს ამინდით ტკბობა. გამუდმებით თავი მტკიცვა და სასიკვდილოდ დამლალა ყველაფერმა. შევნატრი მშვიდობას.

ჩვენი ჯარი ბათუმში რჩება. ეს ჩემი კიდევ ერთი წარმატებაა. რომ არა ჩემი კატეგორიული პროტესტი, აუცილებლად გაიყვანდნენ მთელ შემადგენლობას და სავალალო შედეგს მივიღებდით. თუმცა ეს საიდუმლო ინფორმაციაა და ნურავის ეტყვი.

გარეთ გასვლას ვაპირებ, სულ რაღაც ნახევარი საათით. იქნებ თავის ტკივილმა გამიაროს.

სახლში სულ ცოტა ხნის წინ შემოვედი, ცივი და სუფთა ჰაერის ჩასუნთქვის შემდეგ უკეთ ვარ.

ფოსტა მალე გამოიგზავნება, ამიტომ წერას ველარ გავაგრძელებ. თუმცა საკმარისი დრო მაქვს იმის სათქმელად, რომ ძალიან მიყვარხარ და საშინლად მენატრებით შენც და ბავშვებიც. რას არ გავიღებდი, რომ ერთი თვის თქვენთან ერთად გატარება შემეძლოს, სოფლის სინყნარესა და მყუდროებაში, ჩემი ყოველდღიური ორომტრიალისა და მომქანცველი რუტინისგან შორს.

გადაეცი ჩემი სიყვარული და მოკითხვა დედაშენს, ტომს, ვინის და მათ შვილებს.

გთხოვ, ხანდახან იფიქრო ჩემზე.

მარად შენი,

ო. უ.

## **ტფილისი, 28 თებერვალი, 1920**

ჩემო უძვირფასესო,

ხუთშაბათს, ოცდაექვსში, წერილი გამოგზავნე შენთვის და ღია ბარათები ბავშვებისთვის. დღეს შესაძლებლობა მომეცა, ამანათი ბატონ უაიქსს (კომპანია „კოსმოსიდან“) პირდაპირ ლონდონში გამოვატანო. დრო ცოტა მაქვს, მაგრამ მინდა, გაცნობო, რომ ცოცხალი და ჯანმრთელი ვარ. თუკი ჩემი წერილების დაგვიანების გამო ამაში ეჭვი შეგეპარება, შეგიძლია საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტს მიაკითხო. მის წარმომადგენლებს ჩემთან ყოველდღიური კავშირი აქვთ.

ჩანთით ვაგზავნი ამანათს და წერილს საგარეო საქმეთა სამინისტროში. წერილი ტომისთვის არის, რომელიც ორ საიჯარო ხელშეკრულებას შეიცავს. შეკვრა შენთვისაა, მასში თქვის ბალიშის პირი დევს დივნის მუთაქისთვის (ხურჯინის ნახევარი), რომელიც ამ დღით 11000 რუბლად (ანუ დაახლოებით 1.1 ფუნტად) ვიყიდე. შენს ხალიჩებს ძალიან მოუხდება, თუმცა ჯერ უნდა გარეცხო. იმედი მაქვს, მოგეწონება. ასეთი რამ აქ ჯერ გასაყიდად არ მინახავს.

ამ დღით კბილის ექიმთან წავედი და ვუთხარი, რომ ყველა კბილის ამოღება მინდა. ის ძალიან სასიამოვნო ქართველია და, როგორც ამბობენ, საუკეთესო სტომატოლოგია საქართველოში. გვარიც კეთილხმოვანი აქვს - ცხომელიძე. მითხრა, რომ ერთ კბილზე მეტს არ ამომიღებს და აუცილებ-

ლად ჩამისვამს ხელოვნურ კბილებს ახლად ამოღებული და სევენოუქსში დაკარგული კბილების სანაცვლოდ. ისიც მითხრა, რომ წლების განმავლობაში კბილები საერთოდ აღარ შემანუხებს. დარწმუნებული არ ვარ, რომ არ ცდება, მაგრამ შანსის მიცემა ნამდვილად ღირს. მან ჩემი დარჩენილი კბილები გასინჯა და თქვა, რომ თითქმის ყველა სალია.

ბათუმის ბედი გადაწყვეტილია (ტელეგრამა სულ ახლახანს მოვიდა), თანაც საკმაოდ დამაკმაყოფილებლად. სანამ ეს წერილი შენამდე მოაღწევს, ახალ ამბებშიც წაიკითხავ.

„მორნინგ ფოსტ“-ის სტატია ბათუმის შესახებ, რომელიც შენ გამომიგზავნე, არის ღვარძლიანი და განზრახ შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. არ დაიჯერო, რასაც პრესა წერს.

ახლა კი მინდა, მადლობა გადაგიხადო ორი წერილისათვის, რომლებიც 19-28 იანვრის შუალედის პერიოდს ეხება, „მორნინგ ფოსტ“-ის და „ობზერვერის“ ორი შეკვრისთვის. ვერც კი წარმოიდგენ, როგორ გამახარა სპარსეთისკენ მიმავალი შიკრიკის ხელით მათმა მიღებამ, განსაკუთრებით, ნინა დღის იმედეგაცრუების შემდეგ.

გთხოვ, მადლობა გადასცე დედაშენს მოსალოცი ბარათისთვის. მართლაც რომ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება, ჩემს საჯარო საქმიანობას თუ შევეხებით, ყოველთვის ჩემი ცხოვრების ყველაზე სანუკვარი ოცნება იყო.

ჩერქეზოვებისგან არაფერი ისმის. მგონი, არც არავინ იცის, როგორ მიდის მათი მოგზაურობა.

დღევანდელი დღე გაზაფხულს ჰგავს. მზე კაშკაშებს და ჩიტები ჩემი ფანჯრის წინ შეკრებილან, ერთი ჟრიაშული გაუმართავთ, როგორც ეს გაზაფხულზე ხდება ხოლმე.

კარგად მოიქეცი, მენსფილდს რომ ხუთი ფუნტი გაუგზავნე. ყოველთვის მჯეროდა, რომ ქენინგ თაუნში ბევრ კარგ საქმეს აკეთებდა.

როგორც მივხვდი, ლონდონში ღირსშესანიშნაობები დაგითვალთქვენი ბია. იმედი მაქვს, მსგავს ექსკურსიებს მომავალშიც მოიწყო.

ბავშვების სკოლაში სწავლასთან დაკავშირებით საჩქარო და სანერვიულო არაფერია. მთავარია, ჯანმრთელები და ბედნიერები იყვნენ, კარგად იქცეოდნენ, იცოდნენ, როგორ მიუდგნენ საქმეს, ალღოს აღება და სწრაფად ათვისება შეეძლოთ. იმედი მაქვს, ჯეიმსი მალე მოძლიერდება. ეცადე, ხშირად იყოს სუფთა ჰაერზე და ნოყიერად იკვებოს, გარნირებისა და სოუსების გარეშე. გთხოვ, ნინოს გადასცე, რომ დედასთან თავნებობა არ გამოიჩინოს და ენდის უთხრა, რომ მოხარული ვარ მისი „ხშირი“ კარგი საქციელით. აცნობე ბავშვებს, რომ მალე მამა ძალიან, ძალიან ბედნიერი იქნება მათთან ერთად ყოფნით. სააღდგომოდ შინ დაბრუნების იმედი ჯერაც არ დამიკარგავს.

დღეს თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ, ვიდრე ნინა დღეებში. თავის ტკივილის კვალიც კი არსად ჩანს. ვერ ვხვდები, რა შეიძლება იყოს უეცარი გამომჯობინების მიზეზი. ალბათ წნევის ცვალებადობა.

ძალიან მაინტერესებს, ეს წერილი რამდენ ხანში ჩამოვა. 5 იანვარს გამოგზავნილმა 23-ში მოაღწია შენამდე - მხოლოდ 18 დღე დაჭირდა! კომუნიკაციის არხები გამართულად რომ მუშაობდნენ, 8 დღეში ადგილზე იქნე-

ბოდა.

გულში გიკრავთ ჩემს სიყვარულს, ჩემს უძვირფასეს მეუღლეს, ნინოს, ჯეიმის და ენდის.

მარად შენი,  
ო. უ.

## **ტფილისი**

### **2 მარტი. 1920.**

ჩემო უძვირფასესო მეუღლე, ჩემო პატარა გოგონავ,

ჩერქეზოვები ვნახე. დღეს ჩამოვიდნენ, დიდხანს ვესაუბრე და ახალ ამბებთან ერთად, 15 იანვრით დათარიღებული შენი წერილიც ჩამომიტანეს. ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი წერილი იყო მათ შორის, რაც კი ბოლო დროს მიმიღია. ამანათი ჯერ არ გადმოუციათ, რადგან მათი ბარგი ამოლაგებული არ არის, მაგრამ ხვალ სადილად მენწვევიან და ყველაფერს მომიტანენ.

სანამ ზედა სტრიქონებს ვწერდი, ტელეგრამა მივიღე, რომელიც, ერთი შეხედვით, უცნაურად არ მომჩვენებია. მაცნობეს, რომ ლაუდონი, რომელიც ჩემთან ერთად მუშაობდა მოსკოვში, შემდეგ კი, ბოლშევიკების შემოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, ოდესიდან მესამედ თუ მეოთხედ მოუხდა ევაკუაცია, ხვალ აპირებს ტფილისში ჩამოსვლას, რათა ჩემს დაქვემდებარებაში, კონსულად იმუშაოს. რამდენიმე საათის წინ სხვა ტელეგრამა მოვიდა, სპარსეთის გავლით, რომელიც იუნყებოდა, რომ მან 26 თებერვალს დატოვა კონსტანტინოპოლი და ტფილისში გამოემგზავრა. მე ინფორმაცია მაქვს, რომ აღნიშნულ დღეს გამოსული ხომალდი დანალმული აღმოჩნდა და ვშიშობდი, რომ ლაუდონისთვის ეს მოგზაურობა უკანასკნელი გამოდგებოდა. ბერძენი დიპლომატი, რომელიც იმავე გემით მოემგზავრებოდა საქართველოში სამუშაოდ, აფეთქებას ცოცხალი ძლივს გადაურჩა და ბარგის გარეშე მოუხდა კონსტანტინოპოლში დაბრუნება.

აფეთქებები აქ ძალიან მოდაშია. გუშინ ერთ-ერთი სატვირთო გემი აწიეს ჰაერში, რომელსაც დენიკინისთვის განკუთვნილი ტყვია-წამალი მიჰქონდა. დღეს ერთმა კაცმა, რომელსაც ოჯახთან ჰქონდა პრობლემები ქალაქის ცენტრში, საკუთარი სახლი ააფეთქა, შედეგად, მასთან ურთიერთობაში მყოფი ერთი ქალი დაიღუპა. არეულ სამყაროში გვინწევს ცხოვრება.

მომეჩვენა, რომ ჩერქეზოვები საკმაოდ მხიარულ განწყობაზე არიან. ქმარი გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურება, ვიდრე ოდესმე, ცოლმა კი აღნიშნა, რომ ნინო დაუსრულებლად ეფლირტავებოდა მის მეუღლეს, რაზეც მე ვუპასუხე, რომ შეუძლებელია, ვინმემ ჩერქეზოვის მომხიბვლელობას გაუძლოს.

მიხარია, რომ კამილა სუნდლოს შეხვდა. იმას მაინც ეტყოდა, რომ გამოქვაბულში, ან ხის ტოტზე არ ვცხოვრობ.

ჩემი თანამშრომლების ახალგაზრდა ნაწილი ოპერაში წავიდა. დატვირთული რეჟიმის გამო მთელ წარმოდგენაზე დასწრებას იშვიათად ახ-



ერსებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვახშმის გამოტოვება უნევთ.

წერილთან ერთად გორის მიწისძვრის ფოტოებსაც გიგზავნი, მაგრამ ვშიშობ, რომ მიწისძვრით გამოწვეულ საშინელებაზე სრული წარმოდგენა მაინც ვერ შეგექმნება. ალბათ, გრანდის გადაღებულები აჯობებს, როცა დავბეჭდავთ, გამოგიგზავნი.

დილით ადრე უნდა ავდგე და ბალში მოჭიკჭიკე ჩიტებს მოვუსმინო. საერთოდ ადრიანად ვიღვიძებ, თუმცა, სამწუხაროდ, ჩემი ოთახის ფანჯარა ბალის მხარეს არ გადის და გარეთ ჯერ კიდევ ძალიან ცივა იმისთვის, რომ მზის ამოსვლამდე აივანზე დავჯდე.

გაგრძელება იქნება.

### 3 მარტი. 1920.

რაც შეეხება ამინდს, კიდევ ერთი არაჩვეულებრივი დღე გათენდა.

გიგზავნი გრანდის მიერ გორში გადაღებულ 13 ფოტოს. გარკვეული შთაბეჭდილება შეგექმნება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ფოტოები არსებულ განწყობას ვერ გადმოგცემს.

ლაუდონი ამ დილით ჩამოვიდა. როცა ბოლშევიკების გამო ოდესის დატოვება მოუხდა, შინ დაბრუნება დააპირა, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩემს დასახმარებლად გამოუშვა, კომერციულ საკითხებს უნდა მიხედოს, რაც ძალზე შრომატევადი და დამლელი სამუშაოა.

მაინტერესებს, მოაღწია თუ არა შენამდე ჩემ მიერ 20 ნოემბერს გამოგზავნილმა ამანათმა ვერცხლეულით და ჩაგბარდა თუ არა ყველა ნივთი. უეითმა და გრანდიმ აღმოაჩინეს, რომ ძვირფასი ხალიჩებისა და სხვა ნივთების ნაწილი, რომელიც მოგზაურს ანდეს, დაიკარგა. ამანათი, რომელსაც ვგულისხმობ, ვერცხლის ჩამჩას ღვინისთვის, ვერცხლის ქამრებს და სხვა ნივთებს შეიცავს. თუმცა, ყველაზე ღირებული გზავნილი სტოქსისათვის მიცემულ სამ შეკვრაშია მოთავსებული (მათ შორის, ნინოს ყელსაბამი და სპარსული მინანქრის ყუთში ჩადებული მისი ჯვარი). „კოსმოსის“ გემით გამოგზავნე ხელნაწერების ნაწილი და ძველი სპარსული ყუთი სამკაულებისთვის, დაახლოებით, საწერი მაგიდის ზომის. სხვა გემით (როგორც მახსოვს, „ფრიგია“ ერქვა), ინგლისისკენ წამოვიდა ძვირფასი სპარსული ხალიჩა, რომელშიც, დაახლოებით, 120 ფუნტი გადავიხადე. ამ ყველაფერს სტოქსი ან გრანდის მსახური მოგიტანს.

რაც შეეხება ჩემს შინ დაბრუნებას - ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, აპირებენ თუ არა ჩემს დიპლომატიურ წარმომადგენლად დანიშვნას. თუ დამნიშნავენ, უნდა მივიღო ეს წინადადება; რამდენიმეთვიანი შვებულებით დაუყოვნებლივ ჩამოვიდე თქვენთან და აქ ერთი, ან ორი წლით გადმოსაბარებლად მოგამზადოთ. თუ აქ ვინმე სხვას მოავლენენ, მაშინ, რასაკვირველია, შინ დავბრუნდები და რამდენიმე თვეს დავისვენებ იქამდე, სანამ პარიზში, ან სადმე სხვა შემოთავაზებულ ადგილას გავაგრძელებ საქმიანობას. როგორც ვხვდები, ყველაფერი მალე გაირკვევა. როგორც ვატყობ, სხვა დიდი სახელმწიფოები უკვე აპირებენ ელჩების და მისიათა ხელმძღვანელების გამოგზავნას.

კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც შეიძლება, ჩემს გადანყვეტილებაზე მოახდინოს გავლენა, პოლიტიკური მდგომარეობაა. თუ ბოლშევიკები გააქტიურდნენ და სამხრეთ კავკასიას სერიოზულად დაემუქრნენ, ვერც მე დავტოვებ აქაურობას და ვერც შენ ჩამოხვალ. მიუხედავად ყველაფრისა, საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, მხოლოდ ბაქოს საკითხი მადარდებს, რადგან იქაური ნავთობი მიმზიდველ საცდურს წარმოადგენს ბოლშევიკებისთვის.

გზა რომ მოკლე იყოს და მგზავრობა კომფორტული, ჯერ კიდევ თვეების წინ გთხოვდი ჩამოსვლას, მაგრამ ვერაფრით დავუშვებ სრულიად არამიმზიდველ პირობებში, ინფექციური დაავადებებისა და სხვა საფრთხეთა რისკის ქვეშ შენს ერთთვის მგზავრობას.

ეს ყველაფერი ძალიან სევდიანია, რადგან ჩემ გვერდით ისეთი ბედნიერი ვერასდროს იქნებოდი, როგორც აქ, მეც არასოდეს მომნატრებიხარ ისე, როგორც ახლა.

ისლა დაგვრჩენია მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ. ჯერ კიდევ არ დამიკარგავს იმედი, რომ აღდგომას ან ნააღდგომევს, მალევე განახავთვის ბოლოსკენ უკვე შეიცვლება მდგომარეობა, უკეთესობისკენ ან უარესობისკენ. სტოქსის დაბრუნება სახლისკენ წამოსვლას შედარებით გამიადვილებს, თუ, რა თქმა უნდა, მივიღებ ამ გადანყვეტილებას.

ჩერქეზოვებმა მითხრეს, რომ კარგად გამოვიყურები, მაგრამ დაღლილი ვჩანვარ. თვითონ ძალიან მხნედ და მხიარულად არიან ოცდაოთხდღიანი მოგზაურობის შემდეგ.

## **სუთხაბათი. შუადღე.**

დილით მოსულმა ფოსტამ სამშობლოდან არაფერი ჩამომიტანა. ბევრი დრო არა მაქვს წერილის დასასრულებლად. 4 საათზე ოფიციალური შეხვედრა მენყება (უკვე 3:55 არის), 5 საათზე კი ასევე ოფიციალურ სტუმრებს ველოდები.

როგორც იქნა, ნანატრი ამინდი დადგა. ისე თბილა, რომ აივნის კარი დილიდან ღია მაქვს.

ჩერქეზოვებს ამანათი ჯერ კიდევ არ გადმოუციათ.

იმედი მაქვს, სტომატოლოგი ხვალ დაასრულებს ჩემი კბილების მკურნალობას.

თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ ძალიან მენატრები. თუ აპრილში არა, მჯერა მაისში მაინც ვიქნებით ერთად.

დიდ სიყვარულს ვუძღვნი ჩემს უძვირფასეს მეუღლეს, ჯვიმის, ნინოს და ენდის. გულითადი მოკითხვა დედაშენს.

ჯერ კიდევ ძალიან დაკავებული ვარ და არ ვიცი, ეს ყველაფერი როდის დაწყნარდება.

სამარადჟამოდ შენი,

ო. უ.

**P.S.** დღეს დილას, დაახლოებით ორ ფუნტად, ვერცხლით მოჭედილი ქართული სასმისი ვიყიდე, რომელზეც ცხოველთა ორი საინტერესო ჯგუფია გამოსახული.

ზემოთ მოწერილის შემდეგ, ჩემ მიერ ჩატარებული შეხვედრები საკმაოდ უფერული გამოდგა. ერთადერთი ადამიანი, რომელთან შეხვედრა ვერ მოვახერხე და ამას ვნანობ, არის ლიზა სალინოვა (ჭავჭავაძის და). რაც ჩამოვედი, მხოლოდ ერთხელ ვნახე. დრო არ მაქვს იმ ხალხს ვესტუმრო, რომელთან საუბარს გულითადად ვისურვებდი.

უძვირფასესო, კიდეც ერთხელ გიძღვნი ჩემს გულითად სიყვარულს.

## **ტფილისი.**

### **კვირა საღამო.**

**7 მარტი. 1920.**

ჩემო ერთადერთო და უძვირფასესო, ხუთშაბათის (4 მარტის) შემდეგ არაფერი მომიწერია. მაშინ წერილთან ერთად დანგრეული გორის ფოტოები და ოთხი გაზეთიც გამოგიგზავნე. იმავე დღეს ტომსაც გავუგზავნე წერილი.

ჩერქეზოვებმა შენი ამანთი გადმომცეს. წარმოუდგენლად მაღლიერი ვარ შენი. ყველაფერი, რაც გამოგიგზავნე, ძალიან მჭირდებოდა.

პარასკევს მანქანით დავიძარით კოჯრისკენ, მაგრამ სამი ფუტის სიმაღლის თოვლმა შეგვაფერხა და უკან დაბრუნება მოგვიხდა. ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებს და თოვლი, რომელიც ჩვენს ბაღში 17 იანვრიდან იდო, გუშინ ერთბაშად გაქრა. სადღაც, შვიდის ნახევრამდე, საკმარისი სინათლეა იმისთვის, რომ საკითხავად გეყოს.

ბოლო წერილში ხალიჩები მთხოვე, ამიტომ გუშინ ორი ჰამადანური ხალიჩა ვიყიდე - ძველია, მაგრამ არაჩვეულებრივად კარგ მდგომარეობაშია, აქლემის ბენვისგან არის დამზადებული. ოდნავ განსხვავდება აქლემის ბენვის იმ ხალიჩებისგან, რომლებიც უკვე გვაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ისინი ერთმანეთს მაინც მოუხდებიან. თითოეული მათგანი თხუთმეტი ფუტის სიგრძისა და სამი ფუტის სიგანისაა. ორივეში 40 000 რუბლი გადავიხადე, რაც დაახლოებით, 40-50 ფუნტს უდრის. კურსი ძალიან მერყეობს. ჩემზე გარკვეულმა ხალხმა, მათ შორის, გრანდიმ, რომელიც ნამდვილ ექსპერტად ჩამოყალიბდა, მითხრა, რომ საკმაოდ კარგად ვივაჭრე. დიდი ხანია, აქლემის ბენვის ხალიჩები აღარ მზადდება და ალბათ აღარც დამზადდება, მასალის ღირებულების გამო.

რამდენიმე ლამაზი თექის ხალიჩაც ვნახე, მაგრამ საუკეთესო მათგანი 1000 ფუნტი დამიფასეს, თანაც, რამდენიმე ნახვრეტიც აღმოვაჩინე (თუმცა მათი ამოკერვა შესაძლებელი იყო). ნახვრეტები, სავარაუდოდ, რუსი მეპატრონეების უყურადღებობის და მოუვლელობის შედეგად გაჩნდა. როგორც ჩანს, ისინი ხალიჩას ბერტყავდნენ.

აღმოსავლური ხალიჩის ან ფარდაგის გაბერტყვა დაუშვებელია. ის ხელის ჯაგრისით, ან სპეციალური ხალიჩის სანმენდით უნდა გაიწმინდოს.

ამ ეტაპზე სამსახურში სერიოზული პრობლემები მაქვს. ნეტავ იცოდე,

რა დაძაბულობაა! დასვენება ისე მჭირდება, როგორც არასდროს, მაგრამ ახლა სამუშაოს მიტოვება წარმოუდგენელი რამაა, ყოველ შემთხვევაში, სტოქსის დაბრუნებამდე მაინც.

საპატიო მიზეზების გამო, რომელსაც ახლა ვერ გაგიმხელ, შენი და ბავშვების აქ ჩამოსვლა არასასურველია. თუმცა, შემაფერხებელი პოლიტიკური ფაქტორები შეიძლება უცაბედადაც გაქრეს.

16 თებერვლიდან მოყოლებული, ბეგთაბეგოვების წვეულების შემდეგ, სალამოხანს მხოლოდ ერთხელ გავედი გარეთ, როდესაც ორი კვირის წინ ამერიკელების მიერ მოწყობილ ვახშამზე ნახევარი საათით წავედი. უკვე იმდენად დაქანცული ვარ, მუშაობის პარალელურად, საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობა აღარ შემიძლია. ფიზიკური კოლაფსის რისკის წინაშე ვდგავარ.

დღეისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებაზე მიმიწვიეს, მაგრამ უარის თქმა მომიხდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების აღნიშვნას და თან, მინისძვრით დაზარალებულთათვის თანხის შეგროვებას აპირებენ. ორგანიზატორი პირადად მოვიდა ცოლთან ერთად და მიმიპატიჟა, მაგრამ იძულებული ვიყავი უარი მეთქვა. მათ განზრახული აქვთ, საზოგადოებას ამცნონ პრეზიდენტის და ჩემი სახელობის ფონდის შექმნის შესახებ, რომელიც ახალგაზრდების ინგლისში სწავლას დააფინანსებს. სანყის ეტაპზე, ფონდში 1000 ფუნტს ჩადებენ. ორგანიზატორი გვარად ბერიძეა. ის ბრიტანული სავაჭრო კომპანია "კოსმოსის" ადგილობრივი მენეჯერია.

## ოთხშაბათი. 10 მარტი. 1920.

უნდა მრცხვენოდეს, რომ კვირის შემდეგ ვერაფერი მოგწერე. ორჯერ თუ სამჯერ დავაპირე მოწერა, მაგრამ სათანადო განწყობა არ აღმომაჩნდა. არც დღეს ვარ კარგ ხასიათზე. პოლიტიკური ვითარება ძალიან დაძაბულია და გარშემო ბევრი იმედგამაცრუებელი ფაქტორია. შედეგად, ძალ-ღონე მეცლება. სრულ დასვენებას ვსაჭიროებ. თანამშრომლებმა მაიძულებს, დღეს სანოლში მესაუზმა. უკვე 11 საათია და ოთახიდან ახლახანს გამოვედი, რომ შენთვის მომეწერა. ზაფხულის ამინდია, ისე თბილა, აივნის კარი ღია მაქვს და ვუყურებ, როგორ იღვრება ოთახში სინათლე.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გასაგზავნად ტელეგრამა მოვამზადე, სადაც ინგლისში შევებულებით გამომგზავრების ნებართვას ვითხოვ. წერილი შესაძლოა ნებისმიერ მომდევნო დღეს გავგზავნო. ვინმემ ჩემი მოვალეობა უნდა შეასრულოს. მე სტოქსის კანდიდატურას ვთავაზობ. თუ ვინმე სხვას გამოუშვებენ, მინდა, რომ ჩემი გამომგზავრების დროისთვის, სტოქსი უკვე ბაქოში იყოს.

ორშაბათს სერ ჯონ ჰიუიტი ჩამოვიდა. მან ძალიან კარგი სამსახური გასწია მესოპოტამიასა და ინდოეთში. მგონი, ბალიოლის კოლეჯის კურსდამთავრებულია. მან ჩვენთან ერთად ისადილა და ბაქოში გაემგზავრა საქმეზე. ის ლონდონის ორიენტალური სკოლის პრეზიდენტია. ამავე სკოლის დირექტორია პროფესორი დენისონ როსი, ან უკვე რაინდი. საინტერესოა, რომ ვაჭრებმა ხელნაწერთა კოლექციის ყიდვა შემომთავაზეს, რომელიც

500 სპარსულ, არაბულ და თურქულ ხელნაწერს შეიცავს, თანაც, საკმაოდ იაფად, 2000 ფუნტად. შესაბამისად, ვცდილობთ, ჩვენ შორის მდიდარი ინგლისელი ვიპოვოთ, ვინც ხელნაწერებს შეიძენს და როსის სკოლას, ან ბოდლენის ბიბლიოთეკას გადასცემს.

ამ დილით შემდეგი ნივთები გიყიდე:

1. ულამაზესი, ძველი სპარსული მინაჩერის ყუთი, რომელიც 120 წლის წინაა დამზადებული. ზედ მთელი რომანია ამოტვიფრული. მსგავსი სილამაზის ნივთი იშვიათად მინახავს. ფასი: 5 ფუნტი.

2. სპილოს ძვლის ბროში, საოცარი ოსტატობით შესრულებული ჩინური მინიატურით, რომელზეც ფიგურები, ბალები და შენობებია გამოსახული. გარედან მოოქროვებულია. დაახლოებით, ამ ზომის. ფასი: 1.12 ფუნტი.

3. სპილენძის სპარსული მინიატურა, დაახლოებით, ამ ზომის. გვერდები ცოტა გაცვეთილი აქვს, მაგრამ ზოგადად, არც ისე ცუდ მდგომარეობაშია. ფასი: 2.10 ფუნტი.

ალბათ ფიქრობ, რომ რაც მომეწონება, ყველაფერს ვყიდულობ, მაგრამ ასე არ არის. თუ კარგად დაფიქრდები, მიხვდები, რომ ფინანსური თვალსაზრისითაც ჭკვიანურად ვიქცევი. საჭიროების შემთხვევაში, ეს ნივთები მათში გადახდილ თანხაზე სამოთხჯერ ძვირად გაიყიდება. ბანკში ფულის შენახვას ნამდვილად ჯობია მსგავსი ნივთების ყიდვა, თუმცა მაინც ვიმედოვნებ, რომ გაყიდვის საჭიროება არ დაგვიდგება.

ახლა, როცა უმნიშვნელო საკითხებს მოვრჩი, შემიძლია, მივუბრუნდე უძვირფასეს წერილს, რომელიც 2-4 თებერვლითაა დათარიღებული და ორშაბათს, 8 მარტს, შუადღისას ჩამომივიდა. ეს ჩემთვის ეპოქალური წერილია, რადგან დამშვენებულია ხელმოწერებით "ჯეიმი, ენდი, ნინო". ველი იმ დროს, როცა, სახლში დაბრუნების თაობაზე, მათი მოთხოვნის შესრულების შესაძლებლობა მომეცემა.

შენს წერილთან ერთად ტომის წერილიც მივიღე, რომელიც მთელი კვირით გვიან (12 რიცხვში) არის გამოგზავნილი. უეითმაც მიიღო ცოლის ბარათი, რომელიც ოცდაორითაა დათარიღებული (მთელი თვრამეტი დღით გვიან! მგონი, წერილში შენთან სტუმრობაზე იყო ლაპარაკი). ვეჭვობ, რომ შენი წერილების დაგვიანებაში ოლდჰემია დამნაშავე. იმედი მაქვს, მისი გავლით აღარაფერს გამოაგზავნი.

ვწუხვარ, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდი. იმედი მაქვს, ახლა უკეთ ხარ.

ჩამომივიდა შენ მიერ გამოგზავნილი, 2 თებერვლამდე შეგროვებული, გაზეთების კრებული; ასევე, თებერვლის შუა რიცხვებამდე შეკრებილი, ტომის გამოგზავნილი ამანათი, ყოველკვირეული ახალი ამბებით, "ქონთემფორარი რივიუს" ჩათვლით, სადაც ნევისონის<sup>57</sup> სტატიაცაა საქართველოზე.

ჰო, მართლა, როგორც გავიგე, ლანგე<sup>58</sup> ნობელის პრემიაზეა წარდგენი-

<sup>57</sup> ვარლამ ჩერქეზიშვილის, ოლივერ და მარჯორი უორდროპების მეგობარი ბრიტანელი ჟურნალისტი, რომელმაც 1906 წელს იმოგზაურა საქართველოში, სხვებს შორის, შეხვდა ილია ჭავჭავაძესაც. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საქართველოს მხარდამჭერი წერილები გამოაქვეყნა ბრიტანულ პრესაში. ის იყო ერთი მთავარი მოქმედ პირთაგანი, რომელიც ჩერქეზიშვილთან და უორდროპთან ერთად ამზადებდა 1907 წელს ჰააგის კონფერენციისათვის ქართველი ხალხის პეტიციის წარდგენას. უფრო დანვრილებით იხ. დ. შველიძე - აი ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი! გვ. 234-241

<sup>58</sup> ქრისტიან ლანგე - ნორვეგიელი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი. მისმა 1919 წელს გამოქვეყნებულმა შრომამ „ინტერნაციონალიზმის ისტორია“ ერთა ლიგის შექმნისათვის მოამზადა იდეოლოგიური ნიადაგი, რისთვისაც ლანგეს 1921 წელს გადაეცა ნობელის პრემია.

ლი. ვფიქრობ, რომ ჯილდო მას უფრო მეტად ეკუთვნის, ვიდრე ნებისმიერ სხვას. თუკი მიიღებს ამ პრიზს, გთხოვ, ჩემგან მიულოცო.

გადაეცი გულითადი მოკითხვა დედაშენს. ვიცი, ზოგჯერ მავინყდება მისი მოკითხვა, მაგრამ იმედი მაქვს, ხვდება, რომ ეს მხოლოდ გადაღლით და გაფანტულობით მომდის.

ამ წერილის წერა რამდენიმეჯერ შემანყვეტინეს. ჯერ ბათუმის გარნიზონის ოფიცერი მოვიდა და ქართველების არასასიამოვნო საქციელის შესახებ მომიტანა ამბავი. შემდეგ ყარსის მხარის დელეგაცია მესტუმრა საჩივრით, რომ სომხები სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრის ანადგურებენ და ქალებს და ბავშვებს ხოცავენ. მოგვიანებით შემოიარა აზერბაიჯანის ახალმა წარმომადგენელმა სომხეთში, თეინურბეი მაკინსკიმ, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტში სომხეთის პრემიერთან, ხატი-სიანთან თანადროულად სწავლობდა. მან მითხრა, რომ მისი წინამორბედი, ჩემი მეგობარი ახვერდოვი, ერევნის გზაზე დააყაჩაღეს და 5 400 000 რუბლი წაართვეს, რომელიც ყარსელ მუსლიმებთან მიჰქონდა. როგორც ჩანს, მატარებელი სანაინთან ახლოს, საქართველოსა და სომხეთს შორის, ეგრეთ ნოდებულ "ნეიტრალურ ტერიტორიაზე" გაძარცვეს.

ბევრი საქმე მაქვს და წერა უნდა შევწყვიტო, თუმცა იმედს ვიტოვებ, სანამ გამოგიგზავნი, ორიდე სიტყვის მიმატებას შევძლებ.

## **ოთხშაბათი საღამო.**

ნაშუადღევს თანამშრომლებმა დამარწმუნეს, მანქანით გაგვესეირნა. თბილოდა და მზე ანათებდა. რუქერთან და ლაუდონთან ერთად მცხეთაში წავედი. საკათედრო ტაძარში ნახევარი საათი დაყავით. უკანა გზაზე საბურავი გაგვისკდა და ტფილისში დაბრუნება დაგვიგვიანდა. სუფთა ჰაერზე 3 საათზე მეტი გავატარე, რაც ჩემი ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგი უნდა იყოს.

სანამ დავიძინებ, ტომს უნდა მივწერო. თუ შეიძლება, ჩეკი მიეცი, რომ ჩემი ბარგის დაზღვევა კიდევ ექვსი თვით გააგრძელოს.

## **ხუთშაბათი. 11 მარტი.**

თექვსმეტში გამოგზავნილი წერილი დღეს ჩამომივიდა. რადგან შენი ბოლოს წინა წერილი 4 თებერვლითაა დათარიღებული, ვივარაუდებ, რომ გზაში კიდევ ორი უნდა იყოს.

ისეთი ამინდია, უკეთესი რომ არ შეიძლება. თითქოს ზაფხული უკვე დადგა.

ბავშვებზე რაც მითხარი, ძალიან საინტერესოა. ყველანი მენატრებით. უამრავი საქმე მაქვს. ახლახანს დავასრულე შეხვედრა ორ მინისტრთან, ნეტავ შემეძლოს, ცოტა ხნით ამ ყველაფერს გავერიდო.

ჩემი სიყვარული შენ გეკუთვნის, უძვირფასესო. როგორც ვატყობ, აღ-

დგომას სახლში ყოფნას ვერ მოვახერხებ თუ არ გადმოვფრინდები, მაგრამ მაინც ვიტოვებ იმედს, რომ აპრილში მელირსება შენი ნახვა.

შენი,  
ო. უ.

### **ტფილისი. 14 მარტი. 1920.**

ჩემო ჭეშმარიტო სიყვარულო,  
ბოლო წერილი თერთმეტში გამოგიგზავნე. იმედი მაქვს, კიდევ ერთი ფოსტა ხვალ წამოვა.

ბოლო რამდენიმე დღეა, ვცდილობ, ცხოვრებას მარტივად შევხედო. საუზმის შემდეგ ვდგები. თანამშრომლებმა ექიმი ლამბაშიძე<sup>59</sup> მომიყვანეს, რომელსაც გულახდილად ვუთხარი, რომ ჯანმრთელობას არ ვუჩივი, თავის ტკივილები აღარ მაქვს და მხოლოდ დასვენება და ცვლილებები მჭირდება. ის დამეთანხმა და მირჩია, რამდენიმე დღით ქალაქგარეთ გავიდე, მე კი მირჩევნია, თავისუფალი დრო თქვენთან ჩამოსასვლელად გამოვიყენო. ტელეგრამა, რომლითაც საგარეო საქმეთა სამინისტროს შვებულებაში გასვლის უფლებას ვთხოვ, ჯერ არ გამიგზავნია, მაგრამ იმედი მაქვს, ხვალ მოვახერხებ. ჩემს სამსახურს მუდამ თან ახლდა, ახლაც ახლავს, მოულოდნელობები და ადამიანების უყურადღებობა, რაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

პარასკევს სამსაათიანი სეირნობა მოვანწყვეთ მანქანით, კოჯორს 29 ვერსით გავცდით და მანგლისამდე თითქმის ნახევარი გზა გავიარეთ. საკმაოდ მაღლა ავედით და უკანა გზაზე შეგვცვივდა კიდევაც, მაგრამ მაინც ძალიან სასიამოვნო მოგზაურობა გამოვიდა, ჩვენ წინ იშლებოდა მთის ველური პეიზაჟები.

წუხელ გვაზავებთან წავედით და მშვიდად ვივახშმეთ. ვახშამს ასევე ესწრებოდნენ ჩერქეზოვები, ელენე მაჩაბელი, მისი მეუღლე და და, ასევე აფხაზები. ეს იყო ყველაზე მყუდრო და ოჯახური წვეულება მათ შორის, სადაც კი საქართველოში ყოფნისას ვყოფილვარ. საკმაოდ ადრე დავიშალეთ.

დილით უმცროსი ჩერქეზოვი მოვიდა ჩვენი ბავშვების ფოტოების სანახავად. სულ ესაა ჩემი პირადი ცხოვრების ამბები. რაც შეეხება საქვეყნო საქმეებს, მათზე არაფერს ვიტყვი. მთლიანობაში ძალიან იმედგამაცრუებელი მდგომარეობაა.

გუშინ და დღეს საკმაოდ ციოდა და წვიმდა. მცირე ზომის ღუმელი, რომელიც რუქერმა ჩამოიტანა, ჩემს ოთახში უფრო სუნს აყენებს, ვიდრე სითბოს. როგორც ხვდები, ჩვენი ცენტრალური გათბობა ისევ ისვენებს.

დღეს სადილად მაჯონი უნდა გვწვეოდა, რომში გამგზავრების წინ ჩვე-

---

<sup>59</sup> ცნობილი ექიმი ვახტანგ ლამბაშიძე, რომელიც, საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციაში ქართულ სათვისტომოს ხელმძღვანელობდა. ის გახლდათ ბრიტანეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის - დავით ლამბაშიძის ძმა.

ნი ნახვა უნდოდა, მაგრამ მხოლოდ შეტყობინება გამოგვიგზავნა, რომ ოფიციალურმა მოვალეობებმა სადილი საერთოდ ჩაუშალა.

კიდევ ერთხელ უნდა გითხრა, რომ ძალიან მენატრები, ჩემო ძვირფასო. ასე მგონია, საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც „ვიქტორიაზე“<sup>60</sup> დავშორდით და მას შემდეგ ჩვენ შორის გადაულახავი მანძილია. არადა, ტექნიკური საშუალება რომ იყოს, 3500 კილომეტრსაც ორ დღეში გაივლიდა ადამიანი.

## **ორშაბათი.**

**15. 3. 20.**

დღეს სანოლში ყოფნის ფუფუნება მერგო. ექიმ ლამბაშიძის რჩევებს ყური ვუგდე. დასვენებისთვის უკეთეს დღეს ალბათ ვერც შევარჩევდი - ცივი, წვიმიანი და უჟმური ამინდია. რამდენიმე შემანუხებელი შეხვედრაც გამოვტოვე და ესეც დიდი საქმეა.

ტელეგრამა შვებულების მოთხოვნით ჯერ კიდევ არ გამიგზავნია, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია, მზად მაქვს. მიზეზი ისაა, რომ ვიცი, აქ ხალხი საფრთხეშია და სანამ არ დავრწმუნდები, რომ მათ დასაცავად ყველა ზომა მიღებული, მანამდე ვერსად წავალ. სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან მეც მქონდა გარკვეული უთანხმოება (სერიოზული უთანხმოება ან უკმაყოფილება არა, რასაკვირველია). ისინი ანცი ბავშვებივით იქცევიან, მაგრამ, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ისინი მაინც ბავშვები არიან და თავიანთ „ნათლიმამას“ მეძახიან. მიმაჩნია, რომ მათ წინაშე, რელიგიური თუ არა, მორალური ვალდებულებები მაინც გამაჩნია. უნდა ვთქვა, რომ სოციალ-დემოკრატები დიდად არ მიყვარს, რადგან ამ ხალხის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია მათ უფრო ნაკლებ „ჯენტლმენურად“ წარმოაჩენს, ვიდრე ისინი სხვა შემთხვევაში იქნებოდნენ. თუმცა, მთლიანობაში ხალხი, განსაკუთრებით კი, უბრალო ადამიანები, სოციალ-დემოკრატები არ არიან. ისინი ამბობენ, რომ მათ ვუყვარვარ, ყოველ შემთხვევაში, ყველა ამას მეუბნება და სანამ არ მეცოდინება, რომ უსაფრთხოდ არიან, მათთან უნდა დავრჩე და საკუთარ თავზე ავილო რისკები. მინდა, მათთან ერთად გავუსწორო თვალი ყველა მოსალოდნელ საფრთხეს. ბოლოსდაბოლოს, ეს საფრთხეები არც ისე დიდია, როგორც არაკეთილმოსურნეებს სურთ, რომ იყოს.

ბათუმიდან ამ დილით ჩამოსულმა ფოსტამ არაფერი ჩამომიტანა, მაგრამ რამდენიმე პატივსაცემი ადამიანი უკვე გზაშია და იმედია, ჩემი წერილები მათ მოაქვთ.

ალბათ გაიგებდი, რომ დენიკინის საქმე ძალიან ცუდად მიდის. მისი საქმე წასულია და ბოლშევიკები ყველაფერს ჩაიგდებენ ხელში, რაც ძველი რუსეთისგან დარჩა, გარდა სამხრეთ კავკასიისა. სამხრეთ კავკასიის მათგან დაცვა შესაძლებელია თუ მოკავშირეები, განსაკუთრებით, დიდი ბრიტანეთი, გონიერად იმოქმედებენ. მაგრამ მოგეხსენება, მთავრობათა

---

<sup>60</sup> ერთ-ერთი საკვანძო სარკინიგზო სადგური ლონდონში



გონიერებისა არ მნამს.

ექვი მეპარება, ლოიდ ჯორჯმა იცოდეს, სად არის სამხრეთ კავკასია და თუ იცის, თებერვალში მისი გამოსვლის გათვალისწინებით, ნამდვილად არასწორადაა ინფორმირებული პოლიტიკური პროცესების შესახებ. სამაგიეროდ, ლორდი კერზონია კარგად გარკვეული და დიდი იმედი მაქვს, გავლენითა და ავტორიტეტით კოლეგებს აჯობებს, განსაკუთრებით, ჩერჩილს.

არ ვიცი, ტელეგრამა ამაღამ გამოგზავნო თუ უკეთეს შესაძლებლობას დაველოდო. მგონი, ჯობია, გამოვიძინო და შემდეგ მივიღო გადაწყვეტილება. ბოლო 24 საათის განმავლობაში, ძირითადად, მეძინა.

როცა დავბრუნდები, საეკლესიო საგალობლების წიგნიდან ბავშვები თითო სიმღერას მიმღერებენ? ჯეიმი № 411-ს, ენდი № 403-ს და ნინო № 427-ს.

საფოსტო ბარათების შოვნა ძალიან ძნელია, მაგრამ ვეცდები შემდეგ ჯერზე გამოგიგზავნოთ.

## **სამუშაოთი. 16 მარტი.**

ისეთ დროს ავდექი, რომ 11 საათზე პირდაპირ დანტისტთან წავსულიყავი. ბოლო ვიზიტი მქონდა. როცა ხელში 25 000 რუბლი (დაახლოებით 25 ფუნტი) ჩავუთვალე, გავიფიქრე, რომ აჯობებდა, ფული სხვანაირად დამეხარჯა. თუმცა მესმის, რომ, დღევანდელი გაცვლითი კურსის პირობებში, მან საკმაოდ ზომიერი ფასი მოითხოვა.

ჩვენს მსახურებში დიდი ალიაქოთია. აღმოჩნდა, რომ დაკარგულია ჩემი ერთი წყვილი ფეხსაცმელი, ასევე გრანდის ერთი წყვილი ფეხსაცმელი და რუქერის ტანსაცმელი. საერთო აზრია, რომ საქმეში პოლიცია ჩავრიოთ, მე კი მიჩვენია, ყველაფერმა მისი დახმარების გარეშე ჩაიაროს.

მსახურები აღშფოთებულები არიან, რომ ასეთი რამ მოხდა სახლში, სადაც არასდროს არაფერი დაკარგულა.

რუქერი, ჩემი ნებართვით, გუშინ რამდენიმე დღით ბაქოში გაემგზავრა.

როგორც იქნა, ტელეგრამა გავგზავნე და საგარეო საქმეთა სამინისტროსგან შვებულება ვითხოვე. დასვენება ნამდვილად მჭირდება, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდა, შვებულების გადადება ყოველთვის შემოძლია. აქედან ფეხს არ მოვიცვლიდი და ამ ხალხს გასაჭირში არ მივატოვებდი, მათთვის ოდნავ გამოსადეგი მაინც რომ ვიყო.

ლაუდონის აქ ყოფნა დროებითი აღმოჩნდა. მისი შემცვლელი უკვე ბათუმშია. წერილს და ამანათს, ხალიჩებითა და სხვა ნივთებით, სავარაუდოდ, ლაუდონს გამოვატან.

კიდევ ერთი ცივი დღეა, წვიმს და მონყენილობა სუფევს. ალბათ ერთი ფაქტი დაგაინტერესებს - ცოტა ხნის წინ რომ სპარსული ხალიჩა გამოგიგზავნე, ვისგანაც ვიყიდე, ის ვაჭარი დამიკავშირდა და ხალიჩის ისევ მისთვის მიყიდვა მთხოვა 200 000 რუბლად, რაც, დღევანდელი კურსით, 200 ფუნტზე საკმაოდ მეტია. რაც შეეხება ცოტა ხნის წინ ნაყიდ ჰამადანის (აქლემის ბენჯის) ხალიჩას, დარწმუნებული ვარ, ის დღეს ორჯერ უფრო

ძვირად დაფასდება ტფილისში. იმედია, ისინი შენამდე მშვიდობით მოაღწევენ. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მოგეწონება.

### **სუთშაბათი. 18 მარტი.**

დღის 3 საათი და 20 წუთი.

წერილი უკვე უნდა ჩავაბარო. წერისთვის დრო აღარ მაქვს. თავს გაცლილებით უკეთ ვგრძნობ. მთელი ჩემი სიყვარული შენ გეკუთვნის, ძვირფასო.

### **ტფილისი.**

#### **კვირა. 21 მარტი. 1920.**

ჩემო ერთადერთო და უძვირფასესო,

ჩემი ბოლო წერილი ხუთშაბათს, 18 მარტს გამოიგზავნა. შენი ბოლო წერილი, რომელიც 16 თებერვლით იყო დათარიღებული, 11 მარტს მივიღე. ჩემი გამოთვლით, შესაძლოა, ხვალ ჩამომივიდეს შენი მონწერილი ახალი ამბები.

18-ში კამილას წერილი მოვიდა ჩვეულებრივი ფოსტით. გამოგზავნის თარიღად 8 თებერვალი იყო მითითებული. გთხოვ, ჩემგან მადლობა გადასცე. აუცილებლად ვუპასუხებ, როგორც კი შევძლებ. წინა პარასკევს, 19-ში, დიდი დემონსტრაცია გაიმართა, სადაც ბათუმის საქართველოსთან შეერთებას მოითხოვდნენ. დემონსტრაციას მთავრობამ გაუნია ორგანიზება, რაც, ჩემი აზრით, სულელური პოლიტიკის ნაწილია და, სავარაუდოდ, მათი მტრების მიერ არის პროვოცირებული. პარასკევი დასვენების დღე იყო და ქუჩები ხალხის მსვლელობით გაივსო. მსვლელობის მონაწილეთა დეპუტაცია მივიღე და, როგორც ყოველთვის, რაც მათთან ვილაპარაკე, პრესაში ყველაფერი ნაყალბევად დაიწერა. მოგვიანებით ჩერქეზოვმა შემომიარა ერთი საათით და, სხვების მსგავსად, მასაც ვუთხარი, რომ მთელი ეს ამბავი სისულელედ მიმაჩნია.

აქ სავაჭრო პალატის თავმჯდომარე (სერ ჰუბერტ ლიუილინ სმიტი) და მისი სამი თანამშრომელი არიან. შინ ბრუნდებიან სპარსეთიდან. მათზე ზრუნვა გვინევს. აქვე არიან ბრიტანელი ჯარისკაცები ჩრდილო კავკასიიდან, სადაც დენიკინის ჯარმა, ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა.

დილით ანეტა ჭყონიამ შემოიარა და შენთვის თეთრი მატყლის გორგალი მოიტანა. პირველივე შესაძლებლობისთანავე გამოგიგზავნი.

შუადღისას საპასუხო ვიზიტით ვენვიე ამერიკელ ადმირალს, რომელიც ცოტა ხნითაა ჩამოსული.

დღეს სპარსული ახალი წელია - კარგია წლის დაწყება, როცა გაზაფხული დგას და გარშემო ყველაფერი ყვავის.

სულ ესაა ბოლო წერილის გამოგზავნის შემდეგ მომხდარი ამბების მთელი ქრონიკა.

გიგზავნი აქაურ პრესას. სხვებს შორის, შეკვრაში იპოვი კომიკურ ყურნალს - „ეშმაკის მათრახი“. მის პირველ გვერდზე ჩემი კარიკატურაა წარ-

მოდგენილი ორფეოსის სახით, სადაც მე საქართველოს მთავრობას ვაჯადოებ, სანამ ბრიტანელები ბათუმს ისაკუთრებენ. იქვეა ორი მცირე ზომის პამფლეტიც, ერთი მარჯორის ფოტოთი, მეორე კი ჩემი გამოსახულებით გარეკანზე. თუ ტომს დააინტერესებს, ასლები გაატანე.

ყველაფერს მსუბუქად ვუყურებ. მაინცდამაინც კარგად არ ვგრძნობ თავს, მუდმივმა ბრძოლამ ძალიან დამღალა. თუ ტელეგრაფი გამართულად მუშაობს, ჩემი განაცხადი შვებულების მოთხოვნის შესახებ, უკვე ჩავიდოდა ლონდონში. დაუფერებელია, მაგრამ ახლახანს მივიღე ორი ტელეგრამა საგარეო საქმეთა ოფისიდან, რომელთაგანაც ერთი რვა კვირის წინაა გამოგზავნილი, მეორე კი ექვსი კვირის წინ.

იმედია, აპრილში სახლში ვიქნები. განაცხადში მოვითხოვე, რომ ჩემს შესაცვლელად სტოქსი ამ თვეში უნდა გამოემგზავროს ლონდონიდან. ასევე მოვითხოვე, რომ თუ შვებულებას მომცემენ, ამის შესახებ აუცილებლად შეგატყობინონ.

## **ორშაბათი. 22 მარტი. 1920.**

მშვენიერი დღეა. მზე სასიამოვნოდ კაშკაშებს, მაგრამ უამრავი საქმე მაქვს და სულ რამდენიმე წუთი დამრჩა წერილის დასასრულებლად, სანამ ოთხის ნახევარზე ფოსტა გამოიგზავნება. ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი. არც შენგან მომსვლია ახალი ამბები, ჩემდა სამწუხაროდ.

გიგზავნი მთელ ჩემს სიყვარულს.

მარად შენი,

ო. უორდროპი

## **ტფილისი 22 მარტი**

უძვირფასესო,

ვჩქარობ, ამიტომ მოკლედ გეტყვი, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში ვაგზავნი ამანათს, რომლის გამოსატანადაც შენ ან ტომმა უნდა შეიაროთ. უკვე გზავია დიდი ამანათი, რომელიც პატარა წერილსა და გაზეთებს მოიცავს. ალბათ ორივე გზავნილი ერთდროულად ჩამოაღწევს შენამდე.

გიგზავნი შემდეგ ნივთებს: ქაშგარულ ხალიჩას, რომელსაც ლურჯი ფონი აქვს, ხელნაწერებს ბოდლეინის ბიბლიოთეკისთვის, რამდენიმე პორტრეტს, სპარსული ხელნაწერების ნიმუშებს, მტკვრის სანაპიროს ტფილისურ პეიზაჟებს, რომელზეც ყაზბეგიც მოჩანს, ასევე თამარის (საკმაოდ ცუდად ნაკეთ) ხატს.

ბოლშევიკების წინსვლასთან დაკავშირებით დიდ მღელვარებას აქვს ადგილი. როგორც გავიგე, ვლადიკავკაზი და ლარსი უკვე მათ ხელშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ტფილისს მხოლოდ 100 მილი აშორებთ. ვისურვებ-

დი, რომ აქაურები უფრო განონასწორებულები იყვნენ. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი დამპყრობლის შემოტევას მოიგერიებდნენ, თავს დაიცავდნენ მომხდურებთან ბრძოლაში და დაქირავებული აგენტების დახლართულ ინტრიგებსაც დააღწევდნენ თავს.

ნეტავ თუ შევძლებ, რომ აპრილის ბოლოს შენ გვერდით ვიყო. წესით, არაფერმა უნდა შეგვიშალოს ხელი თუ სტოქსი დროულად წამოვა და მისი მგზავრობა სწრაფადაც ჩაივლის.

შენი და ბავშვების ნახვა წარმოუდგენლად გამაბედნიერებს. სწორედ თქვენ აქცევთ დედამიწას ადგილად, სადაც ცხოვრება მიღირს. მზე სწორედ თქვენი პორტრეტებიდან მინათებს ახლაც, როცა შენტვის გამოსაგზავნე რილს ვწერ.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ანეტა ჭყონიას ნაჩუქარ გორგალსაც გიგზავნი.

დიდი, დიდი სიყვარული ჩემგან ჩემს უძვირფასესს.

ო. უ.

## **ტფილისი.**

**ხარება. 25. 3. 1920.**

ორშაბათს (22 მარტს) გამოგზავნილ წერილში გაცნობე, რომ ამანათი შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტიდან უნდა წაიღო. სულ სამი შეკვრაა:

ლურჯი ქაშგარული ხალიჩა,

სპარსული და არაბული ხელნაწერების ნაკრები,

შინ დამზადებული, თეთრი ქსოვილი.

პარალელურად გამოგიგზავნე გაზეთები და ღია ბარათები ბავშვებისათვის.

დღეს სამსახურებრივი ფოსტით გიგზავნი ორ ხალიჩას, ორივე ჰამადანურია, აქლემის ბენვის.

სამშაბათს ორსაათიანი შეხვედრა მქონდა პრემიერთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან. დღეს, ასევე, ორი საათი გავატარე ჟორდანიასთან და კუკ-კოლისთან, ბათუმის სამხედრო გუბერნატორთან. ძალიან რთული პერიოდი, ჩემი ჯანმრთელობა კი დაძაბულ რეჟიმს უკვე ვეღარ უძლებს.

გუშინ ცოტა ხნით ზაქარია ჭიჭინაძე მესტუმრა, იმ ბროშურების რედაქტორი, სადაც ჩემი და მარჯორის პორტრეტები დაბეჭდეს, რომელიც გამოგიგზავნე. მას მრავალი წელია ვიცნობ. ის 70 წელსაა გადაცილებული და თავდადებული პატრიოტია. ბოდლენის ბიბლიოთეკისთვის რამდენიმე წიგნი მომიტანა.

ვესტუმრე დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკას და მარჯორის და ჩემი წიგნების ეგზემპლარები გადავეცი. მათგანაც მივიღე საჩუქრად რამდენიმე გამოცემა.

გუშინ ჩერქეზოვებს შევეუარე და ერთი საათი გავატარე მათი მოკრძალებული სახლის აივანზე. მამადავითის მთაზე, მაღლა ცხოვრობენ და მათი სახლის მეორე აივანიდან ტფილისის არაჩვეულებრივი ხედი ჩანს.

იძულებული ვარ, წერილი ჩავაბარო. გენერალი კუკ-კოლისი სადილად

მელოდება. სანამ ბათუმში დაბრუნდება, უნდა ვინახულო.

დღესვე, კამილასაც ვუგზავნი წერილს.

ჩემი უდიდესი სიყვარული ძვირფას მეუღლესა და შვილებს. გულითადი მოკითხვა დედაშენს.

შენი მოსიყვარულე მეუღლე,

ო. უ.

## **ტფილისი**

**კვირა. 28 მარტი. 1920.**

ჩემო უძვირფასესო,

აი, კიდევ ერთი წერილის წერას ვინწყებ ისე, რომ შენგან პასუხი არაფერზე მიმიღია. შენი ბოლო წერილი 16 თებერვლისაა, ჩემი - 25 მარტის. საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, აქლემის ბენჯის ხალიჩებიც იმავე დღეს გამოგიგზავნე.

პარასკევს გენერალი ერდელი<sup>61</sup> მესტუმრა, რომელმაც თავი დაანება ჩრდილო კავკასიაში ბრძოლას და დარჩენილი 4000 მეომრით, რომელთაგანაც 1600 ოფიცერია, და მათი ოჯახებით ფოთისკენ მიემართება. იმავე დღეს, შუადღისას, მცხეთის და წილკნის გავლით წავედი და სამხედრო გზაზე 43 ვერსი ვიარე. ვლადიკავკაზიდან მომავალი დევნილები შემომხვდნენ - ზოგი მანქანით, ზოგი ოთხთვალთ, ზოგიც ფეხით მოდიოდა, თან სახელდახელოდ გამოკრული ფუთები მოჰქონდათ. ყველაზე სევდიანი სანახავი ერთი კაცი იყო, რომელიც ბარგის გარეშე, განცალკევებით მიაბიჯებდა გზის პირას. მკერდზე ჩვილი მიეკრა და გასაოცარი სისათუთით მოჰყავდა. ალბათ მისი საბრალე მეუღლე გზაში დაიღუპა.

გუშინ საფრანგეთის უმაღლესი კომისარი, დე მარტელი ჩამოვიდა. ის ადრე ელიოტის კოლეგა იყო ციმბირში, იმ ელიოტის, რომელიც 1892 წელს შეეცვალა სერ რობერტ მორიერის პირად თანაშემწის თანამდებობაზე პეტერბურგში, ახლა კი ტოკიოშია ელჩად.

გუშინ საკმაოდ მღელვარე დღე მქონდა. ბევრ ადამიანს შევხვდი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ჩათვლით. სახელმწიფოს მეთაურსაც ვესაუბრე.

არსებული პოლიტიკური ვითარება სასურველისგან და საიმედოსგან ძალიან შორსაა. დღეს შეტყობინება მოვიდა, რომ ნოვოროსიისკი ბოლშევიკების ხელში გადავიდა. სომხებს და მუსლიმებს ისევ დაეძაბათ ურთიერთობა. ხმები დადის, რომ რამდენიმე ქალაქში, სადაც ბოლშევიკებმა ბევრი ფული დახარჯეს ხალხის მოსასყიდად, აჯანყება იფეთქებს. დანავსული „ბათუმის საკითხი“ ჯერ არ გადაწყვეტილა. შეიძლება, ითქვას, რომ ძალიან რთულ მდგომარეობაში ვარ და ვისურვებდი, ჯანმრთელობა ხელს

---

<sup>61</sup> დენიკინის გენერალი

მინცობდეს არსებული სიძნელეების გადასალახად.

როგორც იცი, ტელეგრამა, რომლითაც შვებულებაში გასვლის უფლება ვითხოვე, 12 მარტს გავგზავნე საგარეო საქმეთა სამინისტროში. თუმცა, ჩვენი ტელეგრამები გზაში ძალიან დიდ დროს ატარებენ. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნებას დამრთავენ, ალბათ აპრილის შუა რიცხვებამდე ვერ გამოვემგზავრები. ეს იმას ნიშნავს, რომ სააღდგომოდ ჩამოსვლას ვერ მოვახერხებ. ჩვენი იმედი ფუჭი აღმოჩნდა.

არ გამოვრიცხავ, ექიმი ლამბაშიძე დავარწმუნო, რათა მან ერთკვირიანი წოლითი რეჟიმი გამომიწეროს. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად არაფერი მანუხებს, რაც ჩემს ასეთ საქციელს გაამართლებს, იმდენად დაქანცული და გამოფიტული ვარ, სამართლიანი იქნებოდა თუ ჩავიკეტებოდი, დამლელ შეხვედრებსა და საუბრებს თავს ავარიდებდი.

წუხელ, ვახშამს უკვე ვამთავრებდით, როცა ჩერქეზოვმა შემოიარა და რამდენიმე საათი ერთად გავატარეთ. მასთან საუბარი დიდი სიამოვნებაა. გვინდოდა, დღეს მანგლისისკენ გაგვესეირნა, მაგრამ მანქანა მწყობრში არ არის. ისედაც, არც ისე კარგი დღეა ქალაქგარეთ გასვლისთვის. დილით წვიმდა და ახლაც ცივა. მალე ჩაის დრო მოვა, მე კი ჯერ გარეთ არც კი გამიხედავს.

რუსულ წიგნზე მინდა, გითხრა, რომელიც, მგონია, რომ მოგეწონება. ინგლისურად 2-3 წლის წინ ითარგმნა. ეს წიგნი ს. ტ. აკსაკოვის „ოჯახური ქრონიკები და მოგონებები“ (შეიძლება, ორიგინალში სათაური ცოტა სხვაგვარად ყლერდეს). ნაწილი, რომელიც დედამისს, მამამისს და მის ბავშვობას ეხება, ძალიან მომწონს. სევენოუქსის ბიბლიოთეკაში ერთი ეგზემპლარი მეგულება, თუ ვერ იპოვი, იკითხე და გეტყვიან, გამომცემელი ვინ არის.

დამავიწყდა გითხარი თუ არა, რომ იმ დღეს ბუკინისტებთან „1805 წლის რევსტრი, ისტორიული მიმოხილვა, პოლიტიკა და ლიტერატურა“-ს გადავანყდი პირვანდელ მდგომარეობაში, გადაუშლელს და დაუზიანებელს. ალბათ 100 წელზე მეტხანს ხელუხლებლად იდო ტფილისში. რამდენიმე ერთმანეთზე გადაბმული გვერდის (სულ ათასამდეა) გაჭრა მომიწია და ნელსონის სიკვდილისა და აუსტერლიცის ბრძოლის შესახებ წავიკითხე. მღელვარე ეპოქა იყო, მაგრამ ის არაფერია ახლანდელ დროებასთან შედარებით, რომლის მოშორებულ და არეულ მხარეში ჩემს მცირე როლს ვთამაშობ.

გვერდით ოთახში თანამშრომლები ბათუმიდან დაგვიანებით ჩამოსული ტელეგრამების გადარჩევას ცდილობენ. საინტერესო თითქმის არაფერია. როგორც წესი, ასე ხდება ხანგრძლივი წყვეტის შემდეგ კომუნიკაციის აღდგენის დროს. უამრავი პასუხისმგებლობა მაკისრია (იმაზე მეტი, ვიდრე ვისურვებდი) და გადანყვეტილებების მიღება ისე მიწევს, რომ ლონდონთან კონსულტაციების გავლას ვერ ვახერხებ. უფრო მეტიც, ზოგჯერ ბრიტანეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებიც არ ვიცი. ასეთ ვითარებაში შეცდომების დაშვება გარდაუვალია, თუმცა, იმედი მაქვს, რომ ძალიან მძიმე შეცდომებს არ დავუშვებ. ყოველ შემთხვევაში, ლონდონიდან ჯერ საყვედური არ მიმიღია.

გიგზავნი სამ აზერბაიჯანულ საფოსტო მარკას, რომელიც, ვფიქრობ, საკმაოდ იშვიათი და ღირებულია ინგლისში.

## ორშაბათი. შუადღე.

ფოსტა რამდენიმე წუთში იგზავნება. ბევრს ვერ მოგწერ. დილით არც შენგან მომსვლია რაიმე და არც ოფიციალური კორესპონდენცია ჩამოსულა ლონდონიდან.

დღეს ბევრი შეხვედრა მაქვს და ალბათ სალამომდე ძალიან დავიღლები. უძვირფასესი სიყვარული, მსოფლიოში ცოლთა შორის უძვირფასესს, მისთვის თავდადებული ქმრისაგან.

ო. უ.

## ტფილისი.

### აღდგომის კვირა. 4 აპრილი. 1920

ჩემო უძვირფასესო,

ბოლოს ორშაბათს მოგწერე. მას შემდეგ ბევრი არაფერი მომხდარა ისეთი, მოსაყოლად რომ ღირდეს. სტოქსისგან 14 მარტით დათარიღებული წერილი მივიღე, სადაც მწერს, რომ გნახა და ყველანი კარგად ხართ. შენი ბოლო წერილი 16 თებერვლისაა. საშინელებაა ამდენ ხანს ლოდინი! როგორღაც მივიღე შენი გამოგზავნილი გაზეთები და გავიგე, რა ხდებოდა მსოფლიოში 4 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით, მაგრამ დედამიწის იმ პანანინა ნაწილის ბოლო შვიდი კვირის ამბები, რომელიც ყველაზე მეტად მაინტერესებს, ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობია.

როგორც მოგწერე, გადავწყვიტე, ერთი კვირა სანოლში გამეტარებინა და ფეხზე აღდგომისთვის თავი ამერიდებინა. გარდა ამისა, მარცხენა მხარზე გაჩენილ სიმსივნურ გამონაზარდთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა. მითხრეს, რომ ჯობდა, ამომექრა, რადგან ათი წლის განმავლობაში ყურადღებას არ ვაქცევდი და სავარაუდოდ, მომავალში გამართულდებოდა. ამიტომ წინა ოთხშაბათს ქირურგმა მაჭავარიანმა<sup>62</sup> მცირე ოპერაცია ჩამიტარა. როგორც მან თქვა, ეს "ფიბრო-ლიპომა" იყო (მგონი, სწორად დავიმახსოვრე) და სწორად მოვიქეცი, რომ მოვიშორე. თან დასძინა, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით საფრთხე არ მემუქრებოდა, მაგრამ მომავალი გართულებისგან დაზღვეული არ ვიყავი. სიმსივნე უფრო ღრმად აღმოჩნდა ფესვგადგმული, ვიდრე ექიმი მოელოდა. თუმცა, ოპერაციამ კარგად ჩაიარა, არც ქლოროფორმით დაძინება დამჭირდა და არც ზოგადი ანესთეზია, ადგილობრივი გაყუჩებაც საკმარისი აღმოჩნდა. მე ძალიან დაინტერესებული ვადევნებდი თვალს პროცესს, გრანდი კი, რომელმაც არ დაიშალა და ოპერაციას დაესწრო, მიუხედავად მისი სამედიცინო გამოცდილებისა, ძალიან შეშინებული ჩანდა. ჩვენში დარჩეს და ალბათ შეიძლებოდა, ოპერაცია უფრო დახვეწილად ჩატარებულიყო, თუმცა ექიმ მაჭავარიანს ადგილ-

<sup>62</sup> პროფესორი ალექსანდრე მაჭავარიანი (1884-1941) - პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის კურსდამთავრებული, სადაც 1914 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1919 წლიდან მუშაობდა ტფილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. ითვლება ქართული ქირურგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1939 წელს, გახდა კომუნისტური პარტიის წევრი.

ზე ძალიან მაღალი რეპუტაცია აქვს და, მგონი, ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორია. პროცედურის დასრულების შემდეგ არც ძილში დამიკარგავს დრო და არც კვების რეჟიმი დამრღვევია. არც მაღალი სიცხე მქონია. ჭრილობა სწრაფად ხორცდება და ჩემს ოთახში უკვე დამოუკიდებლად გადავადგილდები.

დასვენება ძალიან მომიხდა და ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. თავის ტკივილი აღარ მანუხებს. ახლა მთელ ყურადღებას ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას ვუთმობ. მაგალითად, რა ვუყოთ დენიკინის ფლოტს, რომელიც კასპიის ზღვაში ვერცერთ პორტში ვერ შედის? ან რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ სომხებმა და მუსლიმებმა ერთმანეთი არ დახოცონ და არ დაანგრიონ? როგორ დავიცვათ სამხრეთ კავკასია ბოლშევიკებისგან? როგორ მივხედოთ ათიათასობით დევნილს ჩრდილო კავკასიიდან? მსგავს კითხვებზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

სამი აღმოსავლური ხალიჩა გიყიდე, ვიფიქრე, მოგეწონება. ყველა ძალიან კარგ მდგომარეობაშია. საკმაოდ ხელსაყრელ ფასად ჩამივარდა ხელში. სულ 12 000 რუბლი გადავიხადე (12 ფუნტზე ცოტა მეტი). ყველაზე პატარა, მუქ ფერებში, დალესტნურია, ასეთ ხალიჩებს "ჩიჩის" ეძახიან,<sup>63</sup> ცალ მხარეს გამოკერვა ჭირდება ძაფებით, რღვევის შესაჩერებლად. საშუალო ზომის "ბალუჩია"<sup>64</sup> - მისი ძირითად ფერი წითელია. შუქზე თვალისმომჭრელად ელვარებს. ყველაზე დიდი კი ჭრელა-ჭრულა "ზილეა", რომელიც ყველაზე თხელია და სანოლის გვერდით დააგებ. როგორც ვიცი, ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთიდანაა. ლაუდონმა სიკეთე გამოიჩინა და დამპირდა, რომ სამივეს წამოგიღებს ამ კვირაში, როცა წამოვა.

შევბუღებაში გასვლის თაობაზე ჩემს განცხადებასთან დაკავშირებით პასუხი ჯერ არ მომსვლია, მაგრამ შეიძლება, ნებისმიერ დღეს მივიღო. საგარეო საქმეთა სამინისტროს უკვე ვთხოვე, ინფორმაცია შენც მოგაწოდონ.

ჩემი იმედი, აღდგომას თქვენთან ერთად ვყოფილიყავი, უკვალოდ გაქრა. იმედი მაქვს, მაისის დასაწყისში მაინც მოვახერხებ ჩამოსვლას.

თქმაც არ უნდა, რომ გამუდმებით შენზე ვფიქრობ. წუხელ ღამის 11 საათი იქნებოდა (შენი დროით, ალბათ, 9), მედიტაცია ვცადე და ძალიან შევეცადე შენთვის ჩემი შენ გვერდით ყოფნა მეგრძნობინებინა, წარმოვიდგინე, როგორ ზიხარ ბიბლიოთეკაში დედაშენთან ერთად. მე კარს ვაღებ, შემოვდივარ და შენს გვერდით ვჯდები, მერე ხალიჩაზე, შენს ფერხით ვინაცვლებ და თავს შენს კალთაში ვდებ. ვშიშობ, ჩემმა ექსპერიმენტმა უშედეგოდ ჩაიარა. თუმცა, აღდგომის ღამეს ალბათ ფიქრობდი, რამდენად მინდოდა შენ გვერდით ყოფნა.

<sup>63</sup> ხალიჩების ტიპი ყუბის დალესტნური სახანოდან

<sup>64</sup> ხალიჩა ბალაჩისტანის ტომიდან, რომელიც თანამედროვე ირანის, ავღანეთისა და პაკისტანის მოსაზღვრე ტერიტორიებს მოიცავს.



## ორშაბათი. 5 აპრილი.

კარგად მეძინა და თავს მშვენივრად ვგრძნობ. ექიმი ნახევარ საათში მოვა და, იმედია, მდგომარეობას დადებითად შეაფასებს. სიცხე არ მქონია. სახვევების ყოველდღე ცვლა სასიამოვნოც კია.

გრეისიმ რამდენიმე წუთით შემოიარა ჩემს სანახავად. ხვალ ყარაბაღში მიდის ფრანგ და იტალიელ ოფიცრებთან ერთად, რომ საომარი მოქმედებების შესახებ ინფორმაცია შეაგროვოს და თუ ბრძოლა ისევ მიმდინარეობს, შეაჩეროს შეიარაღებული დაპირისპირება.

დღეს ”დონ კიხოტს” ვკითხულობდი. ადრე, 1912 წელს ვიყიდე ტენერიფეში, ჯერ კიდევ იქამდე, სანამ შენ შეგხვდებოდი. ეს არის წიგნი, რომელიც ყოველთვის მაბედნიერებს. არც ვიცი, ბოლო 40 წლის განმავლობაში რამდენჯერ მაქვს წაკითხული. იმედი მაქვს, ბიჭებიც ჩემსავით შეიყვარებენ, როცა დრო მოვა.

### სალამო/ჩანის დრო

სადილის დროს ლუკი გვესტუმრა, კონსტანტინოპოლში უმაღლესი კომისრის, ადმირალ დე რობეკის პირადი თანაშემწე. საინტერესოდ ვისაუბრეთ. მის მიერ დაწერილი კვიპროსის გზამკვლევი მომიტანა, რომელიც ახლახანს გამოიცა ლონდონში. 1911 წლიდან მოყოლებული, ომის დაწყებამდე, ლუკი იქ მუშაობდა კომისრად. ხვალ რამდენიმე დღით მიდის ბაქოში. დიდი იმედი მაქვს, საგარეო საქმეთა სამინისტრო ნებას დართავს, გარკვეული პერიოდით ჩემი მოვალეობა შეასრულოს, თუკი სტოქსს დაბრუნება დაუგვიანდება, ხოლო მე, ამ თვეში, სახლში დაბრუნების უფლებას მომცემენ.

ვინ იცის? შესაძლოა, სანამ ამ წერილს მიიღებ, მანამდე მე თვითონ ჩამოვიდე.

იმედი მაქვს, სრულ სისულელებს, რასაც პრესაში წერენ აქაურობის შესახებ, ყურადღებას არ აქცევ. ყველაფერი, რასაც წერენ, ან ტყუილია, ან გადაჭარბებული. ველოდებით სწრაფი ტელეგრაფის ამუშავებას.

ძვირფასო, ახლა წერა უნდა შევწყვიტო, ფოსტა უკვე მიაქვთ. მთელ ჩემს სიყვარულს გიძღვნით შენ და ძვირფას შვილებს. გადაეცი გულითადი მოკითხვა დედაშენს.

Tilgjensyn!

Din<sup>65</sup>

ო. უორდროპი

---

<sup>65</sup>Til gjensyn - შეხვედრის იმედით; Din - შენი. ნორვეგიულად.

**ტფილისი.**  
**შაბათი. შუაღლე.**  
**10 აპრილი. 1920.**

ჩემო უძვირფასესო,  
აივანზე ვზივარ და მზეს ვეფიცხები. ჩემს თავზე მერცხლები დაფრინავენ და ჭიკჭიკებენ. ისე ცხელა, დროდადრო ადგილის შეცვლა მიწევს ჩრდილს დასადევნებლად.

ექიმმა სახვევები თაბაშირით შემიცვალა. უკვე შემიძლია, დამოუკიდებლად ჩავიცვა. გამოჯანმრთელების აღსანიშნავად შენი საყვარელი მენამული ბაფთაც გავიკეთე. იმედია, მომავალ კვირაში სასეირნოდ წასვლასაც შევძლებ.

ხუთ რიცხვში წერილი გამოგიგზავნე. ლაუდენი მომდევნო დღეს გამოემგზავრა და დამპირდა, რომ აუცილებლად მოგანვდის ახალ ამბებს ჩემ შესახებ და მოგიტანს ხალიჩებს, რომელთა შესახებაც წინა წერილში ვილაპარაკე.

დილით გრეისიმ ქოთნით შროშანები შემომიტანა. ოთახი სასიამოვნო სურნელით აივსო. ყველა ისე კარგად მექცევა, გული მიჩუყდება იმის დანახვაზე თუ რა კეთილია ხალხის ბუნება. ისინი საქმიან შეხვედრებისგან მიფარავენ და ბოლო ათი დღეა არავინ მინახავს. სხვა მხრივ, გაცილებით უკეთ ვარ. ხვალ ქართველები აღდგომას დღესასწაულობენ. შესაბამისად, მომავალ სამშაბათამდე ან ოთხშაბათამდე ოფიციალური პირების მხრიდან მნიშვნელოვანს არაფერს არ უნდა ველოდე.

ტელეგრაფი ისევ არ მუშაობს. ინდოეთის გავლითაც კი ვერ ვახერხებთ დაკავშირებას და სრულიად მონყვეტილი ვართ ლონდონს. იმედია, ორშაბათს ტელეგრაფების ნაწილს მაინც მივიღებთ კონსტანტინოპოლიდან. მთელი თვეა, ერთი წერილიც არ ჩამოსულა. შენმა ბოლო წერილმა (16 თებერვლის) ჩემთან 11 მარტს მოაღწია.

მოუთმენლად ველოდები, როდის დადგება ჩვენი შეხვედრის დღე. შენი და ბავშვების ფოტოები მუდამ წინ მიდევს და ხშირად ჩუმად გელაპარაკებით.

**11 აპრილი. 1920.**  
**კვირა.**

ქართული აღდგომა ქარიშხლით, ელვით და ჭექა-ქუხილით დაიწყო, რის გამოც, ხალხი ეკლესიებში ჩვეულებრივზე დიდხანს დარჩა. გუშინ საღამოს, ვახშამდე, სიონის საკათედრო ტაძრის გუნდი მოვიდა და სააღდგომო საგალობელი შეასრულა პირველ სართულზე, მაგრამ მე ქვემოთ არ ჩავსულვარ. რაც ვმკურნალობ, პირველ სართულზე ფეხი არ ჩამიდგამს. ლანჩამდე საწოლიდანაც კი არ ვდგები. დღეს სუსხიანი და მონყენილი დღეა. გრანდი და უეითი, ჩემს მაგივრად, სააღდგომო ვიზიტების განსახორციელებლად წავიდნენ. ისინი, პირველ რიგში კათოლიკოს-პატრიარქსა და ქუთაისის მიტროპოლიის ეპისკოპოსს ეწვივნენ. ეს უკანასკნელი მის

უნმინდესობას სტუმრობს.

ნეტავ ხვალ დილით მაინც მომივიდოდეს შენი წერილი.

### **კვირა. საღამო.**

უკვე ექვსი საათია და მე ისევ აივანზე ვზივარ, მთელი შუადღე აქ გავატარე. ბოლო რამდენიმე საათია, ბალში ასეულობით ჩიტი მღერის. ყოველ საღამოს იკრიბებიან და დაძინებამდე კონცერტს ატარებენ. მერცხლები ჩემ გარშემო დაფრინავენ, თავს დამტრიალებენ, დროდადრო კი ბალში, მაღალ ხეზე ბრუნდებიან, რომლის ტოტებიც ჯერ კიდევ ნორჩი ფოთლებითაა ამწვანებული. ჩიტებს უყვართ საკუთარი წვეულებების მოწყობა. კედელს გადაღმა მდგომი ხილის ხე კი თეთრადაა მორთული. ეს ყველაზე სასიამოვნო პერიოდია მთელი წლის განმავლობაში. მგონი, მთელი ტფილისის მასშტაბით, ყველაზე მეტი ჩიტი ჩემს ბალში ცხოვრობს.

ბევრი არაფერი მაქვს მოსაყოლი. ვითარება მეტად რთულია და არავინ იცის, რა მოხდება ხვალ.

ქართველებმა, რომლებიც ენზელიში, სპარსეთში ცხოვრობენ, 147 000 რუბლი შეაგროვეს მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად და მე გამომიგზავნეს, რათა (დამხმარე) კომიტეტს გადავცე. უაღრესად საინტერესოა, როგორი დამოკიდებულება აქვთ ჩემ მიმართ ქართველებს. თვლიან, რომ უმაღლესი ხელისუფალი სწორედ მე ვარ და მათი მთავრობა მხოლოდ ჩემს დირექტივებს ასრულებს! როგორც ჩანს, ბოლშევიკებიც იგივე აზრზე არიან, გამუდმებით კბენენ საქართველოს მთავრობას და ჩემს მსახურებად მოიხსენიებენ. ხაზგასმით მინდა, ვთქვა, რომ ამისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობს.

თითქმის მთელი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც შვებულებაში გასვლა ვითხოვე და პასუხი ჯერაც არ მომსვლია. მოუთმენლად ველი სახლისკენ გამომგზავრებას, არა მხოლოდ პირადი მიზეზების გამო, არამედ საქმიდან გამომდინარეც. ვთვლი, რომ, ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს არ მიწყობს, რათა მოვალეობა სათანადოდ შევასრულო და დროა ვინმემ შემცვალოს.

უკვე ბინდი ჩამონვა. სანამ აცივდება, ჯობია ოთახში დავბრუნდე.

### **ორშაბათი. 12 აპრილი.**

ჩვეულებრივად ვისაუბმე: კვერცხი, თეთრი პური, კარაქი (მგონი, დაახლოებით ორი უნცია), თაფლი და ყავა. მოუთმენლად ველოდი შენგან წერილების მთელი გროვის მიღებას, თუმცა მხოლოდ ტომის წერილი ჩამომივიდა, რომელიც 23 მარტითაა დათარიღებული და საფოსტო ოფისში ჩაბარების დროდ დღის 11 საათი და 40 წუთია მითითებული. თავის დასამშვიდებლად ის უნდა ვიკმარო, რომ, როდესაც ტომი თავის წერილს აგზავნიდა, იმ დროისათვის შენს თავს ყველაფერი კარგად იყო. მაგრამ

საგარეო საქმეთა სამინისტრო რას აკეთებს? 16 თებერვლიდან მოყოლებული, ჩემთვის შენი წერილი არ გამოუგზავნიათ. 20 თებერვლის შემდეგ ერთი გზავნილიც კი არ წამოსულა მათგან. ეს ძალიან ცუდია. მათ უფლება არ აქვთ საინფორმაციო იზოლაციაში მომაქციონ და თუ მაინც ასე გამოდის, ეს ყველაფერი ოლდჰემის საფოსტო კომპანიისა და მისთანების უნი-ათობის ბრალია.<sup>66</sup> მინდა, უეითი კონსტანტინოპოლში გავაგზავნო. იქნებ რაიმე სიახლე ჩამოიტანოს. ვფიქრობ, მცირე ცვლილებებით მოხარული იქნება და დედასაც ნახავს, რომელმაც ოდესა ბოლშევიკების შესვლისთანავე დატოვა.

შენს მიერ გამოგზავნილი, 11-17 მარტის გაზეთები ჩამომივიდა. ერთი სული მაქვს, როდის წავიკითხავ.

## სალამო

შუადღეს საკმაოდ გრილოდა და მოსაწყენი ამინდი იყო. ალბათ აჯობებს, ადრე დავიძინო.

ინგლისში დაბრუნების ნებართვას ყოველდღე ველოდები. არ გამოვრიცხავ, ამ წერილს მე თვითონ ჩამოვასწრო.

გადაეცი ჩემი გულთბილი მოკითხვა და დიდი სიყვარული დედაშენს და კამილას, როცა მისწერ.

*Au revoir*,<sup>67</sup> ძვირფასო. იმედია, მალე შევხვდებით.

მარად შენი,

ო. უ.

## ტფილისი. 16 აპრილი.

1920.

გუშინ თეირანიდან წერილების ხუთი შეკვრა ჩამოვიდა. როგორც იქნა, მივიღე შენი წერილები, 21 თებერვლიდან 24 მარტის ჩათვლით, ყველაფერია. მთელი სამოცდათექვსმეტი გვერდი მაქვს წასაკითხი! ალბათ წარმოგიდგენია, რა ბედნიერი ვარ.

ოთხშაბათს, 14-ში, ტელეგრამა მოვიდა: ”ყველაფერი კარგადაა. სიყვარულით., უორდროპი.” აშკარად ლონდონიდან გამოიგზავნა და კონსტანტინოპოლიდან ბათუმამდე გემით ჩამოვიდა. ტელეგრაფსაც იმდენი დრო დაჭირდა, რამდენიც ბოლო წერილს, შესაბამისად, ვერც მის იმედზე ვიქნებოთ. სამსახურებრივი კორესპონდენციიდანაც რამდენიმე ტელეგრამა ისევ გვაკლია.

---

<sup>66</sup> აქ უორდროპი კერძო ხასიათის შეტყობინებებსა და გზავნილებზე საუბრობს. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ოფიციალური კორესპონდენცია, ტელეგრაფის მეშვეობით, გარკვეულ შეფერხებათა მიუხედავად, არ შეწყვეტილა.

<sup>67</sup> *Au revoir* - ნახვამდის. ფრანგ.

კონვერტში შეცდომით ვინმე მოლას წერილიც ჩაგიდია (წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არის), რომელსაც უკან გიბრუნებ.

საგარეო საქმეთა სამინისტროდან ერთმა კაცმა შემატყობინა, რომ პარიზში გენერალური კონსულის თანამდებობაზე სხვა ადამიანის კანდიდატურა განიხილება (არ სახელდება ვისი), ხოლო თუ მე საკონსულო სამსახურში მუშაობის გაგრძელებას მოვინდომებ, ეცდებიან, შესაფერისი პოზიცია გამომიძებნონ. ოფიციალურად ვაპროტესტებ ჩემთვის განკუთვნილი პოსტის სხვაზე გადაცემას, ისე, რომ მე არაფერი მკითხეს. ასევე, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ, მინდა თუ არა იმ პოსტის დაკავება, რომელზეც განმიხილავენ. სხვათაშორის, ერთადერთი ადგილი, სადაც, მოცემულ მომენტში, მუშაობა მსურს, პარიზია.

გულახდილად გეტყვი, რომ ვინის მ.ს.-თან ურთიერთობით დიდად კმაყოფილი არ ვარ. ის არ არის ადამიანი, ვის ნახვასაც ვისურვებდი ჩემთვის მნიშვნელოვანი ადამიანის გვერდით. ტომთან გაგზავნილ წერილში ეს არც დამიმაღლავს.

თავს აშკარად უკეთ ვგრძნობ, თუმცა დატვირთული სამუშაო გრაფიკისთვის მზად არ ვარ. ვცდილობ, მოვლენებს მსუბუქად შევხედო, გვიან ვდგები. გრანდიმ ბარბელიონის<sup>68</sup> "იმედგაცრუებული კაცის დღიურები" გამომიგზავნა. დიდი ინტერესით ვკითხულობ. თითქმის მოვრჩი რუსულ წიგნს სპარსეთში არსებული რელიგიების შესახებ. გარდა ამისა, რუქერმა მათხოვა ქინსის წიგნი „ზავის ეკონომიკური შედეგები“.<sup>69</sup> როგორც ხედავ, თავის გასართობად ბევრი საშუალება მაქვს, მაგრამ სახლში დაბრუნებას მაინც მოუთმენლად ველი. დღეს ნებართვის თხოვნიდან ერთი თვე გავიდა, მაგრამ პასუხი ისევ არ მომსვლია.

კომანდერი ლუკი, რომელსაც, სტოქსის ჩამოსვლამდე, ჩემი მოვალეობის შემსრულებლად მუშაობა შევთავაზე, ბაქოდან და ენზელიდან დაბრუნდა, სადაც ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა და დღეს რამდენიმე დღით გაემგზავრა ერევანში გრეისისთან ერთად.

კარგად მესმის, რომ მოცემულ მომენტში აქ სიკეთის მოტანა არ შემძლეა, აუცილებლად უნდა შემცვალონ. საგარეო საქმეთა სამინისტროს გარკვევით ავუხსენი, რომ ჩემი შეცვლა საქმის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

უკვე ორ კვირაზე მეტია, ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ გუშინ გეგეჭკორის (საგარეო საქმეთა მინისტრის) ნახვა მომიხდა, ხვალ კი ჩემს ფრანგ კოლეგას, დე მარტელს უნდა შევხვდე. თუ შინ დაბრუნების ნებას არ დამრთავენ, ყოველდღიური სამუშაო რუტინა ისევ ჩამითრევს, რაც ნამდვილად არ არის სასურველი.

ამინდი საკმაოდ ზომიერია. შემძლეა, მთელი შუადღე აივანზე გავატარო. იასამნის ყვავილობის ჟამი შორსაა, ახლა გლიცინიებისა და ბრონეუ-

---

<sup>68</sup> ბარბელიონი - ბრიტანელი მწერლის, ბრუს ფრედერიკ ქამინგის (1889-1919) ფსევდონიმი.

<sup>69</sup> ჯონ მენარდ ქინსი - ბრიტანული დელეგაციის წევრი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. მან ჰიპერკრიტიკული წიგნი დანერგა ვერსალის საზავო ხელშეკრულების შესახებ. ქინსის სამშვიდობო იდეები ძალიან გავდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შემუშავებულ „მარშალის გეგმას“.

ლის დროა. კუნელის, იასამნის, ქრიზანთემასა და ვარდის ყვავილობისას, სახლში ყოფნას ვისურვებდი, თუმცა არაფერი მინდა უფრო მეტად, ვიდრე ჩემი ცხოვრების ყვავილების - მარგრითის, ჯეიმის, ენდის და ნინოს ნახვა.

სასიამოვნოა, რომ კამილა ჩამოსვლას გპირდება. იმედი მაქვს, როცა დავბრუნდები, მანდ დამხვდება.

შენ ალბათ გაიგებ შვებულების თაობაზე ჩემი მოთხოვნის პასუხს და თუ არ დამიკმაყოფილებენ, ვშიშობ, შენგან წერილების მიღების სიამოვნებაც მომაკლდება, აღარ მომწერ, რადგან ჩათვლი, რომ ხელახლა ვინცე ყველაფერს.

### **შაბათი. 17 აპრილი.**

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროდან ნებართვა მივიღე, დავბრუნდე შინ, როგორც კი საქმეს გადავაბარებ. იმედი მაქვს, ლუკი შეძლებს, სტოქსის დაბრუნებამდე, ჩემი მოვალეობის შესრულებას. ასეთი შემთხვევაში, ათ დღეში მოვახერხებ გამოგზავრებას.

ამ დღით ქირურგი მოვიდა, რომელმაც ჭრილობა შემიმომნმა და მითხრა, რომ მცირე ნაწილი (დაახლოებით, ინჩის სიგრძის), ჯერ კიდევ ღიაა, მაგრამ რამდენიმე დღეში შეხორცდება.

ამ დღით ქართული უსადენო სადგურიდან გამოგიგზავნე შეტყობინება, რომ "ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება და ათ დღეში სახლისკენ გამოვემგზავრები". ყველა მიზეზია ვირწმუნო, რომ უკვე მაისის შუა რიცხვებში შენთან ვიქნები. განუწყვეტლივ ვფიქრობ უძვირფასეს ნინოზე, როგორ უხმობს ძილის დროს მამას. სევდით მავსებს იმაზე ფიქრი, რომ ბავშვების წარმოსახვაში მხოლოდ წარმოსახვითი პიროვნება ვარ. ალბათ ვერც მიცნობენ, რომ დამინახავენ.

### **კვირა. 18 აპრილი. 1920.**

დღეს ჩერქეზოვები გვესტუმრნენ და აივანზე ვისადილეთ. ერთად სასიამოვნო დრო გავატარეთ.

შუადღისას აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი, ხან ხოისკი ვნახე, რომელიც ტფილისში ხანმოკლე ვიზიტით ჩამოვიდა.

თავს კარგად ვგრძნობ, მხარი არ მანუხებს, მაგრამ ჰავას მაინც ვერ ვეგუები და ნერვები დაძაბულობის ზღვარზე მაქვს. ხომ იცი, წნევის ცვალებადობისადმი რა მგრძობიარე ვარ.

მგონი, სისულელეა, იმ წერილის წერა გავაგრძელო, რომელიც ჩემზე ადრე ვერ ჩამოვა შენამდე. თუმცა ფოსტა ხვალ მოდის, მე კი ერთ კვირაში და ვინ იცის, იქნებ ჩამომასწროს კიდევაც.

ადმირალმა დე რობეკმა მაცნობა, რომ ის ყველაფერს გააკეთებს, რათა ჩემი საზღვაო მგზავრობა უზრუნველყოს.

## **ორშაბათი. 19 აპრილი.**

გუშინ ჩერქეზოვმა მითხრა, რომ ჩვენი ნინოსთვის ნაჩუქარი ჯვრის ისტორია გამოიკვლია. გაირკვა, რომ ჯვარი თავდაპირველად საქართველოს სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა და ის, ქორწინების შედეგად, რუსებთან მონათესავე დიდგვაროვნების, აფხაზების ოჯახს გადაეცა. ქართველმა ქალებმა ჯვარი სწორედ მათგან იყიდეს. როგორც ჩანს, ეს რელიქვია ავალოვებს არასოდეს ეკუთვნოდათ.

სასიამოვნო და თბილი ამინდია. შუადღისას ალბათ სასეირნოდ გავალ. ამ თვის განმავლობაში ჯერ გარეთ არ ვყოფილვარ. აღმოსავლური ხელნაწერების კოლექცია უნდა ვნახო, რომელიც ხუთასამდე ეგზემპლარისგან შედგება. რამდენიმე დიდი ინგლისური ბიბლიოთეკა მათ შესყიდვას აპირებს და ამ საქმის გარიგება მე მომანდეს.

დილით ფოსტალიონმა, ჩვეულებისამებრ, მომიტანა ტომის გამოგზავნილი, 18 მარტის ჩათვლის, გაზეთების კრებული.

თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. ჭრილობა, თითქმის, მომირჩა.

## **19 აპრილი.**

დილით ქირურგი მოვიდა, გამსინჯა და მითხრა, რომ ნაოპერაციები, ფაქტობრივად, შეხორცებულია. ასე რომ, შუადღისას, 30 მარტის შემდეგ პირველად, ნახევარი საათით გარეთ გავედი.

შენს ბარათებსა და სხვა პირად წერილებს ერთ ამანათად ვაგზავნი საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტში. იქნებ ტომმა ჩემი ამბის გასაგებად შეიაროს და ეს გზავნილებიც წამოიღოს.

ჩვენი შეხვედრის დრო ახლოვდება და შენი სახე უფრო და უფრო ნათლად ჩანს ჩემს ფიქრებში, უძვირფასესო. მამიკო, ამ წერილთან ერთად, მთელ თავის სიყვარულს უგზავნის ბავშვებს.

მარად შენი,

ო. უ.

# საბარეო საქმეთა სამინისტროსადმი გაბზავნილი რჩეული რეპორტები

FO 608/88/18006

მამორანდუმი საბარეო საქმეთა სამინისტროში გასაპრცელებლად  
5. 8. 1919.

ლორდ ვერზონის მითითებებით (რომელიც მან 1919 წლის 4 აგვისტოს, შუა აღმოსავლეთის საკითხებში დეპარტამენტაშორისი კონფერენციის სხდომაზე მომცა), სამხედრო სტრატეგიის შესაბამისად, ჩამოვყალიბე შემდეგი სამოქმედო გეგმა, სამხრეთ კავკასიაში ჩემი მისიის წარმატებით შესრულებისათვის:

1. თუ შესაძლებელია, მისი უდიდებულესობის მთავრობამ გადახედოს სამხრეთ კავკასიიდან ჩვენი ჯარების ევაკუაციის გადანყვეტილებას. თუკი ეს ვერ მოხერხდება, შეძლებისდაგვარად შენელებს სამხედროთა გასვლის პროცესი, რამდენადაც ამის საშუალებას ჯარის უსაფრთხოების დაცვა მოგვცემს. უკიდურეს შემთხვევაში, განვაგრძოთ ბათუმის დაცვა, სანამ მისი მომავალი ჩვენდა სასურველად არ გადანყდება.

2. დიდი სიფრთხილით უნდა შევარჩიოთ მოხელე, რომელიც მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე იქნება პასუხისმგებელი. მას სათანადო რაოდენობის სამოქალაქო პირები ეყოლება დაქვემდებარებაში, რათა მოხალისეთა არმიის ქმედებებს დააკვირდეს სამხრეთ კავკასიასთან მოსაზღვრე რეგიონებში. ეს მოხელე მიმაგრებული იქნება გენერალ დენიკინთან და მას რჩევას გაუწევს თუ როგორ უნდა აირიდოს კონფლიქტი ახალ რესპუბლიკებთან. აღნიშნულმა მოხელემ მიუკერძოებლად უნდა შეატყობინოს მისი უდიდებულესობის მთავრობას, დენიკინის მხრიდან, სასაზღვრო ზოლის მეორე მხარეს ნებისმიერი ჩარევის შესახებ. ასევე, აცნობოს გენერალ დენიკინს მისი უდიდებულესობის მთავრობის პოზიცია, რომ მისთვის დახმარების გაგრძელება დამოკიდებული იქნება ურყევ პრინციპზე: ის არ უნდა ჩაერიოს რესპუბლიკათა საშინაო საქმეებში და თავი შეიკავოს მათი ტერიტორიების მიტაცებისაგან.

3. მისი უდიდებულესობის მთავრობამ უნდა აღიაროს რესპუბლიკები ისე, როგორც ეს მოხდა ორ (საქართველოსა და აზერბაიჯანის) შემთხვევაში გერმანიისა და თურქეთის მიერ და, როგორც ვიცი, არც იტალია დააგვიანებს პოზიციის გამოხატვას; ან მე მომენიჭოს უფლებამოსილება, ვაცნობო მათ მთავრობებს, რომ ბრიტანეთი ცნობს სამ რესპუბლიკას მაშინვე, როგორც კი ისინი დაგვანახებენ თავიანთ მტკიცე განზრახვას მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და მეგობრობის შესახებ და შეინარჩუნებენ კეთილგანწყობას გენერალ დენიკინის მიმართ, თუ ამ უკანასკნელის ძალისხმევა კვლავინდებურად რუსეთში თავისუფალი, დემოკრატიული ხელისუფლების შექმნისკენ იქნება მიმართული.

4. მისი უდიდებულესობის მთავრობამ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს იმისათვის, რომ ბათუმის, მის გარშემო არსებული ტერიტორიისა



და, ასევე, სამხრეთ კავკასიის ნებისმიერ სადავო ოლქის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც ადგილზე მაცხოვრებელი მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესს დააკმაყოფილებს. ჩვენ მხარი უნდა დაუჭიროთ იქ დარჩენილი იმ უმცირესობის წარმომადგენლებისთვის დაცვის გარანტიების მიცემას, რომლებიც ხელშესახებად დიდხანს ცხოვრობენ სადავო ოლქებში და არიან კანონმორჩილი მოქალაქეები. მისი უდიდებულესობის მთავრობამ უნდა წაახალისოს მიგრანტების, როგორც ლტოლვილების, ასევე, ძალით განდევნილთა დაბრუნება საკუთარ სახლებში და მესაკუთრეთა სურვილის წინააღმდეგ მიტაცებული მიწებისა და სახლების მფლობელთათვის დაბრუნება.

5. ტფილისში მომუშავე მისია უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სიმძლავრის უმავთულო საკომუნიკაციო დანადგარით, რათა კავშირი დაამყაროს კონსტანტინოპოლში უმაღლეს კომისართან, გენერალ დენიკინის არმიას მიმავრებულ პოლიტიკურ ოფიცერთან, მესოპოტამიაში მოქმედ ბრიტანულ სათავო ოფისთან და თეირანში მისი უდიდებულესობის დიპლომატიურ ლეგაციასთან.

6. მისი უდიდებულესობის მთავრობამ უნდა განაცხადოს საკუთარი განზრახვის შესახებ რესპუბლიკებს დაეხმაროს შემდეგი მიმართულებებით:

ა. გამოიყენოს თავისი გავლენა დიდ სახელმწიფოთა მიერ რესპუბლიკების აღიარებისა და ერთა ლიგაში მათი მიღების მიზნით.

ბ. მოამარაგოს რესპუბლიკები შესაძლებლობის ფარგლებში და ხელი შეუწყოს ადგილობრივი პროდუქტის (მანგანუმის, ნავთობის, მეტალის, მყარი მერქნის, აბრეშუმის, თამბაქოს, ღვინის, ხილის, თაფლის, ცვილის) გადაცვლას საჭირო საქონელზე (როგორცაა, ვენახისთვის შხამ-ქიმიკატები, ქსოვილები, საკერავი ძაფები, ხელსაწყოები, ტექნიკური აღჭურვილობა, ტყავულობა, ინდური რეზინი, წამლები და ა. შ.). გასაგებია, რომ ასეთი ტიპის გაცვლა საქონლის შეზღუდული ოდენობის რეგულარულ გადაზიდვას გულისხმობს და რესპუბლიკების მხრიდან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს დიდი ბრიტანეთის გაცხადებულ ინტერესებთან.

გ. რესპუბლიკების მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიაში გაიგზავნონ ტექნიკური მრჩევლები, რაც ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის ეკონომიკურ განვითარებას.

დ. ასეთი დახმარების მიწოდების შემთხვევაში, შესაძლოა, ბრიტანელმა მრჩევლებმა მოახდინონ ადგილზე ადმინისტრაციათა რეორგანიზება და შექმნან ჯანსაღი სანჯისი პირობები ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ე. რესპუბლიკებისათვის დახმარების ღონისძიებები ისე დაიგეგმოს, რომ არც ერთ მათგანს უკმაყოფილების გრძნობა არ გაუჩნდეს და მიზეზი არ მიეცეს მეორე რესპუბლიკისთვის განკუთვნილი მარაგის მისათვისებლად.

ვ. გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება და შეიქმნას ინგლისური სტილის საჯარო სკოლები, სადაც კლასიკურ და თანამედროვე საგნებს, მეცნიერებასა და ფიზკულტურას ასწავლიან. ხელი შეეწყოს სიფრთხილით შერჩეულ, ორივე სქესის მოსწავლეებს, რათა სწავლა განაგრძონ ბრიტან-

ულ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლებში, რომ, ზოგადად, სამხრეთ კავკასიელები ეზიარონ ინგლისურ კულტურას. ყველაზე დიდ მნიშვნელობას იმას ვანიჭებ, რომ ჩვენი პოპულარიზაცია მოხდეს. პირადად მე, მარჯორი უორდროპის ფონდის საშუალებით (რომლის ბიუჯეტიც ამჟამად 3500 ფუნტს შეადგენს), შემიძლია, დაუყოვნებლივ უზრუნველყო ოქსფორდში საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ლექციების ჩატარება. ვფიქრობ, იგივე შემიძლია გავაკეთო სომხური და თურქული საგნების სწავლებისთვის, მეგობრების დახმარებით, ისე, რომ ხაზინას არაფერი მოვთხოვო.

ბ. პროფკავშირების სანდო წარმომადგენლებს ნება დაერთოთ, იმოგზაურონ დიდ ბრიტანეთში და მჭიდრო ურთიერთობა იქონიონ ბრიტანეთის ჭეშმარიტ ლეიბორისტულ პარტიასთან.

თ. ბრიტანეთიდან სამხრეთ კავკასიაში რეგულარულად გაიგზავნოს პრესა, რათა მოსახლეობა გაეცნოს თუ როგორ წყდება სოციალური, პოლიტიკური და სანარმოო პრობლემები ბრიტანეთში; განსაკუთრებული ინტენსივობით გაიგზავნოს ის საგაზეთო მასალა, რომელიც სამხრეთ კავკასიას ეხება, რათა მცდარი აზრის გავრცელების შემთხვევები ლონდონშიც ვიცოდეთ და სასწრაფოდ მოხდეს რეაგირება.

რაც შეეხება ბაქოდან, ტფილისიდან და ბათუმიდან ბრიტანული ჯარების ევაკუაციის საკითხსა და შექმნილ ვითარებაში ოპტიმალურ სამოქმედო გეგმას, ვშიშობ, ამ ეტაპზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. ამიტომ, ვთხოვ ლორდ კერზონს, სანამ ადგილზე საკითხს არ გამოვიკვლევ, ნება დამართოს თავი შევიკავო აზრის გამოთქმისაგან.

მეორე პარაგრაფთან კავშირში, ვთვლი, რომ პოლკოვნიკი ქისი შესანიშნავად შეასრულებს პოლიტიკური ოფიცრის მოვალეობას. ის ახლა დენიკინთან არის. კარგი იქნება თუ ბათუმში შემხვდება.

გავბედავ და იმედს დავიტოვებ, რომ ლორდი კერზონი შეძლებს გამოიყენოს თავისი გავლენა და ხაზინიდან მოიპოვებს მისიის მუშაობისათვის, გონივრულ ფარგლებში, აუცილებელ თანხებს, რაც საჭიროა წარმომადგენლობის თანამშრომელთათვის ხელფასების, გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და გასართობი ღონისძიების (რაც ესოდენ აუცილებელია აღმოსავლეთის ქვეყნებში) დასაფარად.

ო. უორდროპი

5. 8. 19.

**FO 371/3663/1015/125051/58**

ეს დოკუმენტი არის მისი უდიდებულესობის მთავრობის საკუთრება და უნდა ინახებოდეს საგარეო საქმეთა სამინისტროში თუ სხვაგვარად გამოყენების ოფიციალური საჭიროება არ დგას.

რუსეთი

ოფიციალური

გამომგზავნი: მისტერ უორდროპი

გაგზავნა: დილის 10. 30. 2 სექტემბერი. 1919.<sup>1</sup>

მიღება: დილის 11. 05. 4 სექტემბერი. 1919.

ქართველებმა ძალიან გულთბილი დახვედრა მომიწყვეს. გუშინ ბათუმში არაერთი დეპუტაცია დამხვდა. მათ შორის, როგორც ოფიციალური წარმომადგენლები, ასევე უბრალო მოქალაქეები. ყველასგან მაღლიერებით აღსავსე სიტყვები მოვისმინე. მუსლიმებიც და ქრისტიანებიც, თანაბრად მეგობრულად შემხვდნენ.

მემსახურებოდა სპეციალური მატარებელი, რომელიც ადრე იმპერატორის საკუთრებას წარმოადგენდა. სადგურები დროშებით იყო მორთული და მანქანების მოძრაობა გადაეკეცათ.

30 აგვისტოს, დილით, თბილისში მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გეგეჭკორი და მთავრობის წევრები, მუნიციპალიტეტისა და სამღვდლოების წარმომადგენლები, ხელოვანთა საზოგადოების წევრები, უცხოურ მისიებისა და სხვადასხვა სოციალური ფენის უამრავი ადამიანი დამხვდა.

საპატიო ყარაულში ერთად იდგნენ ბრიტანელი და ქართველი ჯარისკაცები.

თითოეული ნაბიჯი კინოფირზე აღიბეჭდა და ფოტოგრაფთა სამიზნედ ვიქეცი. ორკესტრმა, რკინიგზის სადგურზე, ბრიტანეთის ეროვნული ჰიმნი დაუკრა. ოპერის თეატრი და მთავრობის სასახლეც ჩემს განკარგულებაში იყო. ჩემს მიერ გასავლელი მთელი გზა, დაახლოებით ორი მილის მანძილზე, მორთული იყო დროშებითა და აღმოსავლური ხალიჩებით, გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ ხალხს კი დერეფანი გაეკეთებინა.

საჯარო დაწესებულებათა შენობები საღამოს გაანათეს. დღემ ჩაიარა, როგორც სახალხო დღესასწაულმა.

ქართველთა მხრიდან მოწყობილი ამ არაჩვეულებრივი დახვედრის მიზეზი გახლავთ ის, რომ მათ კარგად იციან, როგორია ჩემი საქართველოსადმი დამოკიდებულება და სიყვარული ბოლო 32 წლის განმავლობაში. მათ, ჩემი ამ თანამდებობაზე დანიშვნა, მიიღეს ნიშნად იმისა, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობა ყველაზე მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული საქართველოს მიმართ და რომ საქართველოსთვის ახალი ერა დაიწყო.

---

<sup>1</sup>საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა - ლორდმა კერზონმა აღნიშნულ ტელეგრამას წააწერა: „ძალიან კარგი დასაწყისია!“

მისი უდიდებულესობის საგარეო საქმეთა მინისტრს  
მილორდ,

ამ საღამოს, როცა ჩვენი ჯარები ბათუმისკენ მიემართებიან,<sup>2</sup> მაქვს პა-  
ტივი, ჩემი ზოგადი დაკვირვებები რამდენიმე პუნქტად მოგწეროთ:

1. ტელეგრამით უკვე შეგატყობინეთ თბილისში გამართული მიღე-  
ბების შესახებ, თუმცა თავმდაბლობამ მაიძულა, ბევრი დეტალი არ მომეყ-  
ოლა. იმავე მიზეზის გამო, არ ვიმეორებ ხოტბის შემსხმელ ფრაზებს, რა-  
საც აქაური პრესა წერს მთავარ სტატიებში ჩემი მუშაობის მნიშვნელობასა  
და შედეგებთან დაკავშირებით. საქართველოს ხელისუფლება შიშობდა,  
რომ ხალხმრავალი დემონსტრაციები საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხეს  
შეუქმნიდა და სხვა რესპუბლიკებშიც გააღვივებდა შურს, ამიტომ ზომები  
მიიღეს სადგურზე და ქუჩებში ხალხის რაოდენობის შესაზღუდად. აზერ-  
ბაიჯანის და სომხეთის წარმომადგენლებისგან დანამდვილებით ვიცი, რომ  
როგორც ისინი, ასევე, მათი თანამემამულეები მიუხედავად ადამიანად  
მთვლიან და ქართველების მსგავსად, კარგ მეგობრად მიმიჩნევენ.

2. ევაკუაციამ გულგრილი არავინ დატოვა. ჩვენებიც და სამი რეს-  
პუბლიკის წარმომადგენლებიც თანაბრად წუხან. ოფიცრებიცა და სამო-  
ქალაქო პირებიც სიამოვნებით დარჩებოდნენ აქ, რადგან თავს ბედნიერად  
გრძნობდნენ. ჩვენი ჯარისკაცები აქ საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგე-  
ბლობდნენ. მოსახლეობა თვლიდა, რომ მათი აქ ყოფნით დაცულები იყვნენ  
ჩრდილოეთიდან დენიკინის არმიის შემოტევისგან, სამხრეთიდან კი  
ქურთებისა და თურქების წაქეზებით მოქმედი სხვა ჯგუფების აგრესიის-  
გან. საყოველთაოდ არსებობს იმედი, რომ ჯარები ბათუმში მაინც დარჩე-  
ბიან გარკვეული დროით და ამ იმედს მეც ვიზიარებ. აქაურობის მიტოვება  
სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ძლიერი შემოტევების წინაპირობას შე-  
ქმნის. გადარჩენილი სომხები, უბრალოდ, ცუდ მდგომარეობაში კი არ აღ-  
მოჩნდებიან, არამედ ხოცვა-ჟლეტა ისეთი სისასტიკით გაგრძელდება, რომ  
სომხები უბრალოდ გაქრებიან და მათი საკითხის გადაჭრა აღარც კი იქნება  
საჭირო.

3. დიდი ბრიტანეთის პრესტიჟი სამხრეთ კავკასიაში გაცილებით მაღა-  
ლია, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნისა. ვფიქრობ, რომ სამივე რესპუბლიკა  
სიამოვნებით შეასრულებს ჩვენს ნებისმიერ გონივრულ მოთხოვნას, თუმცა  
უნდა აღვნიშნო, რომ აქ, ფაქტობრივად, ხელცარიელი ჩამოვყავი და დიდად  
ვიქნებოდი დავალებული, თუკი მისი უდიდებულესობის მთავრობა მოახ-  
ერხებდა ჩემთვის ხმის მონვედნას და გამიზიარებდა ინფორმაციას სამხ-  
რეთ კავკასიასთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ, რომელსაც მე სა-  
ჯაროდ გავაცხადებ. აქ წარმატებით სამუშაოდ, აუცილებელია, აღნიშნულ  
განცხადებაში იყოს ნათქვამი, რომ დიდი ბრიტანეთი ყველა საშუალებას  
გამოიყენებს იმისთვის, რათა გენერალ დენიკინის ჯარი სამხრეთით ვერ

---

<sup>2</sup> დღეებში ბრიტანეთის ჯარები ბათუმის გავლით ტოვებდნენ სამხრეთ კავკასიას. მათ  
მხოლოდ ბათუმის ოლქში დატოვეს 2000 ჯარისკაცი.

გადაადგილდეს და მოცემული მომენტისთვის არსებული სადემარკაციო ხაზი არ გადაკვეთოს.<sup>3</sup>

დალესტინის დენიკინისათვის დათმობამ სამხრეთ კავკასიაში დიდი სინანულის გრძნობა და განგაში გამოიწვია. ქართველებს უწევთ, დიდი ძალები იყოლიონ ამ სადემარკაციო ხაზის მეორე მხარეს,<sup>4</sup> რასაც ყოველდღიური შეტაკებები ახლავს თან. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მცირე მასშტაბის ბრძოლებზეა აქ საუბარი, საქართველოს ეს ყველაფერი მაინც საკმაოდ ძვირი უჯდება. ასევე, აუცილებელია რეგიონის მომარაგება საკვებითა და იმ საჭირო პროდუქტით, რომლის შემოტანასაც, დენიკინის წყალობით, ხელი ეშლება.

4. ჯერ კიდევ ლონდონიდან გამომგზავრებამდე შევადგინე მემორანდუმი, რომელიც 5 აგვისტოთია დათარიღებული. მემორანდუმი რამდენიმე შემოთავაზებას შეიცავს. მინდა, განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო მე-6 პარაგრაფის ვ, ზ და თ პუნქტებზე.<sup>5</sup> მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რამდენიმე დღეა აქ ვარ, აზერბაიჯანელები, სომხები და ქართველები უკვე უდიდეს სურვილს გამოთქვამენ, რომ მათი ახალგაზრდობა ჩართული იყოს ინგლისის სამეცნიერო, ტექნიკურ და საუნივერსიტეტო სამუშაოებში. თუ თითოეული ქვეყნიდან რამდენიმე ახალგაზრდას დიდი სიფრთხილით შევარჩევთ და ინგლისში გავუშვებთ სასწავლებლად, განვითარების საშუალებას მივცემთ, ამას ეფექტი ექნება მთელი სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ცხოვრების პროგრესზე.

5. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ დრო არ მქონია ყველა პარტიის მუშაობას გავცნობოდი და, მითუმეტეს, შემესწავლა, რას ფიქრობს მუშათა კლასი და გლეხობა, უყოყმანოდ შემიძლია ვთქვა, რომ ევროპულ პრესაში გავრცელებული აზრი, თითქოს ქართველები ბოლშევიკების დასაყრდენს წარმოადგენენ, საფუძველს მოკლებული და მავნებლურია. მართალია, ცხოვრება საკმაოდ ძვირია, მაგრამ ლენინიზმის კვალს მაინც ვერ ვხედავ. თავის მხრივ მთავრობა, რომელიც ძირითადად სოციალ-დემოკრატებითაა დაკომპლექტებული, მკაცრად ახშობს საშიში პროპაგანდის ყოველგვარ მცდელობას და დაუყოვნებლივ აპატიმრებს ყველას, ვინც მსგავს საქმიანობაშია შემჩნეული. მდიდარი ფენა, შეიძლება ითქვას, ფუფუნებაში ცხოვრობს და მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობის ზოგიერთ ნორმას (სამხრეთ კავკასიის ფედერაციის დროს მიღებულს) თავისუფლად აპროტესტებს, მთავრობასთან რეალურ წინააღმდეგობაში მაინც არ მოდის. მთავრობის სოციალისტური პოლიტიკა, საყოველთაო აღიარებით, უფრო კონსტრუქციულია, ვიდრე დესტრუქციული. სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობა იმაზე ნაკლებად უქმნის პრობლემას წვრილ აზნაურობას,

---

<sup>3</sup> 1919 წლის ივლისში, მოხალისეთა არმიის მიერ დალესტინის ოკუპაციის შემდეგ, დიდა ბრიტანეთმა გენერალ დენიკინს წაუყენა ულტიმატუმი, რომლის მიხედვით ის სამხრეთ კავკასიაში არ უნდა შეჭრილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუწყდებოდა სამხედრო დახმარება. იხ. FO 608/88 no. 15996, War Office to GOC Constantinople, July 17, 1919; Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. III, pg. 451, London 1949; FO 371/3662/1015/100552/58; FO 371/3663/1015/121653/58

<sup>4</sup> იგულისხმება აფხაზეთის ფრონტი.

<sup>5</sup> აღნიშნული მემორანდუმი იხ. ზემოთ.

ვიდრე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რადგან სესხების უმეტესი ნაწილი (დაახლოებით, 90%) ტფილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკებმა დაფარეს და, შემდეგ, თავადაზნაურებმა ნებაყოფლობით გადასცეს ეს ბანკები სახელმწიფოს. საინტერესო ისაა, რომ გლეხები, რომლებსაც საკმაო დანაზოგი აქვთ და მუდმივად ჩიოდნენ მიწის გადასახადების გამო, ახლა ამბობენ, რომ მთავრობის შედგენილ ოფიციალურ ქალაქებს მიწის მფლობელებისგან მიღებული ქვითრები ჯობდა. კიდევ ერთი რამაა განსაკუთრებით აღსანიშნავი - ბოლო ორი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების შედეგად, მთელ ქვეყანაში ბევრი სახლი დარჩა უპატრონოდ, თანაც ღირებული ავეჯით სავსე. თითქმის ყოველი მათგანი, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, მეზობელმა გლეხებმა დაიცვეს. შეიძლება ითქვას, რომ აქაურებმა გასაოცარი პატივისცემა გამოიჩინეს კერძო საკუთრების მიმართ.

6. ჯერ ძალიან ადრეა გადაჭრით ვთქვა, რამდენად მყარია ახლანდელი მთავრობის მდგომარეობა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველები ორთოდოქსი სოციალ-დემოკრატები არიან, თუნდაც ისეთი სოციალისტები, როგორც ბატონი ჟორდანიას მკვეთრად ნაციონალისტური და კონსტრუქციული კაბინეტი. თავად მთავრობის თავმჯდომარე, თავისი თავაზიანობის, გულწრფელობისა და უანგარობის გამო, დიდი პოპულარობით სარგებლობს გლეხებში. მის სიტყვას დიდი წონა აქვს და ადამიანებს სჯერათ, რომ პარტია, რომელსაც ის ეკუთვნის, ხალხის ინტერესებს ყველაზე უკეთ დაიცავს. სამწუხაროდ, მას ჯანმრთელი არ ეთქმის - წლებია, ტუბერკულოზი ტანჯავს.

სხვა პარტიებმა არჩევნებში დიდ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ჩანს, რომ ისინი თანდათან მთავრობის გარშემო იკრიბებიან. შესაძლოა, სწორედ ამ გადაჯგუფებამ წაიყვანოს პოლიტიკა უფრო მარჯვენა მხარეს.

7. გიგზავნით საინტერესო ანგარიშის ასლს, რომელიც ბათუმი-ყარსის რკინიგზის პროექტის შესახებ გამომიგზავნა კონსულმა სტივენსმა<sup>6</sup> (1 სექტემბერი, № 1). როგორც ჩანს, რუსეთის სომხებს ღრმად სწამთ, რომ მათი ეკონომიკური კეთილდღეობა რუსეთთან სიახლოვეზეა დამოკიდებული, ისევე, როგორც ქართველები თვლიან, რომ დიდი ბრიტანეთი მათი უკონკურენტო მოკავშირეა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური გაძლიერების გზაზე. სასურველია, ეს გავითვალისწინოთ, როცა რკინიგზის საკითხი დადგება. მეორე მხრივ, თუ ამერიკელები სომხეთზე დროებით პასუხისმგებლობას აიღებენ, უნდა ვიცოდეთ, რომ სომხები ყველაფერს გააკეთებენ, რაც მათ ძალებში შედის, რათა ამერიკელების უპირატესი მხარდაჭერა მოიპოვონ, ამან კი, შესაძლოა, საქართველოსა და აზერბაიჯანის მდგომარეობა გაართულოს. შემოთავაზებული რკინიგზის პროექტი, სპარსეთთან ვაჭრობის ტრანზიტის შემოსავალს საქართველოდან და აზერბაიჯანიდან სომხეთისკენ გადაქაჩავს. მაგრამ, ამავე დროს, დასაშვებია, რომ აღნიშნულმა რკინიგზამ სომხეთის რუსეთისადმი ურთიერთობაზეც იქონიოს გავლენა, რადგან სომხეთი ეკონომიკურად უფრო ნაკლებად

<sup>6</sup> პატრიკ სტივენსი - დიდი ბრიტანეთის კონსული ბათუმში.

დამოკიდებული გახდება.

8. ყველა მზადაა, საყოველთაო მშვიდობის დამყარებას ხელი შეუწყოს. გაჩნდა კომპრომისი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით, ასევე სომხეთსა და საქართველოს შორის ლორეს თაობაზე. მუსლიმები შემრიგებლურ პოლიტიკას აწარმოებენ ქრისტიანი მეზობლების მიმართ. 31 აგვისტოს აჭარლების მიერ ბათუმში მიღებული ერთსულოვანი გადაწყვეტილება აჭარის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შესახებ, ამის დასტურია.

ახლა ვითარების ბოლომდე დალაგებას გარედან მოსული სამხედრო ძალის, თუნდაც ძალიან მცირერიცხოვანის, დახმარება სჭირდება, რათა გაღვივდეს რწმენა, რომ დიდი სახელმწიფოები ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოჭრილ მტრებს გასაქანს არ მისცემენ. თუ აღნიშნული სამხედრო ძალის მიწოდება და სამშვიდობო გარანტიების გაცემა არ დააყოვნებს, გაცილებით ნაკლები იქნება საშიშროება იმისა, რომ ეროვნულ ან რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება გაღვივდეს და სამხრეთ კავკასიელი მუსლიმები პროთურქული ძალების მიერ დახლართულ ინტრიგებში ჩაეზან, რადგან ბრძოლით ისინიც ძალიან დაილაღნენ.

მაქვს პატივი,

ვიყო თქვენი ხელისუფლების

უმდაბლესი და უმორჩილესი მსახური,

ო. უორდროპი.

FO 371/3663/1015/144528/58

რუსეთი

გამგზავნი: მისტერ უორდროპი (ტფილისი)

20 ოქტომბერი, 1919.

გაგზავნა: დილის 9:30, 21 ოქტომბერი, 1919.

მიღება: დღის 4:15, 22 ოქტომბერი, 1919.

სასწრაფო

თქვენი ბრწყინვალეების ტელეგრამა № 29, რომელიც 4 ოქტომბერს გამოიგზავნა, 14 ოქტომბერს ჩამოვიდა და მე მხოლოდ ამ დღით, ერევნიდან ჩამოსვლის შემდეგ გადმომიცა.<sup>7</sup>

1. არგუმენტები საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისთვის გაცილებით ძლიერია იურიდიული, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, სწორედ ამიტომ გავაკეთე მასზე განსაკუთრებული აქცენტი, თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ იგივე მოსაზრება მაქვს აზერბაიჯანისა და

---

<sup>7</sup> ეს წერილი არის უორდროპსა და კერზონს შორის პოლემიკის ნაწილი. უმაღლესმა კომისარმა, 19 სექტემბერს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლისაგან სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა აღიარება მოითხოვა. მან განსაკუთრებული აქცენტები საქართველოზე დასვა. კერზონმა, თავის 4 ოქტომბრის პასუხში, ეჭვქვეშ დააყენა მოცემული ეტაპზე დე ფაქტო აღიარების მიზანშეწონილობა და რამდენიმე კითხვა დაუსვა უორდროპს, რამაც ამ უკანასკნელის 20 ოქტომბრის კიდევ ერთი პასუხი გამოიწვია.

სომხეთის აღიარებასთან დაკავშირებით და ასევე, მიმაჩნია, რომ დაღესტანი უნდა გადმოვიდეს ბრიტანელების, ან მოკავშირეთა კონტროლის ქვეშ, მისი დამოუკიდებლობის ცნობამდე. ვფიქრობ, რომ რუსეთის წინააღმდეგ აღმართული ეს ბარიერი უმნიშვნელოვანესია ინდოეთისა და სპარსეთის მიმართულებით ჩვენი პოზიციების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

